# კრიმინოლოგი
# CRIMINOLOGIST

## 1 (14)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-3804



საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI
2019

# კრიმინოლოგი
# CRIMINOLOGIST

1(14) 2019

საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

This number of the magazine was published with financial support of the faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი
**Georgian Academy of Criminology Sciences,**
**Institute of Study and Prediction of Crime**
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
**Law and Criminology Scientific Research Institute at Grigol Robakidze University**

# კრიმინოლოგი
# CRIMINOLOGIST

**1(14)**

**საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი**
**INTERNATIONAL SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL**

**ISSN 1512 – 3804**

გამოდის 2007 წლიდან
**HAS BEEN ISSUED SINCE 2007**

ეძღვნება
ფრანგი ექიმ-ანთროპოლოგის პოლ ტოპინარის მიერ ტერმინ „კრიმინოლოგიის“
შემოღების 140-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას
კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი
მეცნიერებათა სისტემაში

**Dedicated to the 140th anniversary of the term „criminologie“ been coined by French physician and anthropologist Paul Topinard**
**International Scientific Conference**
**State and Social Importance of Criminology, and its Place in the Science System**

საქართველო, თბილისი
**GEORGIA, TBILISI**
**2019**

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და
ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით,

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**
# კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

ეძღვნება ფრანგი ექიმ-ანთროპოლოგის **პოლ ტოპინარის** მიერ ტერმინ „კრიმინოლოგიის“ შემოღების 140-ე წლისთავს

**მოხსენებები და ანოტაციები/Reports and Abstracts**

Georgian Academy of Criminology Sciences,
Faculty of Law and International Relations at the Georgian Technical University,
Law and Criminology Scientific Research Institute at Grigol Robakidze University,
with the support of the Georgian National Academy of Sciences and
The American Society of Criminology,
**International Scientific Conference**
# State and Social Importance of Criminology, and its Place in the Science System
Dedicated to the 140th anniversary of the term „criminologie“ been coined by French physician and anthropologist **Paul Topinard**

თბილისი/Tbilisi
24-26 მაისი/May 2019

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი
პროფესორი, დოქტორი მამუკა თავხელიძე
პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღუა – აღმასრულებელი რედაქტორი
მაგისტრი, ცირა ჭანტურია
პროფესორი, დოქტორი რომან შენგელია
პროფესორი, დოქტორი რამაზ ბერიძე (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ჯემალ ჯანაშია
პროფესორი, დოქტორი მარინა კვაჭაძე
პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი გიორგი ღლონტი
პროფესორი, დოქტორი გიორგი თოდრია
პროფესორი, დოქტორი ოთარ გამყრელიძე
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გახოკიძე
პროფესორი, დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფესორი, დოქტორი თემურ მურღულია
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გაბელია
პროფესორი, დოქტორი ირაკლი გაბისონია
პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი
პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე
პროფესორი, დოქტორი ეკა ბესელია
პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა
დოქტორი ნანი ლომაია
პროფესორი, დოქტორი სალომე კაპანაძე- პასუხისმგებელი მდივანი
ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი მიანჰუნ რო (აშშ)
ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ჯი-სან ლი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი)

© საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიიის დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი
© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6. malkhaz_badzagua@yhaoo.com
ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ : www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge www.asc41.com

**The Editorial Board:**

**Professor, Dr. Malkhaz Badzagua – Editor-in-chief**
**Professor, Dr. Mamuka Tavkhelidze**
**Professor, Dr. Mikheil Badzagua – Executive Editor**
**Master, Tsira Chanturia**
**Professor , Dr. Roman Shengelia**
**Professor, Dr.Ramaz Beridze (USA)**
**Professor, Dr. Jemal Janashia**
**Professor, Dr. Marina Kvachadze**
**Professor, Dr. Chris Eskridge (USA)**
**Professor, Dr. George Glonti**
**Professor, Dr. George Tordia**
**Professor, Dr. Otar Gamkrelidze**
**Professor, Dr. Jemal Gakhokidze**
**Professor, Dr. Nino Gvenetadze**
**Professor, Dr. Temur Murgulia**
**Professor, Dr. Jemal Gabelia**
**Professor, Dr. Irakli Gabisonia**
**Professor, Dr. Mikheil Mamniashvili**
**Professor, Dr. Givi Abashidze**
**Professor, Dr. David Gugava**
**Professor, Dr. Eka Beselia**
**Dr.Nani Lomaia**
**Professor, Dr. Salome Kapanadze – Executive Secretary**
**Assistant -Professor, Dr. Myunghoon Roh (USA)**
**Assistant-Professor, Dr. Jae-Seung Lee (USA)**
**Professor, Dr. Vitaly Kvashis (Russia)**

**© Georgian Academy of Criminology Sc iences,Institute of Study and Prediction of Crime**
**© Grigol Robakidze University**
**Editorial Office Address: Tbilisi, Jano Bagrationi St. №6. malkhaz_badzagua@yhaoo.com**
**Journal online version see: www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge www.asc41.com**

## სარჩევი

**წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მეთოთხმეტე ნომრის გამოცემისათვის** .............. 10
**მალხაზ ბაძაღუა** – კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში ............ 17
**კრის ესკრიჯი** – მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემა აშშ-ში ............ 25
**ვიტალი კვაშისი** – კრიმინოლოგია: მისი მნიშვნელობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში ............ 29
**მიანჰუნ რო, ჯი-სან ლი** – კრიმინოლოგიისა და მართლმსაჯულებაში სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცვლილების მოდელი............ 35
**დავით სუჯაშვილი** – საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის მექანიზმები საქართველოს კონტექსტში............ 41
**ზურაბ ხონელიძე** – რბილი ძალა – საუნივერსიტეტო დიპლომატია ............ 50
**ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია** – დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით ............ 54
**დავით გუგავა** – კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მართლმსაჯულების სისტემაში............ 58
**თემურ ბერიძე** – საკუთრების კრიმინოლოგიური ასპექტები............ 63
**გივი ლობჟანიძე** – ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები............ 66
**გივი აბაშიძე** – კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ............ 69
**ვეფხვია გვარამია** – საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების როლი საერთაშორისო დანაშაულობის პრევენციაში............ 75
**გიორგი თოდრია** – კრიმინოლოგიური თეორიის ზოგიერთი პრობლემა ............ 83
**მანანა ხვედელიძე** – ზოგი სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებში კრიმინოლოგიის სამართლებრივი ასპექტები ............ 87
**გიორგი ღლონტი** – ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია: სამართლებრივი მიდგომები და შედარებითი ანალიზი............ 94
**ჯემალ ჯანაშია** – საბაზისო თეზისები თანამედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების გენეზისსა და სისტემატიზაციის კრიმინოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით............ 98
**ნანი ლომაია** – კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში............ 103
**თეიმურაზ ფაჩულია** – აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები ............ 108
**პეტრე დაუთაშვილი** – კრიმინოლოგიური აზროვნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში............ 111

**გელა ხუციშვილი** – ქვეყნის ეკონიმიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების კრიმინოლოგიური გზები. ..... 118
**მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა** – საქართველოში განხორციელებული „ნულოვანი ტოლერანტობის“, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა გამოძიების ფორმებსა და მეთოდიკაზე ........ 123
**მაია ნადარეიშვილი** – დანაშაულის ფსიქოპოლიტიკური ანალიზი ........ 129
**გიმზერ ალანია, ავთანდილ ხაზალია** – საგამოძიებო მოქმედებებში კრიმინოლოგიის მახასიათებლების ეფექტურად გამოყენების აქტუალური საკითხები ........ 140
**მიხეილ ბაძალუა** – კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, როგორც ნორმა-შემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი შეფასების საშუალება ........ 144
**ანზორ ჩუბინიძე** – დაცვის სპეციალური სამსახური, როგორც ვიქტიმების შემცირების სახელმწიფო მექანიზმი ........ 147
**ბადრი ნაჭყებია** – ტრანსნაციონალური დანაშაულებების განვითარების ძირითადი ტენდენციები ........ 151
**ილია რუსია** – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებულობა, როგორც სამართლიანი უთანასწორობა ........ 158

# Contents


**Introduction for 14th publishment of Journal „Criminologist"** ............ 10

**Malkhaz Badzaghua** – State and public importance of criminology, and its place in the science system ............ 17

**Chris Eskridge** – Justice, and the justice network in the USA ............ 25

**Vitaly Kvashis** – Criminology: its significance and place in the system of sciences ............ 29

**Myunghoon Roh**; **Jae-Seung Lee** – A model for change to evidence-based practice in criminology and criminal justice ............ 35

**Davit Sujashvili** – Preventive mechanisms of international terrorism in the context of Georgia ............ 41

**Zurab Khonelidze** – University diplomacy as an example of soft power ............ 50

**Irakli Gabisonia, Jemal Gabelaia** – Explaining the causes of crime with the integrated approaches ............ 54

**David Gugava** – The importance of criminology in the system of justice ............ 58

**Teimuraz Beridze** – Criminological aspects of property ............ 63

**Givi Lobjanidze** – Criminological aspects of transnational organized crime ............ 66

**Givi Abashidze** – The importance of criminology, its place and role in the fight against crime ............ 69

**Vepkhvia Gvaramia** – The role of international criminal courts in the prevention of international offenses ............ 75

**Giorgi Todria** – Some problems of criminological theories ............ 83

**Manana Khvedelidze** – Legal aspects of criminology in the basic constitutional provisions of some countries ............ 87

**Giorgi Ghlonti** – Decriminalization of drugs: Legal approaches and comparative analysis ............ 94

**Jemal Janashia** – Basic theses in the relation of modern transnational crime organizations genesis and systematization criminological researches ............ 98

**Nani Lomaia** – The significance of criminology in the Georgian media ............ 103

**Teimuraz Pachulia** – The matters of interrelationship between the axiology and criminology... 108

**Petre Dautashvili** – Criminal thinking in the political facet of the Georgian authority ............ 111

**Gela Khutsishvili** – Predicting the dangers of economic and demographic expansion of the country and the criminological ways of prevention.......... 118

**Mikheil Mamniashvili**, **Polikarpe (Temur) Moniava** – Influence of “zero tolerance“ as the criminal law policy on the forms and methods of investigation .......... 123

**Maia Nadareishvili** – A psychological and political analysis of crime .......... 129

**Gimzer Alania, Avtandil Khazalia** – Effectiveness of criminology in conducting the criminal investigation .......... 140

**Mikheil Badzagua** – Criminological expertise as a mean of norm-creative and law-using evaluation .......... 144

**Anzor Chubinidze** – Special Protection Service as a state mechanism of reducing number of victims .......... 147

**Badri Nachkebia** – The major trends in development of transnational offenses .......... 151

**Ilia Rusia** – The difference of juvenile justice as fair inequality .......... 158

## წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მეთოთხმეტე ნომრის გამოცემისათვის

2019 წლის 24-26 მაისს საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და აშშ-ის კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში”, რომელიც მიეძღვნა ფრანგი ექიმ-ანთროპოლოგის პოლ ტოპინარის მიერ ტერმინ „კრიმინოლოგიის“ შემოღებიდან 140 წლისთავს.

2019 წლის 24 მაისს კონფერენციაში მონაწილე აშშ-ის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრებს შეხვდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი. ასევე, შეხვედრა გაიმართა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, სადაც სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს საზღვარგარეთიდან მოწვეული მეცნიერ-მკვლევარები წარუდგინა და ისაუბრა კონფერენციის მნიშვნელობაზე. მან თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს. ამასთანავე, ფაკულტეტის დაარსებიდან 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, აკადემიის საპატიო მეგობრის სტატუსის დამადასტურებელი სიგელი გადაეცა ფაკულტეტს. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ჯემალ გახოკიძე, აშშ-ის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრები: რ/ფ-ის შსს-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი ვიტალი კვაშისი, აშშ-ის ტეხასის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი მაინჰუნ რო და აშშ-ის ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ჯეი-სან ლი. მოწვეულ სტუმრებს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის გაიმართა დისკუსია თანამედროვე კრიმინოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

იმავე დღეს კონფერენციის მონაწილე მეცნიერებთან შეხვედრა გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ გელა ბანძელაძის სახელობის პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრში, რომელსაც უძღვებოდა უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. შეხვედრაზე დისკუსია გაიმართა ამერიკული კრიმინოლოგიის სისტემისა და სწავლების მეთოდიკაზე, მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება.

25 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ. კონფერენციის მონაწილეებს მოწვეული სტუმრები წარუდგინა და კონფერენციის რეგლამენტი გააცნო საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ. კონფერენციას მიესალმნენ: გერმანიის მაქს პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ელიკო წიკლაური-ლამმიხი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გივი აბაშიძე, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, პროფესორი ზვიად გაბისონია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელი, პროფესორი მარინე კვაჭაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ეკა ბესელია, საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი შოთა ფაფიაშვილი. კონფერენციის მონაწილეებმა დაბადებიდან 90 წლის იუბილე მიულოცეს საპატიო

სტუმარს, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ვიქტორია სირაძეს, რომელსაც გადაეცა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო მეგობრის სტატუსის დამადასტურებელი სიგელი.

კონფერენციას უძღვებოდა პროფესორი ჯემალ გახოკიძე. მოხსენებებით გამოვიდნენ:

- პროფესორი მალხაზ ბაძაღუა – „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში";
- ასისტენტ-პროფესორები მიანჭუნ რო და ჯეი-სან ლი – „კრიმინოლოგიისა და მართლმსაჯულებაში სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცვლილების მოდელი";
- პროფესორი ვიტალი კვაშისი – „კრიმინოლოგია: მნიშვნელობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში".
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი თოდრია – „კრიმინოლოგიის თეორიის ზოგიერთი პრობლემა";
- გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი გივი ლობჟანიძე – „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჯემალ ჯანაშია – „საბაზისო თეზისები თანამედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების გენეზისისა და სისტემატიზაციის კრიმინოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი გიორგი ღლონტი – „ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია: სამართლებრივი მიდგომები და შედარებითი ანალიზი";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი დავით გუგავა – „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მართლმსაჯულების სისტემაში";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თეიმურაზ ბერიძე – „საკუთრების კრიმინოლოგიური ასპექტები";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ვეფხვია გვარამია – „საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების როლი საერთაშორისო დანაშაულობის პრევენციაში";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი მანანა ხვედელიძე: „ზოგი სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებში კრიმინოლოგიის სამართლებრივი ასპექტები";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი თეიმურაზ ფაჩულია – „აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები";
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი ნანი ლომაია: „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე დაუთაშვილი: „კრიმინოლოგიური აზროვნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი გელა ხუციშვილი – „ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების კერიმინოლოგიური გზები";
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი პოლიკარპე (თემური) მონიავა – „„ნულოვანი ტოლერანტობის“, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა გამოძიების ფორმებსა და მეთოდიკაზე“;

- საქართველოს კრიმინოლოგიის აკადემიის მეცნიერ-მკვლევარი, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის დირექტორი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი ბადრი ნაჭყებია – „ტრანსნაციონალური დანაშაულობის განვითარების ძირითადი ტენდენციები“;

კონფერენციაზე განსახილველად ასევე წარმოადგინეს შემდეგი მოხსენებები:

- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, აშშ-ის კრიმინოლოგიური საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, აშშ-ის ნებრასკის უნივერსიტეტის პროფესორი კრის ესკრიჯი – „მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემა აშშ-ში“;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორი დავით სუჯაშვილი – „საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის მექანიზმები საქართველოს კონტექსტში“;
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე – „რბილი ძალა – საუნივერსიტეტო დიპლომატია“;
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ჯემალ გაბელია – „დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით“;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გივი აბაშიძე – „კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“;
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბრიტანეთისა და ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მაია ნადარეიშვილი – „დანაშაულის ფსიქო-პოლიტიკური ანალიზი“;
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: გიმზერ ალანია და ავთანდილ ხაზალია – „საგამოძიებო მოქმედებებში კრიმინოლოგიიის მახასიათებლების ეფექტურად გამოყენების აქტუალური საკითხები“;
- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ ბაძაღუა – „კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, როგორც ნორმა-შემოქმედებითი და სამართალშემოქმედებითი შეფასების საშუალება“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ანზორ ჩუბინიძე – „დაცვის სპეციალური სამსახური, როგორც ვიქტიმების შემცირების სახელმწიფო მექანიზმი“.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს და მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორებმა: მინდია უგრეხელიძემ, ჯემალ გახოკიძემ, მალხაზ ბაძაღუამ, პოლიკარპე (თემურ) მონიავამ, ეკა ბესელიამ, მიხეილ მამნიაშვილმა, ელიკო წიკლაური-ლამმიხმა, ჯემალ ჯანაშიამ, ბადრი ნაჭყებიამ და ბესიკ კვირიკაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს სტუდენტების სახელით მიესალმა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი მარიამ ტურიაშვილი, ხოლო კონფერენციის მონაწილეებს პროფესორ კრის ესკრიჯის მისასალმებელი წერილი გააცნო საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორმა საერთაშორისო საკითხებში მედეა ბაძაღუა-სანაიამ. ამ ღირშესანიშნავ თავყრილობაში მონაწილეობა ჩემთვის ასე შორი-

დანაც კი ძალზე ამაღელვებელია. უდიდეს კმაყოფილებას განვიცდი იმის გამო, რომ კრიმინოლოგია პერმანენტულად იზრდება და ვითარდება საქართველოში. გულითა და სულით მინდოდა ამ არაჩვეულებრივ ღონისძიებაზე თქვენ გვერდით ფიზიკურად ყოფნა. ეს შეხვედრა წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რადგანაც აქ წარმოდგენილია მშვიდობისა და თავაზიანობის საზღვრებში მოქმედი ინტერაქტიული ძალები. კრიმინოლოგია მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ იგი საკუთარი ადგილის დამკვიდრებას პროგრესის საერთო მაგიდასთან მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ კრიმინოლოგიის წილი მუდმივად გაიზრდება როგორც ჩვენს საზოგადოებრივ რეალობაში, ისე აკადემიურ გარემოშიც. თუ გვსურს გაუმჯობესდეს სამართლიანობის ხარისხი, გაძლიერდეს მშვიდობის შეგრძნება, გამყარდეს სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა და შემცირდეს კორუფცია, უნდა განვავითაროთ კრიმინოლოგია. მეცნიერების ამ დარგის პროგრესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დღეს თქვენ სწორედ მის ზრდასა და განვითარებას უწყობთ ხელს ისეთი მაღალპროფესიული შეკრებით, როგორიცაა თბილისის საერთაშორისო კონფერენცია.

თქვენც და მეც უზარმაზარი გამოწვევები გველოდება, რადგან ერთნაირად გვიწევს პასუხის გაცემა ჩვენ გარშემო გამეფებულ უსამართლობასა და მართლმსაჯულების აღუსრულებლობაზე. ხალხი დასაპურებელია, ბუნება დასაცავია, სიცოცხლის ყველა ფორმაა გადასარჩენი და ძალიან ბევრ სფეროშია გამოსასწორებელი უკვე გაფუჭებული საქმეები. კრიმინოლოგიის ჩართულობის წილის გაზრდით, ჩვენ შევძლებთ საარსებო რეალობის გაუმჯობესებას და შედეგად გახშირდება სამართლის პოვნა და მართლმსაჯულების განხორციელება როგორც ჩვენს ოჯახებსა და სამეზობლოებში, ასევე ეროვნული და მსოფლიო მასშტაბითაც. მთელი გულითა და სულით მინდოდა თქვენთან ერთად მონაწილეობის მიღება და ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში შევძლებ ამის გაკეთებას – პროფესორი კრის ესკრიჯი“

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, ამავე აკადემიის ჟურნალის რედაქტორი ენვერ ნიჟარაძე, აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი ავთანდილ აბაშიძე, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ შეაჯამა კონფერენციის შედეგები და მონაწილეებს აცნობა, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება ჟურნალ „კრიმინოლოგში“, ხოლო გამოთქმული მოსაზრებები ეცნობება შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. დასასრულს, მონაწილეებს გადაეცა კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები, ხოლო აკადემიის საპატიო წევრის დიპლომები პროფესორებს: მინდია უგრეხელიძეს, მაინჰუნ როს, ჯეი-სან ლის და ვიტალი კვაშისს, ასევე თენგიზ ქავთარაძეს. აკადემიის წევრის დიპლომები გადაეცათ პროფესორებს: ჯემალ ჯანაშიასა და პოლიკარპე (თემურ) მონიავას.

კონფერენციის ფარგლებში ამა წლის 27 მაისს აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა და აშშ-ის ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ჯეი-სან ლი შეხვდნენ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, სადაც მათ შორის გაიმართა დისკუსია თანამედროვე კრიმინოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

## Introduction to the 14th issue of the Journal „Criminologist“

On May 24-26 2019, at the initiative of Georgian Academy of Criminology, the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University, the Research Institute of law and Criminology of Grigol Robakidze State University, with the support of Georgian National Academy of Sciences and American Society of Criminology, an international scientific conference „State and Public Importance of Criminology and its place in the System of Science" was held, which was devoted to the 140th anniversary of implementing the term „Criminology" by French physician and anthropologist Paul Topinard.

On May 24th Archil Prangishvili, Rector of Georgian Technical University met the members of American Society of Criminology who participated in the conference. Also a meeting with students and professors was held, where the Dean of Law and International Relations Professor Irakli Gabisonia and Malkhaz Badzagua, the President of Georgian Academy of Criminology greeted the students, at the same time professor Malkhaz Badzagua introduced the guests to the public, talked about the importance of the conference and thanked the administration of the University and the Faculty of Law and International Relations. For 3-year anniversary of forming the faculty, for the role played in developing criminology, the faculty got a „Honorable Friend's" award. Speakers of the meeting were the following: The head of University Representative Council Professor Jemal Gakhokidze, representatives of American Society of Criminology, the main scientist of scientific- research institute of Ministry of Internal Affairs of Russia Professor Vitaly Kvashis, Texas University Professor Myunghoon Roh and North Kentucky University Professor Jae Seung Lee. There was a discussion between the guests and the students about the actual and topical matters in criminology.

On the same day there was a meeting at Gela Bandzeladze Professional Development Centre at Grigol Robakidze State University, which was led by Mr. Malkhaz Badzagua, the leader of Law and Criminology scientific research institute. Professors and students attended the meeting. There was a discussion about the American criminology system and the methods of study.

On 25th of May an international scientific conference was held at Georgian National Academy of Sciences, which was opened by the greeting from the president of the academy Giorgi Kvesitadze. The guests were introduced by the president of Georgian academy of criminology, Professor Malkhaz Badzagua. Also greeting speeches were made by Professor Eliko Tsiklauri-Lammich, leader of International Criminal law and criminology department at Max Planck Institute, professor Givi Abashidze of Batumi Shota Rustaveli University, General Director of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia Prof. Zviad Gabisonia, representative of Georgian Supreme Court, prof. Marine Kvatchadze, prof. Eka Beselia member of Georgian parliament and Professor at Grigol robakidze University,the president of Georgian Law Sciences Prof. Shota Phaphiashvili. The participants of the conference congratulated 90th birthday to a very honorable guest Victoria Siradze, who was awarded with a „Honorable Friend's" award from the Georgian academy of criminology.

The conference was led by Professor Jemal Gakhokidze. The speakers were the following:

- Professor Malkhaz Badzagua _ ` State and public importance of criminology, and its place in the science system
- Assistant-Professor, Dr Myunghoon Roh Roh , Assistant-Professor, Dr Jae-Seung Lee -A model for change to evidence-based practice in criminology and criminal justice
- Professor Vitaly Kvashis- Criminology: its significance and place in the system of sciences .
- Professor Giorgi Todria -Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences – Some problems of criminological theories
- Professor, Dr Givi Lobjanidze *Guram Tavartkiladze University* – Criminological aspects of transnational organized crime
- Professor, Dr Jemal Janashia *Technical University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences* – Basic theses in the relation of modern transnational crime organizations genesis and systematization criminological researches
- Professor, Dr Giorgi Ghlonti *TSU Tinatin Tsereteli State and Law Institute, Georgian Academy of Criminology Sciences* – Decriminalization of drugs: Legal approaches and comparative analysis

- Professor, Dr David Gugava -*Dean of the Law School at David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Science* – The importance of criminology in the system of justice
- Professor, Dr Teimuraz Beridze _ *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* – Criminological aspects of property
- Professor, Dr Vepkhvia Gvaramia _ *Dean of Faculty of Law at Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* – The role of international criminal courts in the prevention of international offenses
- Professor, Dr Manana Khvedelidze _ *Tbilisi Humanitarian Teaching University, Georgian Academy of Criminology Sciences* – Legal aspects of criminology in the basic constitutional provisions of some countries
- Professor, Dr Teimuraz Pachulia-*Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* – The matters of interrelationship between the axiology and criminology
- Nani Lomaia -*Georgian Technical University, The Centre of Study and Prediction of Crime* – The significance of criminology in the Georgian media
- Professor, Dr Petre Dautashvili _ *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* – Criminal thinking in the political facet of the Georgian authority
- Professor, Dr Gela Khutsishvili _ *Georgian Academy of Criminology Sciences* – Predicting the dangers of economic and demographic expansion of the country and the criminological ways of prevention
- Professor, Dr Mikheil Mamniashvili _ *Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences*; Professor, Dr Polikarpe Moniava (Georgia), *David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences* – Influence of `zero tolerance,, as the criminal law policy on the forms and methods of investigation.
- Badri Nachkebia -*Director of the Centre for Research of Terrorism and Political Violence, Georgian Academy of Criminology sciences* – The major trends in development of transnational offenses

Following reports were presented at the conference:

- Professor, Dr Chris Es kridge-*CEO of the American Society of Criminology (ASC),* honorable member of Georgian Academy of Criminology Sciences, *University of Nebraska* – Justice, and the justice network in the US
- Dr Davit Sujashvili-*Grigol Robakidze University* – Preventive mechanisms of international terrorism in the context of Georgia
- Professor, Dr Zurab Khonelidze -Rector of *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* –University diplomacy as an example of soft power
- Professor, Dr Irakli Gabisonia -*Dean of Faculty of Law and International Relations at the Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences*; Professor, Dr Jemal Gabelaia, *Deputy Dean of Faculty of Law and International Relations at the Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences* – Explaining the causes of crime with the integrated approaches
- Professor, Dr Givi Abashidze, *Batumi Shota Rustaveli State University* – The importance of criminology, its place and role in the fight against crime
- Professor, Dr Maia Nadareishvili, *Director of the British and American Studies Institute at Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*– A psychological and political analysis of crime
- Professor, Dr Gimzer Alania -*Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*;Professor, Dr Avtandil Khazalia -*Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences* – Effectiveness of criminology in conducting the criminal investigation
- Professor, Dr Mikheil Badzagua-*Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences* –Criminological expertise as a mean of norm-creative and law-using evaluation

- Anzor Chubinidze - *Georgian Technical University* – Special Protection Service as a state mechanism of reducing number of victims

Following Professors were envolved in the duscussions regarding the topics of the reports: Mindia Ugrekhelidze, Jemal Gakhokidze, Malkhaz Badzagua, Polikarpe Moniava, Eka Beselia, Mikheil Mamniashvili, Eliko Tsiklauri-Lammich, Jemal Janashia, Badri Nachkebia and Besik Kvirikashvili.

On behalf of the students, Mariami Turiashvili, Researcher at Georgian Academy of Criminology and MA student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University welcomed the guests of the conference.

Welcome speech from Professor Chris Eskridge was presented by Medea Badzagua-Sanaia, Coordinator of Georgian academy of Criminology in international matters. „I am thrilled to vicariously be a part of this wonderful gathering, and delighted to learn of the continuing growth and development of criminology in the Republic of Georgia. I truly wish I could be with you to experience this wonderful event, together. This meeting is indeed a wonderful development, for there are a host of interactive forces at work in our world, pushing and pulling at the boundaries and borders of peace and civility. Criminology has a place in the response to that milieu, but our field will only be able to take a seat at the table of progress if we continue to realize an increased presence of criminology in both our communal and academic environments. If we wish to enhance justice, heighten the sense of peace, improve socio-economic stability, and reduce corruption, we must advance the field of criminology. Its growth and development is crucial, and you are facilitating that growth and development today with these professional meetings – the Tbilisi International Conference.

Great challenges lay ahead for you and for me, as we mutually respond to the inequities and injustices in the world around us. There are people to be fed, reefs and forests to be protected, life in all forms to be preserved, and wrongs to be righted in many spheres. By enhancing the presence of criminology, we can improve the environments in which we live, and as a result, justice and equity will be more frequent visitors to our homes, our neighborhoods, our nations, and our world. Professor Chris Eskridge"

The conference was attended by Elizbar Javelidze , the academician of Georgian National Academy of Sciences ; Enver Nijaradze, a redactor of the journal;, Avtandil Abashidze, consultant of the president of academy, also representatives from the Ministry of Internal Affairs and Georgian Academy of Criminology.

Professor Malkhaz Badzagua summed up the results of the conference and let the participants know that the materials of the conference would be published in the journal „Criminologist", and the ideas which were expressed would reach the attention of the relevant state and social organizations. He awarded the participants with certificates and the diplomas of honorable members were presented to the following professors: Mindia Ugrekhelidze, Myunghoon Roh, Jae-Seung Lee, Vitaly Kvashis, Tengiz Kavtaradze, The diplomas of academy membership were presented to the professors: Jemal Janashia and Polikarpe (Temuri) Moniava.

During the conference, on May 27$^{th}$ Professor Malkhaz Badzagua and Assistant-Professor Jae Saung Lee met the students and professors at Davit Aghmashenebeli University of Georgia and Sokhumi State University, where they discussed the actual problems of modern criminology.

# კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

პროფესორი, დოქტორი **მალხაზ ბაძაღუა**, *საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი*

Professor, Dr **Malkhaz Badzaghua** (Georgia), *President of the Georgian Academy of riminology Sciences, Director of the Scientific Research lnstitute of Law and Criminology at Grigol Robakidze University*

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ტარდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამონაწილეობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით, გამორჩეულია, რადგან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, პირადად აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, აშშ-ს კრიმინოლოგიური საზოგადოების სამი წევრი, ასევე საქართველოს კრიმინოლოგიის აკადემიის წევრები ქვეყნის თერთმეტი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლიდან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ასეთი წარმომადგენლობა საშუალებას გვაძლევს კონფერენციაზე დასმული პრობლემები განვიხილოთ სიღრმისეულად და კომპლექსურად.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ კონფერენციაზე განსახილველ რამდენიმე მნიშვნელოვან თეორიულ, პრაქტიკულ და ინფორმაციული ხასიათის საკითხზე: პირველი – კრიმინოლოგიის განვითარების ისტორია, მისი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში; მეორე – კრიმინოლოგიის ადგილი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში; და მესამე – საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის მიზნები და ამოცანები.

პირველი – 140 წლის წინ, 1879 წელს ტერმინი „კრიმინოლოგია" შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა, ექიმ-ანთროპოლოგმა პოლ ტოპინარიმ, ხოლო შემდგომ 1885 წელს იტალიელმა მეცნიერმა, იურისტმა რაფაელო გაროფალომ გამოსცა პირველი მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია". რის შემდგომ აღნიშნული ტერმინი და მოძღვრება დამკვიდრდა მეცნიერებაში.

კრიმინოლოგიის განვითარების შედეგად, კლასიკურიდან თანამედროვე პერიოდამდე, ცნებებმა და ტერმინებმა ფართო მნიშვნელობა შეიძინა როგორც სოციალურ-სამართლებრივმა მეცნიერებამ, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის დანაშაულობას, მის მიზეზებსა და დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხებს.

საქართველოს ისტორიაში წარმოდგენა დანაშაულობის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს, რომელიც ქართული ფილოსოფიისა და სამართლის ისტორიის წიაღში ჩამოყალიბდა და განვითარდა. ამ მიმართულებით კვლევებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომლის ნაშრომებიდან მომდინარეობს კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინი – „დანაშაულობა" მისი არსის გათვალისწინებით.

რუსეთის იმპერიისა და შემდგომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართული კრიმინოლოგია ორგანულად უკავშირდებოდა რუსულ კრიმინოლოგიურ სკოლას, რადგან ზოგადად მეცნიერებისა და განათლების სისტემის მართვა, სახელმწიფო სისტემებთან ერთობლიობაში იმპერიის პრეროგატივა იყო.

საქართველოში, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეპუბლიკებში, ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგია ხელს უშლიდა სამართლებრივი, მათ შორის კრიმინოლოგიური აზროვნების განვითარებას, რადგან ითვლებოდა, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად დანაშაულობა როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი გაქრებოდა. აღნიშნული მითი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად თან-

დათანობით ინგრეოდა.

კრიმინოლოგიის მიმართულებით საქმიანობა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოცოცხლდა, რაზეც პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ ფაქტორებთან ერთად, ზეგავლენა იქონიეს პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერებმა. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ თინათინ წერეთლის, პროფესორების თამაზ შავგულიძის, ანზორ გაბიანის, გელა ბანძელაძის, ნიბლია უგრეხელიძის, რევაზ ჭოღოშვილის, ზაურ წულაიას და სხვათა მოღვაწეობა.

ამ მიმართულებით ქვეყანაში არაერთი სახელმწიფო სპეციალური კრიმინოლოგიური ორგანიზაცია მოქმედებდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (პროფესორ ანზორ გაბიანის ხელმძღვანელობით), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა, სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, საქართველოს გენერალური პროკურატურის საბაზისო კათედრა (პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ხელმძღვანელობით), საქართველოს უშიშროების სამინისტროს აკადემია შესაბამისი კათედრებით, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, რომლებიც 2003-2006 წლებში გაუქმდა. სამწუხაროდ, დღემდე მათი ადგილი ვერც რეფორმირებულ უმაღლეს სკოლასა და სახელმწიფო სტურქტურებში ვერ მოინახა.

დანაშაულის პრობლემები ყოველთვის იყო და არის ყველაზე უფრო მგრძნობიარე, განსაკუთრებით ჩვენს სახელმწიფოში, რომლის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და საზოგადოებაში ჯერ კიდევ იგრძნობა წარსულიდან შემორჩენილი ე.წ. „სისტემური დანაშაულობის“ შედეგები. აღნიშნულ ფაქტორებს ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სახელმწიფო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული ინსტიტუტების ახალი ფორმატით არსებობა მნიშვნელოვანია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ახლადშექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსათვის, მათზე დაკისრებული ფუნქციების მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით რეალიზების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა და აკადემიური წრეების ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად.

ევროკავშირის რეკომენდაციაა სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების მხრიდან თანამშრომლობის გაძლიერება აკადემიურ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი,“[1] რომელშიც პოლიციის ტერმინში იგულისხმება სამართალდამცავი ფუნქციის მქონე ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, აღნიშნულია, რომ „ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვითონ პოლიციაში, ასევე გარე ორგანიზაციების მიერ“. ამ მიმართულებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სისტემის შიგნით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება და ამასთანავე, უმაღლეს სასწავლებლებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმოება, მასში კვალიფიციური სპეციალისტების, მეცნიერებისა და მკვლევარების მოწვევა-ჩართვა, რომელიც სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, რეფორმებზე, სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მეცნიერულ-ექსპერტულ რჩევებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს. მნიშვნელოვანია ასევე, სისტემის გარეთ არსებული სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო პროექტების განზოგადების, საზოგადოების სამართლებრივი აღზრდისა და განათლების, პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის სისტემის მარგიქმედების კოეფიციენტს, რადგან დრომ და არსებულმა გამოწვევებმა გვიჩვენა, რომ სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სტრუქტურების დანაშაულობის წინააღ-

1 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი“, 19 სექტემბერი, 2001.

მდეგ ბრძოლისა და პრევენციის საქმეში საბოლოო პროდუქტის მისაღებად არაა საკმარისი მხოლოდ ოპერატიული და საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობა, საჭიროა საკითხისადმი მაღალი სტანდარტებით, კომპლექსური მიდგომა, სისტემის შიგნიდან და გარედან აკადემიური წრეების მონაწილეობით სამეცნიერო კვლევით მიღებული შედეგებით შევსება და ერთიანი სახით წარმოდგენა-გააზრება. საბედნიეროდ, მსგავსი პრაქტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში აპრობირებული იყო არც თუ შორეულ წარსულში.

საქართველოს მეორე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობისას, მისი ინიციატივით მოიძებნა ამ მიმართულებით საქმიანობის არაერთი ფორმა. სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი, რომელთა საქმიანობაში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები იყვნენ ჩართულნი. რადგან ჩვენ ვიმყოფებით ეროვნული მეცნიერების ტაძარში, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისინი: აკადემიის პირველი პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა; აკადემიკოსები: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე, თინათინ წერეთელი, ავლიპ ზურაბიშვილი, პაატა გუგუშვილი, ვიქტორ კუპრაძე, ივანე ბერიტაშვილი, სერგო ჯორბენაძე, გივი ინწკირველი და სხვები.[2] ისინი სხვადასხვა აქტივობებით, ამ პრობლემატიკაზე მეცნიერული კვლევებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით, მოსახლეობასთან და სამართალდამცველებთან ზეპირი საუბრებით, ასევე მასმედიის საშუალებებით, შეხვედრებით და საჯარო გამოსვლებით ჩართული იყვნენ დანაშაულის პრევენციის მიზნით, საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების, მართლშეგნების ჩამოყალიბების, სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საკითხებში. აღნიშნული ინსტიტუტები უზრუნველყოფდა ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე, ანტისაზოგადოებრივ მოვლენებზე: ლოთობაზე, ნარკომანიაზე, პროსტიტუციაზე და სხვა სახის დანაშაულობებზე საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით სრულყოფას და აღნიშნულ გამოწვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრივ მხარდაჭერას.[3]

რაც შეეხება მეორე საკითხს – კრიმინოლოგიის ადგილს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, უნდა აღინიშნოს, რომ 2001 წელს მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ შეიქმნა და ფუნქციონირებს „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი", რომელმაც სახელმწიფო, საუნივერსიტეტო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 2007-2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერილი პროექტი „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ", რომელმაც კრიმინოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული ფართო საზოგადოება გააერთიანა. აღნიშნულ პროექტს მხარი დაუჭირა ამერიკის კრიმინოლოგიურმა საზოგადოებამ და მისმა აღმასრულებელმა დირექტორმა, პროფესორმა კრის ესკრიჯმა, რომელმაც პირადად მიიღო თბილისში პროექტის შემაჯამებელ მუშაობაში მონაწილეობა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 2007 წლიდან გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალს „კრიმინოლოგი". ასევე, აღნიშნულ უნივერსიტეტში 2007 წელს ჩამოყალიბდა კრიმინოლოგიური კვლევების ლაბორატორია, რომელიც 2010 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტად გარდაიქმნა.

კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებებთან დაკავშირებით კვლევებმა[4] დაგვანახა ის პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის არარსებობით. აღნიშნული მდგომარეობა აფერხებს და არაეფექტურს ხდის კრიმინოლოგიის სწავლებას, კვლევებს, მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კრიმინოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას და სისტემურ განვითარებას.

არსებული მდგომარეობის მიზეზები და მისი ხელშემწყობი პირობები ქვეყნის გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით არის სუბიექტურიც და ობიექტურიც და მათ გლო-

2 დარჩია მ., ქარუმიძე ვ., „საზოგადოებრვიი აზრის ინსტიტუტი": ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 1997, გვ. 16
3 საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევა „პოლიცია და საზოგადოება" , თბ., 2019
4 ბაძაღუა მ., „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები" თბ., 2016

ბალური ფაქტორები განაპირობებს. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, ცალკეული მეცნიერები, კრიმინოლოგიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სამართლის ან სხვა მეცნიერებების გავლენით არაერთმნიშვნელოვნად, სხვადასხვა მეცნიერებების შემადგენლობაში განიხილავენ: კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, კრიმინოლოგია სისხლის სამართლის წიაღში წარმოშობილი დანაშაულობის, როგორც სოციალურ–სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერებაა, ხოლო ანგლო–ამერიკულ ქვეყნებში სოციალურ მეცნიერებად მოიაზრება. შესაბამისი მდგომარეობაა კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინებისა და ცნებების გაგებაში[5]; [6];

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ისტორიულია და კრიმინოლოგიის წარმოშობის სათავეებს, სისხლის სამართლის ევროპულ კლასიკურ სკოლას უკავშირდება. თანამედროვე პერიოდში კრიმინოლოგიის ტერმინმა უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მსოფლიო თითქმის ყველა ასპექტით გლობალურ, ერთიან კიბერსივრცედ, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსად იქცა, რამაც გავლენა იქონია დანაშაულობის სტრუქტურულ შემადგენლობაზე.[7]

გლობალიზაციის შედეგები განსაკუთრებით შეიგრძნობა ევროპაში, მათ შორის საქართველოში, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში, რადგან ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში „კომუნისტური რეჟიმების" ჩამოშლამ, რუსეთის მხრიდან საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიების ოკუპაციამ, კაპიტალისტური საზოგადოების არათანმიმდევრულმა ჩამოყალიბებამ, საზღვრების ფაქტობრივმა გაუქმებამ, უვიზო მიმოსვლამ, მიგრაციამ, ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ უარყოფითად იმოქმედა უსაფრთხოების სისტემებზე[8], ხელი შეუწყო დანაშაულობის გლობალიზაციას, რამაც გავლენა იქონია მის მდგომარეობასა და სტრუქტურაზე, ეროვნული კრიმინოლოგია გარდაიქმნა საერთაშორისო კრიმინოლოგიად, მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია[9], რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანამედროვე კრიმინოლოგიის ძირითად საკითხებში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების აუცილებლობას. ამის კარგი მაგალითია სამართლის კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის დაახლოების პროცესი, რაც კრიმინოლოგიაზეც იქონიებს გავლენას.

კრიმინოლოგიაზე როგორც მეცნიერებაზე წარმოდგენები საზოგადოების ევოლუციის პროცესთან ერთად წინააღმდეგობრივად ვითარდება, რაც კრიმინოლოგიური კვლევებისათვის, მისი შემდგომი განვითარებისათვის მისაღები და სასარგებლოა. ხოლო რაც შეეხება განათლებასა და სწავლებას, მათზე უარყოფითად მოქმედებს. აქ მეთოდოლოგიური სიზუსტეა მნიშვნელოვანი, რასაც კრიმინოლოგიის თეორიაში მომუშავე მეცნიერებიც მიიჩნევენ[10].

კრიმინოლოგიაში ევოლუციური პროცესების კვლევამ გამოავლინა კონსტიტუციური კრიმინოლოგიის ძირითადი არსის მართებულობა, რომლის მიხედვით ზოგადად დანაშაულობის შესწავლა შეუძლებელია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისაგან განცალკევებით. ამიტომაც, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თანამედროვე კრიმინოლოგიაში როგორც ანგლო-ამერიკულ, ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, ძირითადად თანხმდებიან „კრიმინოლოგიის", როგორც მეცნიერების კომპლექსურობაზე, ინტერდისციპლინარულ საგანზე[11], სოციალურ-სამართლებრივ და არამარტო ამ მეცნიერებების შემადგენელით[12], რადგან მისი კვლევის საგანი, ფართო გაგებით, დანაშაულებრივი ქცევის ყველა ფორმის, მისი მიზეზების,

---

5 ღლონტი გ., თავი 4 „საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია" „კრიმინოლოგია" თბ., 2008 გვ.75

6 Criminology Today (third edition), Frank Schmalleger, USA, Upper Saddle River, New Jersey 2002.p15

7 Edgardo Rotman "The Globalization of Criminal Violence", Cornell University "Journal of Law and Public Policy", Fall 2000, Volume 10, Number 1

8 ბაძაღუა მ., ბაძაღუა მიხეილი, „ტურიზმის უსაფრთხოების კრიმინოლოგიური ასპექტები", ჟურნალი „კრიმინოლოგი" 1(7–8), თბ., 2012–2013; გვ. 46–51

9 ღლონტი გ., „საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია" „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში" თბ., 2008 გვ.75

10 T.R Yong, Theory and method for Criminology In the 21st century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather University for Advanced studies is sociology. 1988. N 126

11 Criminology Today (third edition), Frank Schmalleger, USA, Upper Saddle River, New Jersey 2002.

12 Criminology Today (third edition), Frank Schmalleger, USA, Upper Saddle River, New Jersey 2002.p16

ხელისშემწყობი პირობების, დანაშაულის ჩამდენი პირის და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილებისა და კონტროლის გზების ძიების მეცნიერული გააზრებაა.

საზღვარგარეთის ქვეყნების კრიმინოლოგიური სკოლები, მეცნიერები ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო სხვადასხვაგვარად განიხილავენ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ამ კონტექსტში კრიმინოლოგიაში აქტუალურია მასობრივ და ინდივიდუალურ დონეზე ზოგიერთი ძირითადი ცნებისა და ტერმინის „დანაშაულობის“, „ლატენტური დანაშაულობის“, „დამნაშავის პიროვნების“, „დანაშაულობის მსხვერპლის“ და სხვათა კვლევა. რადგან კრიმინოლოგიაში მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით აუცილებელია საერთაშორისო დონეზე ერთიანი ხედვისა და სტანდარტების ჩამოყალიბება, რაც გავლენას იქონიებს კრიმინოლოგიის თეორიულ სწავლებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

უკანასკნელ წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა არაერთი კრიმინოლოგიური კვლევა, მომზადდა ათობით დისერტაცია, კრიმინოლოგიაში გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო, რაც მაინც არასაკმარისად მიგვაჩნია, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი 50-მდე სამართლის სკოლიდან კრიმინოლოგია ისწავლება და სავალდებულოა მხოლოდ ნახევარში. კრიმინოლოგიაში, როგორც სპეციალისტების, ისე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების დეფიციტია, საგანმანათლებლო სისტემაში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჯარო და უმაღლეს სკოლებში არ ისწავლება ვიქტიმოლოგიის საფუძვლები. კრიმინოლოგიის მიმართულებით არ ცხადდება სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები, სუსტია პრაქტიკული საქმიანობის თეორიული ბაზით უზრუნველყოფა, რაც სამართლისა და კრიმინოლოგიის მეცნიერების, მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულების, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სისტემების საქმიანობის შედეგზე უარყოფითად მოქმედებს.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიოს, ამერიკის, ევროპის კრიმინოლოგიური საზოგადოებები და ინსტიტუტები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ დანაშაულობის კონკრეტული ფორმებისა და სახეობების კვლევა–ძიების საკითხებს, მეტად უნდა დაინტერესდნენ კრიმინოლოგიის ძირითად თეორიულ საკითხებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებით, რადგან დღეს განათლების სისტემა და მისი შედეგები გლობალური ხასიათისაა.

მესამე საკითხი – საქართველოში ზემოაღნიშნული პრობლემების დასაძლევად და ეფექტური კორდინაციის ხელისშეწყობის მიზნით, 2017 წელს დაარსდა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც არაფორმალურად წარმოადგენს ა.ა.ი.პ. „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ სამართალმემკვიდრეს. ამასთანავე, აკადემიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონსულტანტის სტატუსი აქვს მინიჭებული.

რამდენიმე სიტყვით შევაჩერებ თქვენს ყურადღებას აკადემიის საქმიანობაზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კრიმინოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებას, განვითარებას და საერთაშორისო ინტეგრაციას. ასევე კრიმინოლოგიაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო – პრაქტიკული პროექტების განხორციელებას და წახალისებას. აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტია სამთავრობო და არასამთავრობო, საგანმანათლებლო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით – ამერიკისა და ევროპის კრიმინოლოგიურ საზოგადოებებთან თანამშრომლობა.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „კრიმინოლოგი“, რომლის ელექტრონული ვერსიები განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე http://www.gacs.org.ge/

წესდების თანახმად, აკადემიის წევრად არჩეულია მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე 30 ქართველი მეცნიერი. ასევე საპატიო წევრებად – 10 უცხოელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ამავე პერიოდში გარდაცვალების გამო ჩვენს რიგებს გამოაკლდნენ აკადემიის საპატიო წევრები, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკები – პოლკოვნიკი ოთარ კვაჭაძე და საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი გურამ გვეტაძე. აკადემიის სტრუქტურაში ფუნქციონირებს სათათბირო ორგანო – სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო პროფესორ რომან შენგელიას ხელმძღვანელობით; აკადემიის

საორგანიზაციო დეპარტამენტი პროფესორ დავით გუგავას ხელმძღვანელობით, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი, აკადემიის საზოგადოებრივი პალატა. აკადემიამ წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიასთან ერთად დააწესა ყოველწლიური „წმინდა გიორგი ჭყონდიდელ – მწიგნობართუხუცესის სახელობის პრემია“, რომელიც მიენიჭება საზოგადოებასა და მეცნიერებაში დამსახურების მქონე პირს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული სახელმწიფოს მართვის, სამართლისა და კრიმინოლოგიის საკითხების კვლევის საქმეში;

ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოებამ (ASC) მისი აღმასრულებელი დირექტორის, პროფესორ კრის ესკრიჯის ხელმძღვანელობით მხარი დაუჭირა აკადემიის დაარსებას და საინფორმაციო ჟურნალში (2018 წლის 44 გამოცემა), რომელიც ელექტრონული და ბეჭდვითი სახით გამოიცემა, გამოაქვეყნა ინფორმაცია აკადემიის დაარსების, მისი ამოცანებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.

აკადემიამ 2018 წლის 18 მაისს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხოლო 2018 წლის 25 ოქტომბერს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან.

აკადემიის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოზე მომზადებულ და განხილულ იქნა კვლევა „საზოგადოება და პოლიცია“. რომელიც მიეძღვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაარსებიდან 100 წლის იუბილეს.

დანაშაულობის სოციალური ხასიათიდან გამომდინარე, კრიმინოლოგიისა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების-ვიქტიმოლოგიის ძირითადი ამოცანაა დანაშაულის მსხვერპლის, როგორც სოციალური მოვლენის შესწავლა. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ საჭიროა მეტი კოორდინირებული მოქმედება სამართალდამცავ და სოციალურ სამსახურებს შორის, რადგან სოციალური მუშაკის საქმიანობა მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიქტიმაზაციის თავიდან აცილების საქმეში ჩვენი ხედვით, მნიშვნელოვან გამოუყენებელ მექანიზმს წარმოადგენს. საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიას აქვს რესურსი კრიმინოლოგიურ-ვიქტიმოლოგიური პრობლემატიკის მიმართულებით მონაწილეობა მიიღოს როგორც პოლიციის, ისე სოციალური სამსახურების ურთიერთთანამშრომლობისა და დაახლოების პროცესში.

„პოლიციის შესახებ“ კანონის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე პოლიციას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან ადგილობრივ დონეზე დანაშაულის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლის, თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივი პრობლემების ღრმად შეცნობისათვის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალური პოლიციის შექმნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი არაოპერატიული დანაყოფის გარკვეული დეცენტრალიზაციით და მუნიციპალიტეტებისადმი კანონმდებლობით დაკისრებული სამართალდარღვევათა რეაგირებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციათა შერწყმით და სოციალური სამსახურებთან ურთიერთანამშრომლობით, რომლის მართვაც შესაძლებელია განხორციელდეს დუალური პრინციპით, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტის მხრიდან. აღნიშნულის თაობაზე ჩვენ მიერ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შემუშავებული პროექტი 2018 წლის ივნისში წარვუდგინეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიას. ვფიქრობთ, საკითხი დღითიდღე იძენს საზოგადოების მხრიდან აქტუალობას და იმსახურებს განხილვას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის მხარდაჭერით აკადემიის პერიოდულ გამოცემა „უწყება“-ში გამოიცემა საინფორმაციო მასალა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაზე.

ამრიგად, საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიისათვის პირველია და გვსურს მხარდაჭერისა და ორგანიზებისათვის მადლობა მოვახსენოთ კონფერენციის ყველა მონაწილეს, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებით ორგანიზატორებს: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და მის რექტორს, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს და მის დეკანს პროფესორ ირაკლი გაბისონიას, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და მის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელიძეს. ასევე, მხარდაჭერისათვის

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მის პრეზიდენტს, აკადემიკოსს გიორგი კვესიტაძეს. განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოებას, მის აღმასრულებელ დირექტორს, პროფესორ კრის ესკრიჯს, რომელიც საპატიო მიზეზებით ვერ ესწრება ჩვენს დღევანდელ კონფერენციას.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენი კონფერენციის მონაწილეებს, ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრებს: გაეროსა და ევროსაბჭოს ექსპერტს, რუსეთის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვიტალი კვაშის;

აშშ-ს ტეხასის უნივერსიტეტის ქ. სან-ანტონიოს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ევროპისა და კორეის კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრს, დოქტორს მიანჰუნ როს;

აშშ-ს ჩრდილო კენტუკის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის პროგრამის პროფესორს, კორეის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრს, დოქტორს ჯი-სან ლის;

აკადემია გეგმავს, რომ აღნიშნული საერთაშორისო კონფერენცია ჩაატაროს ყოველწლიურად როგორც ამ მიმართულებით საქმიანობის შემაჯამებელი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში კრიმინოლოგიის პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერები და პრაქტიკოსები.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ჯავახიშვილი ივ.,* „ქართული სამართლის ისტორია", I და II ტომი, თბ., 1927
2. „იურიდიული ტერმინოლოგია"თინათინ წერეთლის რედაქციით თბ.,1963
3. *ჭოლოშვილი რ.,* „კრიმინოლოგია", თბ., 1995.
4. *გოძიაშვილი ი.,* „კრიმინოლოგია", თბ., 1998.
5. *წულაია ზ.,* „კრიმინოლოგია", თბ., 2002.
6. „კრიმინოლოგია" გიორგი ღლონტის რედაქციით თბ., 2008.
7. *გახოკიძე კ., გაბუნია მ.,* "კრიმინოლოგია", თბ., 2012.
8. *ბაძაღუა მ.,* „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები" თბ., 2016
9. *შალიკაშვილი მ.,* „კრიმინოლოგია", თბ., 2017
10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ" 1984, 10 დეკემბერი;
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამართალდამცავ პირთა ქცევის წესების კოდექსი" 1979, 17 დეკემბერი;
12. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია „დეკლარაცია პოლიციის შესახებ" 1979, 8 მაისი;
13. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი", 2001, 17 სექტემბერი;
14. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ" 2013, 4 ოქტომბერი;
15. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N999 ბრძანება „საქართველოს პოლიციის ეთიკის" კოდექსი და "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციები" 2013, 31 დეკემბერი;
16. *ბაძაღუა მ.,* „პროფესიული ეთიკის საფუძვლები" თბ., 2018
17. *ღლონტი გ.,* „საერთაშორისო და შედარებითი კრიმინოლოგია", თავი მე-4 , „კრიმინოლოგია" თბ., 2008;
18. *თოდრია გ.,* „კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება", თავი 1, „კრიმინოლოგია" თბ., 2008;
19. Criminology Today (third edition), Frank Schmalleger, USA, Upper Saddle River, New Jersey 2002.
20. *T.R Yong,* Theory and method for Criminology In the 21st century – Archives of the Transforming Sociology Series of the Red Feather University for Advanced studies is sociology. 1988. N 126

21. *Edgardo Rotman,* "The Globalization of Criminal Violence", Cornell University "Journal of Law and Public Policy", Fall 2000, Volume 10, Number 1
22. *ბაძაღუა მ., ბაძაღუა მიხეილი,* „ტურიზმის უსაფრთხოების კრიმინოლოგიური ასპექტები", ჟურნალი „კრიმინოლოგი" 1(7–8), თბ., 2012–2013;
23. Schneidez. H.J. 1975. S. 11

## კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა – მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

**მალხაზ ბაძაღუა**
ნაშრომში განხილულია საქართველოში კრიმინოლოგიის ტერმინის შემოღებისა და გავრცელების ევოლუციის პროცესი. დასაბუთებულია კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. დახასიათებულია ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა მართლმსაჯულების, სამართალდამცავი, სპეციალური და სოციალური სამსახურების სისტემებში, ისტორიული გამოცდილებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მოცემულია რეკომენდაციები.

ნაშრომში ასევე განხილულია კრიმინოლოგიის ადგილი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. დახასიათებულია ამ მიმართულებით დადებითი გამოცდილება. დასაბუთებულია კრიმინოლოგიის ძირითად თეორიული საკითხებზე ერთიანი ხედვის, განათლების სისტემის ყველა დონეზე: საჯარო და უმაღლეს სკოლებში ვიქტიმოლოგიისა და კრიმინოლოგიის სწავლების, ასევე, კრიმინოლოგიაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნის აუცილებლობა.

მოცემულია ინფორმაცია საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაზე, მის მიზნებზე, ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე.

## State and public importance of criminology, and its place in the science system

**Malkhaz Badzaghua**
The current academic work presents how the term ~criminology" and its concept were introduced and developed in Georgia. The author offers the solid reasoning behind the state and public importance of criminology as well as he describes the current situation in the judicial, legislative, special, and social services, taking into consideration the historical experience and international standards.

The author also discusses the place of criminology in the educational and scientific systems, defining the positive experience. He proves the need of universal theoretical approach towards criminology on each level of education while teaching victimology in the public schools and criminology on the law faculties at the universities, and introducing new graduate and postgraduate programs in criminology.

The work includes information about the Georgian Academy of Criminology Sciences, its goals, visions, activities and future plans.

*

**Justice, and the Justice Network in the USA**

პროფესორი, დოქტორი **კრის ესკრიჯი** (აშშ), *ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტი*

Professor, Dr **Chris Eskridge** (USA), *CEO of the American Society of Criminology (ASC), University of Nebraska*

What is justice? Can we be truly just? What is the cost of justice? Do we want all members of society to come under the umbrella of justice?

These and similar questions have fascinated politicians, patriots, philosophers, and the general public for centuries. There is no universal definition of justice. It is an overarching concept that spans an infinite number of perspectives and views, each as valid as the other, even though they are often mutually exclusive and at times incompatible.

To dispense absolute justice requires the presence of four elements:

1. The absolute ability to identify law violators.
2. The absolute ability to apprehend law violators.
3. The absolute ability to punish law violators.
4. The absolute ability to identify the intent of the law violators.

While not a practical proposal, if adequate resources were devoted to law enforcement efforts, arguably all law violators could be identified and apprehended. If draconian prosecutorial methods were utilized, all law violators could then be legally processed and punished. But what is missing in this scenario is the accurate identification of intent. At present, we lack the absolute ability to identify intent. Thus, even with adequate resources, it is impossible to distribute absolute justice.

When societies attempt to administer justice, mistakes are inevitable. Types of mistakes include the following:

- The innocent are punished.
- The guilty escape punishment.
- The guilty are punished more severely than necessary.
- The guilty are punished less severely than necessary.

Socrates once noted that justice is in the interest of the stronger. If that is the case, then the poor would be more likely to be on the receiving end of the first and third mistakes listed above. Former U.S. Senator Philip Hart once noted that the justice system has two transmission belts, one for the rich and one for the poor, and the low-income transmission belt leads to prison in shorter order. The President's Crime Commission Report (1967) came to the same conclusion noting that „the offender at the end of the road in prison is likely to be a member of the lowest social and economic groups in the country." Donald Cressey (1974) made a similar observation with respect to racial disparity:

„Numerous studies have shown that African Americans are more likely to be arrested, indicted, convicted, and committed to an institution than are whites who commit the same offenses, and many other studies have shown that blacks have a poorer chance than whites to receive probation, a suspended sentence, parole, commutation of death sentence, or pardon." (Sutherland and Cressey, 1974: 133)

Justice should be the equitable access and applicability of rights, privileges, and opportunities, but in practice this is not always the case. That fact has caused a significant degree of contention in this country. Consequently, the enforcement of law and the administration of justice have become much more difficult tasks in the United States than they were some years ago.

Systems of justice, in whatever societies or environments they develop, serve as mechanisms to enforce behavior standards deemed necessary to protect individuals and the general well-being of the community. Justice systems tend to possess a two-fold role, namely, the prevention of certain activities and the apprehension of formal processing of individuals who have committed illegal acts. What distinguishes the justice system of one country from another is the form of the process and the extent of the protections offered in that process.

A consensus has yet to be reached in this country as to the scope of the personal protection to be offered. What types of protection, freedoms, and rights should be given to what groups of people and how extensive should they be? When does the exercise of these protections and freedoms begin to flaunt the law? When does governmental control becomes excessive intervention? How much liberty is to be afforded to members of society and how much order should the state seek to maintain? Politicians, patriots, and philosophers have all grappled with these concepts for centuries.

The Constitution of the United States, and more particularly the Bill of Rights, is a product of the collective reasoning of a group of individuals who debated these very issues more than 200 years ago. The document they produced extended personal liberties and restricted governmental intervention like no legal document ever had before. The Constitution grants American citizens certain rights and directs that these rights cannot be withdrawn without due process of law.

There have been, however, rather intense disagreements over the years as to the proper definition of due process of law. In general, some advocate the need to limit the scope of due process protections and to expand the power of the State. Others clamor for an expansion of due process rights and the need to place powerful restriction on the State's ability to interfere in citizens' lives. These two perspectives are known as the crime control model and due process model respectively (Packer, 1968).

**The Due Process Model**

Under the due process model, the primary concerns are the protection of individuals, individual freedom, and general maintenance of liberty. People are considered basically good. Individuals are presumed innocent until proven guilty. Concern is with rehabilitating and reintegrating offenders back into society, and more particularly in assisting law violators to make a deliberate conversion to a more responsible lifestyle. The government intervenes and actively encourages, aids, and assists. Social welfare programs, low interest inner-city business loans, massive aid to cities, racial preference programs, income redistribution policies, Project Head Start, Job Corps, and student loan programs would all indicate a due process philosophy.

Under the due process model, law enforcement officials conduct investigations according to strict guidelines. The courts take an active role in monitoring the operations of the police and the justice system in general. Every community has its own independent police department that brings a measure of local sensitivity and general humanitarian concern to law enforcement. The justice process is deliberate, formalized, thorough, and individualized. The due process model emphasizes treatment and not punishment of offenders. Treatment entails establishment of community-based alternatives to incarceration, such as pretrial release and pretrial diversion programs, neighborhood justice centers, probation, restitution, community service sentencing, parole, work release, half-way houses, and so on. Concern is with the normative, relative concept of fairness—doing the „right" thing. Police officers adopt a community-policing social service perspective, while probation and parole officers adhere to the advocacy model. Interest is in the development of long-term solutions at the cost of aggravating some nagging contingencies of the moment. There will be guilty persons who will escape punishment, and some guilty persons will be punished less severely than they should be. But on the other hand, there will be fewer innocent persons punished, and the number of guilty persons punished more severely than they deserve will also diminish.

**The Crime Control Model**

Under the crime control model, the primary concern is the immediate protection of society, in generally maintaining order. People are considered basically evil. Individuals are presumed guilty until proven innocent, and concern is with forcing conformity through an external deterrence system. Deterrence serves as the philosophic underpinnings of the entire model. The government rules through fear and intimidation, and the courts generally defer to the wishes of the law enforcement community. Law enforcement officials have large grants of discretionary powers and few if any restrictions placed upon their ability to collect evidence. They adhere to an aggressive, authoritarian enforcement philosophy. There are large numbers of law enforcement officers, and all law enforcement agencies are centrally organized as a national police force in a tight, closed bureaucratic structure. The justice process is quick

and generally informal.

Once guilt has been determined, punishment is meted out with swiftness, certainty, and severity. The crime control model promotes punishment, rather than treatment. There is frequent use of the death penalty, as well as frequent mandatory commitments of individuals to large, dehumanizing prisons, authorization of electronic surveillance, elimination of bail and adherence to a preventive detention perspective. There is no place under this model for diversion programs, rehabilitation programs, probation, or parole. Interest is in developing solutions to immediate problems. There will be some innocent persons punished, and some guilty persons will be punished more severely than they should be. But on the other hand, fewer guilty persons will escape punishment, and the number of guilty persons punished less severely than they deserve will diminish.

**The Justice Network**

Regardless of which model is chosen, the administration of social justice involves a definite cost. America has tended to lean towards the due process model and has long prided itself in offering a substantial measure of legal protection to the accused. At the philosophic core of the American system is the concept that individuals may be punished by the state only if an impartial and deliberate process proves they have violated a law. To facilitate that process, and in an attempt to yield some sense of equity in our society, a network of institutions and procedures has evolved in America. Some aspects of it were inherited and adapted from the British, while others have been uniquely American developments.

In general terms, the justice system consists of four components: the legislature, the police, the courts, and corrections. While each has distinct tasks, these four divisions are by no means independent of each other. The legislature creates the laws that the police enforce. The courts deal with individuals whom the police arrest. The correctional system handles those sentenced by the courts. Success in reforming convicts can be determined to some degree by whether or not the „ex-con" returns to the system as an offender. Correctional and police practices are subject to court scrutiny, as are the laws enacted by the legislative bodies, which hold the purse strings for the entire system.

It has been argued by some that well-meaning reformers frequently fail to grasp the interconnected nature of these four divisions and consequently fail to understand the impact their recommendations will have upon the system as a whole. Proposals for reform also frequently face serious challenges from within and outside of the system who have a vested interest in maintaining the status quo. As a result, it has been noted that while the justice system is often publicly reviled and attacked, ultimately it is left fundamentally unchanged (Neely, 1982:28).

Today, the police, the courts, and the correctional components are all being inundated by an unprecedented number of cases. The justice system is being overtaxed as it tries to respond to problems of a nature and magnitude that are beyond its collective capabilities. Just how much more it can handle has become one of the greatest concerns of our times.

---

**Drawn from Chris Eskridge, „Justice, and the American Justice Network," Criminal Justice: Concepts and Issues, Roxbury Press, Los Angeles, CA: 1999, pp. 8 – 14.*

References

Richard Neely (1982) „Why Governments' Don't Do What they could to Reduce Violent Crime: The Politics of Crime," The Atlantic Monthly, August, pp. 27-31.

Herbert Packer (1968) The Limits of Criminal Sanction, Stanford, CA: Stanford University Press.

President's Commission on Law Enforcement and Administration of Justice (1967) The Challenge of Crime in a Free Society, Washington, D.C.: U.S. Government Printing Office.

Edwin Sutherland and Donald Cressey (1974) Criminology, New York, NY:

## მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემა აშშ-ში

**კრის ესკრიჯი**

ნაშრომში განხილულია, ზოგადად, მართლმსაჯულება და მისი აღსრულების ოთხი კომპონენტი:

- სამართალდამრღვევთა იდენტიფიცირების აბსოლუტური შესაძლებლობა;
- სამართალდარმღვევთა დაკავების აბსოლუტური შესაძლებლობა;
- სამართალდამრღვევთა დასჯის აბსოლუტური შესაძლებლობა;
- სამართალდამრღვევთა განზრახვის იდენტიფიცირების აბსოლუტური შესაძლებლობა.

ასევე მოცემულია მართლმსაჯულების აღსრულების შესაძლო შეცდომათა სახეობები:

- უდანაშაულონი ისჯებიან;
- დამნაშავეები გაურბიან სასჯელს;
- დამნაშავეები ისჯებიან საჭიროზე მეტი სიმკაცრით;
- დამნაშავეები ისჯებიან საჭიროზე ნაკლები სიმკაცრით.

აშშ-ის მაგალითზე დახასიათებულია სრულყოფილი მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მექანიზმები, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისა და დანაშაულის კონტროლის მოდელი, ასევე მართლმსაჯულების ქსელი – საკანონმდებლო, საპოლიციო, სასამართლო და გამოსასწორებელი კომპონენტები.

## Justice, and the justice network in the USA

**Chris Eskridge**

The author describes the justice in general, and its four elements, which are required to dispense absolute justice:

- The absolute ability to identify law violators
- The absolute ability to apprehend law violators
- The absolute ability to punish law violators
- The absolute ability to identify the intent of the law violators

The work also presents the types of common mistakes that may occur while societies attempt to administer justice:

- The innocent are punished;
- The guilty escape punishment;
- The guilty are punished more severely than necessary;
- The guilty are punished less severely than necessary.

The systems of American justice are described as mechanisms to enforce behavior standards deemed necessary to protect individuals and the general well-being of the community. The author gives a detailed account of the Due Process Model, and the Crime Control Model as well as four components of the justice system: the legislature, the police, the courts, and corrections.

*

## Criminology: its significance and place in the system of sciences

პროფესორი, დოქტორი **ვიტალი კვაშისი** (რუსეთი), *რფ შსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება*

Professor, Dr **Vitaly Kvashis** (Russia), *Chief Research fellow at the All-Russian Scientific Research Institute of the Ministry of Internal Affairs of the Russian Federation, American Society of Criminology (ASC)*

First of all, I would like to express my sincere grateful for your kind an invitation to take part in that Conference, for your very kind care and make my humble presentation to the Constellation of Georgian science, to famous and future stars of Georgian criminological Firmament.

For me, Tbilisi has always been and hopefully will remain an international city. For my generation , the sad Irony of Fate is that today we have to communicate in English. By itself, this fact is not a trouble, because English is becoming Esperanto today. At the same time, I was slightly surprised by the process of americanization is proceeding such a fast pace in the unique in its beauty and unique culture of Georgia, culture of Shota Rustaveli and Nicolo Pirosmani. And, I am not sure that Georgia gains much more from this than it loses. Perhaps, because I don't really value American culture, which historically has been a Melting Pot , a blend of very different national cultures. Perhaps, because unfortunately we are moving away from each other and I consider it a sad fact for myself, for Russia, and, possibly, for Georgia, too. (It's reminded me the very old joke about the difference between the terms of the „Trouble" and „Catastrophe").

The centuries-old history of our two peoples and their culture, as well as the history of the development of legal science, are so closely intertwined. Among my teachers and friends were prominent representatives of Georgian legal thought, the Georgian school of law. I am proud that I had the good fortune to know and listen to Tsinatin Vasilyevna Tsereteli and Vladimir Georgievich Makashvili, learn from their unique scientific works, be friends with their famous students, with Mindia and Nibliya Ugrehelidze, communicate with Anzor Gabiani and other Georgian scientists. In this sense, "my sorrow is bright."

Maybe, I'm wrong. Time will tell, will see. In any case, I wish you and your wonderful country prosperity and every success!

And now, in accordance with the Conference Program, I must say in general terms on the position of Criminology in the World and in modern Russia.

Criminology as a science that studies crime as a socio-legal phenomenon, as w is the most important source for the formation of the socio-legal policy of the state, for development of legislation and Law Enforcement practice.

Today, the main problem is the absence of demand for Criminology in modern Russia. That largely determines a significant reduction in the quality of criminological researches and legislation acts. Meanwhile, in the 1970-1990s, Criminology was distinguished by a high level of the methodological foundations it had created, a clear definition of the subject and boundaries of this science, as well as the development of a conceptual apparatus that is widely used today by world Criminology. It was a time when the government was interested in real information about the state in society, including the criminal situation in the country. On this basis the practice of criminological expertise of legislative acts, decision-making in the field of criminal policy and their implementation in Law Enforcement practice existed.

Nowadays, there is no need to talk about the demand for Criminology by the power of Russia. Criminological information is replaced by the results of sociological polls that are ugly from the point of view of methods, which, as a rule, are carried out by order and at the expense of the authorities. From here and the results of polls arranging the power; hence the manipulation of public opinion, ignoring and distorting the actual situation in the society, including in the criminal sphere; hence the numerous defects in administrative and criminal legislation, the growth of corruption, and as a result, the growth of aggression accumulated in the society and manifestations of violence.

As an independent science, Criminology occupies a central place in the system of legal knowledge; it is closely connected not only with all legal sciences, but also with many other human and natural sci-

ences that study the patterns of social development and the nature of human behavior.

Today, world Criminology is as Americanized as possible and objectively American-centric. Most criminologists in the West and in Russia consider this science as the Sociology of Crime; therefore, it is not lawyers who study it in the USA and England, but sociologists. The recognition of Criminology as a Sociology of Crime does not at all exclude the need for an interdisciplinary approach to the study of criminological problems. On the contrary, such an approach today is dominant.

Another point of view is that Criminology is a legal science. This, in my opinion, conservative position is still widespread in the Russian literature. In most Law Schools in Russia, Criminology is „assigned" to the department of Criminal Law, and as an independent scientific discipline there is only in the magistracy of several universities. In Eastern Europe and in many Asian countries, for example, in China and Japan, it is also studied in Law Schools.

The third position is based on the fact that Criminology is primarily a study of human behavior. This means that it must be studied by biologists, psychologists and psychiatrists; such approach is widespread in the U.S.A. and in Russia.

And finally, there is a fourth approach, which I have already partially mentioned; its essence is that Criminology is an interdisciplinary science, a system of heterogeneous knowledge and methods of interdisciplinary research.

Probably, each of these approaches has its own „pluses" and „minuses", which does not at all exclude their validity. The problem is to update them at a specific time to solve specific research questions.

The importance of criminological science is constantly increasing. This is due to a number of objective reasons, among which the main one is the growing criminalization of public relations and the processes occurring in the development of society. The „criminal matrix" formed in the country is expanding and makes itself felt in almost all spheres of our life. Everyday life clearly shows that market relations uncontrolled by the State are inevitably criminalized. Another actual phenomenon is aggravation of interethnic contradictions. The conflicts of cultures that arise on this basis reflect the underlying processes of criminalization of economic and political relations. The criminalization of the entire structure of social relations inevitably leads to stagnation in the economy, to the degradation of culture, education and science, the growth of the absurdity of everything that happens. Criminology is designed to develop a strategy of fight Crime, identify deficiencies and ways to improve legislation and Law Enforcement practice .

The most important factor in the development of modern society has become an unprecedented technological breakthrough. The country has entered a new technological era. The new conditions of digital reality are connected with the rapid growth of information flows, the intensive development and the ever wider introduction of digital technologies in various spheres of public life. The transition to the digital world and the availability of new technologies open up broad prospects for society. At the same time, diversified risks and threats are growing enormously. Criminology in these conditions is becoming one of the important tools for their analysis, forecasting and warning. The task of Criminology is the creation of effective means to counter destructive forces, the formation of new approaches to national security. In the context of the new digital reality, Criminology is designed to reflect on the prospects for the upcoming reformation of social relations and the formation of a new worldview, to create methodological bases for answering complex challenges . Hence the growing need for objectivity and reliability of scientific knowledge, without which the filling of criminological information with intellectual content is impossible .

The practical and scientific importance of Criminology involves the formation of skills and techniques of analysis, knowledge of the methodology and modern research methods. How well do those who conduct criminological research cope with these tasks? Before answering this question, it is necessary to make a few comments related to the state of modern Russian Criminology.

I have already said that the boundaries of Criminology, Criminal law and criminal policy are artificial, because there can be no „Chinese wall" between them; together they form a single science with a common goal _ the counteraction and prevention of crime. However, with the closest connection of these sciences, it is the criminological ideas that should serve as the generator of political decisions. The fact that everything often happens „with exactly the opposite" or, as M. Ye. Saltykov-Shchedrin would

say, „in reverse order of mind" (when novels in the Criminal Code ignore criminological expertise or contradict the criminological picture), the thesis about the priority of criminological ideas does not refute.

We live in a world where nothing is perfect. To say that we live in a world disfigured by legal nihilism is to confine ourselves to „a common place" and camouflage the real fcultural and criminological situation. The culture is not said here by chance, because when the cultural layer in society is weakened, then a „criminal matrix" is formed and the processes of degeneration begin.

Criminological reality should form the boundaries of criminal and punishable behavior and understanding of their essence. But we have this reality and the Criminal law exists autonomously; these are two different planets, increasingly moving away from each other, each of which lives its own life and rotates in its own orbit. Our legal regime is constantly in a state of turbulence, by virtue of which the space of common sense is reduced, and the irrational often crowds out the rational. Hence, the repressive vector, which is associated with legislative innovations of recent years. Wonderful writer V. Voinovich divides these novels into „simply meaningless, senselessly harmful, meaningfully harmful and idiotic". It is also part of our landscape.

The autonomous existence of legislation and criminological reality is closely related to the autonomous development of Criminal law and Criminology; This has been said for a long time, but this process, unfortunately, is becoming more and more intensive. Among criminologists, the separation from the foundations of Criminal law is increasingly noticeable, they do not keep up with the „improvement" of criminal legislation with the help of a „mad printer" and do not see prospects for the implementation of growing criminological material. And among the specialists of Criminal law there is a noticeable disregard for Criminology, unjustified snobbery, unreasonable claims to leadership, isolation of the search for criminal law solutions from criminological ideas and accumulated invoice. It would seem, that the need for integration is obvious, but scientists are increasingly scattering through their „apartments". This situation develops the fluxes of specialization, it points to the dangers of isolated enclaves of knowledge, leads to the stagnation of science, to scholasticism in Criminal law and to the drift of Criminology to sociology, psychology, comparativism or publicism .

The danger of the degradation of both sciences is also indicated by the increasingly noticeable desire for disintegration within each of them. It seems to me that in Criminal law there is a widening of the dividing line between specialists in the Common and Special Part, especially since the gap between interconnections and mutual dependence of the norms of both parts of Criminal Law is more and more noticeable. As for Criminology, here the gap between its methodological foundations and the applied part is even deeper, it becomes more noticeable and goes much faster.

In recent decades, Criminology has increasingly developed in the paradigm of studying crime of specific subsystems, highlighting its individual segments and forming on this basis a growing number of „private" criminological theories artificially separated from the foundations of this science (family criminology, mass communications criminology, political criminology, criminology in sports, medicine and other "criminology"). It seems to me that the endless division of Criminology into parts where there are no clear boundaries of the subject is not quite the right way. But even if it turns out that I am wrong, all the more cooperation and integration of scientific knowledge will be necessary. It is extremely important that the development of such a specialization is based on the uniform methodological foundations of criminological science.

Several years ago, in a sketch devoted to G. A. Avanesov, I wrote that Criminology was „dragged apart," and the fundamental problems cementing this science are much less in the spotlight. This also applies to different lighting. Of the methodological problems in various textbooks. On the one hand, this may be good, but, on the other hand, the learning process still implies a single concept, unity of methodological foundations and solutions (for example, about the subject of Criminology), including the unity of the conceptual apparatus of Criminology .

All this is important also because in recent years such megastars of the scientific firmament, like B. V. Volzhenkin, A. E. Zhalinsky, V. N. Kudryavtsev, N. F. Kuznetsova, left the stage. They were the drivers of innovations in science, its intellectual donors; gone constellation of people incredibly bright and talented, whose scientific works was business cards of time. Nowadays, the ranks of such profes-

sionals have greatly thinned out; universals, perfectly possessing both Criminal law, and Criminology, remained less, than fingers on a hand. Among the actively working criminologists, two groups can be distinguished: in the first, their average age is above 80 years (I call them „Dyno squad"), in the second _ closer to 70 years. Those who came to replace them are few, while those who can replenish this series are not visible on the horizon. Time changes a lot, it replaces individuals who are able to go against the trend, it encapsulates a new environment, where other talents are manifested _ abilities to manipulate and produce scientific counterfeit.

Returning to the question of the quality of criminological research, I note that the transformations and mutations in the quality of many studies are in line with changes in society; they correspond to a general trend towards dilettantism and a reduction in the level of any, including scientific, products. This negative trend is caused by many reasons lying in a different plane; between them are different in intensity and complex in nature of the relationship. Without pretending to the system, we indicate only some of these reasons..

Despite the challenges of the time, most criminological research is still carried out in the traditional paradigm of Criminology of the 1980s, the methodology and methods of which was built in statics, without taking into account the ongoing and upcoming social changes associated with technological transformations. Increasing penetration of the Internet facilitated access to information, but at the same time radically changed the interests and psychology of young people, discouraged the desire for independent comprehension of knowledge and creativity, which sharply reduced the level of intelligence and general culture. Against this background, a new environment has emerged, which does not accept talented people, where it is impossible to deviate from the mainstream; it is distinguished by its massiveness, rapid expansion and facelessness.

This trend is largely due to the exorbitant bureaucratization of education and science management, absurd and destructive attitudes on the quantitative growth of publications, on the registration of formal indicators, which gave rise to the pursuit of the number of publications and citation indices, eliminating the already extinct desire for creativity. The bureaucratization of science has brought many painful problems that have led to a sharp decline in the level of scientific and educational work; its created the groundwork for quasi-science, when dilettantes and imitators, not knowing the basics of the subject, not knowing the methodology and methods of research, came to the fore. Others write so much that there is no time to think, there is no „stop" button to think. Therefore, in the works on Criminology accumulated so much „noise" and „spam" .

The market quickly reacted to the bureaucratization of science: there appeared a mass of journals with a dubious reputation, but registered in different classification lists; they induced a surge in the activity of dilettantes and manipulators. Some "scientists" citation indexes go off-scale, others erect monuments for themselves, replicating their work with an indecent amount of self references, etc. It does not matter whether they praise you or criticize, it is important that your citation index grows. It does not matter that the majority of such „scientists" to science are unknown, that their works have no scientific value; it is important that they are leaders in all bureaucratic indicators. For science, they both were, and will remain stillborn, and the dead, as known, do not have shame.

A classic right: „There is movement, there is no progress!". Among the shortcomings of this „movement", in addition to the above, are more noticeable surface analysis and incompetence, incorrect use of basic concepts of science, lack of understanding of complex relationships between phenomena, the formulation of banal, illiterate conclusions and recommendations discrediting Criminology as a science . All this is imitation of science. What has been said about the level of publications also applies to the quality of candidate and doctoral theses . In addition, here the total plagiarism has become the norm today. Criminological literature is now highly infected. However, as one optimist noted, it is never so bad that it does not get worse. Therefore, the task of scientists is to resist the profanation of science and stop the flow of counterfeit products.

Among the many reasons for the current situation, it is necessary to include in the orbit of criminological research a growing number of people unprepared, which is directly related to the costs of legal education (lack of understanding of the importance and objective relevance of Criminology, too pragmatic, utilitarian attitude of students and university administrators), lack of personnel policy , with

a dismissive attitude to Criminology by the authorities. As a result, all this leads to a decrease in the quality and validity of many legislative decisions, to their endless adjustments and changes. About 500 law acts are passed in the country annually; with all the growing needs of legal regulation, such a rule-making race undermines the foundations of Law and Jurisprudence.

Since the late 1990s, the development of Criminology in Russia has almost stopped. Moreover, in the early 2000s it came to the point that Criminology as an academic discipline was excluded from the curricula for students. It took 10 years to rehabilitate this discipline, but for several generations of law students, time and knowledge were lost. Without knowledge of the basics of Criminology, they went to practice, and some still manage to participate in criminological research and even lead them. We are daily reaping and will continue to reap the benefits of this stupidity in Law Enforcement practice and in enacted law acts.

The sources of the absurdity of the situation lie in the fact that the value of humanitarian knowledge has been supplanted to the periphery of public demand. The country has not yet experienced legal insanity. A paradoxical fact: when the demand for lawyers falls in the country, a legal education is implemented in the country. The network of law schools was constantly expanding _ law schools were created in construction, medical, pedagogical and other universities. The institutes transformed into academies, academies into universities, and universities quickly grew together with a network of branches. Today, in addition to „civil" law schools, a growing army of lawyers is being graduated from educational institutions of all Law Enforcement agencies. As a result, there were several different legal communities preparing for one training program of Law Enforcement officers with different levels of education. Despite the formal unity of the programs, the teaching of the main disciplines in these universities prevails over the basic scientific disciplines. Therefore, all of them, although they are considered lawyers, but their knowledge of basic sciences is mostly superficial; due to different basic education, they usually speak on different languages.

Another series of problems gave rise to the transition of law schools to the European education system. Since in law offices and services their graduates are bachelor with a shortened education, to put it mildly, they are not in demand, it has become necessary to deploy a magistracy network, and here their problems of organization and quality of education. In addition, the system of „second education" works, where a law education is obtained for three years. As a result, the state of education and training of lawyers, and hence the state of legal thought is very alarming and threatens to be a catastrophe.

Awareness of the need for change and „renewal of Criminology" is proceeding extremely slowly, but it seems, that it is already hanging in the air, and judging by the appearance of several new studies, this awareness will spread. This gives hope that our criminological thought will once „recover" and Criminology will again become a science, a claimed life. True, they say, hope in Russia dies first. Will see.

## კრიმინოლოგია: მისი მნიშვნელობა და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

**ვიტალი კვაშისი**

ნაშრომში აღნიშნულია, რომ კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას, ასევე, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ მიზეზებსა და პირობებს, წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს) უმნიშვნელოვანეს წყაროს და სახელმძღვანელო მითითებებს სახელმწიფოს სოციალურ-სამართლებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის. მათ შორის, მისი სისხლის სამართლის პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევისათვის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობისა და სამართალდამცავი პრაქტიკის განვითარებისთვის. (ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეს არის სახელმწიფოს თვალები და ყურები სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრასა და კორექტირებისათვის). პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოში (ხელისუფლებაში) ამ მეცნიერების საჭიროების ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, კრიმინოლოგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს იურიდიული მეცნიერების სისტემაში; იგი მჭიდროდაა დაკავშირებული და „ურთიერთქმედე-

ბაშია“ არა მხოლოდ იურიდიული მეცნიერების ყველა დარგთან, არამედ ბევრ სხვა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთანაც, რომლებიც შეისწავლიან საზოგადოების განვითარების კანონზომიერებასა და ადამიანის ქცევის ბუნებას.

დღეს მსოფლიო კრიმინოლოგია ძირითადად ამერიკულ-ცენტრისტულია (რაც იმას ნიშავს, რომ ეს მეცნიერება დანაშაულის სოციოლოგიად ითვლება). ამ ფაქტის აღიარება არ გამორიცხავს კრიმინოლოგიური პრობლემების ინტერდისციპლინური მიდგომით შესწავლის საჭიროებას.

## Criminology: its significance and place in the system of sciences

**Vitaly Y. Kvashis**

In the presentation it is noted that criminology, as a science that studies crime as a socio-legal phenomenon as well as the causes and conditions conducive to the commission of crimes, is (should be) the most important source and guideline for the formation of social and legal policy of the state, including the choice of strategy and tactics of its criminal policy, for the development of national and international legislation and law enforcement practice. (Figuratively speaking, these are the eyes and ears of the state in the matter of defining and correcting criminal policy). The problem is a different level of demand for this science by the state (power) in different countries.

As an independent science, criminology occupies a central place in the system of legal knowledge; it is closely connected and „interacts" not only with all branches of legal science, but also with many other human and natural sciences that study the patterns of social development and the nature of human behavior.

Today, global criminology is basically American-centric (considering this science as the sociology of crime). The recognition of this fact does not exclude the need for an interdisciplinary approach to the study of criminological problems.

*

## A model for change to evidence-based practice in criminology and criminal justice

ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი **მიანჰუნ რო** (აშშ), *ტეხასის სოფლის მეურნეობისა და მექანიკის უნივერსიტეტი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება*; ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი **ჯი-სან ლი** (აშშ), *ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება*

Assistant-Professor, Dr **Myunghoon Roh** (USA), *Texas A&M University, American Society of Criminology (ASC)*; Assistant-Professor, Dr **Jae-Seung Lee** (USA), *Northern Kentucky University, American Society of Criminology (ASC)*

The criminal activities released by mass media have increased the importance of public safety and the stability of communities we reside. Accordingly, researchers in the field of criminology and criminal justice have been investigating and publishing the research papers on why an individual commit crime, how to catch them, how to store them, and how to change them in order not to commit the crime again. However, the practitioners in the criminal justice systems, including, corrections, policing, sentencing, probation, and juvenile justice, when they conduct their normal duty, they usually, are heavily relying on their experience in the field and their subjective evaluation rather than the scientific findings from empirical studies. Due to miscommunication between researchers and practitioners, inconsistent research findings depending on research subjects, and experimentation without randomized controlled trials, for better decision making the practitioners in the criminal justice systems had to rely on their experiences and subjective evaluation rather than a scientific background or statistical results.

We can expect the better impact of policies, programs, and practices in the criminal justice systems through well designed and implemented research. However, there is a large gap between research and public policy and practice and it persists (Cherney, 2009). According to Johnson and other authors, the gap between research and practice is particularly significant in the field of criminal justice (2018). Due to the long-standing debate between rehabilitation versus retribution in the criminal justice system, we have had a negative impact on both the development of research as well as the implementation of that research into practice (Cullen, 2013; Johnson et al., 2018). It is a relatively current discussion that scientific knowledge from empirical research should provide concrete guidance to practitioners (Johnson et al., 2018). For instance, what policy and practices are the most effective to reduce recidivism, and which programs are the most effective in providing the appropriate rehabilitation service for inmates who have a mental illness (Frost & Clear, 2012).

The term evidence-based practices (EBPs) was used initially in relation to medicine but has since been adopted by many fields including education, child welfare, mental health, and criminal justice. Because of the importance of the evidence-based practices in recent years, many related studies have been conducted in the field of criminology and criminal justice, including the evidence-based policing, evidence-based juvenile justice, evidence-based correction, evidence-based courts, evidence-based sentencing, and evidence-based probation. Also, academic associations and institutions, including the American Society of Evidence-Based Policing, George Mason University, Florida State University, University of California, Irvine, and Vanderbilt University, emphasizes the importance of the evidence-based practice to develop strategies for reducing crime and disorder. By bridging the gap between research and policy, universities mentioned above aim to identify strategies to improve the use of research evidence in policy development and decision-making in the criminal justice system.

However, there is no unified and integrated model for implementing the evidence-based practice in the criminal justice system of the United States. It needs to educate the concept and characteristics of the evidence-based practice and how it can be applied in the criminal justice system for practitioners. So the current paper introduces the overview of the evidence-based practice, how it currently applies in the criminal justice system, challenges for implementing it, and the integrated model for implementing the evidence-based practice in a criminal justice system. Also, by increasing the importance of the evidence-based practice for the current practitioners in the field, we aimed for applying the integrated model in a criminal justice system. This review paper might be utilized for practical practice guidelines later for

practitioners in the criminal justice system.

**Overview of the Evidence-based practice**

Despite the several types of definitions, the definition of the evidence-based practices defined by Sackett, Straus, Richardson, Rosenberg, and Haynes (2000) is accepted as the most general and popular definition as „the integration of best research evidence with clinical expertise and patient values" (p.1). In addition, based on the U.S. Department of Justice, evidence-based practice is „the objective, balanced, and responsible use of current research and the best available data to guide policy and practice decisions, such that outcomes for consumers are improved" (2009). Originally, the evidence-based practice is the series of process for applying knowledge into practice in the field of medicine, based on findings from systematic and scientific research methods. Overall, we can understand the evidence-based practice is the way to improve the results for policy and practice based on best research evidence by considering client's values or preferences as well as practitioner's clinical expertise (Sackett et al., 2000).

The execution process of the evidence-based practice has been discussed by Cook et al (1992), and it has been revised by others. Hickson and others (2013) suggested the five steps conduct the evidence-based practice; 1) defining a clinical question, 2) searching for evidence to address the question, 3) evaluating the available evidence, 4) relating the evidence to the client, and 5) evaluating the outcomes of the evidence-based practice process.

The first step to conduct the evidence-based practice is to define and make a clinical question, which helps to understand the client's issues and problems (Hickson et al., 2013). The questions should be made as concrete as possible in order for the practitioners to find the best answers about the topic for evaluation. The best answers mean the findings considered all related conditions objectively and scientifically rather than listening to only a limited number of experts on that field. Thus, the questions for evidence-based practice contained population or problem, intervention or index test, comparison, comparator or control, and outcome (Hickson et al., 2013). The system of these questions called PICO (population/problem, intervention/index test, comparison/comparator/control, outcome), which is the most important and challenging process. Without the researchable and answerable questions, the best evidence cannot be found.

The second step to conduct the evidence-based practice is to decide what kind of database should be utilized in order to find the best answers about the clinical question, after the keywords and range for literature review. Due to the development of an electronic database in recent years, it is relatively easy to find the current research findings. However, it is challenging sometimes because of its variety of different searching engine. The United States National Library of Medicine suggested the „COSI model" (COre search, Standard search, and Ideal search) that is for the effective and systematic search for literature (Bidwell & Jensen, 2003). The „COre search" is the search that should be done for the fast decision-making and the best findings, including PubMed, EMBASE, and Cochrane Library. The „Standard search" is the search for getting additional information, including reference and citation from the literature found in the COre search. And the „Ideal search" is for internet website, newspaper context, and image.

The third step to conduct the evidence-based practice is to decide the justification and value of research, after determining whether the evidence from searches is appropriate for clients. It has to be evaluated whether the research findings achieved validity and reliability. The fourth step to conduct the evidence-based practice is to decide whether the evaluated evidence can be applied to the client. Finally, the fifth step to conduct the evidence-based practice is to evaluate the results produced from each step from the first to the fourth. However, if the result does not reach the satisfactory level, the solution should be applied by revising certain item on each step.

**Evidence-based practices in the criminal justice system**

The evidence-based practices in the criminal justice system are mainly focusing on reducing the risk factor of offenders, which may, in turn, reduces their another offense (National Institute of Corrections, 2017). Then the public safety will be guaranteed. In the field of criminal justice systems, the evidence-based practices have been implemented and evaluated in the substance abuse and mental health series agency, probation, jails, prisons, pretrial service agency, sentencing and corrections, juvenile justice systems, and community supervision so far.

For example, the evidence-based practice in addiction has been used in the substance abuse and mental health services agency in the United States (Vetter, 2008). The importance of the evidence-based practice in addiction has been emphasized by the Director of the National Institute on Drug Abuse (an agency of the National Institute of Health), Dr. Nora Volkow. Particularly, the medical interventions including methadone treatment, psychosocial interventions, and counseling are utilized currently. For example, the jail mental health service program in the Pierce County Sheriff Office of the Washington State was established in 1991. This program was recognized as a model program for mental health service program by Washington State University, because case management services, assertive community treatment, medication management and access, and psychiatric rehabilitation decreased jail bed usage and lower medication costs (Vetter, 2008).

In addition, the evidence-based practices in the pretrial field have been applied. For example, in 1995 the Commonwealth of Virginia passed the Comprehensive Community Corrections Act and the Pretrial Service Act (Green, Smith, & Bryant, 2008). Then 37 local Community Corrections programs and 30 Pretrial Service agencies were established. Probation and pretrial practitioners in this area were committed to implementing supervision strategies in order to reduce the number of unsuccessful terminations (Green, Smith, & Bryant, 2008). Between 2004 and 2007 in the State of Virginia, the number of pretrial placements on secure bond for misdemeanor charges has increased from 23.9% to 34.8%. And pretrial placement for felony charges has increased from 36.2% to 49.9%. In addition, in order to determine whether probation officer's smaller number of caseloads improve probation outcomes, Jalbert and colleagues (2011) purposefully selected three probation agencies in Oklahoma City, Polk Country, Iowa, and four judicial districts in Colorado. They found that reducing probation officer's caseloads can reduce the level of recidivism when the selected probation agencies apply the evidence-based practices.

To test the effectiveness of sentencing and corrections policies, the evidence-based practices were used in reducing offender recidivism almost in 20 years (Warren, 2007). In June 1989, in Miami created the first drug treatment court in the United States (Schwartz & Schwartz, 1998). The Miami drug court implemented a court-supervised treatment program that provided offenders with intensive judicial supervision and monitoring (Warren, 2007). After this program implementation, more than 600 drug courts operated across the United States including community courts, domestic violence courts, and mental health courts (Warren, 2007). In 2007 data, over 1,600 drug courts are serving more than 70,000 clients every day (Warren, 2007). Based on all reviews of the research, drug courts reduced offender recidivism and resulted in significant costs savings (Cissner & Remple, 2005; Marlowe, DeMatteo, & Festinger, 2003). However, implementing the evidence-based practices in the criminal justice systems of the United States has to deal with some challenges, for instance, staff resistance, organizational structures that conflicted with operationalizing the evidence-based practices, and the lack of resources (Ganju, 2003).

**Challenges of implementing EBP in the criminal justice system**

The link between scientific evidence and decision making in policy and practice seems clear in the field of medicine because it is the original field for implementing the evidence-based practice. However, there are many challenges to implement the evidence-based practices in the criminal justice system, including staff resistance, organizational structures that conflicted with operationalizing the evidence-based practices, and the lack of resources (Ganju, 2003). First, challenges may arise when there is a conflict between the practitioner's individual perceptions and their sense of changing practices. Under these situations, they often resist change (Lin, 2000). This resistance of practitioners often started from difficulty by reconciling previous organizational goal with the new one (Lin, 2000). In addition, their lack of access to research, poor understanding of the research process, and insufficient knowledge for critical analysis of research to change the practice can be the examples.

Relatedly, practitioners in the criminal justice system are working under the organizational structures that conflicted with operationalizing the evidence-based practices, including small agency size, large caseloads, and less professional supports (Murphy & McDonald, 2004). Size of the agency is an important factor for the success of evidence-based practices. The larger agencies the more resources and greater flexibility to re-arrange those resources. Finally, practitioners in the criminal justice system normally experience the lack of resources, including sustainable funding, qualified workers, training

opportunities, service locations, transportation and other community resources (Bonham et al., 2014; Lewis, Scott, & Calfee, 2013). Implementation of the evidence-based practice in any agency in the criminal justice systems needs an intense investment in training and other resources. Practitioners in criminal justice systems must be adequately trained to learn the general evidence-based philosophy and practices. But this kind of training is by nature expensive (Generali, Foss-Kelly, & McNamara, 2011).

**Suggestions for a new model for change in the criminal justice systems**

We introduce an integrated model for system reform, facilitated by the National Institute of Correction (NIC), Community Corrections Division under the Crime and Justice Institute (CJI) in 2002. To develop a model for implementing the evidence-based practices in criminal justice systems, this integrated model focuses equally on the three different components, including the evidence-based practices, organization development, and collaboration to achieve successful and lasting change (Joplin, Bogue, Campbell, Carey, Cawson, Faust, Florio, Wasson, & Woodward, 2004). The first element is the evidence-based practice that provides a scientific basis for developing more effective services. The second one is the organizational development to successfully implement and maintain systemic change. This element includes rethinking their missions and values, gaining more knowledge and skills, adjusting their infrastructure to support the new practice, and transforming the organizational culture (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). The third element is the collaboration among the complex web of public safety agencies, service providers, and other stakeholders in order to enhance internal and external change processes and to support successful implementation (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010).

The integrated model for the evidence-based practice has eight principles for effective offender interventions. Based on the findings from previous studies, the organization and agencies that initiated and maintained offender interventions and supervision practices applied these principles have been achieved the greatest recidivism reductions (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). Based on the model suggested by NIC and CJI, the framework of principles is listed as follows; 1) assess actuarial risk/needs, 2) enhance intrinsic motivation, 3) target interventions, 4) skill train with directed practice, 5) increase positive reinforcement, 6) engage ongoing support in natural communities, 7) measure relevant processes/practices, and 8) provide measurement feedback (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010).

Assessing actuarial risk and needs is to develop and maintain a complete system of ongoing offender risk screening and needs assessments. For the best implementation of practice in the criminal justice systems, element measures of offender risk and need at the individual and aggregate levels are essential (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). Then the practitioners in the criminal justice systems should relate to offenders interpersonally in order to enhance the intrinsic motivation of offenders. Interpersonal interactions between offenders and those with probation officers, treatment providers, and institution staff may strongly influence the motivation to change of offenders (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). In terms of target interventions, the practitioners should consider the risk principle, criminogenic need principle, responsivity principle, dosage, and treatment principle. They should prioritize for offenders who are at higher risk to re-offend and understand the offender's variety of different needs, which will be linked to criminal behavior. Also, they should consider the offender's individual characteristics to match them to services. After providing appropriate doses of services, pro-social structure, and supervision, then treatment should be applied to targeted offenders (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010).

Then the well-trained staff about antisocial thinking, social learning, and appropriate communication techniques should deliver cognitive-behavioral strategies. These treatment methods are practiced or role-played by staff in order to result in pro-social attitudes and behaviors (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). In addition, when the offender learns new skills and behavioral changes, the practitioners should increase positive reinforcement. The positive reinforcement can be useful for the process of behavioral change. The criminal justice systems then consider how to realign and make the offenders engage in pro-social activities in their communities, including religious activities, programs, and restorative justice initiatives (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). As the foundation of evidence-based practice, the practitioners should consider how to keep detailed documentation along

with a formal and valid mechanism for measuring outcomes, including offender's cognitive and skill development, and the desire to commit a crime again (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010). Finally, the information collected from the previous principle must be used to provide feedback to offenders about their progress, including motivation for change, lower treatment attribution, and improved outcomes (Joplin et al., 2004; Clawson & Guevara, 2010).

Researchers and practitioners studied about the evidence-based practices commented that implementing the integrated model to criminal justice systems is not easy. Each agency in the criminal justice systems has a different ability and resources to do so, which will cause a different impact on reductions in recidivism. So in order to implement successfully the integrated model suggested above, practitioners in the criminal justice systems must be prepared and trained to achieve sustained reductions in recidivism. The eight principles in the integrated model to implement evidence-based practices are unlikely to produce the same level of success. Thus, researchers and practitioners should more collaborate for the development of the model.

Conclusion

The evidence-based practices have been utilized well in the field of criminal justice systems in the past several decades. We have looked at it is working in the courts, probation, and juvenile justice systems in the United States. At the same time, we found that the researchers and practitioners in the field of criminal justice faced some challenges to implementing it, and must deal with these challenges by having an ideal model for the criminal justice agencies. However, the evidence-based practices will contribute to criminal justice systems more if the growing body of the available evidence is available. Overall, the researchers and practitioners in the criminal justice systems have more to do with it.

## კრიმინოლოგიისა და მართლმსაჯულებაში სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცვლილების მოდელი

**მიანჰუნ რო, ჯი-სან ლი**

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო იზრდება სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის (სდპ) მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართლის სისტემებში. სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკა გადაწყვეტილებათა მისაღებად უკეთესი სტრატეგიების შემუშავების შესაძლებლობას აძლევს კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემაში, მათ შორის, წესრიგის კონტროლის, გამოსასწორებელი დაწესებულებების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, დელიქვენტობის პრევენციისა და განაჩენის გამოტანის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს.

მოცემული გამოკვლევის მიზანია, მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს შესთავაზოს სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის განმარტება და მისი ძირითადი კონცეფციები. ნაშრომში მოცემულია სდპ-ის მოკლე შესავალი, განხილულია კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში ჩატარებული კვლევები სდპ-სთან დაკავშირებით, დადგენილია სისხლის სამართლის სისტემებში სდპ-ის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები და შემოთავაზებულია ის ძირითადი ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც იქნება აუცილებელი ცვლილების მოდელის საჭიროების შემთხვევაში.

## A model for change to evidence-based practice in criminology and criminal justice

**Myunghoon Ro h, Jae-Seung Lee**

The research interest toward the Evidence-based practices (EBPs) is increasing in the field of criminology and criminal justice systems recently. The EBPs allow better decision-making strategies for

practitioners in the criminal justice systems, including policing, corrections, juvenile justice, delinquency prevention, and sentencing.

The purpose of the current study is to provide researchers and policymakers with a definition and key concepts of the EBPs in the criminal justice systems. This study provides a brief introduction of the EBPs, discusses what research has been done on EBPs in criminology and criminal justice, identifies challenges for implementing EBPs in the criminal justice systems, and suggests the key steps of what to do when a model for change is necessary.

*

## საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის მექანიზმები საქართველოს კონტექსტში

დოქტორი **დავით სუჯაშვილი,** *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

Dr **Davit Sujashvili** (Georgia), *Research fellow at Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University*

საქართველოში ტერორიზმის გავრცელების პრევენციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავს ტერორიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის კოორდინაციის მექანიზმებს და ასევე, მათი მოქმედებისა და პასუხისმგებლობის არეალებს. მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეალური შიდა და გარე საფრთხეების ფონზე, მნიშვნელოვანია კონტრტერორისტული ღონისძიებების ერთი ცენტრიდან კოორდინაცია. საქართველოს კანონის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ"[1] მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში.

საქართველოს სპეციალური სამსახურების ეფექტური, კოორდინაციაზე დაფუძნებული მართვის მექანიზმი გათვლილია არა მხოლოდ ტერორისტული აქტების პრევენციაზე, არამედ კოორდინირებული ღონისძიებების ქმედითი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მომხდარ ტერაქტზე პროპორციულ და უწყებათა შორის კოორდინირებულ რეაგირებას. ტერორისტული თავდასხმის შემთხვევაში, სპეციალურ სამსახურებს შორის კოორდინირებული ოპერატიული, ეფექტური და კარგად ორგანიზებული კონტრტერორისტული ოპერაციები საგრძნობლად შეამსუბუქებს უარყოფით ეფექტს ქვეყანასა და საზოგადოებაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილებით[2] „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ", იქმნება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი (შემდგომში შტაბი), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

სპეციალური სამსახურებისა და შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის ამუშავება მიიღწევა საზღვრის კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლით. დაზვერვის სამსახურსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინირებულად, საქართველოს საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო საზღვრებზე გამარტივდება იმ საეჭვო პირების, ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირება, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. მეტად ეფექტიანად მოხდება საზღვარზე ტრანზიტულად, ტურისტად, ლტოლვილის ან დროებითი თავშესაფრის მისაღებად გადმოსულ პირთა იდენტიფიცირება და საეჭვო ტვირთების სკრინინგი.

ტერორისტული ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეების დროულად გამოვლენისა და მათთან ეფექტურად საბრძოლველად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს სპეციალური სამსახურებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის კოორდინაციის ამაღლება, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. კოორდინირებული ქმედებებისა და ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლის პირობებში, სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან უფრო ეფექტურად მოხდება ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირების ან პირთა ჯგუფების საქმეების გამოძიება და მტკიცებულებებით გამყარებული საქმეების გადაგზავნა სასამართლოში, რომელიც, თავის მხრივ, კანონმდებლობის შესაბამისად და არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღებს დროულ გადაწყვეტილებებს. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სპეციალურ სამსახურებსა და სახელმწიფო უწყებათა

---

1 საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ", 2007, 11 ივლისი,

2 საქართველოს მთავრობის დადგენილებით N662, 2014, 5 დეკემბერი. „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ".

შორის არასაკმარისი კოორდინაცია იწვევს ტერორიზმთან დაკავშირებული ხანგრძლივი და რთული პროცესების წარმართვას სასამართლოებში. ამ კუთხით, საინტერესოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანთან“ დაკავშირებული რეგულაციების (UNAQTR) და გაეროს ტერორიზმის აღკვეთის შესახებ რეზოლუციების (RIUNRST) აღსრულების რეგულაციების გამოყენება.[3]

ტერორისტული აქტივობების დასაფინანსებლად ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. საქველმოქმედო (რიგ შემთხვევებში, რელიგიური ორგანიზაციის საფარქვეშ მოქმედი) ფონდები. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია სპეცსამსახურების მჭიდრო კოორდინაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სამსახურთან, რომელსაც შესაძლოა დაეკისროს ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან კონტრტერორისტულ აქტივობებში მონაწილეობა, მათ შორის რეგისტრაციაზე უარის თქმა და უკვე რეგისტრირებული საქველმოქმედო სტატუსის გაუქმება, თუ ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია თავისი რესურსებით პირდაპირ ან ირიბად მხარს უჭერს ტერორისტულ ორგანიზაციებსა და პირებს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თავის კომპეტენციის შესაბამისად საქართველოს სპეცსამსახურებთან კოორდინაციაში, მუდმივ კავშირზე იმყოფებოდეს ისეთ საერთაშორისო სტრუქტურებთან, როგორებიცაა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია FATF (ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. კიბერტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ტერორისტული დაჯგუფების მხრიდან იზრდება რიგი ქვეყნების კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე კიბერშეტევების ორგანიზების ფაქტები. სპეციალური სამსახურების კოორდინაციის გარეშე, საკმაოდ რთულია კიბერთავდასხმების პრევენცია და მათი რეალური მოტივების დადგენა. ტერორისტების მიერ კიბერსივრცე გამოიყენება ასევე, როგორც ერთმანეთთან კომუნიკაციის, პროპაგანდის, ახალი მომხრეების რეკრუტირებისა და ტერორისტული ოპერაციების მართვის საშუალება. საქართველოში, კონტრტერორიზმის მიმართულებით მომუშავე სპეციალური სამსახურების მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის შედეგად, სასურველია, მოხდეს საქართველოს კიბერსივრცისა და ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის მონიტორინგი და დაცვა, რათა ტერორისტულ/ სეპარატისტულ ორგანიზაციებს და მათთან დაკავშირებულ პირებს/ პირთა ჯგუფებს მაქსიმალურად შეეზღუდოთ კიბერსივრცის თავიანთი მიზნებისათვის გამოყენების საშუალება.

ტრადიციულად, ტერორისტული ორგანიზაციების დაინტერესების არეალში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და იქ არსებული ობიექტები მაღალი რისკის ზონას წარმოადგენენ. საქართველოს შემთხვევაში, სატრანსპორტო დერეფნებზე წარუმატებელ თავდასხმასაც კი შეუძლია, ქვეყანას მიაყენოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი. საავიაციო, საზღვაო, სარკინიგზო და სატრანსპორტო უსაფრთხოების სისტემების კომპლექსური გაუმჯობესებითა და ეფექტური კონტროლის მექანიზმის შექმნის გზით, სპეციალური სამსახურების შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოებაზე. სასურველია, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და ურბანული სატრანსპორტო ინდუსტრიის შემადგენელი და სხვა რელევანტური ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების სუბიექტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონტრტერორიზმის მიმართულებით მომუშავე სპეციალურ სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლაში. თავის მხრივ, სასურველია, სპეციალური სამსახურები პერმანენტულად ახორციელებდნენ ინფორმაციის განახლება/გადამოწმებას პარტნიორი ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან, ხოლო შესაბამისი სახელმწიფო უწყებები – საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა საქართველოში შეიქმნას სათანადო საავიაციო, სახმელე-

3 საქართველოს ტერიტორიაზე სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს სამართლებრივი დევნის მექანიზმებს ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორგანიზაციის, პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, ხოლო UNAQTR იძლევა საშუალებას, საერთაშორისო მასშტაბით გაიყინოს „თალიბანსა“ და „ალ-ქაიდასთან“ ასოცირებული ორგანიზაციის ან პირის აქტივები. RIUNRST მოიცავს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს და საშუალებას იძლევა, ცალკეული წევრი სახელმწიფოების მხრიდან დადგინდეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორგანიზაციების ან პირების დამატებითი სიები. შესაბამისად, შესაძლებელია, შეიქმნას საქართველოსათვის საფრთხის მატარებელი, ტერორისტული ორგანიზაციებისა და პირთა სია.

თო და საზღვაო გადაზიდვების უსაფრთხოების კონტროლის ქმედითი ბერკეტები.

მდგრადი კონტრტერორისტული სტრატეგია მოიცავს სპეციალურ სამსახურებსა და სხვა რელევანტურ უწყებებს შორის ისეთი კოორდინაციის მექანიზმების ჩამოყალიბება-გაძლიერებას, რომლებიც საქართველოს მთავრობას მისცემს საშუალებას, მართოს კრიზისები ისე, რომ ტერორისტული თავდასხმის განხორციელების შემთხვევაშიც კი, ქვეყანა მაქსიმალურად სწრაფად დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. სტრატეგიის ძირითადი მიზანია საქართველოსა და მისი მოქალაქეების ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მზარდი ტერორისტული საფრთხეებისაგან დაცვა. საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული შეტევის განხორციელების შემთხვევაში, ტერაქტის შემდგომ არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია:

- თითოეული სპეციალური სამსახურისა და სახელმწიფო უწყების შესაძლებლობების სპექტრის განსაზღვრა და კოორდინაციის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება;
- სპეციალური სამსახურებისა და სხვა რელევანტური უწყებების კოორდინირებული ძალისხმევით, სწრაფი რეაგირებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა;
- მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველყოფა;
- მთავრობის ხელმძღვანელობისა და დიპლომატიური არხების მეშვეობით ეფექტური საჯარო მესიჯების გაჟღერება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ტრიბუნაზე.

განხორციელებულ ტერაქტებზე ეფექტური რეაგირება მოითხოვს საქართველოს სპეციალური სამსახურების ძლიერ კოორდინაციას არა მხოლოდ ერთმანეთთან და სხვა რელევანტურ სახელმწიფო სტრუქტურებთან, არამედ საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს რეგიონალური ხელისუფლების, ტერიტორიული და ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძო ბიზნესისა და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას.

გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია ტერაქტების შემდგომი, სპეციალურ სამსახურებთან კოორდინირებული, აღდგენითი სამუშაოები მიმართული იყოს ქვეყანაში სტაბილური სოციალური გარემოს შენარჩუნებაზე, საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარებასა და მთავრობის მიმართ ნდობის ამაღლებაზე. პრაქტიკაში, ტერორისტულ ინციდენტებზე დაუყოვნებლივ რეაგირება, პირველ რიგში, ხორციელდება ადგილობრივი სამართალდამცავი და საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების მიერ. საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტის განხორციელების შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შსს-ს დანაყოფების მიერ განხორციელებული ქმედებები თავიდანვე იყოს კოორდინირებული სპეციალურ სამსახურებთან და შეადგენდეს ერთიანი კონტრტერორისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის ნაწილს.

კრიზისის დროს ეფექტური კომუნიკაცია მთავრობასა და საზოგადოებას შორის გადამწყვეტი ფაქტორია საზოგადოებაში სიმშვიდისა და ხელისუფლების მიმართ ნდობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად. საზოგადოებას მთავრობამ მკაფიოდ უნდა აუხსნას, თუ როგორ იმართება სიტუაცია კრიზისის დროს, რათა ფორსმაჟორულ სიტუაციაში ქვეყანაში შენარჩუნებული იქნეს სტაბილურობა. კანონმდებლობის დონეზე უნდა შემუშავდეს საქართველოში მასმედიის საქმიანობის არეალის რეგულირება.

ტერორისტულ ინციდენტზე ეფექტური რეაგირების მექანიზმი, სპეციალური სამსახურებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების გარდა, უნდა მოიცავდეს მთელი რიგი სხვა უწყებების კოორდინირებულ ჩართულობას. საჭიროების შემთხვევაში, კონტრტერორისტულ ოპერაციაში შესაძლოა, ჩართული იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ადმინისტრაციები, ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები და ა.შ. ტერორისტული ორგანიზაციებიდან მომდინარე საფრთხეების დროულად გამოვლენა-პრევენციისათვის და მათთან ეფექტურად ბრძოლისათვის, მნიშვნელოვანია, შესაბამის უწყებებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ. საფრთხეების დროუ-

ლი ანალიზი და მასზე დაფუძნებული შემდგომი თანმიმდევრული სტრატეგიის სწორი ფორმულირება აუცილებელი პირობაა ქვეყანაში უწყებათა შორის კოორდინირებული, ერთიანი კონტრტერორისტული პოლიტიკის გასატარებლად. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- დეტალურად გაანალიზდეს საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები;
- საფრთხეების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდეს შესაბამისი კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი გააქტიურების ქმედითი მექანიზმი, რათა მოხდეს ტერორისტული თავდასხმების დროული პრევენცია და/ან განეიტრალება;
- შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე მოხდეს იმ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის რეკომენდაციების გაცემა (სპეციალური სამსახურები, სამართალდამცავი სტრუქტურები და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები), რომელთა ჩართულობა აუცილებელია სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის.

ტერორიზმთან ბრძოლის მიმართ სისტემური, კოორდინირებული მიდგომის წარმატებით ფუნქციონირებისათვის და ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელი, ძირითადი შემადგენელი ელემენტია სპეციალური სამსახურების (დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური) და შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინირებული ქმედებები. საერთო კოორდინირებული ქსელის სტრუქტურული და საინფორმაციო სისტემების თითოეულ შემადგენელ ელემენტს, შესაძლო საფრთხეების გამოვლენა-პრევენცია-ნეიტრალიზაციის ყველა საფეხურზე, სჭირდება წინასწარ კარგად განსაზღვრული და ერთმანეთთან ინტეგრირებული სტრატეგიული, სტრუქტურული და საინფორმაციო მიმართულებების განსაზღვრა. უწყებათაშორისი კოორდინაციის გასაუმჯობესებლად და ერთმანეთში უხარვეზოდ ურთიერთქმედების მისაღწევად, საერთო სისტემის შემადგენელი ყოველი ელემენტის ფუნქციები უნდა იყოს მაღალკვალიფიციურად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული. უწყებათა შორის უხარვეზო კომუნიკაცია და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება-გაზიარება მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, ტერორიზმთან ბრძოლის მიმართ სისტემური მიდგომის გარეშე, არ არის საკმარისი გრძელვადიან პერსპექტივაში საჭირო ეფექტის მისაღწევად. სისტემის შემადგენელი სხვადასხვა რგოლების (სადაზვერვო, სამართალდამცავი, სამხედრო და სამოქალაქო) აწყობილი და კოორდინირებული მუშაობით შექმნილი სინერგია გაართულებს ტერორისტული ორგანიზაციების ან ცალკეული ტერორისტების შეღწევადობას საქართველოს ტერიტორიაზე.

ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების წინასწარ განსასაზღვრად საჭიროა სიღრმისეული და კომპლექსური მიდგომა. აუცილებელია, განისაზღვროს მიზეზები, თუ რატომ არის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი ესა თუ ის საფრთხე, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას და რა სახის კომპლექსური ღონისძიებების გატარება არის საჭირო მისი პრევენცია/განეიტრალების მიზნით. მრავალმხრივი კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავებისას არ იქნებოდა მართებული აქცენტის გაკეთება მხოლოდ საფრთხის პრევენციაზე ან მხოლოდ ტერორიზმის ფიზიკური ცენტრის გამოვლენასა და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე. დღეისთვის, მსოფლიოს მასშტაბით, ტერორიზმის გამომწვევი მიზეზები და მისი გამოვლინების ფორმები ბევრად უფრო რთული და სრულყოფილია, ვიდრე ეს იყო თუნდაც რამდენიმე ათწლეულის წინ. ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან ხდება ლოგისტიკის, დაფინანსების, იდეოლოგიის და პროპაგანდის სულ უფრო გართულებული ტაქტიკის დანერგვა. ხშირ შემთხვევაში, სახეზეა ტერორისტთა დეცენტრალიზებული, ავტონომიურად მოქმედი მობილური და უცხო გარემოსთან უაღრესად ადაპტირებადი დანაყოფების/ცალკეული პირების დესტრუქციული ქმედებები. ქვეყნის კონტრტერორისტული პოლიტიკის განსაზღვრისას, ეს კომპლექსური პრობლემა საჭიროებს სისტემურ მიდგომასა და უწყებათა შორის კარგად ინტეგრირებული კოორდინაციის მექანიზმის ჩამოყალიბებას.

რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, კონტრტერორისტული ზომების დამგეგმავი უწყებების მხრიდან სიღრმისეულად უნდა იქნეს შესწავლილი ისტორიული, რელიგიური, სოციალურ-კულტურული და ეთნოფსიქოლოგიური გარემო ეფექტური კონტრტერორისტული მექანიზმის შესაქმნელად.

კონტრტერორისტულ საქმიანობაში ჩართული უწყებები კარგად უნდა ფლობდნენ საზოგა-

დოების გარკვეული ფენების ან რომელიმე რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის საჭიროებებსა და მათ შესაძლო, ან არსებული უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებს. სრულყოფილი ანალიზისათვის და რეალური ოპერატიული სურათის დასადგენად, გარდა სამართალდამცავი, სამხედრო და სხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობისა, აუცილებელია მედიის, საფინანსო, ბიზნესის, ფსიქოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის და რელიგიის მიმართულებით მომუშავე ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობა. კონტრტერორისტული სტრატეგიის ჩამოყალიბებისას განსასაზღვრია კონკრეტულ ეფექტზე გათვლილი, უწყებათა შორის კოორდინირებული მოქმედებები:

- საქართველოსა და მისი მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მაღალი რისკის ზონების განსაზღვრა;
- საეჭვო პირებისა და ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე შეღწევა/გადაადგილება/ტრანზიტის შეზღუდვა;
- საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებთან ტერორისტთა მიერ გამოყენებული ლოგისტიკური მარშრუტებისა და რესურსების გამოყენების გზების აღკვეთა;
- ტერორისტული ორგანიზაციების, მათი წევრების, მხარდამჭერების, გავლენის ქვეშ ან კავშირზე მყოფი პირებისა და ცალკეული რადიკალიზებული პირების იდენტიფიცირება;
- მაღალი რისკის ზონებში მუდმივად მცხოვრები და/ან დროებით ჩასული პირებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- მაღალი რისკის ზონებში გრძელვადიანი, უწყებათა შორის კოორდინირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო ოპერაციების დაგეგმვა-აღსრულება, რათა:

– აღმოიფხვრას მაღალი რისკის ზონებში ტერორიზმისა და სეპარატიზმის იდეების მხარდაჭერის გამომწვევი მიზეზები;

– შეიზღუდოს ტერორისტთა/სეპარატისტთა მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა;

– შეილახოს ტერორისტთა/სეპარატისტთა და მათთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ პირთა იმიჯი;

– ჩაიშალოს და შეწყდეს ტერორისტული/სეპარატისტული ორგანიზაციების მიერ მოხალისეთა რეკრუტირების პროცესი;

– მაღალი რისკის ზონებში შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, სასწავლო ცენტრები, სავაჭრო და გასართობი ობიექტები და გაძლიერდეს ანტიტერორისტული პროპაგანდა;

– გაძლიერდეს მთავრობის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა/მხარდაჭერა:

– დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მოსახლეობას ტერორისტთა და მათი იდეოლოგიის მიმართ შიშის დაძლევაში დაეხმარება.

– ტერორისტული კამპანიის წარმართვისა და დასახული ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად, მრავალპროფილური კონტრტერორისტული ოპერაციების დროულად დასაგეგმად და, საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურად ჩასატარებლად, მთავრობის მხრიდან არსებული შესაძლებლობებისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენებით, უნდა გაგრძელდეს უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესება/დახვეწა.

მნიშვნელოვანია, შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ ინტეგრირებული დაგეგმვისა და მართვის სისტემაში ჩართული პერსონალის მუშაობა დაძაბულ და, საჭიროების შემთხვევაში, ექსტრემალურ გარემოში, რათა ჩამოყალიბდეს ერთმანეთთან კარგად კოორდინირებული, მობილური უწყებათაშორისი გუნდი, რომელიც კრიტიკული ინფორმაციის ერთმანეთთან გაზიარების გზით, მოახდენს შესაძლო ტერორისტულ საფრთხეებთან დაკავშირებული პროცესების გაანალიზებას და პრევენცია/განეიტრალებისათვის საჭირო ღონისძიებების კოორდინირებული გეგმის მომზადება/მართვას. უწყებათაშორისი თანამშრომლობა, კონტრტერორისტული სტრატეგიის დაგეგმვა საშუალებას მისცემს, სწრაფად და დაუბრკოლებლად მიიღონ, გააანალიზონ და შესაბამისი უწყებების მიხედვით გადაანაწილონ ის ინფორმაცია და რეკომენდაციები, რასაც ჩვეულ რეჟიმში, პრაქტიკიდან გამომდინარე, უფრო დიდი დრო დასჭირდებოდა. აღნიშნული სქემის ეფექტურად გამოყენება სახელმწიფოს დაეხმარება, სინქრონულად და ოპერატიულად განახორციელოს კონტრტერორისტული ოპერაციების დაგეგმვა/წარმართვა. ეფექტური კონტრტერორისტული სისტემის ამოქმედე-

ბა ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაზიარებისა და დაგეგმვისას სიტუაციური ცნობიერების გაუმჯობესებასა და უწყებათა შორის ერთობლივი მოქმედებების სწრაფ სინქრონიზაციას.

უწყებათა შორის ინტეგრირებული ქსელის კოორდინირებული მოქმედებებისა და სადაზვერვო, სამართალდამცავი და სამოქალაქო სამსახურების, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტური სინერგიის შედეგად, მანამდე არსებული, ხშირ შემთხვევაში შეზღუდული ინფორმაცია და რესურსები საგრძნობლად გამდიდრდება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კონტრტერორისტული საინფორმაციო, პრევენციულ-თავდაცვითი და სტრატეგიულ-შეტევითი ოპერაციების დაგეგმვა/ჩატარებაში.

სპეციალური სამსახურების კოორდინაციის შედეგად მიღებული ამომწურავი ოპერატიული სურათი ასახავს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე რეალურად არსებულ ან მოსალოდნელ საფრთხეებს/რისკებს, რაც მოკლე და გრძელვადიანი კონტრტერორისტული სტრატეგიის ჩამოყალიბებისას, სახელმწიფოს ეხმარება, სრულად განსაზღვროს რისკებისა და საფრთხეების დონე, მათი შესაძლო განვითარების სპეციფიკური მიმართულებები, ტერორისტთა შესაძლებლობები და შესაბამისად შეიმუშაოს კონტრმოქმედებების კომპლექსური გეგმა, რომლის მიხედვითაც, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად მოქმედი უწყებათაშორისი სინერგია დაეხმარება თითოეულ უწყებას, უკეთ მართოს თავისი შესაბამისი სუსტი მხარეები. ზუსტი და დროული ინფორმაცია, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას, მიიღოს პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისი და დროული გადაწყვეტილებები.

უწყებათა შორის კოორდინირებული მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაციით მოსარგებლე რგოლების წვდომა კონტრტერორისტული მიმართულების ოპერატიულ ინფორმაციაზე შესაბამის სახელმწიფო უწყებებს საშუალებას მისცემს, დაგეგმონ თავიანთი რესურსების სწორად მართვა და სწრაფად აღმოაჩინონ საფრთხეები, ერთობლივი ძალისხმევით მოახდინონ ტერორისტული თავდასხმების პრევენცია და ჩაატარონ კოორდინირებული წინმსწრები ოპერაციები. ასევე, საფრთხის შემთხვევაში ინფორმაციის დროულად განაწილება და კონტრზომების პროფესიონალურად დაგეგმვა დაეხმარება რისკის ზონებში არსებულ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, სწორად წარმართონ თავიანთი ქმედებები და ადგილობრივი რესურსების შეთანხმებულად გამოყენებით, ეფექტურად შეუწყონ ხელი სადაზვერვო, სამართალდამცავ, სამხედრო და საგანგებო სიტუაციების სამსახურებს პრევენციული, კონტრზომების ან სამაშველო ოპერაციების ჩატარებაში. კერძოდ:

- სხვადასხვა უწყებებიდან და წყაროებიდან მოპოვებული, ტერორიზმთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ინფორმაცია შეგროვდება ანტიტერორისტულ ცენტრში;
- მიღებული მონაცემები გაანალიზდება და განიხილება კონტრტერორიზმის მიმართულებით მომზადებული ანალიტიკოსების მიერ;
- დამუშავდება მონაცემები, შესაბამის უწყებებთან გაიმართება კონსულტაციები და განისაზღვრება რისკფაქტორები;
- სადაზვერვო, სამართალდამცავ, სამხედრო, დიპლომატიურ, ადგილობრივ და სხვა შესაბამის უწყებებთან კოორდინირებულად, საფრთხისა და რისკფაქტორების გათვალისწინებით, გადანაწილდება მოვალეობები და გაიცემა რეკომენდაცია/დირექტივები;
- კოორდინირებულად მომზადდება კონტრზომების დეტალური გეგმა, რომელიც გაწერილი იქნება ყველა უწყების მიხედვით და გათვლილი იქნება როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაზე;
- მიღებული ინფორმაციის ანალიზის შესაბამისად, შედგენილი გეგმა მუდმივად ადაპტირდება რეალობასთან;
- საჭიროების შემთხვევაში, მომზადდება რეკომენდაციები ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის, მათი მხრიდან შიდა და საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის მისაღებად;
- მოხდება შედგენილი გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგი;
- საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან კოორდინირებულად დაიგეგმება კონტრტერორისტული ოპერაციები;

სრული ოპერატიული სურათის კომპლექსურად გაანალიზება და უწყებათაშორისი კოორდინაციის პირობებში მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად გამოკვეთილი რისკების, ტერორისტული საფრთხეებისა და/ან კვანძების აღმოჩენა და დროულად შესაბამისი ზომების

მიღება საფუძველს ჩაუყრის საქართველოში ტერორისტული საფრთხეების ერთობლივად, კოორდინირებულად განეიტრალების ეფექტური ქმედითი მექანიზმის ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანია, აღნიშნული მექანიზმი გამყარდეს საკანონმდებლო ბაზით, რომელიც განსაზღვრავს კონტრტერორისტული მიმართულებით უწყებათაშორის კოორდინაციას და პროცედურულად არსებითად განაახლებს/გაამარტივებს შესაბამის და ერთმანეთისგან სტრუქტურულად და ორგანიზაციულად საკმაოდ განსხვავებულ უწყებებს შორის თანამშრომლობას.

სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობის შედეგად, მეტად ეფექტურად გახდება შესაძლებელი ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება და პრაქტიკაში გამოყენება კონკრეტული რისკების ანალიზის, საფრთხეების შესახებ დროული შეტყობინება/რეკომენდაციების შედგენის და კონტრტერორისტული ოპერაციების დაგეგმვა/ჩატარების კუთხით. უწყებათა შორის სრულყოფილი კოორდინირებისთვის სასურველია ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში გაზიარება, რათა:

- დროულად გამოიკვეთოს შესაბამისი უწყებებისა და მათი პერსონალის შესაძლებლობები და შეზღუდვები;
- დაიხვეწოს/ჩამოყალიბდეს კონტრტერორისტული მიმართულებით უწყებათაშორისი კოორდინაციის გეგმები;
- მოხდეს ოპერატიული ინფორმაციის ნაკადის გაუმჯობესება და დროული ანალიზი, რათა არ დაგვიანდეს საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი;
- ხელი შეეწყოს კონტრტერორისტული მიმართულებით ერთობლივად დაგეგმარებისა და ოპერაციების მართვის პროცედურების ჩამოყალიბებას და გამყარდეს ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ურთიერთთანამშრომლობა სადაზვერვო, სამართალდამცავ, სამხედრო, დიპლომატიურ და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს კონტრტერორისტული საქმიანობა და ოპერაციები განისაზღვრება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრისა და სხვა შესაბამისი დანაყოფების ერთობლივი ძალისხმევითა და სხვა სპეციალურ სამსახურებთან შეთანხმებით.

ტერორისტული საფრთხეებით გამოწვეული რისკებისა და მათგან მოსალოდნელი შედეგების სწორი შეფასების საფუძველზე დაგეგმილი ოპერაციების შედეგიანად მართვა მოითხოვს უწყებათა შორის მოქნილი და კომპლექსური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონტრტერორისტული ძალების მხრიდან ფორსმაჟორულ სიტუაციაში საჭირო უწყებათაშორისი და უცხოელ პარტნიორებთან სწრაფი კოორდინირება. ტერორისტული საფრთხის მიმართ ასეთი მიდგომა და ოპერატიული ელემენტების გამოყენებით კომპლექსური კონტრზომების დეტალური და დროული დაგეგმვა ხელს შეუწყობს საქართველოში ტერორიზმის გაუვრცელებლობის მიმართულებით სასურველი გარემოს შექმნას. ქვეყნის უწყებებს შორის კოორდინირებული კონტრტერორისტული სტრატეგიის ჩამოყალიბებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ქვეყნის ტერიტორიის გამოყენებაში დაინტერესებული ტერორისტული ორგანიზაციების იდენტიფიკაციას;
- საქართველოს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ მათი მხარდამჭერებისა და ტრანსრეგიონალური მხარდამჭერის/დამფინანსებელი ქსელების იდენტიფიცირებას;
- ქვეყნის ტერიტორიაზე საბრძოლო მასალების, მასობრივი განადგურების იარაღის და/ან ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული სხვა მასალებისა და მებრძოლების შემოდინების პრევენცია/აღკვეთას. კონტრტერორისტული ოპერაციების ეფექტურად დაგეგმვა/ მართვა საჭიროებს უწყვეტ კოორდინაციას, როგორც ადგილობრივ სტუქტურებს შორის, ისე შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებთან. საქართველოს ყველა შესაბამისი უწყების პოტენციალისა და მათი ცალ-ცალკე არსებული უნიკალური შესაძლებლობების კოორდინირებულად გამოყენების პერსპექტივა ქვეყნის ხელისუფლებას მისცემს საშუალებას, კოორდინირებული კონტრტერორისტული სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენებით, წარმატებით გაუმკლავდეს მზარდ ტერორისტულ

საფრთხეებს რეგიონში.

საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის კომპეტენტურ დანაყოფებთან ერთად, ოპერატიული დაფარვის მთელ ტერიტორიაზე, პასუხისმგებელი იქნება, შეასრულოს კონკრეტული ოპერატიული ამოცანები და წარმართოს კონტრტერორისტული ოპერაცია, რომლის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კოორდინაცია მოახდინოს სადაზვერვო, სამართალდამცავ, სამხედრო და სხვა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და დანაყოფებს შორის, ასევე, აწარმოოს ოპერაციის ლოგისტიკური მხარდაჭერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კონტრტერორისტული ცენტრის მუშაობას ხელს უწყობს სადაზვერვო, უსაფრთხოების, სამართალდამცავი, სამხედრო, დიპლომატიური და სხვა სამოქალაქო სტრუქტურების დონეზე სწრაფი, კოორდინირებული და ეფექტიანი კონტრტერორისტული პოლიტიკა, სადაც ჩართული და გამოყენებული იქნება სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, შესაძლებლობა და რესურსი. ასეთი მიდგომა აერთიანებს საქართველოს მთავრობის თითოეული უწყების შესაძლებლობებს, კონკრეტულ სიტუაციაში, კანონის შესაბამისად, სწორი და რაციონალური მოქმედებით უზრუნველყონ ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების წარმატებით დაძლევა:

- საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოსა და მისი მოკავშირეების სტრატეგიული ინტერესებისა და საქართველოსა და მისი მოკავშირეების მოქალაქეების დაცვა;
- ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და ქსელების, მათი პარტნიორებისა და მიმდევრების იდენტიფიცირება/ნეიტრალიზაცია;
- პრევენციული ღონისძიებების ჩატარება;
- საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათი მიმდევრების თავშესაფრების აღმოჩენა-აღმოფხვრა;
- კონტრტერორისტული კუთხით უწყებათაშორისი მტკიცე პარტნიორობის ჩამოყალიბება და თითოეული უწყების შესაძლებლობების მაქსიმალურად და კოორდინირებულად გამოყენება;
- საქართველოს ტერიტორიაზე ძალადობრივი და ექსტრემისტული იდეოლოგიის გაფართოების საწინააღმდეგო პრევენციული ზომების გატარება;
- ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაციების რეკრუტირების, დაფინანსებისა და ლოგისტიკის გზების აღმოჩენა/აღმოფხვრა.

წარმატებული შედეგი მიიღწევა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი თითოეული რგოლის შესაძლებლობების ერთდროულად და კოორდინირებულად გამოყენებით. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა დაიცვას ქვეყანა, თავისი მოქალაქეები და ქვეყნის ინტერესები არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ საზღვარგარეთაც – ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინირებული მუშაობა, შესაბამისი უწყებების მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, რათა კოორდინაციისა და თანამშრომლობის შედეგად, რეგიონში ჩამოყალიბდეს ტერორიზმთან ბრძოლის ძლიერი მექანიზმები.

უახლოეს მომავალში, ტერორიზმი, მაღალი ალბათობით, დარჩება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. შესაბამისად, კონტრტერორისტული სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობაა კონტრტერორისტული სტრატეგიისადმი ინტეგრირებული მიდგომა მთელი ქვეყნის მასშტაბით. წარმატებული კონტრტერორისტული სტრატეგიის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ზემოთ აღნიშნული კრიმინოლოგიური ხასიათის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სპეციალურ სამსახურებსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობით, რაც ხაზს უსვამს კრიმოლოგიის როგორც დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერების მნიშველობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარტნიორი ქვეყნების სპეციალურ სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების კომპლექსური და კოორდინირებული ჩართულობა კონტრტერორისტულ აქტივობებში.

## საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის მექანიზმები საქართველოს კონტექსტში

**დავით სუჯაშვილი**

ნაშრომში განხილულია საქართველოში საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისა და პრევენციის მართვის მექანიზმების: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და სხვა რელევანტური სახელმწიფო სტრუქტურების, რეგიონალური ხელისუფლებების და ადგილობრივი თვითმმართველობების, კერძო ბიზნესისა და საზოგადოებრივი ორგნიზაციების კოორდინაციის საკითხები.ასევე, ნაშრომში მოცემულია კონტრტერორისტული პოლიტიკისა და სტრატეგიის განსახორცილებლად პრევენციული კრიმინოლოგიური ხასიათის რეკომენდაციები.

## Preventive mechanisms of international terrorism in the context of Georgia

**Davit Sujashvili**

The paper examines the preventive mechanisms in the fight against international terrorism for coordinated functioning of the following Georgian institutions: the State Security Service of Georgia, which is the main body in the united state system of fight against terrorism, the Ministry of Internal Affairs of Georgia, the Ministry of Defense of Georgia, the Georgian Intelligence Service, the Special State Protection Service of Georgia and other relevant state structures, regional authorities and local self-governments, private businesses and public organizations.

Furthermore, the research suggests crime prevention tips for successful counterterrorism policies and strategies.

*

# რბილი ძალა — საუნივერსიტეტო დიპლომატია

პროფესორი, დოქტორი **ზურაბ ხონელიძე**, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*
Professor, Dr **Zurab Khonelidze** (Georgia), *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

ცოცხალი ორგანიზმი – საქართველო (კონფლიქტურ რეგიონებთან ერთად), რომელსაც ფესვები ნიადაგში აქვს გადგმული არ არის და ვერც იქცევა ავტონომიურ, ჩაკეტილ სისტემად. იგი, როგორც სივრცითი მოვლენა ქმნის პოლიტიკურ მოცემულობას (რეგიონულ დონეზე) და არსებობს, იმართება და ცოცხლობს ამ სივრცით. „საუნივერსიტეტო დიპლომატიამ" უნდა აღადგინოს, ან შექმნას ახალი ერთიანი სრულყოფილი სივრცე-გარემო, სადაც მოსახლეობა თავს იგრძნობს მთელის ნაწილად და არა სხვათა მაამებლად.

თუ ჩავწვდებით ჩვენი არსებობის მთელ არსს, დავრწმუნდებით, რომ არსებული რთული (და არა „ჩიხური") მდგომარეობის, კერძოდ, უპირველესი ამოცანის გააზრების დეფიციტიდან გამომდინარე – კონფლიქტებისადმი ქართველ საზოგადოებაში ინტერესების ეტაპობრივი კლება და მისი გადაწყვეტისადმი გავრცელებული მოსაზრებების დრამატიზირების მიზეზი არის არა საქართველოს ერთიანობისადმი იმედგაცრუება, არამედ, სახელმწიფოებრიობის განცდის, აზროვნების დეფიციტი, კონფლიქტების დარეგულირების, როგორც „ინფიცირებული ჭრილობების მკურნალობის" პროცესის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება.

სახეზეა პარადიგმული კრიზისი, რომლის არსის გაგების სისტემური და თანმიმდევრული დაძლევის მიზნით შეიქმნა წინამდებარე ნაშრომი – „საუნივერსიტეტო დიპლომატია". იგი სხვა არაფერია, თუ არა მტკიცე სახელმწიფოებრივი პოზიციის დაფიქსირება, იმისა რომ – პრობლემის მოგვარების ერთადერთი უალტერნატივო გზა არის არა ძალადობა და ომი, არამედ მშვიდობა!; მცდელობა, ძველი წარმოდგენების ახლით ჩანაცვლებით, ჩამოვაყალიბოთ ერთიანი სივრცის შემქმნელი, ქართველისა და აფხაზის (აგრეთვე სხვათა) ინტერესების დამცველი ინსტრუმენტის – სრულფასოვანი სახელმწიფოს მშენებლობის წინაპირობის ერთიანი ხედვა; – უარი ვთქვათ და არ ავაშენოთ „კედელი", როდესაც ჩვენი – ქართველისა და აფხაზის ერთიანი ბედისწერა არის „ხიდი".

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების იდეის უალტერნატივობიდან გამომდინარე, „საუნივერსიტეტო დიპლომატიის" ფუნქცია მიმართულია სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელებისა და სისტემური თანმიმდევრულობისაკენ.

საქართველოს რეალობაში ადგილი აქვს სამწუხარო ფაქტს, კერძოდ: სამეცნიერო, კვლევითი, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და მეცნიერების, გონიერი, განათლებული ადამიანების, სტუდენტი-ახალგაზრდების უმრავლესი ნაწილი არსობრივად არ, ან ნაკლებად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში. ამით, თავისდა უნებურად ასპარეზს უთმობენ არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე, არაკეთილსინდისიერ, პასუხისმგებლობის არმქონე სუბიექტებს, რეალურად, ხშირ შემთხვევაში უმეცრებას, დილეტანტიზმს, კონფორმიზმსა და ა.შ. საქართველოს წინაშე კვლავ დგას გამოწვევა – უმაღლეს კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, მაღალინტელექტუალურმა ქართველმა ერმა, ქართულმა სახელმწიფომ იარსებოს წვრილმან ნებათა სამსახურში და სხვის სახელმწიფოებრივ ინტერესებში ჩაფლულმა, თუ რეალობის გააზრებით იპოვოს – საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და დღევანდელობის ის შესაფერისი ადგილი, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოებრივ ერთიანობას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო და გარანტირებულ მომავალს.

„საუნივერსიტეტო დიპლომატიის" მთავარი მიზანია ობიექტურ ანალიზს მონატრებულ ქართველ (და არა მარტო ქართველ) მკითხველთან ერთად მიმოხილულ იქნას ჩვენეული ორგინალური ხედვა – რაში მდგომარეობს ფორმირებად გლობალურ სივრცეში უნივერსიტეტის გარდაუვალ რეალობად ქცეული ტრანსფორმაციის პოზიტიური მნიშვნელობა და სიახლის – „საუნივერსიტეტო დიპლომატიის" იდეის არსი, მისი რეალური ღირებულება, თუ როგორ ვაქციოთ იგი სამშვიდობო პროცესის ინპლემენტაციის იმ ყველაზე რეალისტურ-ინოვაციურ მეთოდად, რომელიც მოემსახურება არა მხოლოდ ჩვენი ლოკალური, არამედ

სხვა ბევრი პრობლემის გადაწყვეტასა და ზოგადად სამშვიდობო პროცესს. კერძოდ, გააჩენს შესაძლებლობას შეიქმნას სოციალური სამართლიანობის, თანამშრომლობისა და საერთო ინტერესთა თანხვედრის პრინციპზე დაფუძნებით: ერთიანი ქართულ-აფხაზური (აგრეთვე ოსების მონაწილეობით) სახელმწიფოს მოდელი, შესაბამისი ხედვით, კონცეფციითა და რეალიზებადი პროგრამით; საქართველოს და არა მხოლოდ ჩვენს მაგალითზე, ზოგადად კონფლიქტის მონაწილე (და არა გარე დაინტერესებულ) მხარეთა ძირითადი სამერთიანი მიზნის – იდენტობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების რეალიზაციის საფუძვლები; წინაპირობა, მოემსახუროს კონფლიქტური ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს – საქართველოს, საქართველოსადმი ინტერესის მქონე საგარეო ძალების, გეოპოლიტიკური ცენტრების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და დროის – მსოფლიო ცივილიზაციის მოთხოვნას, რომელიც ნაციონალიზმისა და რეგიონალიზაციისკენ გვიბიძგებს.

ნაშრომის მიზანია, იმ ელემენტარული ჭეშმარიტების დაფიქსირება, რომ აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა იყოს შედეგი არა დაპყრობის, არამედ აფხაზთა მშვიდობიანი შემოსვლა ზოგადქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რაც საქართველოს – ქართველ-აფხაზთა კულტურული მრავალფეროვნებისა და სახელმწიფოებრივი გაერთიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს საფუძვლად იქცა. ერთიანობის საფუძველი არის აფხაზთა და ქართველთა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანების აუცილებლობა. ნიშნით, რომელიც ცალსახადაა დამტკიცებული ქართულ, ძველ ბერძნულ, ბიზანტიურ, რომაულ, აღმოსავლურ ევროპულ, რუსულ ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ აფხაზეთი ეთნიკური, პოლიტიკური, კულტურული თვალსაზრისით მუდამ ქართულ სამყაროს მიეკუთვნებოდა და უძველესი დროიდან ქართველთა წინაპრებით დასახლებული ტერიტორია უწყვეტად შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც სამეფო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საფუძველი გახდა, ამის ნათელი მაგალითია, რომ XI საუკუნიდან ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა მეფე აფხაზთა (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, შირვანშა და შაჰანშა).

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც პოზიტიური კონცეფცია, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ინოვაციური ფორმა, მეცნიერების – დიპლომატიისა და სამეცნიერო კერის – უნივერსიტეტის დარგთაშორისი კავშირი, სინერგიის ფილოსოფიაა. ის ლოგიკურად ზუსტია, სრულიად თავისუფალია ორაზროვნებისა და ბუნდოვნებისაგან. უფრო კონკრეტულად კი – დიპლომატიისა და სამშვიდობო განათლების ახალი ორერთიანი სახეობაა, რომელიც გულისხმობს არსებული, თუმცა დღემდე გამოუყენებელი რესურსის – აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი (საუნივერსიტეტო) პოტენციალის ამოქმედებას. აჩენს შესაძლებლობას საუნივერსიტეტო სივრცეში შეიქმნას მშვიდობის მშენებლობის თვისობრივად ისეთი ახალი ფორმატი, რომელიც უალტერნატივო სამშვიდობო – დიპლომატიური ენითა და სამეცნიერო დიალოგის საფუძველზე ხელს შეუწყობს:

– საზოგადოებათა ცნობიერებაში მშვიდობის დინამიური ხედვის ჩამოყალიბებას, რეალური ნდობის აღდგენას, მოუგვარებელი კონფლიქტების გაჭიანურებული მდგომარეობის – „არც მშვიდობა, არც ომის“, მშვიდობისა და მისი მიღწევის სისტემურ მეცნიერულ აღქმა-გაცნობიერებას;

– კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების არსის გარკვევას, შიშების აღმოფხვრას, მათში მონაწილე და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლას, ანალიზს, შეფასებას, მათ შორის თანხვედრის პოვნას;

– მშვიდობის, როგორც პროცესის სწავლებას, მისი – სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაციას, ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამორიცხვას, ინტერსტუქტურული გაგების განვითარებას, პოზიტიური, კონსტრუქციული განწყობის შექმნას;

– მაქსიმალურ კონსენსუსზე, ე.წ. „საერთო ნიადაგის“ პრინციპზე, დაფუძნებული ისეთი კონცეფციის გენერირებასა და პოპულარიზაციას, რომელმაც შემდგომში უნდა განსაზღვროს საერთო ეროვნული თანხმობის დოკუმენტის ფორმა და შინაარსი;

– უნივერსიტეტის და დიპლომატიის ფუნქციების არსობრივი გააზრებითა და შეთანაწყობით, ისეთი მოდელის (ალგორითმის) შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს და გააჩენს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მტკიცე პერსპექტივას და ა.შ.

რეალურად, უნივერსიტეტი ინტელექტუალური დამოუკიდებლობის ის კერაა, რომელშიც აზროვნება აკადემიურ სრულყოფილებას, სისტემურობისათვის ესტაფეტას გადასცემს დიპლომატიას. „აზროვნება“ და „არსებობა“, ანუ უნივერსიტეტი და დიპლომატია, მათი კავშირის შექმნა, ძალის „სესხების“, ძალის „დამატების“ და ურთიერთკოოპერაციის საშუალებით ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამდენად, აკადემიურ-კვლევითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შერწყმითა და ჯანსაღი, უპირველესად საზოგადოებაში შესაბამისი ინტელექტუალური პროცესების პროვოცირებით, უნივერსიტეტი უნდა ვაქციოთ სამშვიდობო პროცესებისა და მდგრადი მშვიდობის უწყვეტ-შემოქმედებით სააზროვნო კერად, ხოლო „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ – კონფლიქტის ტრანსფორმაციის ისეთ უნიკალურ, სიცოცხლისუნარიან მეთოდად, საშუალებად, რომელიც კონფროტაციიდან, ჩიხური მდგომარეობიდან , არა ძალისმიერ, მშვიდობიან კალაპოტში გადაიყვანს ყველა ტიპის დაპირისპირებას – კონფლიქტს.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ საზოგადოების განვითარების თვისობრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის ის კონცეპტუალური სიახლეა, რომელიც საზოგადოებაში დაპირისპირებული ინტერესების (პოზიციების) “ერთმანეთის შეუბღალავად, დაუმონებლად’’, მშვიდობიანი მორიგების სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ უნდა ვაქციოთ მშვიდობის სწავლების იმ მეთოდად, რომელიც ქართულ-აფხაზური თანაცხოვრების, დღემდე აუმოქმედებელ უმთავრეს მოდელად მოგვევლინება. იგი სხვა პოლიტიკური და სოციალური აქტორების მსგავსად, ბუნებრივად ვერ იქნება მოჩვენებითი პატრიოტიზმითა და ყალბი პოლიტიკით, კერძო კაპიტალის დაგროვებაზე და ხელოვნურად დაყოფილი მხარეების ინტერესებზე ორიენტირებული, ის არ გააგრძელებს ჩვენი მთავარი ტრაგედიით მანიპულირებას (როგორც ხშირად, დღემდე), მისი უმთავრესი პოსტულატი არის და იქნება აკადემიური ჭეშმარიტებით სახელმწიფოს მსახურება.

## რბილი ძალა — საუნივერსიტეტო დიპლომატია

**ზურაბ ხონელიძე**

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“, როგორც პოზიტიური კონცეფცია, დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ინოვაციური ფორმა, მეცნიერების – დიპლომატიისა და სამეცნიერო კერის – უნივერსიტეტის დარგთაშორისი კავშირი, სინერგიის ფილოსოფიაა, ის ლოგიკურად ზუსტია, სრულიად თავისუფალია ორაზროვნებისა და ბუნდოვნებისაგან. უფრო კონკრეტულად კი – დიპლომატიისა და სამშვიდობო განათლების ახალი ორერთიანი სახეობაა, რომელიც გულისხმობს არსებული, თუმცა დღემდე გამოუყენებელი რესურსის – აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი (საუნივერსიტეტო) პოტენციალის ამოქმედებას. ის აჩენს შესაძლებლობას საუნივერსიტეტო სივრცეში შეიქმნას მშვიდობის მშენებლობის თვისობრივად ისეთი ახალი ფორმატი, რომელიც უალტერნატივო სამშვიდობო ენით შეისწავლის საქართველოში და მის გარეთ არსებულ კონფლიქტებს.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ საზოგადოების განვითარების თვისობრივად ახალ ტრაექტორიაზე გადასვლის კონცეპტუალური სიახლეა, რომელიც საზოგადოებაში დაპირისპირებული ინტერესების (პოზიციების) „ერთმანეთის შეუბღალავად, დაუმონებლად“, მშვიდობიანი მორიგების სულისკვეთებით არის განსჭვალული. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების იდეის უალტერნატივობიდან გამომდინარე, „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ფუნქცია მიმართულია სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელებისა და სისტემური თანმიმდევრულობისაკენ.

ნაშრომის მიზანია მშვიდობის, როგორც პროცესის სწავლება, სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაცია, ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამორიცხვა და თავიდან

აცილება, ინტერსტუქტურული გაგების განვითარება, პოზიტიური, კონსტრუქციული გან-წყობის შექმნა.

## University diplomacy as an example of soft power

**Zurab Khonelidze**

„University diplomacy", as a positive concept, is an innovative form of communication between the interested individuals, scientific connection of the fields of the university – the focus of diplomacy and science, is philosophy of synergy. It is logically accurate, totally free of ambiguity and obscurity. More precisely, it is a new variety of diplomacy and safety education, which means to activate the available but yet unused resources of academic and scientific research potential. It gives an opportunity to the university area of creating a new peacebuilding format, which will study the conflicts in Georgia and other countries with an unorthodox language of peace.

„University diplomacy" is a conceptual innovation that can take the society to the next level, which concentrates on a peaceful agreement between two confronted sides without the desecration of one another. The unorthodox idea of a peaceful conflict resolution directs the permanent and continuous peacemaking policies for „university diplomacy".

The goal of the research is to teach the peace as a process, democratize peacemaking processes, prevent and eliminate any form of violence, develop an interstructural understanding, and finally, create a positive and constructive mood.

*

# დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით

პროფესორი, დოქტორი **ირაკლი გაბისონია,** *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*;

პროფესორი, დოქტორი **ჯემალ გაბელია,** *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Irakli Gabisonia** (Georgia), *Dean of Faculty of Law and International Relations at the Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences*;

Professor, Dr **Jemal Gabelaia** (Georgia), *Deputy Dean of Faculty of Law and International Relations at the Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences*

კრიმინოლოგიაში მიზეზობრიობა ერთ-ერთი საკვანძო და რთული პრობლემაა. მისი გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ფილოსოფიურ შეხედულებებს იზიარებს მეცნიერ-მკვლევარი. ამავე დროს მიზეზობრიობის პრობლემა არ არის მხოლოდ თეორიული, მას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, ებრძოლო ისეთ მოვლენას როგორიცაა დანაშაულობა შეუძლებელია მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლის გარეშე.

არ შეიძლება უარვყოთ ის ფაქტი, რომ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში მიზეზობრივი კავშირების დადგენა ბევრად უფრო ძნელია ვიდრე ბუნებაში. მაგრამ კრიმინოლოგიის განვითარებამ და პრაქტიკაში მისი რეკომენდაციების დანერგვამ დაგვანახა დანაშაულობის პრობლემაში მიზეზობრივი კავშირებისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების დადგენის რეალობა.

დანაშაულობა დეტერმინაციის ერთ-ერთი ფორმათაგანია, მისი ნაირსახეობაა, რომელშიც იგულისხმება ნებისმიერი კანონზომიერი დამოკიდებულება სხვადასხვა პროცესსა და მოვლენას შორის. რაც შეეხება მიზეზობრიობის კატეგორიას, იგი მოიცავს: მიზეზს, პირობას, შედეგს, ასევე უკუკავშირს შედეგსა და მიზეზებს (პირობებს) შორის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიმინოლოგიას მიზეზობრიობის შესახებ საკუთარი განსაზღვრება არ გააჩნია. იგი ამ საკითხის გარკვევისას ემყარება როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს.

თუ განვაზოგადებთ იმ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენასთან, შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ მოცემული კავშირი სხვა არაფერია, თუ არა მოვლენათა ურთიერთმოქმედება.[1]

პროფესორ გურამ ნაჭყებიას აზრით, კრიმინოლოგია მისი შინაარსობრივი გაგებით, არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მიზეზებს და განსაზღვრავს მისი თავიდან აცილების ღონისძიებებს[2]. კრიმინოლოგია შეისწავლის დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენას. დანაშაულობა, თავის მხრივ, განიხილება, როგორც სოციალური დევიაციის სახესხვაობა.

თანამედროვე კრიმინოლოგიაში მეცნიერული კვლევის მხრივ, აქტუალურია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით, რაც გულისხმობს, ამ მიზეზების პოვნას, როგორც სოციალური, ასევე, ბიოლოგიური მეცნიერების პოზიციებიდან. რაც შეეხება სოციალური და ბიოლოგიური მეცნიერების როლს კრიმინოლოგიაში, მას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და მის მართებულ გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული კრიმინოლოგიის მეცნიერული განვითარება, კრიმინალური ქცევის პრევენციასთან დაკავშირებული ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.[3]

თუმცა კრიმინოლოგიაში დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიების პროცესში გამოი-

1 Курс Крииминологии, т. М 2010, с 200
2 ნაჭყებია გ. „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, თბ.,1998, გვ. 48
3 ერიაშვილი ნ, ავანესოვი ა, „კრიმინოლოგია“, თბ., 2017, გვ. 304

კვეთა, რომ სოციოლოგიური მეცნიერებები ვერ პასუხობენ თანამედროვე კრიმინოლოგიაში არსებულ გამოწვევებს. მხოლოდ მათი საშუალებით სრულყოფილად ვერ ხერხდება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის, რომ თანამედროვე კრიმინოლოგიის ბიოლოგიურ მიმართულებაში ბოლო პერიოდში დიდი მოცულობითი კვლევები ჩატარდა, კრიმინალური ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ. აღნიშნული კვლევებით დადასტურდა ამ პროცესების კრიმინალურ ქცევასთან კავშირი. აქედან გამომდინარე აუცილებელია, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და სოციალური მეცნიერებების გარდა დანაშაულებრივი ქცევის ბიოლოგიური და ნეირობიოლოგიური მეცნიერების პოზიციიდან შესწავლა.[4]

დანაშაულობის „სრული“ (ასევე „სპეციფიკური“) მიზეზების შიგნით საჭიროა მოხდეს შინაგანი, დამატებითი კლასიფიკაცია, რაც საფუძვლად უნდა დაედოს არა მშრალი თეორიული კონცეფციების შექმნას, არამედ წმინდა პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. საქმე იმაშია, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა ყოველთვის კონკრეტულ ხასიათს ატარებს.[5]

რაც შეეხება დანაშაულობის მიზეზების, კლასიფიკაციის საკითხს, კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სადისკუსიოა. უპირველეს ყოვლისა, თვითონ მოვლენის სირთულის, ურთიერთდაკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო. (ყოველივე ეს იგულისხმება როგორც მოვლენის შიგნით, ასევე მის გარეთ სხვა მოვლენებთან). ამასთან, მოვლენის მიმართ საერთო კანონზომიერებისა და მიზეზობრივი კავშირის გამოყენებით, ყოველთვის არ შეიძლება დანაშაულობის ახსნა. თუმცა, ამას ყოველთვის უნდა ვეცადოთ. დანაშაულობის ახსნის ძირითად კრიტერიუმად მისი მიზეზებისა და პირობების სწორი გაგება უნდა მივიჩნიოთ.

კრიმინოლოგიაში დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიების პროცესში, უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში განსხვავებული თეორიები შეიქმნა ისეთი სფეროების წარმომადგენლების მიერ, როგორიცაა ფილოსოფია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. ისინი ამ თეორიების შექმნისას დანაშაულის გამომწვევ მიზეზებში ასახელებენ სხვადასხვა ფაქტორს და იყენებენ განსხვავებულ მიდგომებს.

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგიაში წამყვან მიმართულებად სოციალური ფაქტორებით დანაშაულის ახსნა-განმარტება ითვლება, იგი ვერ ხსნის სრულად დამნაშავეობას. მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ეპოქაში განსაკუთრებული წარმატებას მიაღწიეს ბიოლოგიურმა და ნეირობიოლოგიურმა მეცნიერებმა. შესაბამისად, აღნიშნული მეცნიერების სწავლება, კვლევის მეთოდები და მიმართულებები ცდილობს კრიმინოლოგიაში შეავსოს ის ვაკუუმი, რაც არსებობს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიებაში.

ლიტერატურაში გამოიყენებენ დანაშაულის ახსნა-განმარტების სოციოლოგიურ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფორმებს.[6]

უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიისთვის დღესაც აქტუალურია ჩ.ბეკარიას პროგნოსტიკური შეხედულება სახელმწიფოს მხრივ დანაშაულის აღმოფხვრის პერსპექტივებზე. მისი იდეები დაკავშირებულია დასაბუთებულ ოპტიმიზმთან. „შეუძლებელია ყველა ბოროტების თავიდან აცილება“ აღნიშნავს იგი და განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო რეაგირების მეთოდებს ჩადენილი დანაშაულთან მიმართებაში. მისი იდეები დიდ გავლენას ახდენენ და დღესაც ახდენენ სისხლის სამართლის თეორიაზე და პენიტენციალური სამართლის სრულყოფაზე. კერძოდ, მათი გავლენით სხვადასხვა სისტემის მქონე ქვეყნებში გაჩნდა დანაშაულთა სოციალური პროფილაქტიკა როგორც სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება .[7]

რაც შეეხება მის ნაშრომს „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“, რამდენიმე კარი ეძღვნება დანაშაულთა თავიდან აცილების საკითხებს. სწორედ მას ეკუთვნის სიტყვები იმის შესახებ, რომ „დანაშაულის დასჯას სჯობს მისი თავიდან აცილება, ამაშია ყველაზე კარგი კანონმდებლობის მთავარი მიზანი“[8] როგორც ვხედავთ, ჩ. ბეკარია სასჯელის მიზნად მი-

4 ჟურნალი „კრიმინოლოგი“, N2, თბ., 2007,
5 წულაია ზ, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბ., 2005, გვ.62
6 შალიკაშვილი მ, „კრიმინოლოგია“, თბ., 2014, გვ34
7 წულაია ზ, „კრიმინოლოგია“, თბ., 2005, გვ.180
8 ბეკარია ჩ., „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ი. ხუცურაულის თარგმანი იტალიურიდან, თბ., 2003, გვ.197

იჩნევს დანაშაულის წინასწარ აცილებას. აქედან გამომდინარე, იგი პრევენციის თეორიის მიმდევრად ითვლება.[9]

სასჯელის მთავარ მიზნად ბეტმანი თვლის დანაშაულის წინასწარ აცდენას, მაგრამ ამავე დროს ნაწილობრივ აღიარებს სამაგიეროს მიზღვასაც.[10]

ჩ. ბეკარია ასევე, პრინციპული წინააღმდეგი იყო სასჯელის სისასტიკის, რადგან მიაჩნდა, რომ იგი შორს იყო სასურველი შედეგის მიღწევისა და „საზოგადოებრივი ხელშეკრულების ბუნებისაგან“. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „იმ დროში და იმ ქვეყნებში, სადაც იყო ყველაზე სასტიკი სასჯელი, იქ სჩადიოდნენ ყველაზე სისხლისმღვრელ და არაადამიანურ მოქმედებებს, რამეთუ იგივე მხეცური ჟინი, რომელიც აწესებდა კანონმდებლის მკაცრ სასჯელს, მართავდა მამისმკვლელისა და ყაჩაღის ხელსაც. ბეკარია თავისი მკაცრი (შეუბრალებლი) დროის პირობებში გამოვიდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რაც უდავოდ მოქალაქეობრივი სიმამაცის ტოლფასი იყო.

ასევე, მან დასვა საკითხი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შესახებ და შესთავაზა მისი ისეთი გადაწყვეტა, რომელიც დღესაც ასახულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში. „სასჯელის მიზანია – წერდა იგი არა ადამიანის გვემა და ტანჯვა და არა ის, რომ არარსებული გახადოს უკვე ჩადენილი დანაშაული... სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაშია, რომ ხელი შეუშალოს დამნაშავეს ხელახლა მიაყენოს ვნება საზოგადოებას და შეაკავოს სხვები ასეთივე ხასიათის ქმედებისგან... უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ისეთი სასჯელი, რომელიც დანაშაულთაგან თანაზომიერების შენარჩუნებასთან ერთად მოახდენს ადამიანებზე ყველაზე ძლიერ და ყველაზე ხანგრძლივ შთაბეჭდილებას და ნაკლებად მტანჯველი იქნება დამნაშავის სხეულისათვის“

დ. ზერნოვი საგანგებოდ ჩატარებული გამოკვლევათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „დამნაშავედ დაბადებული“ არ არსებობს. სწორედ მან დააყენა საკითხი დანაშაულებრივი ქცევის მიზეზობრიობისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლის აუცილებლობის შესახებ, განმარტა, რომ მიზეზი ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ჯაჭვია.

კრიმინოლოგიაში პოზიტივიზმის ფუძემდებლად ითვლება ჩ. ლომბროზო, რომელმაც გამოიკვლია პატიმართა მნიშვნელოვანი რაოდენობა მათი გარეგნობის, გაზომვისა და აღწერილობის ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენებით, შეიმუშავა დამნაშავეთა კლასიფიკაცია. თუმცა, მისი შეხედულებათა მცდარობა შემდეგში დაადასტურა არაერთმა გამოკვლევებმა, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი წვლილი კრიმინოლოგიის განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიმინოლოგიის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის გამოიყენებოდა სხვადასხვა დარგის ცოდნა. დღეისათვის კი მეცნიერებაში ყველაზე სწრაფად განვითარებად მიმართულებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ითვლება, რომლის ფარგლებში ბოლო პერიოდში დიდი მოცულობის ინფორმაციები დაგროვდა, რომლის გამოყენებას კრიმინოლოგიაც ცდილობს. შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში დაგროვილი მასალები არათუ შეავსებს იმ ვაკუუმს კრიმინოლოგიაში, რაც მხოლოდ სოციალურ მეცნიერების გამოყენების გამო არსებობდა, არამედ მნიშვნელოვან ნაწილში ჩაანაცვლებს მას.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დანაშაულობის კვლევა და ანალიზი რთული და საინტერესო პროცესია. როგორც დიურკჰემი მიიჩნევს, დანაშაული არის შესაზიზღი, შეუთავსებელი ქმედება ნორმალური საზოგადოებისათვის, თუმცა არა პათოლოგიური. ეს იყო ყველა დროის ყველა საზოგადოებაში, როგორც ბუნებრივი და გარდაუვალი სოციალური ფენომენი.[11] რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოების განვითარების კვალდაკვალ, დანაშაულობა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდამ იცვლიდა და იძენდა ახალ ფორმებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რათა დანაშაულობა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი.

9 გრძელიშვილი ი.,“ სასჯელის მიზნებ“ი, თბ., 2016, გვ. 58

10 ვაჩეიშვილი ა., „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, თბ., 2005, გვ. 37

11 ჟურნალი „კრიმინოლოგი“, N1. თბ., 2016.

## დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა ინტეგრირებული მეთოდების გამოყენებით

**ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია**

კრიმინოლოგიაში დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ სოციოლოგიური მეცნიერებები ვერ პასუხობენ თანამედროვე კრიმინოლოგიაში არსებულ გამოწვევებს. მხოლოდ მათი საშუალებით სრულყოფილად ვერ ხერხდება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

კრიმინოლოგიის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის გამოიყენებოდა სხვადასხვა დარგის ცოდნა. დღეისათვის კი მეცნიერებაში ყველაზე სწრაფად განვითარებად მიმართულებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ითვლება, რომლის ფარგლებში ბოლო პერიოდში დიდი მოცულობის ინფორმაცია დაგროვდა, რის გამოყენებას კრიმინოლოგიაც ცდილობს. შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში შექმნილი მასალები არათუ შეავსებს იმ ვაკუუმს კრიმინოლოგიაში, რომელიც მხოლოდ სოციალური მეცნიერების გამოყენების გამო არსებობდა, არამედ მნიშვნელოვნად ჩაანაცვლებს მას.

უკანასკნელ ხანებში თანამედროვე კრიმინოლოგიის ბიოლოგიურ მიმართულებაში ღრმა კვლევები ჩატარდა კრიმინალური ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ. აღნიშნული კვლევებით დადასტურდა ამ პროცესების კრიმინალურ ქცევასთან კავშირი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება და სოციალური მეცნიერებების გარდა, დანაშაულებრივი ქცევის ბიოლოგიური და ნეირობიოლოგიური მეცნიერების პოზიციიდან შესწავლა.

## Explaining the causes of crime with the integrated approaches

**Irakli Gabisonia, Jemal Gabelaia**

While searching for the causes of crime, it became obvious that social science cannot respond to the challenges of modern criminology since it cannot thoroughly fulfil the crime prevention, nor explain the causes of crime.

Due to the interdisciplinary nature of criminology, different fields of knowledge have always been used for criminology. Nowadays natural science is considered to be the fastest developing branch of science, which has lately collected a huge amount of data that criminology tries to adjust with its purposes. Therefore, the latest materials created within natural science not only will be able to fill the vacuum in criminology, caused by sole use of social science approach in criminology, but also will be able to significantly replace it.

Recently the major research projects have been held about the biological basis of crime. The researches confirmed that there is a connection between these processes and criminal behavior. Consequently, the modern tendencies must be taken into consideration and along with the social science, the criminal behavior should be studied from the point of natural science too, particularly, considering the biological and neurobiological approach.

*

## კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მართლმსაჯულების სისტემაში

*პროფესორი, დოქტორი* **დავით გუგავა,** *საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერება-თა აკადემია*

Professor, Dr **David Guga**va (Georgia), *Dean of the Law School at David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Science*

თანამედროვე საქართველოს სასამართლოს სისტემას აქვს დამოუკიდებელი ხელისუფლების ყველა აუცილებელი უფლებამოსილება და ატრიბუტი, რითაც მაქსიმალურადაა დაახლოებული კანონის უზენაესობის საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით.

ამასვე ადასტურებს ის, რომ სასამართლო ხელისუფლებამ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შეიმუშავა სასამართლო სისტემის 5-წლიანი სტრატეგია (შემდგომში – სტრატეგია) და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა არაერთი მიმართულებით, კერძოდ: ა) საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაა განსაზღრულია 2014-2020 წლებისთავის; ბ)იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სასამართლო რეფორმის სტრატეგია- 2017-2021 წლებისთვის; გ) საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციული სტრატეგია და სამთავრობო პროგრამის დოკუმენტი – „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის."

თავის მხრივ, ყველა მათგანი ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასამართლოების მოთხოვნებს, ასევე მეტნაკლებად შესაბამის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური წრეების რეკომენდაციებს, რათა სასამართლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მაქსიმალურად დაეხმაროს საქართველოს სწრაფვას, გაერთიანდეს ევროატლანტიკურ სივრცეში[1].

ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის ქვეყანაში არსებული სტრუქტურების კონსტიტუციური სისტემის[2], მათი მიზნების, თვისებებისა და არსებითი მახასიათებლების ანალიზი კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მართლმსაჯულების სისტემის თითოეული ელემენტი შეიცავს კრიმინოლოგიურ კომპონენტს.

ანუ მართლმსაჯულების ფუნქციის განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხელისუფლებასთან, რადგან საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.[3] მეტიც, სასამართლო ხელისუფლება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით, თავადვე წარმოადგენს კრიმინოლოგიური ზემოქმედების სპეციფიკურ სახელმწიფო სუბიექტს რასაც თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ მონაწილეობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც დამოუკიდებლად, ისე მართლმსაჯულების სისტემის (ფართო გაგებით) სხვა სუბიექტებთან ერთად, რითაც ზემოქმედებას ახდენს სამართლებრივი ხასიათის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე.

ზემოთქმული თავის მხრივ ცხადყოფს, რომ მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა სასამართლო სისტემის და კრიმინოლოგიის მეცნიერების ფუნქციებიდან გამომდინარეობს. მეტიც, კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება სასამართლო ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, რომ თავად გახდეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების გადაჭრისა და სოციალური წინააღმდეგობების შემცირებისათვის მნიშვნელოვან კრიმინოლოგიური დატვირთვის მატარებელი.

ამდენად, ეჭვს არ იწვევს, რომ მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური ფუნქციები სასამართლო და სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია, რადგან, როგორც სახელმწიფოს-სამართლებრივი პოლიტიკის სეგმენტი, ის სცდება კონკრეტული საქმის სამართლებრივი განხილვის ფარგლებს და საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს მარეგულირებელ ზეგავლენას.

---

1 ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" 2(54)17 გვ.7; სასამართლო სისტემის სტრატეგია http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n2.pdf

2 საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 4, მე-4 პუნქტი

3 საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 59, მე-3 პუნქტი.

შესაბამისად ამ თვალსაზრისითაც მართებულია მართლმსაჯულების პროცესში განხორციელებული საქმიანობიდან კრიმინოლოგიური მიმართულების გამოყოფა. რის გამოც მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური ფუნქციები, რადგანაც გვევლინება ინტერდისციპლინარულ კატეგორიად, სასამართლო პოლიტიკისა და განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის პოლიტიკის კიდევ უფრო სრულყოფის აუცილებლობა საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას.

მით უფრო, რომ მართლმსაჯულების განხორცილებისათვის კრიმინოლოგიური ფუნქციების შესრულება არ არის ერთადერთი, ან თუნდაც ძირითადი ფუნქცია, რადგან ხელისუფლების ამ შტოს არსებობა გულისხმობს სხვა არაერთ მიმართულებასაც, რომლებსაც აერთიანებთ საერთო დანიშნულება – დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. შესაბამისად, შესაძლებელია მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური ფუნქციების კლასიფიკაცია გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, ანუ მათი იერარქიის დადგენა, კერძოდ ძირითადი ამ მიმართებით სამეცნიერო კლასიფიკაცია კი, რომელსაც აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა გულისხმობს საქმიანობის გამიჯვნას ხუთი მიმართულებით, ანუ:

1. სასამართლო საქმის წარმოებას მისი სახეების მიხედვით; 2. კრიმინოლოგიური საქმიანობის მიხედვით; 3. კრიმინოლოგიური ზემოქმედების ობიექტის მიხედვით; 4. პროცედურული დამაგრების სახით; 5. კრიმინოლოგიური ზემოქმედების მიზნებსა და ამოცანების გამოკვეთის შესაბამისად.[4]

ეს კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი, თუმცა იძლევა ძირითად ტენდენციებზე წარმოდგენას, შესაბამისად დასაშვებია სხვა კრიტერიუმების არსებობაზე და განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე საუბარი.

ამგვარი მტკიცების საფუძველს კი ისიც იძლევა, რომ კრიმინოლოგიის პირდაპირი კავშირი სისხლის სამართალწარმოებასთან თუ ეჭვს არ იწვევდა იურიდიულ სამყაროში, დღეს უკვე სადავო არ უნდა იყოს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო წარმოება ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კრიმინოლოგიაში.

აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ სასამართლო მართლმსაჯულებას ახორციელებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის პროცესშიც, რა დროსაც სასამართლო ხელისუფლება, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალით და თვით ამ აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში ვრცელდება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებზე. მეტიც, ხსენებული სუბიექტების საქმიანობას ეძლევა სათანადო სამართლებრივი და კრიმინოლოგიური შეფასება, დგინდება სამართალდარღვევის მიზეზები და პირობები ასევე ვლინდება ლატენტური დანაშაული.

ამდენად, თითქოსდა სასამართლო ხელისუფლებას მეტი ბერკეტი აქვს საიმისოდ, რომ ზემოქმედება მოახდინოს ჩამოთვლილ სუბიექტებზე, მათ შორის სახელმწიფოსა და შესაბამის თანამდებობის პირებზე, თუმცა არსებული რეალობა საწინააღმდეგოზე მეტყველებს, რადგან, როგორც მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური ასპექტების შესწავლამ ცხადყო, უმეტეს სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოშიც, სასამართლო ხელისუფლება ყოველთვის ემსახურებოდა მმართველი კლასის ინტერესებს და მასზე დამოკიდებული იყო.[5]

შესაბამისად, აშკარაა, რომ სასამართლო პრაქტიკა კრიმინოლოგიისგან განსხვავებით[6] მიზნად ისახავდა/ისახავს გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაცვასა და გაძლიერებას. ამასთან, თანამედროვე და საბჭოთა პერიოდის საქართველოს სინამდვილეში იკვეთება ურთიერთკავშირი მართლმსაჯულებასა და სახელმწიფოს შიდა სოციალურ პოლიტიკას შორის, რამაც უკუეფექტი გამოიწვია და რის დადასტურებაცაა ის, რომ 2014 წელს განხორციელებული კვლევების შედეგებით სასამართლოებისა და მოსამართლების მიმართ

4 Кадолко Константин Антонович. Криминологические функции правосудия, осуществляемого судами общей юрисдикции Российской Федерации : диссертация ... кандидата юридических наук : 12.00.08 / Кадолко Константин Антонович; [Место защиты: Рос. правовая акад. М-ва юстиции РФ]. – Москва., 2008. _ 213 с. РГБ ОД, 61:08-12/238

5 მთავრობა და პროკურორები კვლავაც ახდენენ გავლენას მოსამართლეებზე გვ.10, დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საქართველოში, 2014,http://ewmi-prolog.org/images/files/2694JILEPCRRCFinalReport_2014_Geo.pdf

6 კრიმინოლოგია და ზნეობაც სამართლისგან განსხვავებით დეპოლიტიზირებულია და გაბატონებული სოციალური ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავენ, პირიქით ისინი ზეპოლიტიკური ხასიათის ზოგად საზოგადოებრივი ინტერესების მატარებლები არიან. მალხაზ ბაძაღუა „პროფესიული ეთიკის საფუძვლები", თბ., 2018, გვ. 41

დაბალი ნდობის მაჩვენებელი გამოიკვეთა.[7]

ზემოთქმული ცხადია ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ არაფერი გაკეთებულა ან/და არაფერი კეთდება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, რადგან ეროვნული სასამართლოს საქმიანობაში იყო და არის ნათელი ფურცლებიც, როცა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა არსებითად წარმოჩინდა. ძირითადად კი ეს ეხება სასამართლო ხელისუფლების რეფორმის საწყის და შემდგომ პერიოდებსაც, თუმცა მათ მაინც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და ის მოლოდინი, რაც საზოგადოებას ჰქონდა და აქვს ამ მიმართებით, დღემდე არ განხორციელებულა.

არსებული მდგომარეობა მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული, მაგრამ მათ შორის უმთავრესი ისაა, რომ მართლმსაჯულების განმხორციელებელმა სუბიექტებმა ფაქტობრივად უარი თქვეს კრიმინოლოგიური ფუნქციის განხორციელებაზე, რაც ზოგადად უნდა დაფუძნებოდა კანონიერების რეჟიმის ფორმირებას, საზოგადოების ზნეობასა და მორალს, ასევე საზოგადოებრივ ყოფასა და სამართლის მეცნიერების მიღწევების ურთიერთშეხამებას.

ამის აუცილებლობას თავის მხრივ ადასტურებს ისიც, რომ მართლმსაჯულების სისტემის კრიმინოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისას აშკარად იკვეთება მოსამართლის პიროვნების მნიშვნელობა და მისი მორალურ-ზნეობრივი მახასიათებლები, ხოლო ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობა მართლმსაჯულების მიმართ უნდობლობისა და უპატივცემულობას იწვევს, რაც განსაკუთრებით წარმოჩინდა ბოლო პერიოდში და ხაზს უსვამს მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი, მთავარი სუბიექტის კრიმინოლოგიურად არამდგრად პოზიციას მართლმსაჯულების პროცესში. არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს მოსამართლეთა შერჩევის ის წესი, რაც მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების უმრავლესობისათვის, რადგან ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ საქართველოში მოსამართლედ პიროვნების შერჩევას უდიდესი როლი ენიჭებოდა.

ზემოთქმული კი იძლევა იმის თქმის საფუძველსაც, რომ სამოსამართლო ეთიკა, მორალი, მოსამართლეთა და მართლმსაჯულების აპარატის თითოეული ინდივიდის მორალური და პროფესიული თვისებები არსებით კრიმინოლოგიურ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემაში.

ამდენად, საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესშია. რის გამოც ინტენსიური რეფორმების ფონზე არაერთი მიმართულება განიცდის ცვლილებას.

აღნიშნული კი ადასტურებს იმასაც, რომ მართლმსაჯულებაში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების პარალელურად მნიშვნელოვანია, არსებული ვითარების გაანალიზება, რათა განისაზღვროს რეფორმის მასშტაბები და გამოიკვეთოს სამომავლო მიმართულებები.[8]

ამ საქმეში უდავოდ დადებითი მოვლენა იქნება პრაქტიკის შემდგომი კვლევა და შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულებაში კრიმინოლოგიის ფუნქციის ამოცანების და მიზნების გათვალისწინებით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

ყოველივე ეს კი ქართულ მართლმსაჯულებას აიყვანს ახალ სიმაღლეზე. შესაბამისად, სასამართლო სამართალწარმოება, მართლმსაჯულება მთლიანობაში უეჭველად უნდა იყოს კრიმინოლოგიის მეცნიერების მუდმივი შესწავლის და კვლევის ქვეშ.

ამასვე ცხადყოფს 2019 წლის 11 აპრილს იუსტიციის მინისტრის ორგანიზებით გამართული ექსპერტთა საერთაშორისო ქსელის წევრის, „Amicus Curiae“-ს ალმასრულებელი და სამართლის უმაღლესი კვლევების ინსტიტუტის პროგრამის დირექტორის, ფრანგი მეცნიერისა და მკვლევარის ჰაროლდ ეპინეზის მიერ 2013-2017 წლებში განხორციელებული ქართული მართლმსაჯულების რეფორმების კვლევის შედეგების პრეზენტაცია.[9]

კერძოდ, პრეზენტაციაზე იუსტიციის მინისტრის მიერ აღინიშნა, რომ ხსენებული ინსტი-

7 ქართველებს კვლავაც დაბალი ნდობა აქვთ სასამართლოების, მოსამართლეების და პროკურორების მიმართ, გვ 5. „დამოკიდებულება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საქართველოში“, http://ewmi-prolog.org/images/files/2694JILEPCRRCFinalReport_2014_Geo.pdf

8 მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში. http://www.coalition.ge/index.php?article_id=55&clang=0

9 http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7881

ტუტი ქმედით დახმარებას უწევს საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს. ამგვარი პრაქტიკა საქართველოშიც წარმატებით ხორციელდებოდა წინა წლებში თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეშვეობით.

შესაბამისად, მისასალმებელია იუსტიციის მინისტრის ინიციატივა სამეცნიერო წრეები ჩაერთოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების კვლევის და დაგეგმილი რეფორმების შემუშავება-განხორციელების საკითხებში, რამდენადაც კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციები არსებით როლს შეასრულებს რეფორმების წარმატებულად განხორციელების საქმეში. მით უფრო, რომ საფრანგეთის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, ხელისუფლების ორგანოები თუ როგორ აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ სპეციალურ კრიმინოლოგიურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა მაგალითად, სასწავლო-მეთოდური და კვლევითი, თუ ანალიტიკური ცენტრები, რომლებსაც ეხება კრიმინოლოგიური ფუნქციების წარმოჩენა და ამასთან, გააჩნიათ ბეჭდური გამოცემა.

ყურადსაღებია ისიც, რომ კრიმინოლოგიური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გარდა, ხსენებული ორგანო ასრულებს აღმასრულებელი შტოს, განსაკუთრებით სამართალდამცავების საქმიანობის ანალიზის, ასევე მასმედიაში გავრცელებული მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციის მცდელობების, კრიმინოლოგიური საქმიანობის მონიტორინგსა და შესაბამის სამეცნიერო მხარდაჭერას.

ზემოხსენებული პრობლემატიკიდან გამომდინარე კი ვფიქრობთ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია და მასში გაწევრიანებული მეცნიერები უფრო აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული მართლმსაჯულების სისტემის მიერ განხორციელებული აქტივობების მეცნიერულ დამუშავებაში.

მით უფრო, რომ სწორედ ამ აკადემიის წევრების მიერ იქმნება ის სახელმძღვანელოები, რომლითაც დღეს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში წარიმართება ახალი თაობების აღზრდა-განათლება.

ვფიქრობთ, რომ დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია გაფორმდეს სათანადო მემორანდუმები საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოში მართლმსაჯულების (ფართო გაგებით)[10] განმახორციელებელ სუბიექტებთან (უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქალაქო სასამართლო, იუსტიციის საბჭო, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სახალხო დამცველი, ადვოკატთა ასოციაცია და ა.შ.) რის საფუძველზეც აკადემიის მკვლევარებს დაუბრკოლებლად ექნებათ წვდომა საკვლევ პრობლემატიკასთან, ხოლო ქართულ სინამდვილეში მეცნიერულად დამუშავებული რეკომენდაციები შეიტანენ თავის წვლილს ქართული მართლმსაჯულების სისტემის აღმშენებლობის საქმეში.

## კრიმინოლოგიის მნიშვნელობა მართლმსაჯულების სისტემაში

**დავით გუგავა**

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე საქართველოს სასამართლო სისტემაზე, რომელიც მაქსიმალურადაა დაახლოვებული კანონის უზენაესობის საერთაშორისო სტანდარტებთან. ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის სტრუქტურების კონსტიტუციური სისტემა, მათი მიზნების, თვისებებისა და არსებითი მახასიათებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მართლმსაჯულების სისტემის თითოეული ელემენტი შეიცავს კრიმინოლოგიურ კომპონენტს. სასამართლო ხელისუფლება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით თავადვე წარმოადგენს კრიმინოლოგიური ზემოქმედების სპეციფიკურ სახელმწიფო სუბიექტს. ამას ცხადყოფს თუნდაც ის გარემოება, რომ იგი მონაწილეობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში როგორც დამოუკიდებლად, ისე მართლმსაჯულების სისტემის (ფართო გაგებით) სხვა სუბიექტებთან

10 ფალიაშვილი ა. , „საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები“ ,თბ., 2001, გვ. 5,7.

ერთად და ამგვარად ზემოქმედებას ახდენს სამართლებრივი ხასიათის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე. ზემოთქმული თავის მხრივ ცხადყოფს, რომ მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური მნიშვნელობა სასამართლო სისტემისა და კრიმინოლოგიის მეცნიერების ფუნქციებიდან გამომდინარეობს.

ნაშრომში განხილულია მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური ფუნქციები, რაც სასამართლო და სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილია. საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესშია და არაერთი მიმართულება განიცდის ცვლილებას. ამ საქმეში უდავოდ დადებითი მოვლენა იქნება პრაქტიკის შემდგომი კვლევა და შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულებაში კრიმინოლოგიის ფუნქციის, ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას.

## The importance of criminology in the system of justice

**David Gugava**

The work focuses on modern system of justice of Georgia, which is closely related to the international norms and standards for the rule of law. When considering the constitutional separation of powers between the branches of government, and analyzing the goals, qualities, and essential characteristics of each, it can be concluded that every element of the system of justice has a criminal component. The judicial branch, which has the appropriate power, is a specific state subject under the impact of crime on its own. This is revealed by the fact that it fights against crime both independently and as a part of the system of justice (in the broad sense of the term), thereby effecting the legal antisocial action. All this proves that the meaning of criminal justice is derived from the functions of the judicial system and criminology.

The paper deals with the criminological functions of justice, which is the part of the judicial system and criminal justice policy. The Georgian system of justice is in the process of significant transformation while many directions keep changing at the moment. Further study and research of the system of justice will positively affect the process of current development, and make effective recommendations through considering the function, tasks and purposes of criminology in justice.

*

## საკუთრების კრიმინოლოგიური ასპექტები

პროფესორი, დოქტორი **თემურ ბერიძე,** *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Teimuraz Beridze** (Georgia), *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

საკუთრება, ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის იპყრობდა ადამიანთა გონებას და განსაზღვრავდა მათ ქმედებებს საუკუნეების განმავლობაში (უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების ანალიზი კატეგორიის დონეზე დაიწყო ჯერ კიდევ XVII საუკუნეში (ფრანსუა კენე, ვ. დე მირაბო, ჟან ბატისტ ტიურგო). უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრება როგორც კატეგორია არის ინტერდისციპლინური – ეკონომიკისა და სამართლის ზღვარზე, ანუ სოციალური ფენომენი. რა კავშირშია ის კრიმინოლოგიასთან? აქ, ჩვენის აზრით, წინა პლანზე გამოდის დანაშაულის პრევენციის პრობლემა. ანუ საზოგადოების მზადყოფნა.

დანაშაული, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული არის გარემოებათა შედეგი, როგორც ეკონომისტმა, ბუნებრივია, წინა პლანზე უნდა წამოვწიო მატერიალური ფაქტორი – წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება, ისმის კითხვა? ეს ოთხივე კომპონენტი რა მდგომარეობაში არის დღეს საქართველოში?

პირველი, წარმოება – მაქსიმუმ ეს არის ქვეყნის პროდუქტები (აქვე ვიტყვი იმპორტში 80 პროცენტი უცხოური პროდუქციაა). თქვენ შეიძლება შემედავოთ, იმპორტი მოხმარებაა და ზრდის მთლიან შიდა პროდუქტს, მაგრამ იმპორტი მუშაობს უცხო ქვეყანაზე პირველ რიგში, ვინაიდან ხდება მისი წარმოებული პროდუქცის გასაღება და მოთხოვნის შექმნა.

მეორე კომპონენტი – წარმოებული პროდუქციის განაწილება, აი, აქ უკვე საჭიროა სახელმწიფოს მთელი ინსტიტუციების ამუშავება (სააკანონმდებლო, მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლება).

მესამე კომპონენტი – გაცვლა, საფინანსო ინსტიტუტები, უპირველეს ყოვლისა საბანკო სისტემა, რაც მეტ-ნაკლებად წარმატებული არის საქართველოში, თუმცა ის დამოკიდებულია მსოფლიოს სარეზერვო ვალუტაზე და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე.

მეოთხე კომპონენტი – მოხმარება, აი, ეს კი არის დამოკიდებული მოსახლეობის შემოსავლების ოდენობაზე. როგორია საშუალო ფენა? როგორია სამომხმარებლო კალათა? რომელიც არის ცხოვრების ხარისხის საზომი.

რაში მდგომარეობს განსხვავება საკუთრების მიმართ ამ ორი სოციალური მეცნიერებისაგან? რაში მდგომარეობს საკუთრების ანალიზის სპეციფიკა? სამართლის, იურიდიული მეცნიერების კუთხით – ეს ნიშნავს ვის რა ეკუთვნის (გაფორმებული ლეგალურად, აქტით). გამოიყენება შემდეგი კონსტრუქციაც – „მითვისება-ფლობა-განკარგვა-გამოყენება“, რომელიც უფრო იურიდიულ დატვირთვას ატარებს. ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით – საკუთრება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ურთიერთობებს, რომლის შედეგად იქმნება მატერიალური დოვლათი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შემოსავალი. სხვა სიტყვებით საკუთრება თავისი ფუნქციონირების პროცესში უნდა აწარმოებდეს მატერიალურ დოვლათს და მოჰქონდეს შემოსავალი.

საკუთრების მნიშვნელოვანი ასპექტია მისი „მრავალფეროვნება“. ეგრეთწოდებული „გარდაქმნების“ გარიჟრაჟზე (გასული საუკუნის 90-იანი წლები) ეს ფორმულა საკმაოდ პოპულარული იყო და ამავე დროს განყენებული, ვინაიდან: საკუთრების ყველა ფორმები მიჩნეული იყო თანასწორუფლებიანად და ეს ითვლებოდა ლამის თეორიული ეკონომიკური აზრის მიღწევად. საკუთრებითი ურთიერთობების განვითარების ლოგიკა კი გვკარნახობს – დომინირებადი შეიძლება იყოს საკუთრების მხოლოდ ერთი ფორმა (კაპიტალიზმის დროს – კერძო საკუთრება, მისი სხვადასხვა ფორმით – სააქციო, ჯგუფური, ინდივიდუალური; სოციალიზმის დროს – საერთო-სახალხო საკუთრება, რომელიც ვლინდება სახელმწიფო საკუთრებაში. ეკონომიკური პოლიტიკის გატარება უნდა ეყრდნობოდეს საკუთრების დომინირებად ფორმას.

საკუთრების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მისი კავშირი წარმოების ეფექტიანო-

ბასთან. საკუთრების არც ერთ ფორმას ავტომატურად არ მივყავართ ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდასთან. პოსტსაბჭოური პრივატიზაციის შედეგებმა ამაში ნათლად დაგვარწმუნა. აუცილებელია, შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა, (ფორმალური და არაფორმალური), რომლებიც ხელს შეუწყობენ საკუთრების ამა თუ იმ ფორმის პოტენციალის რეალიზებას.

უნდა ითქვას, რომ საკუთრების ეკონომიკური ასპექტი ახლოს არის ფინანსირების ისლამურ პრინციპებთან – ბაზრებზე არ არის ობლიგაციები, არამედ არის აქციები, მართვაში მონაწილეობის სერტიფიკატები, ერთობლივი ფონდების წილები – შემოსავლის გაცემა, როგორც მოგების წილი, მიჩნეულია ფინანსირების მთავარ პრინციპად. ვინაიდან პრიმატი არის საკუთრების ეკონომიკური პრინციპი. წინა პლანზე გამოდის საკუთრების მმართველობის ასპექტი, ვიდრე ვალდებულებები მესაკუთრის წინაშე.

მინდა ჩემი მოსაზრებები დავამთავრო ერთი მოკრძალებული აზრით – უნდა მივაღწიოთ ისეთ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ეკონომიკურ, საკუთრებით დანაშაულს.

## საკუთრების კრიმინოლოგიური ასპექტები

**თეიმურაზ ბერიძე**

საკუთრება, ქონებრივი ურთიერთობები ყოველთვის იპყრობდა ადამიანთა გონებას და განსაზღვრავდა მათ ქმედებებს საუკუნეების განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის საკუთრება არსობრივად და შინაარსობრივად სოციალური კატეგორიის მხრივ არის ინტერდისციპლინარული და წარმოადგენს ეკონომიკური, სამართლებრივი და კრიმინოლოგიური მეცნიერებების კვლევის საგანს.

რა არის ამ კატეგორიის მიდგომებში ანალიზობრივი სხვაობა აღნიშნულ სოციალურ მეცნიერებებში? რა არის საკუთრების ანალიზის ზოგადი სპეციფიკურობა? სამართლის მეცნიერების შეხედულებით, საკუთრება პირველ რიგში ნიშნავს კონკრეტული სუბიექტის მიერ კონკრეტული საგნის ფლობას, რომელიც რეგულირდება სამართლებრივი დოკუმენტით-აქტით. ასევე „საკუთარ მფლობელობაში მოქცევა–ფლობა–განკარგვა–გამოყენება“-ის კონსტრუქცია გამოიყენება და აქვს უფრო მეტი სამართლებრივი დატვირთვა. ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით, საკუთრება ძირითადად წარმოადგენს ურთიერთობას, რის შედეგადაც შექმნილია მატერიალური სიმდიდრე, რამაც შემოსავალი უნდა მოიტანოს.

საკუთრების ეკონომიკური ასპექტი უფრო ახლოს არის ფინანსირების ისლამურ პრინციპებთან, რადგან ის აღიარებს მის პრივილეგიას იურიდიულ ასპექტთან მიმართებაში. საკუთრების მმართველობითი ასპექტი უფრო წინა პლანზეა წამოწეული, ვიდრე დავალიანების ვალდებულებები მფლობელის მიმართ.

## Criminological aspects of property

**Teimuraz Beridze**

Property or property relations have always occupied the minds of people and determined their actions for centuries. It should be noted that this category of property, as the essence and content of social categories, is interdisciplinary and represents the subject of economic and legal sciences.

What is the difference in the approaches to the analysis of this category by these two social sciences? What is the general specificity of the analysis of property? First of all, property means the ownership

of an object by a particular subject from the point of view of jurisprudence, and thus, regulated with a legal document (act). The structure of ~appropriation-possession-disposal-use" is also used and carries far more legal weight. From the point of economics as the social science, ownership, generally, means a relationship, resulting in the material welfare, which concentrates on providing income.

The economic aspect of the property is much closer to the Islamic principles of financing since it recognizes its superiority over the legal aspect. The property management comes before loan liabilities towards the owner.

*

# ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები

*პროფესორი,* *დოქტორი* **გივი ლობჟანიძე,** *გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი*

Professor, Dr **Givi Lobjanidze** (Georgia), *Guram Tavartkiladze University*

დღეისათვის მსოფლიო ხალხთა წინაშე მდგომ გადასაჭრელ მწვავე პრობლემათა შორის გამოირჩევა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა. იგი უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, რომელიც არღვევს არამარტო ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, არამედ ძირს უთხრის სახელმწიფოსა და საზოგადოების საფუძვლებს, საფრთხეს უქმნის მსოფლიო ქვეყნების თანაარსებობას.

ფაქტია, რომ თანამედროვე პირობებში ორგანიზებულ დამნაშავეობას საზღვრები არ გააჩნია და არ რჩება ერთი და იმავე სახელმწიფოს სივრცეში. დროთა განმავლობაში იგი გარდაუვლად იძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს და არსებითად წარმოადგენს მსოფლიო ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პროცესის თანმხლებ მოვლენას, რომელიც სულ უფრო და უფრო ღიად ემუქრება არამარტო ცალკეული სახელმწიფოების ნაციონალურ, არამედ კაცობრიობის უსაფრთხოებას მთლიანად.[1]

ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის პროფესორ ლ. შელის აზრით, ტრანსნაციონალური დამნაშავეობა XXI საუკუნის პოლიტიკოსებისათვის ისეთივე პრობლემად იქცა, როგორც მაგალითად, გასული საუკუნისათვის ცივი ომი და კოლონიალიზმი XIX საუკუნისათვის.[2]

სამართალდამცავი ორგანოებისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს კარგად ორგანიზებულ და აღჭურვილ ტრანსნაციონალურ კრიმინალურ დაჯგუფებებში შეღწევა, რომელთათვისაც უცხო არ არის ძალადობა, მოსყიდვა და მოქმედებენ სივრცეში, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში შედის.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის საშიში ხასიათის აღქმას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. გაერო ამ პრობლემას პირველად მეხუთე კონგრესზე შეეხო (ჟენევა, 1975 წ.), სადაც აღიარებულ იქნა, რომ ორგანიზებული დამნაშავეობა საერთაშორისო „ბიზნესისათვის უფრო სერიოზული მუქარაა, ვიდრე სხვა დანაშაულებრივი ქცევის ტრადიციული ფორმები”. შემდგომში ამ პრობლემას მიუბრუნდა მეექვსე კონგრესი (კარაკასი, 1980 წ.). გარდა ამისა, საკითხს სამართალდარღვევისა და სამართალდამრღვევთა შესახებ იხილავდნენ მეშვიდე კონგრესზე (მილანი, 1985 წ.), რომელზეც ხაზი გაესვა, რომ ორგანიზებული დამნაშავეობა, რომელიც წარმატებით იყენებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, მნიშვნელოვანწილად წამახალისებელ მომენტად რჩება და მისი უარყოფითი ზემოქმედება გაძლიერდება, თუ არ იქნებოდა მიღებული ადეკვატური ზომები.

მერვე კონგრესზე (ჰავანა, 1990 წ.) აღინიშნა: „ორგანიზებული დამნაშავეობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ნაციონალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობას, წარმოადგენს ფრონტალურ შეტევას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელისუფლებაზე, აგრეთვე საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას. იგი არღვევს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას, ახდენს მათ კომპრომეტირებას, რასაც შედეგად მოჰყვება ნდობის დაკარგვა დემოკრატიული პროცესებისადმი, სპობს განვითარების ტენდენციებს და ნულზე დაჰყავს მიღწეული შედეგები. მსხვერპლის მდგომარეობაში აყენებს მთელი ქვეყნის მოსახლეობას, ახდენს ადამიანურობის და ჰუმანურობის დევალვაციას. იგი აკაბალებს საზოგადოების მთელ ფენებს და ითრევს მათ სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციებში“.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია – „ორგანიზებული დამნაშავეობის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. აგრეთვე დოკუმენტი „სახელმძღვანელო პრინციპები ორგანიზებული დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათ-

---

1 ლობჟანიძე დ, ლობჟანიძე გ, „ მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები“, თბ., 2007, გვ. 22

2 Shelly L, „Eradicating crime groups//foreign Service Journal“ – 1997, sept., p. 19

ვის“, რაც მხარდაჭერილ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 45/123 რეზოლუციით, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინისტრების დონეზე ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციას ორგანიზებული ტრანსნაციონალური დამნაშავეობის საკითხებზე (იტალია, ნეაპოლი, 1994 წ. 21-23 ნოემბერი). კონფერენციაზე ერთსულოვნად იქნა მიღებული ნეაპოლის პოლიტიკური დეკლარაცია და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური გეგმა, რომელიც მოწონებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ. 49/159 რეზოლუციაში, რომელმაც სახელმწიფოებს მოუწოდა ცხოვრებაში მათი დაუყოვნებლივ განხორციელებისაკენ. პოლიტიკურ დეკლარაციაში გამოხატულია მზადყოფნა, დაცულ იქნან სახელმწიფოები ორგანიზებული დამნაშავეობისაგან ყველა ფორმით – მკაცრი, ეფექტური, საკანონმდებლო ღონისძიებებით და ოპერატიული საშუალებებით. მოქმედებათა გლობალურ გეგმაში მონაწილეებმა განსაზღვრეს ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ორგანიზებული ტრანსნაციონალური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პირველ შემაჯამებელ კოდიფიცირებულ საერთაშორისო აქტად ითვლება გაეროს კონვენცია. რომლის გარდა, ხელმოწერილ იქნა მისთვის თანდართული სამი ოქმი; ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ, მიგრანტების უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ხმელეთით, ზღვითა და საჰაერო გზით, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, მისი შემადგენელი ნაწილების, კომპონენტებისა და საბრძოლო მასალების უკანონო დამზადების და გავრცელების წინააღმდეგ.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთის მხრივ, ხშირად გამოდის ტრადიციული საზღვრებიდან და იჭრება ეკონომიკის, პოლიტიკის, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთ სფეროებში, რომელთა კრიმინალიზაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, და, მეორე მხრივ, აღწევს მსოფლიო ჩრდილოვან საფინანსო სივრცეში. ასეთ პირობებში მცირე კრიმინალურ დაჯგუფებათა ნაცვლად თანდათანობით ჩნდება პროფესიული ორგანიზებული ჯგუფები და დანაშაულებრივი თანასაზოგადოებები, რომლებიც ფლობენ რეგიონთაშორის და სახელმწიფოთაშორის კავშირებს, ლეგალიზაციისა და გასაღების არხებს, მოქმედებენ ორგანიზებულად და შეთანხმებულად, რის შედეგადაც იზრდება მიყენებული ზიანის მასშტაბები.

სახელმწიფოთა თანამშრომლობას საერთაშორისო ტრანსნაციონალურ დამნაშავეობასთან ახლავს ობიექტური სირთულეები. იგულისხმება, გარკვეულწილად, ნაციონალური სასამართლო იურისდიქციის შეზღუდული შესაძლებლობები, ასეთი დანაშაულების მიმართ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობანი ტრანსნაციონალური ორგანიზებული ჯგუფების გამოვლენისა და საქმეების გამოძიებისათვის აუცილებელი საშუალებების არარსებობა და ა.შ.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება ეროვნულ კანონმდებლობებსა და საერთაშორისო ნორმებს შორის განსხვავებული მიდგომები, ზოგიერთი ქვეყნის კანონები მკაცრია ორგანიზებული დამნაშავეობის მიმართ (მაგ. საქართველო კანონიერი ქურდის ინსტიტუტის მიმართ). ზოგიერთი ქვეყანა ამ სახის დანაშაულის მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენს (მაგ. ევროპის სახელმწიფოები). ამიტომაცაა ქურდული ტრადიციების მატარებელი პირების შემაწუხებელი ემიგრაცია დასავლეთის სახელმწიფოებში.[3]

ამგვარად, ბრძოლა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან უნდა იყოს კომპლექსური, ორიენტირებული მის აღკვეთაზე არა მარტო სისხლის სამართლებრივი ზემოქმედებით, არამედ დანაშაულებრივი უკანონო შემოსავლების ძირითადი წყაროების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების საშუალებით, საერთაშორისო კავშირების ნეიტრალიზაციით, აგრეთვე სახელმწიფოში და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალსახა დამოკიდებულების ჩამოყალიბებით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ნაციონალური პრაქტიკის მიერ შემუშავებულია საკმაოდ ეფექტური მიმართულებები და მექანიზმები ტრანსნაციო-

3 ლობჟანიძე გ., „ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება“, თბ., 2010, გვ. 17

ნალური და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებთან ბრძოლისა, მიგვაჩნია არასაკმარისად მსოფლიო პროცესების და საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ფონზე და საჭიროა სახელმწიფოთა საქმიანობის მუდმივი კორექტირება, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

## ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური ასპექტები

**გივი ლობჟანიძე**

ნაშრომში განხილულია დღეისათვის მსოფლიო ხალხთა წინაშე მდგომ გადასაჭრელ მწვავე პრობლემათა შორის გამორჩეული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა, რომელიც არღვევს არამარტო ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, არამედ ძირს უთხრის სახელმწიფოსა და საზოგადოების საფუძვლებს, საფრთხეს უქმნის მსოფლიო ქვეყნების თანაარსებობას.

ნაშრომში დახასიათებულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის მნიშვნელოვანი თავისებურებანი. საკითხი ერთის მხრივ, ხშირად გამოდის ტრადიციული საზღვრებიდან და იჭრება ეკონომიკის, პოლიტიკის, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთ სფეროებში, რომელთა კრიმინალიზაცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, და, მეორე მხრივ, აღწევს მსოფლიო ჩრდილოვან საფინანსო სივრცეში.

ნაშრომში წარმოჩენილია კრიმინოლოგიური, ისტორიული, სამართლებრივი საკითხები, ეროვნულ კანონმდებლობებსა და საერთაშორისო ნორმებს შორის განსხვავებული მიდგომები, საერათაშორისო თანამშრომლობის პრობლემატიკა და შემოთავაზებულია მათი დაძლევის გზები.

## Criminological aspects of transnational organized crime

**Givi Lobjanidze**

The work researches transnational organized crime (TOC), which is one of the most important and urgent problems faced by the different nations of the world. It negatively influences every aspect of the social life as well as social and economic institutions of each country. Furthermore, it does not only damage the basis of state and society, but also endangers the coexistence of the world countries.

The work characterizes the important peculiarities of transnational organized crime. On the one hand, TOC often breaks the traditional frames and embraces such spheres as economy, politics, diplomacy and international relations, criminalization of which could seriously harm the international stability and security. On the other hand, it gains access to the global shadow banking system.

The research enlightens about the criminological, historical and legal issues. Also, it shows differences between national legislation and international norms. Finally, the work discusses the problems of collaboration, and suggests practical ways to overcome them.

*

# კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში

*პროფესორი, დოქტორი* **გივი აბაშიძე,** *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

Professor, Dr **Givi Abashidze** (Georgia), *Batumi Shota Rustaveli State University*

კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახლავთ დანაშაულის თავიდან აცილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების გატარება. კრიმინოლოგია (crimen – ლათინურად დანაშაულს, ხოლო ლოგოს-ბერძნულად სწავლებას ნიშნავს) არის მოძღვრება დანაშაულის შესახებ. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება იკვლევს დანაშაულობას-ურთულეს სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას. კრიმინოლოგია საზღვარგარეთის ქვეყნებში სხვადასხვა მეცნიერების შემადგენლობაში განიხილება. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში -ევროპისა და აზიის ქვეყნებში, პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში სისხლის სამართლის წიაღში წარმოშობილ დანაშაულობის სოციალურ, სამართლებრივი მოვლენების შემსწავლელ, კომპლექსურ მეცნიერებად განიხილება[1].

ამჟამად, სამართლის მეცნიერების ამ მნიშვნელოვან დარგს – კრიმინოლოგიას ჩვენს ქვეყანაში სხვა მეცნიერებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

საქართველოში კრიმინოლოგიური მეცნიერების განვითარებამ რთული გზა განვლო. ქართული კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს გააჩნია თავისი საგანი- დანაშაულობა და მიზანი – დანაშაულობის კონტროლი[2].

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიმინოლოგიური პოლიტიკის მიმართულებას, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ ამოცანებს.

დანაშაულობა-იურიდიულად განმარტებულია, როგორც ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საშიშ სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას, ხასიათდება გარკვეული რაოდენობრივი და თვისობრივი კანონზომიერებებით[3].

დანაშაულობა ზოგადად ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივ ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას, ხელყოფს საზოგადოებრივ ინტერესებს.

კრიმინოლოგია დამნაშავეობას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, სოციალურ და სამართლებრივ მოვლენას, რომელიც საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. დამნაშავეობის შედეგები უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეთიკურსა და ესთეთიკურ ინტერესებზე. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს დამნაშავეობის პრობლემა კრიმინოლოგიური კვლევის განსაკუთრებულ საგანს.

იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით განსაზღვრავს ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ძირითად მიმართულებებს, მთავარ პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აყალიბებს შესაბამის ნორმატიულ სამართლებრივ ბაზას, უზრუნველყოფს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის რეალიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, კონტროლსა და კოორდინაციას ქვეყნის მასშტაბით, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგის, დამნაშავეობასთან ბრძოლაში მისი მიღწევების გამოყენების გარეშე.

კრიმინოლოგიის განვითარების აუცილებლობა ნაკარნახევია სწორედ დამნაშავეობის

1 ბაძაღუა მ., „ქართული კრიმინოლოგიისა და მისი ტერმინების ევოლუცია" ჟურნალი „იურისტი", N 1, 2016, გვ.76

2 გაბუნია მ., ძამუკაშვილი შ., „დანაშაულობა და დანაშაულობის კონტროლი საქართველოში". ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო", N4, 2016 გვ. 212

3 შუშანაშვილი ა., „იურიდიული ლექსიკონი",თბ., 2000 გვ.79

პრობლემების არსებობით. დამნაშავეობის ყოველმხრივი და ღრმა შესწავლა კრიმინოლოგიის გარეშე ვერ განხორციელდება.

კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. კრიმინოლოგიური კვლევები და მათი ანალიზი ერთაგვარი საფუძველია ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაზღვრაში[4].

საქართველოში დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის პრობლემატური საკითხების სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტის საქმეში კრიმინოლოგიას განსაკუთრებული როლი და დანიშნულება აქვს, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინოლოგიის, როგორც სამართლის მეცნიერების დარგის მნიშვნელოვანი მიმართულებაა დანაშაულთა მიზეზების აღმოფხვრა, მოქალაქეთა შეკავება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისაგან.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სასჯელის მეშვეობით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში მთავარია იმ კონკრეტული მიზეზების და ხელისშემწყობი პირობების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა, რაც ზოგადად ხელს უწყობს ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობას.

მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ დამნაშავეობის წარმოშობის მიზეზებს და ამ პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრიმინოლოგიის მეცნიერებამ, რომელმაც დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობაში არსებული მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად, შექმნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგნოზირების ერთიანი სისტემა, რომლის მეშვეობით ხდება ყველა დანაშაულის და ნებისმიერი ნორმიდან გადახრილი ქცევის ღრმა ანალიზი და გამოკვლევა, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ამასთან, კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების მხრიდან უნდა მოხდეს შესაბამისი მეცნიერული კომპლექსური ბაზის შექმნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ამ მხრივ უპირველესად საჭიროა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დანაშაულობის გამომწვევი ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონდებლო თუ სხვა სახის ფაქტორების შესწავლა, მათი ანალიზი და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, დანაშაულის თავიდან აცილება.

დანაშაულებათა თავიდან აცილება კრიმინოლოგიური მეცნიერების მთავარი თეორიული და პრაქტიკული მიზანია. დამნაშავეობის თავიდან აცილება კრიმინოლოგიის საგნის დამოუკიდებელ ელემენტად გვევლინება.

დამნაშავეობის მოვლენათა შესწავლა, პროგნოზირება, მისი მიზეზების, პირობების, ფაქტორებისა და გარემოებების გამოვლენა, დამნაშავე პიროვნებათა თავისებურებათა შეცნობა და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმები – ყველაფერი ამით კრიმინოლოგია ქმნის დამნაშავეობის თავიდან აცილების საქმეში მეცნიერულად დასაბუთებულ ბაზას, რომლის საფუძველია კრიმინოლოგიური თეორია და მისი შესაბამისი კრიმინოლოგიური პრაქტიკა.

აღნიშნულ შემთხვევაში საუბარია დამნაშავეობის თავიდან აცილების მეცნიერული კრიმინოლოგიური კონცეფციის შექმნის შესახებ, რომელმაც მისი რეალიზაციიდან ნამდვილად პრაქტიკული შედეგის მიღწევა უნდა უზრუნველყოს.

სწორედ ზემოაღნიშნულ ფაქტორებშია კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, რადგან მხოლოდ მას გააჩნია დამნაშავეობის, როგორც მასობრივი სოციალური მოვლენის შესახებ ცოდნა, მხოლოდ კრიმინოლოგიას შეუძლია დამნაშავეობის მიზეზებსა და ხელისშემწყობ პირობებზე პასუხის გაცემა, დამნაშავის პიროვნების შეცნობა, დანაშაულის ჩადენის მექანიზმების გამოაშკარავება. აქედან გამომდინარეობს დამნაშავეობისა და მისის მიზეზების მუდმივი, უწყვეტი შესწავლის დიდი მნიშვნელობა.

ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობა გამოწვეულია მრავალი, კერძოდ, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური საკანონმდებლო და სხვა ფაქტორებით. სწორედ კრიმინოლოგიის, როგორც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ძირითადი მიზანია დანაშაულის გამომწვევი ამგვარი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების, გარემოებების შესწავლა, გამოვლენა და მათი გაანალიზების საფუძველზე დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება.

---

4 შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია". მეორე გამოცემა, თბ., 2011, გვ.8

კრიმინოლოგია არის დანაშაულის სოციალური კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომლის ძირითადი არსი და კვლევის საგანი არის არა მარტო დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის გამოკვლევა და ახსნა, არამედ ამ დანაშაულობათა ჩადენის წინაპირობების შესწავლა. ანუ კრიმინოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ცდილობს ახსნას დამნაშავეობის სოციალური ფენომენი და შემოგვთავაზოს მისი თავიდან აცილების ზომები. ის არა მარტო გვიხსნის, თუ რატომ არსებობს ქვეყანაში დამნაშავეობა, არამედ ქმნის შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს, თეორიულ საფუძვლებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია დანაშაულის თავიდან აცილება.

კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობისა და მისი თავიდან აცილების გზების შესახებ მეცნიერება ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რომელიც პირველ რიგში დამნაშავეობის პროცესების ანალიზს იძლევა, სახავს შესაბამის ამოცანებს, ღონისძიებებს ამ პროცესების მართვისა და შემდგომში ახალი მსგავსი მოვლენების, დანაშაულობების განჭვრეტის მიზნით, ასევე ეძებს ამ მოვლენებსა და პროცესებზე მიზანმიმართული ზემოქმედების საშუალებებს, აყალიბებს პრინციპებს, იდეოლოგიებს, მეთოდოლოგიას, რომლის შესაბამისად ხორციელდება დამნაშავეობის თავიდან აცილება, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა.

კრიმინოლოგიის დარგი ცდილობს გაიგოს და ახსნას დანაშაულობა, შემდგომში მისი შემცირების და მისი უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით[5].

ამდენად, კრიმინოლოგიის მეცნიერებაში ძირითადი ინსტიტუტი არის დანაშაულობა, რადგან კრიმინოლოგია, როგორც სამართლის მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგი, თავის შესწავლის საგანში აერთიანებს სწორედ ზოგადად დანაშაულობას, დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და ხელისშემწყობ პირობებს, სოციალური კონტროლის ღონისძიებებს.

საერთოდ, დანაშაულობის, მისი წარმომშობი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების გამოკვლევა დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის გარეშე შეუძლებელია, რადგან დამნაშავის პიროვნების შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დანაშაულობის კვლევაში.

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერთა მხრიდან გამოთქმული მოსაზრებით „დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენების და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან."[6] ამასთან, „დამნაშავის პიროვნება დანაშაულობის ისეთი შემადგენელი კატეგორიაა, რომლის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს შევიმუშაოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტური ზომები".[7]

კრიმინოლოგიის დარგში ზოგადად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევაა ჩატარებული. კრიმინოლოგიური კვლევების უპირველესი ამოცანა და მიზანია დამნაშავეობის მიზეზების ხელისშემწყობი პირობების დადგენა, შემდგომში მისი აღკვეთა-აცილება და დანაშაულის შედეგების აღმოფხვრა. კრიმინოლოგიური კვლევა სწორედ აღნიშნულ საკითხებზე უნდა იყოს მიმართული .

კრიმინოლოგია კომპლექსური მეცნიერული პროგრამების დამუშავებით, მეცნიერულ კვლევების გზით წარმატებით წყვეტს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მეცნიერულ და პრაქტიკულ ამოცანებს.

მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ჩადენილ დანაშაულთა ზრდისა და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე ქვეყანაში აქტუალურია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების გამოკვლევა, მისი აღკვეთა აცილება, აუცილებელია კრიმინოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება.

კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მისი მნიშვნელობის თაობაზე არაერთი მოსაზრება გამოითქვა იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში .

კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება მრავალწახნაგოვანია. იგი მუდმივად ვითარდებოდა, ვითარდება და დამნაშავეობის კვლევის საქმეში ახალი სახის თეორიული და პრაქტიკული

5 Chris Eskridge, The Role of Criminology on the Global Stage .SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL _ CRIMINOLOGIST , N1(11 _ 12), 2016-2017, 65

6 „კრიმინოლოგია" (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ., 2008, გვ. 97

7 გაბუნია მ., „დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში". ჟურნალი „თემიდა", N4(6), 2010 გვ. 68

სახის კითხვებს ბადებს, რომლის მოძლვრებაში უმთავრესია სამი ძირითადი პრობლემა, კერძოდ დანაშაულობა, მისი მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები და დანაშაულის აღკვეთა-აცილება[8].

კრიმინოლოგია მისი მიზნებიდან გამომდინარე, იკვლევს კრიმინოგენურ მდგომარეობას ქვეყანაში, ზრუნავს მისი გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც შეიმუშავებს კანონიერ, ეფექტურ ღონისძიებებს, ასაბუთებს მათი გამოყენების სარგებლიანობას და რეკომენდაციის სახით შეაქვს ხელისუფლების ორგანოებში. რაც უფრო მეტი იქნება განხორციელებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური ღონისძიება, მით უფრო მეტი იქნება შედეგი ჩაფიქრებულ დანაშაულთა პროფილაქტიკის, მომზადებულ დანაშაულთა თავიდან აცილებისა და დაწყებულ დანაშაულთა აღკვეთის საქმეში, რაც დღეს საქართველოს უფრო სჭირდება, ვიდრე სჭირდებოდა ადრე და სჭირდება სხვა ზოგიერთ ქვეყანას[9].

კრიმინოლოგიის მეცნიერების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია როგორც დარგის, კრიმინოლოგიის სწავლების და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, მისი პრაქტიკაში გამოყენების ერთიანი პოლიტიკის, კონცეფციისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება.

პრაქტიკულადაც, დადგენილია, რომ კრიმინოლოგია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვერ გადაწყვეტს მის წინაშე დასახულ კრიმინოლოგიურ პრობლემებს და მისი შემდგომი განვითარება უმთავრესად დამოკიდებულია კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების სტრატეგიის დასახვაზე, ამ სფეროში შესაბამისი კონცეფციის ჩამოყალიბებაზე და მის პრაქტიკულ საქმიანობაში განხორციელებაზე.

დღევანდელ ვითარებაში დამნაშავეობის, მისი მიზეზებისა და პირობების, თავიდან აცილების ზომების, მთლიანად დამნაშავეობაზე კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შესახებ აუცილებელია ახალი კრიმინოლოგიური ცოდნა, კრიმინოლოგიური აზროვნების განვითარება, რაც უპირველესად დაფუძნებულია საზოგადოებაში დამნაშავეობის განვითარების კანონზომიერების ცოდნაზე, დამნაშავე პიროვნების თვისებებზე, დანაშაულის თავიდან აცილების სისტემაზე და იგი განმტკიცებული უნდა იყოს პრაქტიკული გამოცდილებით.

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიის მეცნიერების და დამნაშავეობის თავიდან აცილების პრაქტიკის მჭიდრო ურთიერთკავშირი. სწორედ ამაში გამოიხატება კრიმინოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული ამოცანების, მათ შორის სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტაში არა მხოლოდ მეცნიერებმა, არამედ პრაქტიკოსებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ზოგადად კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების ძალა სწორედ პრაქტიკასთან მის ინტეგრაციაში ვლინდება. ასევე შეიძლება ითქვას პირიქითაც, როცა დამნაშავეობის თავიდან აცილების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სამეცნიერო დარგის მუშაკები, რადგან მეცნიერული მიღწევების ფართო გამოყენება ხელს უწყობს დამნაშავეობის აღმოფხვრის, მისი თავიდან აცილების ეფექტიანობის ამაღლებას.

კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის მნიშვნელობა და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში იმაშიც გამოიხატება, რომ სწორედ კრიმინოლოგიის განვითარებამ განაპირობა სხვა მრავალი მეცნიერების დარგის ინტერესი დანაშაულთა და დამნაშავის პიროვნების მიმართ. ამიტომ არის, რომ დღევანდელ ვითარებაში ზოგადად აღნიშნული საკითხები არა მარტო კრიმინოლოგიის, არამედ კრიმინალისტიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის თუ მეცნიერების სხვა დარგების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

კრიმინოლოგიურ მეცნიერებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რომელიც დამნაშავეობის როგორც სოციალური მოვლენის შემცირების და თავიდან აცილების მექანიზმებს გვთავაზობს. სწორედ ამაში მდგომარეობს კრიმინოლოგიის, როგორც სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დარგის საბოლოო მიზანი.

---

8 ჯანაშია ჯ., „კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში". ჟურნალი „კრიმინოლოგი", N 1(5), 2010, გვ. 22

9 კვაშილავა ა., „კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება". ჟურნალი „კრიმინოლოგი", N1(5), 2010 , გვ. 30

გამოყენებული ლიტერატურა:
1. *ბაძაღუა მ.,* „ქართული კრიმინოლოგიისა და მისი ტერმინების ევოლუცია", ჟურნალი „იურისტი", N 1, 2016
2. *გაბუნია მ., ძამუკაშვილი შ.,* „დანაშაულობა და დანაშაულობის კონტროლი საქართველოში", ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო", N 4, 2016
3. *შუშანაშვილი ა.,* „იურიდიული ლექსიკონი" ,თბ., 2000
4. *შალიკაშვილი მ.,* „კრიმინოლოგია. მეორე გამოცემა". თბ., 2011
5. *Chris Eskridge.* The Role of Criminology on the Global Stage .SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL _ CRIMINOLOGIST , N1(11 _ 12), 2016-2017
6." კრიმინოლოგია" (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ., 2008
7. *გაბუნია მ.,* „დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში". ჟურნალი „თემიდა", N4(6), 2010
8. *ჯანაშია ჯ.,* „კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში". ჟურნალი „კრიმინოლოგი", N 1(5), 2010
9. *კვაშილავა ა.,* „კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება". ჟურნალი „კრიმინოლოგი", N 1(5), 2010

## კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, მისი ადგილი და როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში

**გივი აბაშიძე**

კრიმინოლოგიის მეცნიერებაში ძირითადი ინსტიტუტი არის დანაშაულობა, როგორც ურთულესი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა. მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ დანაშაულობის წარმომშობ მიზეზებს. ამ პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიმინოლოგიის მეცნიერება, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია კრიმინოლოგიის მეცნიერების მიღწევების გამოყენების გარეშე.

წარმოდგენილ ნაშრომში, მისი მოცულობიდან გამომდინარე, განხილული და გაანალიზებულია კრიმინოლოგიის მნიშვნელობა, როლი და ადგილი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც კრიმინოლოგიის მთავარი ამოცანაა.

კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მხოლოდ კრიმინოლოგიას გააჩნია დამნაშავეობის, როგორც მასობრივ- სოციალური მოვლენის შესახებ ცოდნა, შეუძლია დანაშაულის ჩადენის მექანიზმების გამოაშკარავება, მათი მიზეზების და ხელისშემწყობი პირობების აღკვეთა-აცილება.

კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, მუდმივად ვითარდება და მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

## The importance of criminology, its place and role in the fight against crime

**Givi Abashidze**

Crime as a complicated social and legal phenomenon, is the main subject of study in criminology. Scientists have studied the causes of crime for centuries. The criminology as a science plays an important role in solving this problem, as one of the main problems and goals of criminology is to prevent crime and fight it.

It is practically impossible to fight crime without using the latest achievements of criminology.

The present work discusses and analyzes the meaning of criminology, its place among other sciences, and its role in the fight against crime, the latter being the main purpose of criminology.

The importance of criminology as a field of science, is also emphasized by the fact that only criminology has the knowledge of crime as a mass phenomenon with social concept; only criminology can reveal the mechanisms of committing crime as well as prevent and eliminate crime causes and crime conditions.

Criminology as a science, constantly evolves and achieves significant results in the fight against crime in Georgia.

*

# საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების როლი საერთაშორისო დანაშაულების პრევენციაში

პროფესორი, დოქტორი **ვეფხვია გვარამია,** *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*
Professor, Dr **Vepkhvia Gvaramia** (Georgia), *Dean of Faculty of Law at Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაისვა ომის დანაშაულში ბრალდებული პირების გასამართლების საკითხი, თუმცა არ არსებობდა სათანადო ნორმატიული ბაზა, რომელიც ომის დანაშაულში ბრალდებული პირების საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უზრუნველყოფდა. აღნიშნულს ხელს უშლიდა ისიც, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალი ჩამოყალიბების პროცესში იყო. საერთაშორისო სისხლის სამართლის რეგულირების სფერო კონცეპტუალურ დონეზე იყო წარმოდგენილი, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დასაბუთებული იყო საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგის არსებობის აუცილებლობა ომის დანაშაულებისგან გარკვეული კატეგორიის პირების დასაცავად.

წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა შვეიცარიაში 1864 წელს მოწვეულ დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული კონვენცია ბრძოლის ველზე მოქმედი სამხედრო დაჭრილ მებრძოლთა პირობების გაუმჯობესების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი ჟენევის კონვენციის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ კონვენციის ისტორიული სამართლებრივი შეფასება საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მასში პირველად კომპლექსურად აისახა ომის მსხვერპლთა და დაჭრილი მებრძოლების დაცვის მექანიზმები, რომლის დაცვაც სახელმწიფო ვალდებულებებს ქმნიდა. მიუხედავად აღნიშნულისა, დამნაშავე პირთა დასჯა და მისი რეალური აღსრულება მხოლოდ თეორიულ დონეზე განიხილებოდა, აღმოჩნდა ბევრი ხარვეზი, რომელიც შევსებას საჭიროებდა. მნიშვნელოვანია 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ. კონვენციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესს „განავრცონ კანონის უზენაესობა და განამტკიცონ საერთაშორისო სამართლიანობისადმი პატივისცემა“. სახელმწიფოები ხაზს უსვამდნენ, რომ „დამოუკიდებელ ძალებს შორის, ყველასთვის ხელმისაწვდომი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მუდმივმოქმედი ინსტიტუტი ამ შედეგის მიღწევაში ეფექტურ როლს შეასრულებს“.

კონვენციის ძირითად მიზნად დასახული იქნა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში თავიდან იქნეს აცილებული ძალისთვის მიმართვა რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, მაქსიმალურად შეეცადონ, რათა უზრუნველყონ საერთაშორისო უთანხმოებების მშვიდობიანი გადაწყვეტა.“ აღნიშნული კონვენცია ძალაში შესვლის შემდეგ ცვლიდა 1899 წლის 29 ივლისის კონვენციას საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული კონვენციების არსებობის მიუხედავად, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აქტიურად დაისვა ომის დანაშაულში ბრალდებული პირების საქმეზე გამოძიების და საერთაშორისო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი „პრაქტიკულად არ განხორციელდა ვერსალის ხელშეკრულების დადგენილებანი, სპეციალური სამხედრო ტრიბუნალის წინაშე გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორისა და სხვა ბრალდებულთა პასუხისგებაში მისაცემად. აქ თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ, მათ შორის, ექსტრადიციის საკითხის დაუმუშავებლობამაც. ჰოლანდიამ უარი თქვა გერმანიის ყოფილი იმპერატორის გადაცემაზე.“[1]გაურკვევლობა შეიქმნა გერმანიის ტერიტორიაზე მყოფი პირების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, „გერმანიამ არ გადასცა მოთხოვნილი პირები მათი მოქალაქეთა გადაუცემლობის შიდა კანონმდებლობაზე მითითებით, მან მოაწყო ლაიფციგის სასამართლო პროცესი, რომელიც ომის დანაშაულში ბრალდებულთა გამართლებით ან რბილი განაჩენებით დამთავრდა.“[2] საერთაშორისო დანაშაულების კლასიფიკაციის, პროცესუალური საკითხების, სახელმწიფოთა იურიდიქციის და დანაშაულები-

1 გვარამია მ., „საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებული პირის ექსტრადიცია“, თბ., 2002, სიკ, გვ 5
2 იქვე

სათვის პასუხისმგებლობის მიმართ სახელმწიფოთა კონსესუსის არარსებობა ხელს უშლიდა საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგის განვითარების და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბების პროცესს.

ომის დანაშაულებთან მიმართებაში არსებული მონაცემების ანალიზი მე-20 საუკუნის დამდეგს აუცილებელს ხდიდა საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბების პროცესს. აღნიშული საკითხების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი იყო ომის დანაშაულების კრიმინოლოგიური ანალიზი, რაც სახელმწიფოებს მიიყვანდა კონსესუსამდე.

**მეორე მსოფლიო ომის შედეგები და დროებითი სამხედრო ტრიბუნალის მნიშვნელობა**

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პროცესში აუცილებელი გახდა საერთაშორისო სისხლის სამართლის პრაქტიკული განვითარება. ომის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების, საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის და სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოები ფაშისტების მიერ მსოფლიოში შექმნილი გარემოებების გამო, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და აქტიურად განიხილავდნენ საერთაშორისო მშვიდობისთვის და ადამიანებისთვის ომის შედეგად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. საბჭოთა კავშირს გადაეცა 1942 წლის 13 იანვარს ხელმოწერილი ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის. ჰოლანდიის, ლუქსემბურგის და საფრანგეთის მთავრობების კოლექტიური ნოტა „დეკლარაცია მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯის შესახებ", რასაც 14 ნოემბერს მოჰყვა საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადება „ჰიტლერელელთა და მათ თანამზრახველთა მიერ ევროპის ქვეყნების ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ მიერ ბოროტი განზრახვით ჩადენილი ქმედებებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ."[3] აღნიშნულ განცხადებაში იკვეთება ფაშისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე და ის შედეგები, რომელიც მიიღო ევროპის ქვეყნებმა და იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ. შეიძლება ვთქვათ, ჩადენილი ქმედებების კრიმონოლოგიური ანალიზი განაპირობებდა მსგავს ნოტებს და განცხადებებს, თუმცა საერთაშორისო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის საკითხი არ იყო გადაჭრილი სახელმწიფოთა შორის რიგ საკითხებთან დაკავშირებით კონსესუსის არარსებობის გამო.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, საერთაშორისო სისხლის სამართლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მიმდინარეობის დროს 1943 წლის 19-30 ოქტომბერს გამოქვეყნებული „დეკლარაცია ჩადენილი სიმხეცეებისათვის ჰიტლერელელთა პასუხისმგებლობის შესახებ". აღნიშნულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „დიდმა ბრიტანეთმა, შერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა სხვადასხვა წყაროებიდან მიიღეს დადასტურებული ინფორმაცია ჰიტლერელელთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე განხორციელებული მკვლელობების, სასტიკი მასობრივი დასჯის და დევნის შესახებ.[4] დეკლარაციაში იკვეთება სტატისტიკური მონაცემები, რომელიც აღმაშფოთებელი იყო, რამაც დაპირისპირებული განსხვავებული პოლიტიკური სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოებიც კი მიიყვანა კონსესუსამდე. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ყველა პირი „გაგზავნილი იქნებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე და გასამართლებული იქნებოდა იმ ხალხის მიერ, ვის მიმართაც ჩადენილი იქნა ძალადობა. დეკლარაციას ხელს აწერდა რუზველტი, სტალინი და ჩერჩილი. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დანაშაულების კრიმინოლოგიური ანალიზი ნათელს ხდიდა მის მზარდ ტენდენციას, რომლის შეჩერებასაც განსხვავებული ხედვის სახელმწიფოებისთვისაც მთავარი მიზანი გახდა.

მნიშვნელოვანი იყო 1943 წლის 1 დეკემბერს, თეირანში სამი გავლენიანი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფოები გამოხატავენ რა თავიანთ გადაწყვეტილებას, რომ სახელმწიფოები იმუშავებენ ერთობლივად, როგორც ომის დროს ისე მშვიდობიან პერიოდში". მხარეები თვლიდნენ, რომ გრძნობდნენ პასუხისმგებლობას და მათი მოქმედება მნიშვნელოვანი იყო მშვიდობის შესანარჩუნებლად.[5]

3 И. Г. Никитченко, А, И. Полторак, Нюрнбергский процесс, Том I, изд, Юридической литературы, М. 1957, ст. 15-19
4 И. Г. Никитченко, А, И. Полторак, Нюрнбергский процесс, Том I, изд, Юридической литературы, М. 1957, ст. 20-21
5 И. Г. Никитченко, А, И. Полторак, Нюрнбергский процесс, Том I, изд, Юридической литературы, М. 1957, ст. 24-25

1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონის შეთანხმებით[6] შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება. აღნიშნული წესების მეორე თავი, დაეთმო ტრიბუნალის იურიდიქციას და ზოგად პრინციპებს. მე-6 მუხლში გამოყოფილი იქნა შემდეგი დანაშაულები: ა)მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; ბ)სამხედრო დანაშაულები; გ)ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.[7] თითოეულ დანაშაულში გამოყოფილი იქნა გარკვეული ქმედებები, რომლის დაჯგუფებაც აღნიშნული პერიოდისათვის განპირობებული იყო საერთაშორისო ნორმატიული ბაზის კრიმინოლოგიური ანალიზის და მსოფლიო სამართლებრივი ოჯახების საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობიდან გამომდინარე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ნორმატიული ბაზის ანალიზის და შეფასების საფუძველზე ხარვეზის შესავსებად მიღებული იქნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის რეგლამენტი, სადაც დაზუსტებული იქნა პროცესუალური საკითხები. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო კანონი N10 სამხედრო დანაშაულის, მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულის და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის პირთა დასჯის შესახებ. N10 კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა სასჯელები: ა) სიკვდილით დასჯა; ბ) სამუდამო პატიმრობა ან ვადიანი თავისუფლების აღკვეთა კატორღული სამუშაოებით ან მის გარეშე; გ) ჯარიმა ან ციხეში პატიმრობა იძულებითი სამუშაოები ან მის გარეშე; დ) ქონების კონფისკაცია; ე) უკანონოდ შეძენილი ქონების რესტიტუცია, სამოქალაქო უფლებების სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევა.[8] სამხედრო ტრიბუნალს შეეძლო ჩამოთვლილთაგან განაჩენში ერთი ან რამოდენიმე სასჯელის გამოყენება.

ნიურნბერგის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ბრალის საკითხის, დანაშაულთა კვალიფიკაციის და შემადგენლობის, პროცესუალური საკითხების და სასჯელთა სახეების მიმართ გამოიკვეთა სამართლებრივი ოჯახების განსხვავებული დამოკიდებულება, იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები, მაგრამ საერთაშორისო საჯარო სამართალში შექმნილი ნორმატიული ბაზის და საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიული სწავლება, არსებული პოლიტიკური ვითარების ანალიზი პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე მიღებულ გადაწყვეტილებებს ამართლებდა ფაშისტების მიერ განხორციელებული ქმედებები.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ „1937 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა განეხილა ტერორისტული დანაშაულები, 16 სახელმწიფომ აღნიშნულს მხარი არ დაუჭირა, შესაბამისად ხელშეკრულება არ შევიდა ძალაში."[9] აქვე აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო სისხლის სამართალში ნახტომს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, 1943 წელს მოკავშირეების მიერ მოსკოვში გამოქვეყნებული დეკლარაცია, რომელშიც მოცემული იქნა ომის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით იმ დამნაშავეების დასჯა, რომელთაც არა აქვთ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა".[10] უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პირები, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულებს ჩადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ყველა დაზარალებულ სახელმწიფოს ჰქონდა სამართლიანი პრეტენზია ამ პირების გასასამართლებლად, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო პრობლემის სათანადო გაანალიზების საფუძველზე სათანადო საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა, რომელიც სამართალწარმოებაში ხარვეზების მიუხედავად ბევრ იურისდიქციულ პრობლემას წყვეტდა.

წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ნიურნბერგის სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს შორეულ აღმოსავლეთში ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალის შექმნა ომის დამნაშავეთა დასჯისათვის. გაპროტესტებული იქნა სასამართლოს იურისდიქცია

6 Соглашение между правителъствами Союза Советских Социалистических Республик, Соединенного Королевства Великобритании и Северной Ирландии и временным правительством Французской респувлики о судебном преследовании и наказании главниых военных преступников европейских стран оси.

7 И. Г. Никитченко, А, И. Полторак, Нюрнбергский процесс, Том I, изд, Юридической литературы, М. 1957, ст. 68

8 И. Г. Никитченко, А, И. Полторак, Нюрнбергский процесс, Том I, изд, Юридической литературы, М. 1957, ст. 80-81

9 Robert Cryer, HakanFriman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedur, Cambridge University Pres, 2007, p.92

10 Robert Cryer, HakanFriman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedur, Cambridge University Pres, 2007, p.93-94

მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნაწილში, რადგან საერთაშორისო ნორმატიული ბაზა ამის საფუძველს არ იძლეოდა[11], თუმცა იაპონიის მთავრობის წევრების მიერ ომის გაჩაღება არღვევდა საერთაშორისო მშვიდობას.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებული წესრიგი და საერთაშორისო სისხლის სამართლის დარგის ევოლუცია**

ნიურნბერგის სამხედრო და ტოკიოს ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და გამოტანილი განაჩენების ექსპერტიზის შედეგად განხორციელდა დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება, რასაც მოჰყვა საერთაშორისო სამართლის ისეთი დარგების განვითარება, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის ევოლუციის საფუძველს წარმოადგენდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარება, რასაც მოყვა ჟენევის 1949 წლის 14 აგვისტოს 4 კონვენციის მიღება, რომელმაც შეავსო მეორე მსოფლიო ომის დროს არსებული ხარვეზები და გაითვალისწინა სამხედრო ტრიბუნალის პრაქტიკა.

ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდების და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ქმედებები განიხილებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ და სამხედრო დანაშაულებში.

ტერმინი გენოციდი პირველად 1944 წელს გამოყენა პოლონელმა ადვოკატმა რაფაელ ლემკინმა. აღნიშნული ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე რასობრივი, ეროვნული და რელიგიური ნიშნით განადგურება და დევნა ებრაელების, ციგნების, პოლონელების და სხვა ჯგუფების.[12] რაფაელ ლემკინმა და მისმა ნათესავებმა განიცადეს დევნა ეროვნული ნიშნით, ამდენად, მან საკუთარ თავზე გამოცადა გენოციდის სისასტიკეები, შეისწავლა სამხედრო ტრიბუნალის პრაქტიკა და მივიდა დასკვნამდე, რომ გენოციდი უნდა გამოყოფილიყო ცალკე შემადგენლობად საერთაშორისო დანაშაულებს შორის. არსებული სასამართლოს პრაქტიკის ნორმატიული მასალის ექსპერტიზა პრაქტიკოს და თეორიტიკოს იურისტებს აძლევდა იმის საშუალებას, გენოციდი გამოყოფილიყო ცალკე კონვენციით, რაც სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს დაეხმარებოდა გენოციდის დანაშაულის პრევენციში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 1946 წლის 11 დეკემბრის 96 (I) რეზოლუციით განაცხადა, რომ გენოციდი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს და არღვევს გაეროს არსსა და მიზნებს, რომ ცივილიზებული სამყარო გმობს მას.[13] გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის პირველ მუხლში განისაზღვრა: „ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ გენოციდი, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ის მშვიდობიანობის თუ ომის დროს, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს, რომლის დაუშვებლობასა და დასჯას ისინი საკუთარ თავზე იღებენ" აღნიშნული ჩანაწერი მეტყველებს საერთაშორისო ნორმატიული ბაზის შიდასახელმწიფოებრივ იმპლემენტაციაზე, რაც აღნიშნული დანაშაულის პრევენციაში წინგადადგმული ნაბიჯია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც კონვენციიის მეორე მუხლში მოცემულ იქნა გენოციდის დანაშაულის დეფინიცია და მისი შემადგენლობა.

ი. ბლიშჩენკო აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებისა და ნორმების კოდიფიკაცია აქტიურად განიხილება გაეროს ორგანოებში 1947 წლიდან. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1947 წლის 21 ნოემბრის 177 (II) რეზოლუციით საერთაშორისო სამართლის კომისიას დაავალა პრინციპების ფორმირება, რომლის საფუძვლადაც გაეთვალისწინებინათ ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდების დებულებები, რომელმაც ასახვა ჰპოვა განაჩენში"[14] საერთაშორისო სამართლის კომისიას, როგორც ი. ბლიჩენკო აღნიშნავს ასევე დაევალა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული და-

11 Robert Cryer, HakanFriman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedur, Cambridge University Pres, 2007, p.96

12 Robert Cryer, HakanFriman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedur, Cambridge University Pres, 2007, p. 166

„გენოციდისდანაშაულისთავიდანაცილებისადადასჯისშესახებკონვენცია" https://matsne.gov.ge/document/view/1219170?publication=0

14 И. П. Блтщенко, Международное Уголовное Право, М.„Наука" 1999. Ст. 17

ნაშაულების კოდექსის პროექტის მომზადება“[15] საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ რამდენჯერმე იქნა მომზადებული საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით კოდექსის პროექტი, მაგრამ მისი საბოლოო ვარიანტის მიღება უშედეგოდ მთავრდებოდა. ვთვლი, რომ ჯერ კიდევ არ იყო სათანადო საერთაშორისო კრიმინოლოგიური ექსპერტიზა ჩატარებული ნორმატიული ბაზისთვის და სათანადო ანალიზი გაკეთებული საერთაშორისო სისხლის სამართლის წყაროებისთვის, რაც აფერხებდა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო 1968 წლის „კონვენციია ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისათვის ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ“, რომელიც მონაწილე სახელმწიფოს ავალდებულებდა ეხელმძღვანელა აღნიშნული წესებით. საერთაშორისო დანაშაულების პრევენცის საშუალებას თითოეული ახალი კონვენცია წარმოადგენდა. ამ მხრივ ჩამოთვლილ დანაშაულებს შორის ცალკე გამოიყო აპარტეიდის დანაშაული. 1973 წელს მიღებულ იქნა კონვენცია „აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ“.

მიღებული იქნა მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა რიცხვში აღმოჩნდა, თუმცა მათი პრევენცია შეიძლებოდა განხორციელებულიყო ამ დანაშაულების წინააღმდეგ სახელმწიფოთა თანამშრომლობით და შიდასახელმწიფოებრივი იმპლემენტაციით.

საერთაშორისო დანაშაულების პრევენციას სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობასთან ერთად ახორციელებდა დროებითი სამხედრო ტრიბუნალები, თუმცა მათი შექმნა კონკრეტული საქმისთვის გარკვეულ დროს მოითხოვდა და მოგვიანებით შექმნილი სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებები ნაწილობრივ პრევენციის ეფექტს კარგავდა.

საკმაოდ შედეგიანი იყო პრაქტიკული თვალსაზრისით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობა.

საერთაშორისო დანაშაულისათვის სუბიექტების პასუხისმგებლობის საკითხი განაპირობებდა იმას, რომ როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე საერთაშორისო სისხლის სამართლის თვალსაზრისით აღნიშნული ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო. რუსულ სამართლებრივ დოქტრინაში არსებობდა აზრი, რომლის მიხდვითაც საერთაშორისო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლებოდა დაკისრებოდა როგორც ფიზიკურ პირს, ისე სახელმწიფოს, რაც არ იყო მართებული, რომელიც თანამედროვე დოქტრინამ და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკამ უარყო. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დანაშაულისათვის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ფიზიკურ პირს, ხოლო საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სახელმწიფოს.

ი. გეტმან-პავლოვა მართებულად აღნიშნავს, რომ ისეთი დანაშაულებისათვის როგორიც არის გენოციდი და აპარტეიდი, სუბიექტებს წარმოადგენენ ინდივიდები და სახელმწიფო. საერთაშორისო დანაშაულებისათვის ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განუყოფელია საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან“[16] აქ განსხვავებული არის დარგები, რომელსაც განსხვავებული საერთაშორისო სუბიექტები ჰყავს. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საერთაშორისო დანაშაულისათვის ფიზიკური პირის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის საქმის წარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში,[17] ასევე განიხილებოდა საქართველოსათვის ომის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი გაეროს საერთაშორისო სასამართლოში.

15 იქვე

16 И. В. Гетьман-Павлова, Международное Право, М. 2012, ст.434

17 SituationinGeorgiaICC-01/15https://www.icc-cpi.int/georgia იხილეთ ასევე თეომურაზ ანთელავა, „რამდენიმე მოსაზრება, 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისოსასამართლოს შესაძლო რეაგირების თაობაზ“, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი N3 თბ., 2008, გვ. 61-70.

თუ ერთ-ერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგა, აღნიშნული მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს მეორე სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას. შესაძლებელია, აღნიშნული დარღვევები ცალ-ცალკეც არსებობდეს.

საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ნორმის მიღება და ორივე მიმართულებით პასუხისმგებლობა დარღვევისთვის საერთაშორისო დანაშაულის პრევენციის ეფექტური საშუალებაა.

**დროებითი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების და მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ეფექტურობა საერთაშორისო დანაშაულების პრევენციაში მე-20 საუკუნის დასასრულს**

ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის მუშაობის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სამართლის კომისია აქტიურად მუშაობდა სპეციალური კოდექსის შექმნაზე, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა საერთაშორისო დანაშაულები, რაც ხელს შეუწყობდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნას. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოთა უთანხმოების გამო ვერ განხორციელდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნა.

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, 1991-1993 წლებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების გამო გაეროს უშიშროების საბჭოს 808 (1993) რეზოლუციით შეიქმნა დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი,[18] რომლის წესდებაშიც განისაზღვრა სასამართლო პროცესის წარმოებისათვის მატერიალური და პროცესუალური ნორმები. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულებისათვის შექმნილი ტრიბუნალი შეზღუდულია ტერიტორიული პრინციპით და დროში მოქმედების თვალსაზრისით.[19]

გაეროს უშიშროების საბჭოს 955 (1994) რეზოლუციით რუანდაში შეიქმნა საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების დარღვევისათვის საერთაშორისო ტრიბუნალი, მის წესდებაში ჩადენილი დანაშაულების სირთულიდან გამომდინარე განისაზღვრა მატერიალური და პროცესუალური ნორმები.[20]

საერთაშორისო მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის სასამართლოს არარსებობამ სახელმწიფოები მიიყვანა იმის აუცილებლობამდე, შეექმნათ სისხლის სამართლის ჰიბრიდული სასამართლოები (შერეული ტრიბუნალები) „რომლებიც წარმოადგენდნენ საერთაშორისო და ეროვნული ელემენტების სინთეზს. ისინი წარმოადგენენ „მესამე თაობის" საერთაშორისო სასამართლოებს. როგორც წესი, ჰიბრიდულ სასამართლოებს გააჩნიათ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები და მათ შემადგენლობაში შედიან ეროვნული და საერთაშორისო მოსამართლეები და პროკურორები"[21] ასეთ სასამართლოებს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ტიმორის ჰიბრიდული სასამართლო. კოსოვოს ჰიბრიდული სასამართლო, ლიბიის ჰიბრიდული სასამართლო, სიერალეონეს ჰიბრიდული სასამართლო, კამბოჯის ჰიბრიდული სასამართლო და ერაყის ჰიბრიდული სასამართლო.

ვფიქრობ, რომ ჰიბრიდული საერთაშორისო სასამართლო დანაშაულების პრევენციასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო პროცესში საერთაშორისო ჩართულობის, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისობის დადგენის და ობიექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად და არა გამარჯვებული ხელისუფლების მართლმსაჯულების წარმოსაჩენად. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ სასამართლოს ფორმირების და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თვალსაზრისით განსხვავებულია.

1998 წელს მიღებული იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, რომელმაც მე-20 საუკუნის პრობლემა გადაჭრა. აღნიშნულში კომპლექსურადაა გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულები,[22] პროცესუალური საკითხები, სასამართლოს

18 Ю. М. Колосов, Э. С. Кривчикова, Действующее Международное Право, T.I, M. 1996, c. 744-759

19 G. Aldrich, Iurisdiction of the international Criminal tribunal fer the former Yugoslavia, 1996, p. 64.

20 Ю. М. Колосов, Э. С. Кривчикова, Действующее Международное Право, T.I, M. 1996, c. 759-772

21 ტურავა მ.," საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები„ გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2015. გვ. 46

22 გენოციდი, დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულები და აგრესია პრაქტიკაში და თეორიაში ექვემდებარებაევოლუციურ განმარტებას *Mark Klamberg,* Commentary on the Law of the International Criminal Court, Torkel Opsahl Academic EPublisher Brussels 2017, p.18-160

სისტემა, სასჯელის მისჯა და მისი აღსრულება. პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის მიუხედავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს ნორმების ევოლუციური განმარტების საშუალება პრეცედენტების მეშვეობით, რასაც საერთაშორისო დანაშაულების ან სხვა დანაშაულებით საერთაშორისო დანაშაულის შენიღბვისას მისი აღმოჩენის და პრევენციის საშუალება გააჩნია.

ნიურნბერგის სასამართლო პროცესის კრიმინოლოგიური თვალსაზრისით კვლევისას წარმოჩინდა საერთაშორისო სამართალში ნორმატიული თვალსაზრისით ხარვეზები. კერძოდ, მისაღები იყო საერთაშორისო კონვენციები, რომელიც გამიჯნავდა საერთაშორისო დანაშაულის სახეებს, დასახვეწი იყო სამართალწარმოების პროცედურა, რათა ეფექტურად განხორციელებულიყო საერთაშორისო დანაშაულების პრევენცია.

ნიურნბერგის სასამართლო პროცესის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ განსხვავებული წყობის, რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლებრივი ოჯახის სახელმწიფოებმა შექმნეს სასამართლო პრაქტიკა და ნორმები, რომლებმაც ნაწილობრივ განაპირობეს საერთაშორისო დანაშაულების პრევენცია.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულებისათვის შექმნილი დროებითი ტრიბუნალები და ჰიბრიდული სასამართლოები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთაშორისო დანაშაულების პრევენციის ახალი მოდელის შექმნაში, ამასთან ერთად მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (რომის სტატუტის) შექმნისათვის.

დროებითი და მუდმივმოქმედი სასამართლოების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა, საერთაშორისო ხელშეკრულებების და დოკუმენტების ექსპერტიზა და დინამიკაში დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ მხოლოდ საერთაშორისო დანაშაულების ნაწილი ისჯება. პრაქტიკიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასშტაბური ტიპის ომები და დანაშაულები შემცირდა, თუმცა არსებობს ხარვეზები, რაც საჭიროებს შევსებას, კერძოდ,1. მართებულია გაფართოვდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია, 2. დაიხვეწოს პროცესუალური ნორმები, 3. დადგინდეს გამოძიების ვადები, 4. შემცირდეს სასამართლოზე პოლიტიკური გავლენა, რათა უფრო ეფექტურად განხორციელდეს მართლმსაჯულება საერთაშორისო დანაშაულების პრევენციის მიზნით

## საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოების როლი საერთაშორისო დანაშაულების პრევენციაში

**ვეფხვია გვარამია**

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო სამართალში დაისვა ომის დანაშაულში ბრალდებულთა პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, დროებითი ტრიბუნალის შექმნა მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამეცნიერო საზოგადოებაში და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დადგა ომის დროს ჩადენილი დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. საკმაოდ შედეგიანი იყო პრაქტიკული თვალსაზრისით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობა. ნიურნბერგის სასამართლო პროცესმა აღმოაჩინა საერთაშორისო სამართალში ნორმატიული თვალსაზრისით ხარვეზები, მისაღები იყო საერთაშორისო კონვენციები, რომელიც გამიჯნავდა საერთაშორისო დანაშაულის სახეებს. დასახვეწი იყო პროცედურა. ნიურნბერგის სასამართლო პროცესის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ განსხვავებული წყობის რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსური სამართლებრივი ოჯახის სახელმწიფოებმა შექმნეს სასამართლო პრაქტიკა და ნორმები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო დანაშაულების პრევენციაში.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში იუგოსლავიის ტერიტორიასა და რუანდაში ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულებისათვის შექმნილი დროებითი ტრიბუნალები მნიშვნელოვანი

იყო მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (რომის სტატუტის) შექმნისათვის.

დროებითი და მუდმივმოქმედი სასამართლოების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო დანაშაულების ნაწილი ისჯება. პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასშტაბური ტიპის ომები და დანაშაულები შემცირდა. თუმცა არსებობს ხარვეზები, რაც საჭიროებს შევსებას, კერძოდ: 1. მართებულია, გაფართოვდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურიდიქცია; 2. დაიხვეწოს პროცესუალური ნორმები; 3. დადგინდეს გამოძიების ვადები; 4. შემცირდეს სასამართლოზე პოლიტიკური გავლენა, რათა უფრო ეფექტურად განხორციელდეს მართლმსაჯულება საერთაშორისო დანაშაულების პრევენციის მიზნით.

## The role of international criminal courts in the prevention of international offenses

**Vepkhvia Gvaramia**

After World War I, arise issue about liability of those who were charged in committing war, crime in the International Law. Nevertheless, liability had formal character, establishing temporary tribunal was still important, since the issue of liability of those who had committed crime during war, came up in the scientific community and interstate relations.

Liability of persons who had committed international crimes was very effective with a practical point of view after World War II, on Nuremberg trial. In International Law, flaws were discovered with normative point of view, during Nuremberg trial. International Conventions should be adopted, which would distinguish types of international crime. Procedure needed improvement. The meaning of Nuremberg trial was that, different Roman-German and Anglo-Saxon legal states adopted court practice and norms, which played a significant role in the prevention of international crimes.

The temporary tribunals' establishment for crimes, committed in Yugoslav and Rwanda, in 1990s, was important for adopting permanent ICC (Rome Statute).

Statistics of the substantial consideration of cases by permanent and temporary courts shows that part of international crimes is punishable. From the practice, we can conclude, that large-scale wars and crimes have been decrease. However, there are some flaws that require filling such as: 1. It is acceptable to expand the jurisdiction of the International Criminal Court; 2. Improve the procedural norms; 3. Determine the deadline of the investigations; and 4. Reduce political influence on the court, in order to make justice more effective on preventing international crimes.

*

# კრიმინოლოგიის თეორიის ზოგიერთი პრობლემა

*პროფესორი, დოქტორი* **გიორგი თოდრია,** *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Giorgi Todria** (Georgia)**,** *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*

ანალიზის ობიექტურობისათვის უნდა გვახსოვდეს გერმანელი სოციოლოგის ნ.ლუმანის რჩევა, რომ ნებისმიერი სისტემის კვლევისას უნდა ვითვალისწინებდეთ „დამკვირვებლის პერსპექტივას", ანუ უნდა ვიცოდეთ ის პლატფორმა, რომელზეც ის დგას და რომლიდანაც აკვირდება საზოგადოების მთელ სისტემას. როგორც მან აღნიშნა, დამკვირვებელი ზევიდან არ აკვირდება რეალობას, ის თავად წარმოადგენს ამ რეალობის სუბიექტს, მის ოპერაციას.[1] ამ შენიშვნას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ გვინდა დავამტკიცოთ, რატომ არ გამოდგება იურისტი კრიმინოლოგიური პრობლემატიკის დამკვირვებლად.

საზოგადოებისადმი გაუცხოებული დამოკიდებულების დანერგვას ქართველ იურისტთა აზროვნებაში ხელს უწყობს მათი სოციალური მდგომარეობა. ჯერ ერთი, ნიჰილიზმის სიტუაცია საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში, რომელიც გათიშულობის, სიღატაკისა და განწირულობის პირობებში ცხოვრობს, აიძულებს მას დაკმაყოფილდეს სოციალური ცხოვრების ცალკეული, ნაწყვეტ–ნაწყვეტ გაბნეული ფაქტების ხილვით.[2] მეორე კი, ეს სიტუაცია აუცხოებს იურისტს საზოგადოების სიღრმეში მამოძრავებელი კანონზომიერებების ძიებისაგან. შემეცნების აღნიშნული მდგომარეობა თავისებურ ასახვას პოულობს როგორც კრიმინოლოგიაში, ასევე სამართალშიც. ძლიერდება სუბიექტივიზმი: კრიმინოლოგიაში ფაქტორების ემპირიული აღწერისა და საეჭვო კლასიფიკაციების სახით, ხოლო სამართლის დარგებში – „ლოგიციზმის" გაძლიერებით.

იურისტები, როგორც მოსახლეობის ამ ფენებიდან გამოსულნი, რაკი თავიანთი ქვეყნის რეალურ ცხოვრებაში ვერ პოულობენ დასაყრდენს, მას სხვა ხალხთა მსოფლგაგებაში, მათ კულტურაში ეძებენ. ამასთან, ეს აღქმა არაკრიტიკულია, მათი ცნობიერება – „საწყალობელი ცნობიერებაა" (Unglückliche Bewußtsein-ჰეგელი), საქართველოში ყოფიერების უპერსპექტივობაზე დამოკიდებული.

ამ აზროვნებაში იურისტი-კრიმინოლოგისათვის ჰეგელის მეთოდი – თავის ტკივილია. მისი ფილოსოფია ხომ ბიძგს იძლევა „ჯერარსობის" რომელიღაც რეალური მიზეზების დასადგენად, საზოგადოების სიღრმისეული ფაქტორების მტანჯველი ძიებისათვის, რისთვისაც იურიდიულ სწავლაში არ არის შესაბამისი სამეცნიერო მოთხოვნა, რადგან იურიდიული აზროვნებისათვის დოგმატიკასთან შედარებით სოციალური დარგებისა და ფილოსოფიის თემატიკა ატარებს მარტო დამხმარე ხასიათს. ამის გარდა გასათვალისწინებელია კიდევ სხვა გარემოებებიც. ჯერჯერობით იურისტთა აზროვნებაში შენარჩუნებულია ტოტალიტარული სახელმწიფოს გადმონაშთი – კრიმინოლოგია განიხილება როგორც დარგი, რომელიც წარმოიშვა სისხლის სამართლიდან[3] და ამიტომ, როგორც მიაჩნიათ კრიმინოლოგიაში დაცულ დისერტაციებში, დანაშაულობის ფაქტორული ანალიზის (ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, მეგობრებთან ურთიერთობის, დაზარალებულთა პიროვნების და ა.შ.) შემდეგ გამოკვლევა აუცილებლად უნდა დასრულდეს სისხლის სამართლის ნორმის „შექმნის" ან „რედაქციის" რეკომენდაციით. იურიდიულ ფაკულტეტებზე არსებული კრიმინოლოგიური სწავლა შენარჩუნებულია ამ პრიმიტიული აზროვნების ფარგლებში.

საყურადღებოა, რომ ემპირიულ კრიმინოლოგიაში ნებისმიერ სამართლის დოქტორს უნივერსიტეტებში „ურიგდება" სასწავლო საათები კრიმინოლოგიაში იმისდა მიუხედავად,

---

1 Луман Н. Социальные системы. Очерк общей теории (Перевод с немецкого), СПб, Наука, 2007, с. 344

2 თოდრია გ.," სამართლედრივი ნიჰილიზმი თანამედროვე კრიმინოლოგიაში", სამეცნიერო შრომების კრებული, თეუსუ, თბ, „მერიდიანი", თბ., 2008 გვ.273-287

3 ამ დონის აზროვნება უფრო უახლოვდება მონაფლობელური და ფეოდალური საზოგადოების აზროვნებას, რომელიც აიგება არაეკონომიკური იძულების საფუძველზე.

რომ მას არ გააჩნია კრიმინოლიგიის ფუნდამენტური საფუძვლების აკადემიური ცოდნა. სასაცილოა, რომ ამ დონის იურისტს მოთხოვო, მაგალითად, ნორმატივიზმის კრიტიკული ანალიზის მეთოდის ცოდნა, რომელიც შემუშავებულია არისტოტელეს მიერ, ან ჰეგელის ფილოსოფიის ცოდნა სამართლის გარდასახვითი ფორმების დადგენისათვის, თანამედროვე ეკონომიკაში საერთო მოგების ნორმის ცვლილებებთან სისხლის სამართლის პოლიტიკის ტრანსაქციური დანახარჯების კავშირის ანდა სოციალური სტრუქტურის ანალიზის ცოდნა და ა.შ. ამ საბასიზო დონის სოციოლოგიური ან ეკონომიკური განათლება მას არ გააჩნია და იურიდიული საგნების შესწავლისათვის არც სჭირდება.

სამწუხაროდ, უარეს მდგომარეობაშია კრიმინოლოგთა ანალიტიკური უნარ-ჩვევები, რასაც ხელს უწყობენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო კურსები, რომ არაფერი ვთქვათ ფილოსოფიური ან მათემატიკური მოდელირების უნარებზე, რისი მოთხოვნა საერთოდ არ არის. აი, ამიტომაა, რომ საქართველოში ფუნდამენტური კრიმინოლოგია იურიდიულ ფაკულტეტებზე არ ვითარდება და ვერც განვითარდება.მაგრამ მისაღებია ემპირიული კრიმინოლოგია, რომელიც თავისი არაკრიტიკული მიმართულებით, ბუნდოვანი და მიამიტური დასკვნებით მეტად ხელსაყრელია ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ორი მიზეზის გამო: 1) კრიმინოლოგიური „დასკვნები“ გამოიყენება მარტო საილუსტრაციო მასალად ხელსაყრელი სახელმწიფო პოლიტიკის დასაბუთებისათვის და კოსმეტიკური შელამაზებისათვის და 2) კრიმინოლოგთა უვიცობა ვერ უპირისპირდება სახელმწიფო ორგანოების თვითნებობას, არ ძალუძს გადადგას მათ მიმართ რადიკალური ნაბიჯი და ამ გაგებით ბიუროკრატიული სამყაროსათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. [4]

მოკლედ, ამ დონის კრიმინოლოგია სავსებით მისაღებია იურიდიული წრისათვის, რომლისათვის დანაშაულობის შემეცნებაში მარტო სახელმწიფოს პოლიტიკაა ათვლის წერტილი და არა საზოგადოება – ის სამყარო, რომელიც აღიქმება როგორც შემთხვევითი ეპიზოდების კონგლომერატი. ასეთია ქართველ ახალგაზრდობაში ჩლუნგი ე.წ. „კრიმინოლოგიური“ აზროვნების შენარჩუნების მწარე სინამდვილე.

ხოლო დოგმატურ დისციპლინებში ლოგიციზმი სწორედაც რომ მისწრებაა. სისხლის სამართლის თეორიაში იურიდიული ანალიზი კმაყოფილდება ძიებებით დოგმატიკის ულრან ტყეში. „პრაქტიკული გონი“ მშვიდდება ამ ვიწრო იურიდიულ აქტიურობაში. სავსებით საკმარისია, რომ მზადდება კანონთა სხვადასხვა პროექტები, მათი კომენტარები, იწერება სხვადასხვა წიგნები კაზუსების გადასაწყვეტად, ხოლო ის საკითხი, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს სამართალი და როგორ იყენებს მას სახელმწიფო მოსახლეობის უბადრუკი მდგომარეობის კიდევ უფრო დასამძიმებლად – ეს ახსნას არ ექვემდებარება. იურისტს ხომ სწორედ დოგმატიკის ლოგიკური კანონები აინტერესებს[5] და არა სოციალური კანონები, რამეთუ იგი საკუთარ თავს სახელმწიფო სამსახურისათვის ამზადებს და „აღმერთებს“ სამართლის განყენებულ იდეას. მისთვის წესრიგი მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებაში სუფევს,[6] ხოლო საზოგადოებაში ქაოსია, და როგორც მოჩანს, მასში არ არის „ჯერარსის“ ადგილი. და აკი თვით პოზიტიური სამართლის ბუნებაც ხაზს უსვამს მსგავსი ილუზიის „სამართლიანობას“.

სავალალო მდგომარეობაა პრაქტიკოს-იურისტის აზროვნებაშიც. ქვეყნები, სადაც გაბა-

---

4 დევიანტოლიგიის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ კრიმინოლოგიის ამ „მონურ“ მდგომარეობაზე, იხ. Hillyard P. , S. Tombs , Beyond criminology? (Edited by P. Hillyard, C. Pantazis, S.Tombs and D.Gordon), Beyond Criminology: Taking Harm Seriously, London: Pluto Press,2004 pp. 10-28)

5 სამართლის ნეოკანტიანური ინტერპრეტაციას არ შეუძლია გადალახოს სამართლის მიზნისა და მისი ძირითადი ხერხის წინააღმდეგობა. სამართლის იდეა, როგორც მიზანი ასახავს სასურველ „კანონს“ (დე ლეგე ფერენდა), ხოლო დოგმატიკა ანუ ლოგიკური მეთოდი არ სცილდება რეალურად არსებულ ნორმატიულ მასალას (დე ლეგე ლატა). როგორც ტრანსცენტალური დედუქციის ანალიზმა გვიჩვენა, სამართლის ძირითადი ღერძია – სამართლის კონკრეტული დარგების ლოგიკა, რომელიც მიღებული პრინციპიდან აპრიორულად აიგება ამ დარგში. ამით სამართლის დარგის ლოგიკა უარყოფს „სამართლის იდეას“. როგორც კარლ რისენხუბერი აღნიშნავს, სისტემური მიდგომა ან დოგმატიკა, როგორც მას ასახელებენ გერმანელი იურისტები, ექვემდებარება პრინციპს დე ლეგე ლატა (მოქმედი კანონი) და არა დე ლეგე ფერენდა (სასურველი “კანონი“) (Riesenhuber K., English common law versus German Systemdenken? Internal versus external approaches, Utrecht Law Review, Vol. 7, N. 1, 2011p.118).

6 როგორც ჩვენ ავღნიშნეთ, ამ უკუღმართი ხედვის ნაყოფია მართლწესრიგის მუდმივ უცვლელ სიდიდედ გამოცხადება, ხოლო უმართლობის – სიდიდედ, რომლის ცვალებადობა შემთხვევითი ინდივიდისაგან არის დამოკიდებული.

ტონებულია სამართლის რომანულ-გერმანული სისტემა ვერ უმკლავდებიან საერთო სამართლის სისტემას, რომელიც ასახავს მძლავრი რესურსების მქონე განვითარებული ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) ეკონომიკას. მსოფლიოს უნივერსიტეტებში სულ უფრო ხორციელდება იურიდიული სწავლების „ამერიკანიზაცია".[7] ამ მსოფლმხედველობის ზეგავლენით, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საერთაშორისო აქტები ნერგავენ კაზუისტურის ხასიათის ნორმებს. ზუსტი დეფინიციური აღწერის მაგივრად თავს იჩენს ემპირიული აღწერა (მაგალითად ტერორისტული აქტის, რეკეტის შესახებ ნორმა და ა.შ.). იურიდიული პირის პასუხისმგებლობის და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტებით უკუგდებულია ბრალის პრინციპი. სისხლის სამართლის ნორმის სტრუქტურა სულ უფრო ფუვდება შემთხვევითობით დასაბუთებული ე.წ. სპეციალური შემადგენლობებით. მეტად ბუნდოვანია და პრაქტიკულად საეჭვოა ქმედების ერთობლიობის „მოდიფიცირებული" ინსტიტუტი, ბუნდოვანია არაერთგზისობის და რეციდივის კონსტრუქტები და ა.შ. პიროვნების საშიშროების ინსტიტუტის საფუძველზე ნელნელა იცვლება კანონიერების პრინციპი და ვითარდება აქტუალური მართლმსაჯულება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (№1/1/428,447,459, 13.05.2009) ხელშეწყობით ინერგება ახალი კანონის რეტროაქტუალობის ინსტიტუტი და ა.შ.

ამრიგად, პრაქტიკაში ფეხს იკიდებს დაბნეული მსოფლმხედველობა, „როცა თვითონ სამართლის მქმნელმა არ იცის ენა იმ ერისა, რომელსაც უსამართლებს" (ილია ჭავჭავაძე). სახეზეა იურიდიული აზროვნების წინააღმდეგობრივი განვითარება. სისხლის სამართლის თეორიის სფეროში ძლიერდება მართლწესრიგის გაგების ნეოკანტიანური მოდელი, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული დოგმატიკის ლოგიციზმი უაზრო აბსტრაგირების და ცხოვრებას მოწყვეტილ კონსტრუქციების სახით. ხოლო სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკის სფეროში ნელ-ნელა ვითარდება საპირისპირო ტენდენცია – ინერგება საერთო სამართლის (ჩომმონ გაწ) მოდელი, რომელიც აიგება „უხეში ემპირიზმის" საფუძველზე მიღებულ ცოდნაზე, რაც, როგორც იტყოდა ცნობილი ფილოსოფოსი გ.თევზაძე, „საყოველთაო და აუცილებელი დებულების დადგენის საშუალებას არ იძლევა".[8]

## კრიმინოლოგიური თეორიის ზოგიერთი პრობლემა

**გიორგი თოდრია**

სტატიაში განიხილება კრიმინოლოგიური პრობლემატიკის მკვლევარის თეორიული პოზიციის ანუ, როგორც გერმანელი ფილოსოფოსი მას უწოდებდა – „დამკვირვებლის პერსპექტივის", თავისებურება. ამ მიმართულებით გაანალიზებულია იმ იურისტთა პოზიცია, რომლის მიხედვით კრიმინოლოგია წარმოადგენს სამართლის დარგს. ეს მოსაზრება ნაშრომში შეფასებულია როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოს გადმონაშთი, რადგან მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ კრიმინოლოგიაში დაცულ დისერტაციებში დანაშაულობის ფაქტორული ანალიზის (ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, მეგობრებთან უთიერთობის, დაზარალებულთა პიროვნების და ა.შ.) შემდეგ გამოკვლევა აუცილებლად უნდა დასრულდეს სისხლის სამართლის ნორმის „შექმნის" ან „რედაქციის" რეკომენდაციით. იურიდიულ ფაკულტეტებზე არსებული კრიმინოლოგიური სწავლა შენარჩუნებულია ამ პრიმიტიული აზროვნების ფარგლებში.

ნაშრომში აგრეთვე მიუღებელია ემპირიული კრიმინოლოგიის პრეტენზია, რომელიც თავისი არაკრიტიკული მიმართულებით, ბუნდოვანი და მიამიტური დასკვნებით მეტად ხელსაყრელია ნებისმიერი ხელისუფლებისათვის ორი მიზეზის გამო: 1) კრიმინოლოგიური „დასკვნები" გამოიყენება მარტო საილუსტრაციო მასალად ხელსაყრელი სახელმწიფო პოლიტიკის დასაბუთებისათვის და კოსმეტიკური შელამაზებისათვის და 2) კრიმინოლოგთა უვიცობა ვერ უპირისპირდება სახელმწიფო ორგანოების თვითნებობას, არ ძალუძს გადადგას

---

7 სამართლის აღნიშნული ტენდენცია განხილულია: Wiegand W. , Americanization of Law: Reception or Convergence? in Legal Culture and Legal Profession, ed. by L.Friedman and H.Sheiber, Boulder, Colo.: Westvier Press,1996 p. 139-140.

8 თევზაძე გ., „ახალი დროის ფილოსოფიის ისტორი"ა, თბ.,2009

მათ მიმართ რადიკალური ნაბიჯი და ამ გაგებით ბიუროკრატიული სამყაროსათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. დასკვნის სახით ნაშრომში გატარებულია აზრი ფუნდამენტური კრიმინოლოგიის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც შეისწავლის დანაშაულობის მაკროსოციალურ პროცებს.

## Some problems of criminological theories


**Giorgi Todria**

The article discusses researcher's theoretic position or what has been called an ~observer's perspective" by a German philosopher, towards the peculiarities of criminological problems. Accordingly, the paper analyzes the position of those researchers who believe that criminology is one of the fields of law. The article suspects that their opinion is influenced by the norms of the totalitarian regime, because they insist on finishing the dissertations in criminology with a factual analysis of crime (age, marital status, relationship with friends, personality of the victims, etc.), followed by conclusions that recommend creating or correcting a criminal law norm. So far, the Faculty of Law keeps the criminological research within the boundaries of such primitive thinking.

The article also rejects the demands of empirical criminology because of its uncritical position, vague ideas and dumb conclusions, which suit the government perfectly for two reasons: 1. The criminological conclusions are used only as demonstrative evidence to support the profitable governmental policy and play down the seriousness of reality; 2. The ignorance of criminologists cannot oppose the willfulness of state authority, nor take steps for radical changes to occur and thus, it is not a threat to the bureaucratic system. As a conclusion the work supports the idea of creating fundamental criminology, which will research macrosocial processes.


*

## ზოგი სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებში კრიმინოლოგიის სამართლებრივი ასპექტები

*პროფესორი, დოქტორი* **მანანა ხვედელიძე,** *თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Manana Khvedelidze** (Georgia), *Tbilisi Humanitarian Teaching University, Georgian Academy of Criminology Sciences*

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ესტონეთის, ხორვატიის რესპუბლიკების, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის სახელმწიფოთა კონსტიტუციები, ვინაიდან სამართლის წყაროთა შორის უზრუნველყოფილია კონსტიტუციის უზენაესობა და მრავალ ქვეყანაში არის სახელწიფოს ძირითადი კანონი (ზოგ ქვეყანაში ის საერთოდ არ არსებობს), რომელიც განსაზღვრავს მის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მართვისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, სწორედ კონსტიტუციაა მთელი მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველი. კონსტიტუციური წყობილების ცნების საფუძველში დევს სამი მთავარი კატეგორია – ხელისუფლება, სუვერენიტეტი და პიროვნების თავისუფლება. კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებია ფუძემდებლური საწყისები, რაც საკონსტიტუციო სამართლის მთელი სისტემის იდეურ და ნორმატიულ ბაზას ქმნის და საკონსტიტუციო სამართლის სუბიექტების ქცევის კონცენტრირებულად გამოხატული და განზოგადებული საყოველთაოდ აღიარებული ნორმებია ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით: მმართველობის სახელმწიფო წყობის, პოლიტიკური რეჟიმის, საზოგადოების ძირითად ქვესისტემებში, ურთიერთობათა საკონსტიტუციო-სამართლებრივი რეგლამენტაციის განსაზღვრის, მათი ურთიერთქმედების უზრუნველყოფით.

უნგრელი კონსტიტუციონალისტი კი ანდრაშ შაიო აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციონალიზმის მთავარი ამოცანაა სამართლის ყველა დარგი დაექვემდებაროს მკაცრ საკონსტიტუციო კონტროლს, ხოლო მათი შინაგან ფასეულობათა სისტემა და კონცეფცია უნდა იმყოფებოდეს კონსტიტუციის მაგიის ზეგავლენის ქვეშ. იერარქიული სტრუქტურის გარეშე სამართლის სისტემა და კონსტიტუციური მართლწესრიგი იქნებოდა ქაოსური, შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი იმ მრავალრიცხოვანი ნორმების ფონზე, რომლებსაც ქმნიან სამართლის სხვადასხვა სუბიექტები“.

კონსტიტუციის აუცილებლობაზე მეტყველებს აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ჯ. მარშალის მოსაზრება საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“: „კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, რომლის შეცვლაც არ შეიძლება ჩვეულებრივი კანონებით, ასევე არ შეიძლება ის მათ სიმაღლეზე იქნეს დაყენებული და შეცვლილი, როდესაც ეს საკანონმდებლო ხელისუფლებას მოესურვება. მაშინ კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა თავისი ბუნებით უსაზღვრო ხელისუფლების შეზღუდვის აბსურდული ცდა“ სწორედ ამ მოტივით ნაშრომში შევეცადეთ რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით კონსტიტუციით უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ძირითადი საკითხების განმსაზღვრელი შესაბამისი დებულებებიდან ამონარიდის სახით წარმოგვედგინა სამართლის მეცნიერებათა ზოგ დარგთან (სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და შრომა-გასწორების სამართალთან) კრიმინოლოგიის კავშირი, ასახავს თუ არა ზოგადად აღნიშნულ დებულებათა ნორმები, როგორც დანაშაულობათა შესწავლის, თავიდან აცილების გზებისა და პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსთან მიმართებაში სამართლებრივ ასპექტებს, ასევე დამნაშავეთა და დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთა მიმართ მიყენებული ზიანის გამო დახმარების ვალდებულებებს. დაწერილ კონსტიტუციათა დებულებაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით, რასაც ადასტურებს ხელშეკრულების თეორია, რომელიც სამართლის ერთ-ერთი უძველესი თეორიაა და წარმოიშვა ძველ საბერძნეთში, ხოლო

დასრულებული სახით XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამ თეორიის მიმდევრები (გროციუსი, დიდრო და სხვები) ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა ურთიერთშეთანხმებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად, რათა მიეღწიათ საყოველთაო მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობისათვის. მათი აზრით, ხელშეკრულების თეორიით ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა ვალდებულება დაიცვას მათი საკუთრება, თავისუფლება და უსაფრთხოება.

ზემოაღნიშნული ზოგი ქვეყნის კონსტიტუციაში, რა თქმა უნდა, ცალკე თავებადაა გამოყოფილი (საქართველო თავი მეორე – ადამიანის ძირითადი უფლებები, რუსეთის ფედერაცია – თავი მეორე – ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, აზერბაიჯანი – თავი მესამე – ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სომხეთი – ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, თურქეთი – ნაწილი მეორე – ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, ესტონეთი თავი II – ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულბები, ხორვატია – თავი III – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ამერიკა – არ აქვს ცალკე თავი დათმობილი კონსტიტუცია მხოლოდ მუხლებისაგან შედგება, კანადა – ნაწილი 1. უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია – უფლებებისა და თავისუფლების გარანტიები, ავსტრია – თემები, გერმანია I. ძირითადი უფლებები, საფრანგეთს არა აქვს ცალკე თავი დათმობილი, მაგრამ მეექვსე ნაწილი ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, შვეიცარია – თავი II- მოქალაქეობა და პოლიტიკური უფლებები, თავი III – სოციალური მიზნები) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური ნორმები, მაგრამ ნაშრომის მიზანი სწორედ ის არის, რომ კონსტიტუციური წყობილების სახით სახელმწიფოს ორგანიზების ხერხებიდან, კრიმინოლოგიის ადგილი და მიზნები განმტკიცებული იყოს მის კონსტიტუციაში და შემდგომი რეგლამენტაციის სახით აისახოს მოქმედ კანონმდებლობაში.

ვნახოთ, ქვემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში დღეს როგორაა ასახული კავშირი და განსაზღვრული დანაშაულობის, როგორც სოციალურ მოვლენის, მისი მიზეზების, დამნაშავისა და დაზარალებულის პიროვნების, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და ალკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებული კანონმდებლობა კონსტიტუციურ ნორმებში.

დავიწყოთ საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს: თავი პირველი. ზოგადი დებულებები, მუხლი 7 განსაზღვრავს ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებს, რომლის 1-ლი პუნქტით საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: ბ) სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების, სამოქალაქო სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის, საპროცესო კანონმდებლობა; მიწის წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა; ფარმაცევტული საშუალებების კანონმდებლობა; კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების, აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხის შესახებ; კანონმდებლობა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ; დ) სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; შეიარაღებული ძალები; სასამართლოები და პროკურატურა; სახელმწიფო უსაფრთხოება; კრიმინალური პოლიცია და გამოძიება; სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია მიღებულია 1993 წლის 12 დეკემბერს საერთო სახალხო რეფერენდუმზე. თავი 3. ფედერაციული მოწყობა, მუხლი 71 – რუსეთის ფედერაციის გამგებლობაშია: ო) სამართალწარმოება; პროკურატურა; სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა; ამნისტია და შეწყალება; სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და საარბიტრაჟო პროცესუალური კანონმდებლობა; ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება; პ) ფედერალური კოლიზიური სამართალი;

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 12 ნოემბერს საერთო-სახალხო რეფერენდუმზე (ცვლილება შეტანილია 2002 წლის 24 აგვისტოს) განყოფილება III. სახელმწიფო ხელისუფლება, თავი V – საკანონმდებლო ხელისუფლება, მუხლი 94. აზერ-

ბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ დადგენილი ძირითადი წესები: I – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი უფლებამოსილია დაადგინოს ძირითადი წესები შემდეგ საკითხებზე: მე-17 დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა განსაზღვრა, მათი ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დადგენა; III. ამ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულ საკითხებს კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დაემატოს სხვა საკითხებიც.

სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია რეფერენდუმზე 1995 წლის 5 ივლისს (ცვლილებები შევიდა რეფერენდუმით 2005 წლის 27 ნოემბერს) – თავი 4. ეროვნული კრება, მუხლი 83/5. მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრება: 6) სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, ეკონომიკური (ქონებრივი), დისციპლინური პასუხისმგებლობის შემთხვევები, წესი და პირობები, სისხლისსამართლებრივი სასჯელის განხორციელების წესი, სასამართლო და ადმინისტრაციული აქტების იძულებითი აღსრულების წესი, ადვოკატთა სტატუსი და უფლებამოსილება.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია 1982 წლის 7 ნოემბერს, შესწორებები შეტანილია 1987 წლიდან 2004 წლის მდგომარეობით 8-ჯერ) თურქეთის დიდი ეროვნული კრების ფუნქციები და უფლებამოსილება: ა. ზოგადი დებულებები წარმოდგენილია კონსტიტუციის 87-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ: თურქეთის დიდი ეროვნული კრების ფუნქციებსა და უფლებამოსილებას განეკუთვნება: კანონის მიღება, შეცვლა და გაუქმება; ზედამხედველობა მინისტრთა საბჭოსა და მინისტრებზე. განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭოსთვის კანონის ძალის მქონე მთავრობის ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილების მინიჭება; ბიუჯეტის პროექტისა და საბოლოო ანგარიშის კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება ემისიასთან და ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით; საერთაშორისო შეთანხმებათა რატიფიცირება; კონსტიტუციის შესაბამისად, სამი მეხუთედით გადაწყვეტილების მიღება ამნისტიისა და შეწყალების შესახებ; ასევე კონსტიტუციის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საინტერესო იყო ბალტიისპირეთის ქვეყნების ძირითადი კანონის – კონსტიტუციის გაცნობა. ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის (მიღებულია 1992 წლის 28 ივნისს რეფერენდუმზე) -VI თავის 59-ე მუხლში, აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო კრება, 65-ე მუხლის 1-ლი პუნქტით სახელმწიფო კრება: იღებს კანონებსა და დადგენილებებს. მე-7 თავით განსაზღვრულია კანონმდებლობა, 102 -ე მუხლით ესტონეთის რესპუბლიკის კანონები მიიღება კონსტიტუციის შესაბამისად. 104-ე მუხლით კანონის მიღების წესი განისაზღვრება სახელმწიფო კრების რეგლამენტით. მხოლოდ სახელმწიფო კრების წევრთა უმრავლესობით მიიღება და იცვლება შემდეგი კანონები: მოქალაქეობის შესახებ; სახელმწიფო კრების არჩევნების შესახებ; რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ; ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შესახებ; რეფერენდუმის (საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის) შესახებ; სახელმწიფო კრების რეგლამენტის შესახებ და სახელმწიფო კრების მუშაობის წესის შესახებ; რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო კრების წევრთა ანაზღაურების შესახებ; რესპუბლიკის მთავრობის შესახებ; რესპუბლიკის პრეზიდენტისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრთა სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ეროვნული უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ; სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; ესტონეთის ბანკის შესახებ; სახელმწიფო კონტროლის შესახებ; სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების შესახებ. როგორც ჩანს, ესტონეთის კონსტიტუციის ძირითად კანონში კონსტიტუციით განსაზღვრულ კანონთა ჩამონათვალში სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. ანალოგიური მდგომარეობაა ლატვიისა და ლიეტუვას კონსტიტუციებში.

ხორვატიის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია 1990 წლის 22 დეკემბერს (ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 15 დეკემბერს, 2000 წლის 16 ნოემბერს და 2001 წლის 2 აპრილს). VI. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია – ხორვატიის საბორი, მუხლი 70. ხორვატიის საბორი წარმოადგენს ხალხის წარმომადგენლობით, ასევე ხორვატიის რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლებით აღჭურვილ ორგანოს. მე-80 მუხლით ხორვატიის საბორი – იღებს კონსტიტუციას და შეაქვს მასში ცვლილებები; – იღებს კანონებს; – სისხლის სამართლის საქმეებზე აცხადებს ამნისტიას და ა.შ. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ძირი-

თად 10 საკითხთან მიმართებაში ახორციელებს უფლებამოსილებას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია მიღებულია 1787 წლის 17 სექტემბერს, კონტინენტურმა კონგრესმა ძალაში შესვლა აღიარა 1788 წელს. ის მსოფლიოში პირველი ერთიანი დაწერილი ძირითადი კანონია და შედგება პრეამბულის, 7 მუხლისა და 27 შესწორებისაგან. კონსტიტუციის პირველ მუხლში საუბარია საკანონმდებლო, მეორეში აღმასრულებელ, ხოლო მესამეში – სასამართლო ხელისუფლებაზე . მუხლი I. ნაწილი 1. „ამ აქტით დადგენილი მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცემა შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან". ნაწილი 8. კონგრესს უფლება აქვს ან ნაწილში ჩამოთვლილი უფლებამოსილებების აღსრულებისთვის გამოსცეს შეერთებული შტატების მთავრობის, რომელიმე დეპარტამენტის ან მისი თანამდებობის პირისთვის ამ კონსტიტუციით მინიჭებული აუცილებელი და სავალდებულო ყველა კანონი.

კანადის 1867 წლის კონსტიტუციური კანონის IV თავი – საკანონმდებლო ხელისუფლების დანაწილება პარლამენტის უფლებამოსილებები – მუხლი 91. კანადის პარლამენტის ექსკლუზიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები ვრცელდება იმ საკითხებზე, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი, სახელდობრ მე-7 პუნქტით მილიცია, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო სამსახური და ქვეყნის თავდაცვა; 27-ე სისხლის სამართალი, გარდა სისხლისსამართლებრივი განსჯადობის სასამართლოების მოწყობისა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოებისა და პროცესუალური ნორმების შემცველობით; 28-ე სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების შექმნა, ფუნქციონირება და მართვა. 92-ე მუხლით განსაზღვრულია პროვინციების ექსკლუზიურ კანონმდებლობას მიკუთვნებული საკითხები, თითოეულ პროვინციაში ლეგისლატურა უფლებამოსილია ექსკლუზიურად მიიღოს კანონები ქვემოჩამოთვლილ საკითხებზე: მე-6 პუნქტით – პროვინციაში და პროვინციისათვის სახელმწიფო ციხეებისა გამოსასწორებელი დაწესებულებების შექმნა, ფუნქციონირება და მართვა; მე-14 პუნქტით – მართლმსაჯულების განხორციელება პროვინციაში, რომელიც მოიცავს პროვინციების სასამართლოების მოწყობას, ფუნქციონირებასა და ორგანიზაციას, ორივე სფეროში – სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალში სამართალწარმოებას, აგრეთვე პროცესუალურ საკითხებს სამოქალაქო სამართალში. მე-15 პუნქტით – სასჯელის აღსრულება ჯარიმით, დასჯის სხვა ფორმებითა და დაპატიმრებით პროვინციის კანონმდებლობის დარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია ამ მუხლში ჩამოთვლილი საკითხების კატეგორიასთან. 1982 წლის კანადის კონსტიტუციური აქტით, რომელიც ამოქმედებულად გამოცხადებულია 1982 წლის 17 აპრილიდან, 1-ლი ნაწილით უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტიამ დაადგინა უფლებებისა და თავისუფლების გარანტიები და იურიდიული უფლებები.

ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიღებულია 1920 წლის 1 ოქტომბერს (ცვლილებები შეტანილია 1929-2000 წლებში) პირველი ნაწილის – ზოგადი დებულებანი – მე-10 მუხლით ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებში: 6) სამოქალაქო სამართალი, ეკონომიკური გაერთიანებების სამართლის ჩათვლით, გარდა რეგულირებისა, რომელიც აწესებს ადმინისტრაციულ შეზღუდვებს უცხოელებისათვის მიწების ყიდვა-გაყიდვაზე; სისხლისსამართლებრივი რეგულირება, გარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროს მიკუთვნილ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე საქმის წარმოების სამართლებრივი რეგულირებისა; იუსტიცია; დაწესებულებები, რომლებიც იცავენ საზოგადოებას პირებისგან, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, ზედამხედველობას მოკლებული ან სხვა საშიში პირებისგან, როგორებიცაა შრომა-გასწორებისა და სხვა ამგვარი დაწესებულებები; ადმინისტრაციული იურისდიქცია; საავტორო უფლება; ბეჭედი; ლიკვიდაცია და ამოღება სანიტარიის მიზნით და სხვა სახის ამოღება, თუ ისინი არ ეხება მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროებს; ნოტარიუსების, ადვოკატებისა და სხვა მონათესავე პროფესიის პირთა საქმიანობის საკითხები;. 14) ფედერალური პოლიციისა და ფედერალური ჟანდარმერიის ორგანიზება და ხელმძღვანელობა, დაცვის სხვა ქვედანაყოფების დაფუძნება და ფორმირება თემებში, გარდა დაცვის ქვედანაყოფებისა; დაცვის ქვედანაყოფების აღჭურვისა და იარაღის გამოყენების უფლების პირობების დარეგულირება;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი მიღებულია 1949 წლის 23

მაისს (1951 წლიდან 2002 წლამდე შევიდა 30-ჯერ ცვლილება) VII. ფედერაციის კანონმდებლობა, მუხლი 73. ფედერაციიას აქვს განსაკუთრებული საკანონმდებლო კომპეტანცია შემდეგ საკითხებზე: 10) ფედერაციის და მიწების თანამშრომლობა: ა) კრიმინალური პოლიციის სფეროში; ბ) თავისუფალი დემოკრატიული წყობილების საფუძვლების, ფედერაციის ან მიწის არსებობის და უსაფრთხოების დაცვაში (კონსტიტუციის დაცვა) და გ) ფედერაციის ტერიტორიის დაცვაში მისწრაფებისგან, ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენებისაკენ მიმართული მოსამზადებელი ქმედებების გზით ზიანი მიადგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ინტერესებს, ასევე, კრიმინალური პოლიციის ფედერალური უწყების დაარსება და ბრძოლა საერთაშორისო დამნაშავეობასთან.

საფრანგეთის კონსტიტუცია მიღებულია 1958 წლის 4 ოქტომბერს (ცვლილებები შესულია 1960-2008 წლებში) ნაწილი 5 – პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობა – მუხლი 34. კანონებს იღებს პარლამენტი. კანონი ადგენს ნორმებს, რომლებიც ეხება: დანაშაულისა და დელიქტების განსაზღვრას, ასევე მათთვის შეფარდებულ სასჯელებს; სისხლის სამართლის სამართალწარმოებას, ამნისტიას; ახალი სასამართლო დაწესებულებების შექმნასა და მოსამართლეთა სტატუსს; მუხლი 38. მთავრობას შეუძლია თავისი პროგრამის შესასრულებლად პარლამენტს მიმართოს, რათა შეზღუდული ვადის განმავლობაში, ორდონანსების გამოცემის გზით განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ჩვეულებრივ განეკუთვნება საკანონმდებლო სფეროს. მუხლი 53/2 რესპუბლიკას შეუძლია აღიაროს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია 1998 წლის 18 ივლისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუცია. მიღებულია ფედერალური კრების მიერ 1998 წლის 18 დეკემბერს და დამტკიცებულია რეფერენდუმზე 1999 წლის 18 აპრილს (ცვლილებები შეტანილი იქნა 1999 წლის 8 ოქტომბერს და 2002 წლის 15 ოქტომბერს). თავი 2. უფლებამოსილებები – ნაწილი 10. სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ზომა-წონა – მუხლი 122. სამოქალაქო სამართალი: 1. სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა წარმოადგენს კონფედერაციის საქმეს. 2. სასამართლოები, სასამართლო წარმოების ორგანიზაცია და სამოქალაქო სამართლებრივი მართლმსაჯულება წარმოადგენს კანტონების კომპეტენციას. 3. სამოქალაქო საქმეებზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე. მუხლი 123. სისხლის სამართალი 1. სისხლის სამართლებრივ კანონმდებლობას ახორციელებს კონფედერაცია. 2. სასამართლოების ორგანიზაცია, სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულება, ასევე სასჯელისა და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების აღსრულება შედის კანტონების კომპეტენციაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 3. კონფედერაციას შეუძლია კანტონებს გამოუყოს სუბსიდიები: ა) ინსტიტუტების აშენებისთვის; ბ) სასჯელისა და სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების აღსრულების გაუმჯობესებისათვის; გ) ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილთა აღმზრდელობითი დაწესებულების მხარდასაჭერად. მუხლი 123 ა. გამასწორებელი სამუშაოები განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისათვის 1. თუ გაუპატიურების ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირი ექსპერტული დასკვნის შესაბამისად დაპატიმრებულ უნდა იქნეს როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავე და არ არსებობს მკურნალობის საშუალება, იგი შესაძლებელია ციხეში მოთავსდეს სამუდამოდ, დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაღალი რისკის გამო. ვადამდელი ან დროებითი გათავისუფლება აკრძალულია. 2. ახალი ექსპერტიზა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი სამეცნიერო ფაქტების შესაბამისად დამნაშავემ შესაძლებელია, წარმატებით გაიაროს თერაპიის კურსი და აღარ უქმნიდეს საშიშროებას საზოგადოებას. ახალი შემოწმების შედეგების საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევაში, გათავისუფლებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული სააგენტო პასუხისმგებელია განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის. 3. საექსპერტო დასკვნა გაუპატიურების ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი და გამოცდილი ექსპერტის მიერ ყველა შესაბამის ფაქტზე დაყრდნობით. მუხლი 124. დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთა დახმარება – კონფედერაცია და კანტონები უზრუნველყოფენ, რომ პირებმა, რომელთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სქესობრივ ხელშეუხებლობას დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიადგა ზიანი, მიიღონ

დახმარება და შესაბამისი კომპენსაცია, თუ ისინი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიან. მუხლი 125. ზომა-წონა. კანონმდებლობა ზომა-წონის შესახებ კონფედერაციის კომპეტენციაა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილ ანალიზზე დაყრდნობით საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ესტონეთის, ხორვატიის, გერმანიის კონსტიტუციათა ნორმები, სამწუხაროდ, არ ასახავს უშუალოდ კრიმინოლოგიის სამართლებრივ ასპექტებს და ტექსტში ძირითადად საუბარია დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართალდამცავ ასპექტებზე. რაც შეეხება საფრანგეთის კონსტიტუციას, სავარაუდოდ 1998 წლის 20 ივლისს მასში შევიდა ცვლილება და გაკეთებულია სპეციალური ჩანაწერი 53/2 მუხლით, რომ „რესპუბლიკას შეუძლია აღიაროს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია, 1998 წლის 18 ივლისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით“, რაც გულისხმობს, რომ „სასამართლო უფლებამოსილი იქნება განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც დაფიქსირებულია 1998 წლის რომის სტატუტში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს. სასამართლოს იურისდიქცია, წესდების თანახმად, ხორციელდება შემდეგ დანაშაულობებზე: ა) გენოციდის დანაშაული; ბ) დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ; ც) სამხედრო დანაშაულები; დ) აგრესიის დანაშაული. საფრანგეთის ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული ცვლილების განხორციელებით კონსტიტუციასთან მიმართებაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის გამოყენების შესაძლებლობა დაუშვა საერთაშორისო ხელშეკრულების პრიმატით, რაც სამხედრო სამართლის გათვალისწინებით კრიმონოლოგიასთან მიმართებაში მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველია.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია – სიძველის გამო მისი სტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე კონსტიტუციის სტრუქტურას, მასში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო მმართველობის წამყვანი ბევრი ინსტიტუტი და უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ყველა რგოლი, ამიტომ შევსებულია კონგრესის კანონებით, პრეზიდენტის გამოცემული აქტებით, სასამართლო პრეცედენტებითა და კონსტიტუციური ადათებით. კანადისა და ავსტრიის კონსტიტუციური ნორმები ნაწილობრივ შეიცავს სისხლის სამართალსა და შრომა-გასწორებით სამართალთან კრიმინოლოგიის კავშირს, ხოლო შვეიცარიის კონსტიტუციის ნორმები სრულად ასახავს როგორც დანაშაულობათა შესწავლის, თავიდან აცილების გზებისა და პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსთან მიმართებაში სამართლებრივ ასპექტებს, ასევე სისხლისამართლებრივი მართლმსაჯულების აღსრულების, დამნაშავეთა და დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთა მიმართ მიყენებული ზიანის გამო დახმარების ვალდებულებებს.

ეს ნაშრომი სპეციალურად მომზადდა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებეთა აკადემიის მიერ მომზადებული საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებისათვის, რომლებიც იმსჯელებენ და პარალელს გაავლებენ კონსტიტუციებში ასახულ სისხლის სამართლის წყაროებთან კრიმინოლოგიის, როგორც სამართლებრივი მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულების უშუალო კავშირსა და სამართალში სოციალურ-პოლიტიკური პირობების შედეგების ასახვაზე და საბოლოო სახით კონფერენციაზე გამოთქმული შენიშვნებითა და დამატებებით ერთობლივად მომზადდება წინადადებები გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი ნაშრომი რეკომენდაციის სახით გაეგზავნოს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მომავალში კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების გასათვალისწინებლად.

## ზოგი სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებში კრიმინოლოგიის სამართლებრივი ასპექტები

**მანანა ხვედელიძე**

სამეცნიერო ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით განგვეხილა რიგი სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ვინაიდან სამართლის წყაროთა შორის უზრუნველყოფილია კონსტიტუციის უზენაესობა, შევეცადეთ კონსტიტუციით უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ძირითადი საკითხების განმსაზღვრელი შესაბამისი დებულებებიდან ამონარიდის სახით წარმოგვედგინა სამართლის მეცნიერების ზოგ დარგთან (სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და შრომა-გასწორების სამართალთან) კრიმინოლოგიის კავშირი; აღნიშნულ დებულებათა ნორმები ასახავს თუ არა, ზოგადად, როგორც დანაშაულობათა შესწავლის, თავიდან აცილების გზებისა და პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა კომპლექსთან მიმართებაში სამართლებრივ ასპექტებს; ასევე, დამნაშავეთა და დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლთა მიმართ მიყენებული ზიანის დახმარების ვალდებულებებს. ნაშრომის დასკვნაში ანალიზის გათვალისწინებით წარმოდგენილია სათანადო წინადადებები.

## Legal aspects of criminology in the basic constitutional provisions of some countries

**Manana Khvedelidze**

The current academic work presents a research of the constitutions of several countries, taking into account the regional principles. The researcher decided to examine the constitution as a legal document that any sovereign state gives the supremacy over ordinary statute laws.

The author focuses on demonstrating the connection between some fields of law (such as Criminal Law, Criminal Procedure, and Penal Labor) and criminology. Also, the researcher attempts to ascertain whether constitutional provisions include the legal aspects of the criminal studies, crime control and prevention, and the Right to Restitution, which means holding offenders directly responsible to victims of crime for the financial harm they caused. The author provides relevant extracts from basic constitutional provisions, which illustrate her analysis of the state legislative issues. In conclusion, some functional suggestions are offered.

*

# ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია: სამართლებრივი მიდგომები და შედარებითი ანალიზი

*პროფესორი, დოქტორი* ***გიორგი ღლონტი***, *თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Giorgi Ghlonti** (Georgia), *TSU Tinatin Tsereteli State and Law Institute, Georgian Academy of Criminology Sciences*

ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლა მსოფლიო საზოგადოების წინაშე მდგარი ერთერთი ურთულესი პრობლემაა.[1] გაერთიანებული ერებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად ეძებენ ამ ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლის ეფექტურ გზებს.[2] ამის დასტურია აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი არაერთი საერთაშორისო კონვენცია: გაეროს 1961 წლის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების შესახებ"[3], 1971 წლის კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ",[4] 1988 წლის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".[5]

არანაკლებ აქტუალურია ნარკომანიის პრობლემა თანამედროვე საქართველოსთვისაც. ხელისუფლება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაჟინებით ცდილობს გადამწყვეტი ზომების მიღებას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაზე ეფექტური კონტროლის განხორციელებისთვის, მაგრამ ეს რთული ამოცანაა, იმდენად რამდენადაც, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა გლობალური მასშტაბის მოვლენაა და პრობლემაც ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აღნიშნულ ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლისათვის აუცილებელია, გამოვიყენოთ სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების გამოცდილება, აგრეთვე სოციოლოგიურ და ანალიტიკურ კვლევათა მონაცემები სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის სფეროებში.[6]

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნარკომანებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულების რაოდენობა საქართველოში არსებითად გაიზარდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის დონემ იმატა 15-18%-ით. 2005 წელს რესპუბლიკაში დაფიქსირდა ნარკოტიკული დანაშაულის 2074 ფაქტი, 2006 წელს – 3542, 2007წ. – 8493, 2008წ. – 8699, 2009წ. – 6336, 2010წ. – 5465, 2016-5126; 2017 – 4762; 2018-4239[7].

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, ასევე იზრდება ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაპატიმრებულ პირთა რიცხვი. 2002წელს მათი რაოდენობა იყო 766, 2003წ. – 715, 2004წ. – 837, 2005წ. – 809, 2006წ. – 1760, 2007წ. – 1919, 2008წ. – 2095; 2013- 2660; 2014- 2354; 2017 –1677[8].

ნარკოტიკული დანაშაულის შემცირების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ გაამკაცრა მასთან ბრძოლის პოლიტიკა, დაამძიმა სასჯელი, მაგრამ ყოველივე ამან ვერ მოიტანა სასურველი შედეგი და საზოგადოებაში დაძაბულობის ზრდას შეუწყო ხელი.

საქართველო უკვე გახდა ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დაჯგუფებების მიერ განიხილება, როგორც მოსახერხებელი დერეფანი ნარ-

1 World Drug Report – 2018 _ http://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/WDR-2018.html; Drugabuse.gov, Stress & Trends & Statistics section A collection of reports and statistics from the National Institute on Drug Abuse.

2 United Nations Single Convention on Narcotic Drugs of 1961, Convention on Psychotropic Substances 1971, United Nations Convention against the Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances of 1988

3 http://www.unodc.org/pdf/convention_1961_en.pdf

4 http://www.unodc.org/pdf/convention_1971_en.pdf

5 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2540250?publication=0

6 UNODC, Addiction, crime and insurgency: the transnational threat of Afghan opium, 2009, p.49. Journal of Drug Issues. Vol.2 p.34; Center for Criminology and Public Research.

7 http://www.police.ge/index.php?m=199

8 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo

კოტიკების აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადასატანად. ბუნებრივია, საქართველო მარტო ვერ გაუმკლავდება ამ პრობლემას და აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეცნიერებთან, რათა შეიმუშავოს ეფექტური ზომები ნარკოტიკული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

დანაშაულთან ბრძოლის პრობლემა საქართველოში ყოველთვის იყო დამოკიდებული ლიდერების პოლიტიკურ ნებაზე, რაც ნათლად ვლინდება 2006-2016 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის ანალიზის საფუძველზე, რომლის რაოდენობამაც 62283-დან 35977-მდე, ანუ თითქმის 45%-ით იკლო. თუმცა, აღნიშნული კლების მიუხედავად, საქართველოში პატიმართა ინდექსი 10 000 მოსახლეზე კვლავაც ყველაზე მაღალია ევროპაში და 256-ს შეადგენს, მაშინ როდესაც, საშუალო ევროპული ინდექსი 117-ის ტოლია.

რეგისტრირებული დანაშაულების რაოდენობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლების მიხედვით:

- სსკ 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება;
- სსკ 261. ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება;
- სსკ 262. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა;
- სსკ 263. საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა;
- სსკ 264. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა;
- სსკ 265. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება;
- სსკ 266. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა;
- სსკ 267. ნარკოტიკული საშუალების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება;
- სსკ268. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება;
- სსკ 269. ნარკოტიკული საშუალების ან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა;
- სსკ 270. ფსიქოტროპული ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა;
- სსკ 271. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა;
- სსკ 272. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის მოხმარებაზე დაყოლიება;
- სსკ 273. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება;
- სსკ 274. იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება

8493-დან (2007წ) 4762-მდე (2017წ) იკლო. დასახელებული მუხლებით რეგულირება-დი რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის ანალიზი (2015წ) რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ამ კუთხით უპირობო ლიდერი დედაქალაქი თბილისია – 2252, აჭარაში ეს რაოდენობა 692-ია, იმერეთში – 646. ყველაზე მცირე ოდენობა მსგავსი დანაშაულებისა ფიქ-სირდება მცხეთა-თიანეთსა (65) და სამცხე-ჯავახეთში (37).

45-ე მუხლით რეგისტრირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (ნარკოტი-კული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) ყველაზე დიდი ოდენობა (2015წ) აღინიშნა აჭარაში – 28,7 (10 000 მოსახლეზე), იმერეთში – 26,8; სამეგრელოში 25;, ხოლო ყველაზე ნაკლები – სამცხე-ჯავახეთში 4,7.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2011-2015წწ ჩამორთმეულ ნარკოტიკებს შორის სჭარბობდა კანაფი 12076გრამი 10 000 მოსახლეზე; ჰეროინი – 1312 გრამი.

2015 წლისთვის საქართველოში ოფიციალურად დარეგისტრირებულ იქნა 29,2 ნარკომ-ანი 10000 მოსახლეზე. მათ შორის უმრავლესობა (21,2) გამოიყენებდა მარიხუანას; მეტადონს – 3,8; ოპიატებს – 3,4.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ცვლი-ლების მიუხედავად, თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა უკანასკნელი 13 წლის გან-მავლობაში შედარებით სტაბილური რჩება და წელიწადში საშუალოდ 1900-ს შეადგენს.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართ-ველოში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულობის დონე უკანასკნელი 15 წლის გან-მავლობაში პირდაპირ არაა დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრებასა თუ შერ-ბილებაზე და მოითხოვს ახალ მიდგომებს მოცემული პრობლემის გადასაჭრელად.

შედარებით პერსპექტიულ მიდგომად გვესახება ა) ყველა ტიპის ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაცია; ბ) ზოგიერთი მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების სრული ლეგალიზაცია.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის დასაბუთების არგუმენტებია:

1. ნარკოტიკების ლეგალიზაცია გახდა აქტუალური სადისკუსიო თემა საერთაშორისო არენაზე. დებატების ცენტრში დგას როგორც მათი დეკრიმინალიზაციის, ისე ლე-გალიზაციის ცნების გაფართოების საკითხი. საუბარია არამარტო ე.წ. „მსუბუქ ნარ-კოტიკებზე" (კანაფის წარმოებულები), არამედ „მძიმე" ნარკოტიკულ საშუალებებზე – ოპიატებზე. 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეინიშნება აკრძალვის შესუსტება მსუბუქი ნარკოტიკების არამარტო მოხმარებაზე, არამედ წარმოებაზეც.
2. ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია უკვე იქნა ოფიციალურად დამტკიცებუ-ლი რამდენიმე ქვეყანაში. 2014 წლის 9 სექტემბერს „ნარკოპოლიტიკის გლობალ-ურმა კომისიამ" ნიუ-იორკში წარადგინა მოხსენება შეთავაზებით, კრეკ-კოკაინისა და დეზომორფინის გარდა, მომხდარიყო ყველა ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარები-სა და შენახვის ლეგალიზება, შეწყვეტილიყო ფსიქოაქტიური ნივთიერებებით წვრილ მოვაჭრეთა დევნა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბრუნვა დარეგულირებულიყო იმავე მექანიზმებით, რომლებსაც გამოიყენებენ ნიკოტინისა და ალკოჰოლის მიმართ. 2016 წლის 17 ივნისს ჯანდაცვის სფეროში ბრიტანეთის წამყვანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა – ჯანმრთელობის დაცვის სამეფო საზოგადოებამ და საზოგადოე-ბრივი ჯანდაცვის საბჭომ მოუწოდა დაშვებულიყო პირადი მიზნებით ყველა სახის ნარკოტიკის შენახვა და გამოყენება.
3. ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ სადამსჯელო მიდგომებმა ვერ უზრუნვე-ლყვეს ნარკომანიის შემცირება და პრევენცია. 2003 წელს მსოფლიოში 15-დან 64 წლამდე ასაკის ადამიანი (მსოფლიო მოსახლეობის 4,7%) მოიხმარდა არალეგალურ ნარკოტიკებს ბოლო 12 წლის განმავლობაში.

   2014 წლისთვის მათი რაოდენობა 33%-ით – 247 მილიონამდე გაიზარდა და მსოფლიო მოსახლეობის 5,2% შეადგინა. ნარკოდამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი არათანაბრად იზრდებოდა 27 მილიონიდან (2013 წელს) 29 მილიონამდე (2014წ). ამავდროულად,

ოპიუმის ყაყაჩოს უკანონო კულტივირებამ 2014 წელს პიკს მიაღწია და მსოფლიოში 320 000 ჰექტარზე გავრცელდა, კოკაინის წარმოება კი 2014 წელს 38%-ით გაიზარდა 2013 წლის ანალოგიურ რაოდენობრივ მაჩვენებელთან შედარებით.

1. ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ სადამსჯელო მიდგომებმა გამოიწვიეს:

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევები;
- კანონის უზენაესობის პრინციპის დაუცველობა;
- ადამიანის უფლებების დარღვევები ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო რეჟიმის ფარგლებში;
- ანტინარკოტიკული სადამსჯელო კანონები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისი;
- ანტინარკოტიკული სადამსჯელო კანონების მიღება და ციხეების გადატვირთვა;
- ანტინარკოტიკული კანონების როგორც სოციალური კონტროლის ინსტრუმენტის ჩამოყალიბება და გამოყენება.

## ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია: სამართლებრივი მიდგომები და შედარებითი ანალიზი

**გიორგი ღლონტი**

2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის უფლება თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს.სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიჩნეული რევოლუციურად, მაგრამ დღემდე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მარიხუანას განმეორებითი მოხმარება დასჯადია (პირველი მოხმარება იწვევს ადმინისტრაციულ ზომებს).

კვლევის ავტორი განიხილავს მარიხუანას დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის მსოფლიო პრაქტიკას საქართველოს რეალიებთან მიმართებაში.

## Decriminalization of drugs: Legal approaches and comparative analysis

**Giorgi Ghlonti**

The Constitutional Court of Georgia has supported the decriminalization of marijuana on November 30, 2017. The court elucidated that each individual has the right to choose the methods of relaxation, including cannabis consumption, as this is the sphere of protected liberty.

The Court decision has been labeled as „revolutionary”. However, Georgian legislation still calls for criminal punishment for repeated and successive cases of marijuana use (while the first violation calls for administrative punishment).

The researcher examines the global practice of decriminalization and legalization of marijuana in relation to the realities of Georgia.

*

## საბაზისო თეზისები თანამედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებივი ორგანიზაციების გენეზისის და სისტემატიზაციის კრიმინოლოგიური კვლევებთან დაკავშირებით

პროფესორი, დოქტორი **ჯემალ ჯანაშია**, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Jemal Janashia** (Georgia), *Technical University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences*

თანამედროვე კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გამოიკვლიოს, მოსახლეობის დამოკიდებულება დამნაშავეობასთან დაკავშირებით, როგორც მოსახლეობის შიში ამ მოვლენასთან დაკავშირებით და ის მძიმე შედეგები, რომელიც ასეთ დამოკიდებულებას მოსდევს. მეცნიერები და მოსახლეობა აღნიშნავს, რომ საკმარისია ჩართო ტელევიზიის ორისამი პროგრამა და აშკარად დარწმუნდებით ასეთ მოსაზრებაში.

საჭიროა მუდმივი კვლევები, რათა ვუპასუხოთ შეკითხვებს: ვის ეშინია? რომელი დანაშაულებია ყველაზე საშიში? რისი უფრო გვეშინია? (ჩვენი თუ ჩვენი ახლობლების უსაფრთხოდ ყოფნის)? როგორია ამ შიშის შედეგები?

სამწუხაროდ, ასეთი გამოკვლევები იშვიათობაა, თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დამნაშავეობის რეალური საშიშროებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ნეგატიური როლი, რომელსაც ამ საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თამაშობს, განსაკუთრებით ტელევიზია და არც თუ იშვიათად პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილიც. რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, დამნაშავეობის-დანაშაულობის ცნება, რომელიც ასე რეალურია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, კვლავ რჩება ერთ-ერთი ძნელად გასარკვევ საკითხად კრიმინოლოგიაში.

მრავალმხრივი კრიმინოლოგიური კონცეფციების – „თანხმობის თეორია", „კონფლიქტების თეორია", „ელიტის დომინირების თეორია", „პლურალისტული თეორია" და სხვა თეორიები ვერ გვაძლევს მკაფიო პასუხებს დამნაშავეობის შესახებ.

მეცნიერული ნაწილი კრიმინოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე თვლის, რომ ყველაზე უფრო სიღრმისეულად დამნაშავეების საკითხებს კონფლიქტების თეორია განიხილავს. ისინი, ძალიან მოკლედ რომ გამოვთქვათ კონცეფციის არსი თვლიან, რომ დამნაშავეობა ეს არის სოციალური კონსტრუქტი, რომელიც შექმნილია გაბატონებული (მმართველი) ელიტის ინტერესებისათვის, რომელიც ცდილობს შექმნას ისეთი კანონები, რომელიც სამომავლოდ იცავს მათ ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და მათ სტატუსთან დაკავშირებულ სხვა ინტერესებს.

კრიმინოლოგთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვაგვარად ფიქრობს, ისინი თვლიან, რომ დანაშაულის ცნება ასახავს საშიშროებას ცალკეული ადამიანების და მთლიანად საზოგადოებისათვის გამომდინარე იმ ქცევებიდან, რომლებიც არ შეიძლება არ განვიხილო, როგორც დანაშაულებრივი ( მკვლელობები, გაუპატიურება, ძარცვები და ა.შ. ), ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ კანონი ეს არ არის ყოველთვის სამართალი და ამიტომ კანონმდებლისაგან მხოლოდ ნაწილობრივ არის დამოკიდებული „ დამნაშავეობის" კონსტრუირება.

ძალზე მნიშვნელოვანი და პრობლემურია დამნაშავეობის შეფასება ( გაზომვა), რომელიც ბევრ პრობლემას მოიცავს. მაგალითად: რომელი მაჩვენებელი დავუდოთ მათ საფუძვლად, ამ მაჩვენებლის სისწორე, მათი გამოვლენის მეთოდების სწორად შერჩევა და მრავალი სხვა. ამ საკითხებზე შეიძლება ნაწილობრივ პასუხი გასცეს ორგანიზებული დანაშაულის ბუნების შესწავლამ, თუმცა მას ხშირად უშლის ხელს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. ეს იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულია მოსახლეობის ყველაზე მრავალფეროვანი ჯგუფები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ სწრაფად, დროის უმოკლეს მონაკვეთში შეუძლიათ კონსტრუირებული, მრავალფეროვანი და მტკიცე სახელმწიფოთაშორისი დანაშაულებრივი კავშირების მქონე ჯგუფების შექმნა. ვეცდები ჩამოვაყალიბო, რამდენიმე საბაზისო თეზისები თანამედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებივი ორგანიზაციების გენეზისის და სისტემატიზაციის კრიმინოლოგიური კვლევებთან დაკავშირებით.

მე-20 საუკუნის საწყისი პერიოდიდან ორგანიზებული დანაშაული გაძლიერდა, გასცდა რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის საზღვრებს და სახელმწიფოთა შორის მოვლენად ჩამოყალიბდა. გავიდა ხანი და უკვე საუკუნის მიწურულს საერთაშორისო საზოგადოებამ ორგანიზებული დანაშაული ნებისმიერი სახელმწიფოებრივი სისტემის თანმდევ მოვლენად აღიარა და ჩამოყალიბდა მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება, რომ ორგანიზებული დანაშაული თან სდევს ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებს და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათზე.

პრობლემის ისტორიულ ჭრილში განხილვა გვიჩვენებს, რომ ორგანიზებული დანაშაული არა მარტო საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ მიმართულებებზე ახდენს გავლენას, არამედ სახელმწიფოს ცალკეული ინსტიტუტების გამართულ მუშაობას და ცალკეული ქვეყნების უსაფრთხოებასაც დაემუქრა.

ორგანიზებული დანაშაულის დროსა და სივრცეში განხილვამ დაგვანახა, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციები ეფექტურად იყენებენ სახელმწიფოთა სამართალდამცავ სისტემებში არსებულ საკანონმდებლო და ორგანიზაციულ – მეთოდოლოგიურ ხარვეზებს, მუდმივად აძლიერებენ თავიანთ სტრუქტურებს და მათთვის დამახასიათებელი სხარტი გონებით მარჯვედ აბავენ ახალ დანაშაულებრივ ქსელებს.

პრქტიკა ასევე გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნების კრიმინალურმა ორგანიზაციებმა შესაშური უნარი გამოიჩინეს, ფულის მოსაგებად სხვადასხვა კომპრომისზე წავიდნენ და ერთმანეთს შორის წარმოებულ უმძიმეს ტოტალურ ომებსაც კი გაუძლეს, როგორც ლოკალურ, ისე რეგიონალურ – საერთაშორისო დონეზე და მიუხედავად რელიგიური, რასობრივი კულტურული და ტერიტორიული წინააღმდეგობებისა, საჭირო შემთხვევაში გაერთიანდნენ კიდეც. ამას კი გაცილებით უფრო სწრაფად და ხარისხიანად აკეთებდნენ, ვიდრე მსოფლიო სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები .

აი, ის თეორიული და პრაქტიკული ბაზა, რომელზეც აღმოცენდა და განვითარდა საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები – იტალიური მაფიები, კოლუმბიური და მექსიკური კარტელები, ამერიკული განგსტერული ორგანიზაციები, აზიური ტრიადები და იაკუზები, პოსტსაბჭოთა სივრცის დანაშაულებრივი გაერთიანებები, რომლებიც შემდგომში ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ.

წარსულს ჩაბარდა პრიმიტიული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომელთა ადგილი რესტრუქტურიზებულმა მსხვილმა დანაშაულებრივმა სინდიკატებმა დაიკავეს, რომელნიც კორუმპირებული კავშირების საშუალებით „შეიჭრნენ" სახელმწიფოთა საფინანსო, ეკონომიკურ, საკანონმდებლო და პოლიტიკურ სფეროებში და არც თუ იშვიათად ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო მართვის სისტემებზე.

ეკონომიკურმა სიძლიერემ და მასთან ერთად გავლენების მოპოვებამ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაშიც კი ორგანიზებული დანაშაულის ორმაგი ბუნება დაადასტურა. ეკონომიკური როლის გამო, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის და სახაზინო შემოსავლების ხარჯზე გაიზარდა, ამავე დროს მისი პოლიტიკური როლის გამო, რომელსაც საარჩევნო კამპანიებისას კენჭისყრის კონტროლის და მნიშვნელოვან ცენტრებთან კავშირის მეშვეობით მიაღწიეს, ორგანიზებული დანაშაული რჩება სახელმწიფოს შიგნით და მის გვერდზე. სამწუხარო და დასაფიქრებელი კი ის არის, რომ ორგანიზებული დანაშაულის ფინანსური შესაძლებლობები ყოველთვის ისევ და ისევ ორგანიზებულ დანაშაულს აძლიერებს და საშიშია სახელმწიფოსათვის, რადგან მისი გონება პარაზიტული ურთიერთობებისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებითაა დაკავებული და ძირშივე განაპირობებს ადმინისტრაციული სისტემების კორუმპირებულობას.

საბოლოო ჯამში კი ორგანიზებულმა დანაშაულმა შექმნა ახალი კრიმინალური სიტუაცია-პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს: სამართლებრივ და ორგანიზაციულ მმართველობით ღონისძიებების გაძლიერებას და რაც მთავარია, მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსებს, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის საწინააღმდეგო სისტემების აღჭურვის და სწავლების მეთოდიკის ჩათვლით.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ გააცნობიერა რა, რომ თუ მთლიანი მსოფლიო ლეგალური შემოსავალი 15 ტრილიონ დოლარს გასცდა, აქედან თითქმის 10 პროცენტი – „უკანონო შემოსავლებზე" – საერთაშორისო ორგანიზებულ დანა-

შაულზე მოდის, დაიწყო შესაბამისი ქმედებების განხორციელება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ალბათ ცოტა დაგვიანებით შეიმუშავა ამ პრობლემის საწინააღმდეგო კონსტიტუციური დონის დოკუმენტი- 2000 წლის 15 ნოემბრის კონვენცია „ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". ნიშანდობლივია, რომ იგი იტალიის ქალაქ პალერმოში იქნა მიღებული. სწორედ ორგანიზებულმა დანაშაულმა შეუქმნა ამ სახელმწიფოს მთელი რიგი პრობლემები, რომელიც ამ საკითხებზე მომუშავე მეცნიერების და პრაქტიკული მუშაკებისათვის ცნობილია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი პრობლემები ორგანიზებული დანაშაულის სფეროში მრავალი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოებრივი სისტემებისათვის არის დამახასიათებელი. შექმნილმა მდგომარეობამ საკითხის მეცნიერული შესწავლა მოითხოვა, რომლის შედეგად გამოიკვეთა მეტად საინტერესო მეთოდოლოგიური კანონზომიერება: დაკვირვების, ანალიზის და გააზრების მეთოდებით ორგანიზებული დანაშაულის შესახებ სრული ინფორმაცია შეიკრიბა, რომელმაც მის შესახებ არსებული იდეების და დოქტრინების გადაფასების აუცილებლობასთან მიგვიყვანა. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ორგანიზებული დანაშაულის ფენომენის: სამართლებრივი, კრიმინოლოგიური, კრიმინალისტიკური და ოპერატიულ-საგამოძიებო სფეროები მოითხოვს ახალ მიდგომებს, რადგან ნათლად ჩანს საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის და ტერორისტული ორგანიზაციების ურთიერთკავშირი, რომელიც სერიოზულად დაემუქრა ახალ მსოფლიო წესრიგის საფუძვლებს.

დღეს არსებული მსოფლიო წესრიგი მოითხოვს ახლებურ, არასტანდარტულ ადეკვატურ მიდგომებს, რადგან მსოფლიოს მრავალ სივრცეებში ადგილობრივ – ლოკალურ და რეგიონალურ მიმდინარე კონფლიქტებში მუდმივად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობა. ისინი ადვილად ინტეგრირდებიან ასეთ დაშლა-რღვევებში და საოცარი უნარი შესწევთ შეეგუონ მსოფლიო აშლილობას, დააკვირდნენ მას და ადამიანთა ჯგუფების, სახელმწიფოების უბედურებიდან და სისუსტეებიდან სარგებელი ნახონ, მრავალფეროვანი დანაშაულებრივი ბიზნესები შექმნან.

ასე ფართოვდება და ძალას იკრებს მსოფლიოს სხვადასხვა სივრცეებში საერთაშორისო ნარკობიზნესი, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), განსაკუთრებით მისი საშიში ფორმა – ადამიანების ორგანოებით და სხვადასხვა აკრძალული კონტრაბანდული საქონლით უკანონო ოპერაციები და სხვა.

განვითარების ამ ეტაპზე მსოფლიო თანამეგობრობისათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია ტერორისტული ორგანიზაციების განვითარების ახალ ფაზაში შესვლა. მცირერიცხოვანი, დაქსაქსული, ლოკალურ დონეზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციები გაერთიანდნენ , მძლავრი ტერორისტული გაერთიანება ჩამოაყალიბეს და თავის თავს მზაკვრული და შორსმიმავალი გეგმების მქონე სახელი შეურჩიეს „ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები" .

მათ ადრინდელი ტერორისტული ორგანიზაციებისაგან განსხვავებით კარგად ორგანიზებული პროპაგანდისტული სისტემა მოაწყვეს. ისინი თავიანთ მოსაზრებებს თანამედროვე დონეზე, პროფესიონალურად მომზადებული ფილმებით და პოლიგრაფიული მასალების საშუალებით ავრცელებენ.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორც 2001 წლის მასშტაბურმა ტერორისტულმა აქტებმა და სხვა ასეთმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, თითქმის ყველა მათი დაფინანსება დანაშაულებრივი თანხებით ხორციელდებოდა, ე.ი. საქმე გვქონდა ფულის გათეთრების ტრანსნაციონალურ სქემებთან, რომელიც არ მოხვდა მსოფლიო სამართალდამცავთა თვალთახედვის არეალში. კიდევ ერთი საკვლევი მნიშვნელოვანი თემა.

შეიძლებოდა საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე ზემოქმედების შესახებ საუბარი, კერძოდ, შიდაეროვნული დანაშაულებრივი დაჯგუფებების უხეშ ფიზიკურ ზეწოლაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მათ შორის ბიზნესზე, საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულზე, როგორც საფრთხე ეროვნული სუვერენიტეტისთვის, რადგან იგი თავისი დანაშაულებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიდრეკილია ნაციონალური საზღვრების რღვევისაკენ, რათა ადვილად შეძლოს თავისი უკანონო (კონტრაბანდული) ტვირთების საზღვარზე გადაადგილება. ასევე მნიშვნელოვანია საფრთხე დემოკრატიული ფასეულობების და საზოგადოებრივი ინსტი-

ტუტებისათვის, რაც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

ჩემი აზრით, თეზისებში მოცემულ პრობლემები კრიმინოლოგიური კვლევის ცალკეულ მიმართულებებს მოიცავს და ის ალბათ მეცნიერთა და პრაქტიკოს ექსპერტთა ცალკე დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

## საბაზისო თეზისები თანამედროვე ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების გენეზისსა და სისტემატიზაციის კრიმინოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით

**ჯემალ ჯანაშია**

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის (ტოდ) მუქარა უფრო და უფრო საშიში და რეალური ხდება. სამომავლოდ, ტოდ-ის რესტრუქტურიზაციის განმაპირობებელი გარემოებები იქნება: დემოგრაფია, ურბანიზაცია, მიგრაცია, კონფლიქტები და ეკონომიკური დისბალანსი. იკვეთება ტოდ-ისა და ტერორიზმის დაახლოების ტენდენციები. ეს ყოველივე მსოფლიოს ქვეყნებს ახალ ამოცანებს უსახავს. ჩვენი აზრით, საჭიროა:

პირველი – სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის სისტემატური, მაგრამ უფრო ფრთხილი ინტეგრაცია; ტრანსნაციონალური საინფორმაციო ბანკის მუდმივი სრულყოფა;

მეორე – სახელმწიფოთა მთავრობებისა და აღმასრულებელი ხელისუფლებების თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება, დამყარებული ინფორმაციისა და მომსახურე პერსონალის უფრო ფართო გაცვლაზე, რომლის უმთავრესი მიზანია მნიშვნელოვან ინფორმაციაზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება;

მესამე – საკანონმდებლო სისტემის ისეთი სრულყოფა, რომელიც შესამჩნევად გაამარტივებს და გააძლიერებს საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფების სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ერთობლივ საქმიანობას;

მეოთხე – ტოდ-ის წინააღმდეგ ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, როდესაც საზოგადოების ყველა ფენა გააცნობიერებს, რომ იგი ემუქრება სახელმწიფოთა ეკონომიკურ სიძლიერეს, ქვეყანათა უსაფრთხოებასა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგსაც კი;

მეხუთე – მთავრობებმა უნდა გაითვალისწინონ ტოდ-ის უკანონო ბიზნესების „საბაზრო სტრუქტურათა წარმატების მქონე სფეროებზე“ დარტყმით გამოწვეული შესაძლო შედეგები, რათა ერთი ორგანიზაციის დაბლოკვამ სხვების ხელშეწყობა არ გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შექმნის (მაგალითად, კალისა და მედელინის კარტელებს შორის ომი, როცა მედელინის დაბლოკვამ შედეგად კალის აღზევება გამოიწვია).

დღეს უკვე აღარ არის საეჭვო, რომ თავისი სამართალდამცავი სისტემის და იურისდიქციის ფარგლებში ერთ ზესახელმწიფოსაც კი არ ძალუძს დამოუკიდებლად შეაჩეროს და კონტროლს დაუქვემდებაროს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის პრობლემა. მსოფლიოს ქვეყნების წინაშე დგას ამოცანა – იმოქმედონ შემტევი სტრატეგიით, ერთიანი სისტემითა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

## Basic theses in the relation of modern transnational crime organizations genesis and systematization criminological researches

**Jemal Janashia**

Criminological studies have convinced us that the threat of transnational organized crime (TOC) is becoming more and more dangerous and real. In the future, the restructuring circumstances of TOC will be demography, urbanization, migration, conflicts and economic imbalance between countries. There have been revealed some trends getting close TOD and terrorism. All these issues create new challenges to the world community. In order to overcome them, we need:

First – systematic but more cautious integration of information between states; Permanent perfection of transnational information bank;

Second – establishing a new strategy of cooperation between governments and executive authorities of states, more intensive exchange of information and service personnel, which will be aimed at quick and effective response of sensitive information;

Third – improvement of the legislative system that will facilitate and strengthen the joint activities of the Emergency Operations Groups on the territories of different countries;

Fourth – establishing a strategy against TOC, which will give the opportunity to all levels of society to realize that it equally threatens the economic stability of the states, security of the nations, and current world order;

Fifth – governments should take into account the possible consequences of the illegal businesses „successful fields of the market structure" and make sure that the terminations of one organization will not cause creation of new ones, which would bring even bigger problems, e.g. Cali-Medellin war when the Cali Cartel replaced the Medellin Cartel after its termination instead of stopping the flow of drugs.

Today there is no doubt that even a superpower, within its law enforcement system and jurisdiction, is not able to suspend and control the transnational crime independently. The world faces the challenge of acting with offensive strategy, united front and relevant legislative acts.

*

# კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში

**ნანი ლომაია**, *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი*
**Nani Lomaia** (Georgia), *Georgian Technical University, The Centre of Study and Prediction of Crime*

ქართულ მედიასივრცეში ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების პრობლემების შესწავლისას სხვა საკითხებთან ერთად ნათლად იკვეთება, რომ ჟურნალისტები უგულებელჰყოფენ კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი მეცნიერების მნიშვნელობას. სამწუხაროდ, ისინი არ აანალიზებენ დანაშაულის სოციალური მოვლენის მნიშვნელობას. კერძოდ, იმას, რომ უმუშევრობა და ფინანსური პრობლემები ხშირად კონფლიქტისა თუ დანაშაულის მიზეზი ხდება, ეს შეეხება თითქმის ყველა სახის დანაშაულს, დაწყებული ოჯახური კონფლიქტიდან – დამთავრებული ყველაზე სასტიკი დანაშაულით – მკვლელობით. ცნობილია, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაული, ძალადობა და სხვა სოციალური პრობლემები ერთმანეთთან არის თანხვედრაში. უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდა კი დანაშაულობასთან მჭიდრო კორელაციურ კავშირშია.

მედიასაშუალებების შესწავლამ გამოკვეთა, რომ მუდმივი ყურადღების ცენტრშია: მხოლოდ სახელისუფლო „ბრძოლები“, საარჩევნო კამპანიები ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და კრიმინალური ამბები, ხოლო ამ უკანასკნელის გამომწვევი კრიმინოლოგიური საფუძვლები, სოციალური პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება. გასათვალიწინებელია, რომ კრიმინოგენური საკითხების გაშუქება დაზღვეული უნდა იყოს პოლიტიზირებისა და პერსონიფიცირების ტენდენციისაგან. ამდენად, საჭიროდ მივიჩნევთ, სიძულვილის ენით კი არ ვისაუბროთ დანაშაულობების თემებზე, არამედ გამოვკვეთოთ მიზეზები, რათა ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციების განზოგადებით მივიღოთ დეტალური სურათი და სამართლებრივი მიუკერძოებლობით მივიდეთ დანაშაულის ხელისშემწყობ რეალობამდე.

ქართულ მედიასივრცეში, ერთი შეხედვით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ მათი გაშუქებისას, გარდა იმისა, რომ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა მუხლი, უპირველესად იგნორირებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ხოლო შემდგომში საერთოდ არ არის გაანალიზებული მკვლელობებისა თუ სხვა სახის დანაშაულობების გამომწვევი მიზეზები. ეს რა თქმა უნდა, უარყოფით ზეგავლენას ახდენს დანაშაულობაზე როგორც სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივ მოვლენაზე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტები გვერდს უვლიან კრიმინოლოგიის ძირითად ფუნქციას, რომლის გააზრებულად გამოყენება შესაძლებელს ხდის დეტალურად იქნეს შესწავლილი დანაშაულობის სახე და ფორმა.

ადამიანის უფლებების, კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის (ასეთები უხვად მოიპოვება ტელე- ბეჭდურ-სოციალურ მედიასაშუალებებში) სანიმუშო ფაქტად მოვიყვანთ ორ მაგალითს:

1. საინფორმაციო სააგენტო news.ge-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მერე თითქმის ყველა სააგენტომ და სატელევიზიო სივრცემ უცვლელად გაავრცელა – „პოლიციამ სპეცოპერციების შედეგად დააკავა: კაფე „გალერის“ დაცვის წევრი, 1988 წელს დაბადებული ვიქტორ ჟამუტაშვილი, 1992 წელს დაბადებული ლაშა მამულაიშვილი, 1996 წელს დაბადებული ქეთი მურუსიძე, 1997 წელს დაბადებული მიხეილ მიქაძე, 1995 წელს დაბადებული ბორის დარახველიძე, 1994 წელს დაბადებული თორნიკე ჩუტკერაშვილი, 1994 წელს დაბადებული ჯემალ ელიავა და 1988 წელს დაბადებული გიორგი მამუკელაშვილი. სპეცოპერაციისას დაკავებული ერთადერთი გოგონას, 21 წლის ქეთი მურუსიძის დედამ თეონა ტყაბლაძემ ღიად დაასახელა აგენტი-პროვოკატორი სოლომონ ბათიკაშვილია, რომელიც მის შვილს ლაზარე სილაგაძის სახელით გაეცნო, მემდეგ ქეთის მეგობრებსაც დაუახლოვდა და მათთან ერთად დაგეგმა საკონტროლო შესყიდვა(?!).

საგულისხმოა, რომ ამ ერთ სტატიაში დარღვევების მთელი ბუკეტია მოცემული, არადა,

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჟურნალისტს არ უნდა დაესახელებინა არც შესაძლო დამნაშავეების გვარ-სახელები და მით უფრო, ე.წ „აგენტის“. ბუნებრივია, აქ არ ყოფილა მსჯელობა ამ დანაშაულის, როგორც სოციალურად ანტისაზოგადოებრივ მოვლენაზე.

**2.** ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გადაცემაში გაკეთდა სიუჟეტი ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე. აღინიშნა, რომ 21 პირი დააკავეს, რომელთა შორის იყო სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძე, რომელსაც ამ საქმიდან დიდი ოდენობით თანხას უხდიდა ნუგზარ ჯანჯღავა. სანდო წყაროს ინფორმაციით, თბილისსა და გორში მდებარე აფთიაქებში უკონტროლოდ ხორციელდებოდა ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია. ურეცეპტოდ რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში შეადგინა 4 094 709 ლარი.

ჟურნალისტმა ამ შემთხვევაშიც უპირობოდ დაარღვია ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფცია და მტკიცებით ფორმაში, განაჩენის დადგომამდე, ვიღაც „სანდო წყაროზე“ დაყრდნობით საქმეში მონაწილე პირები მოიხსენია როგორც გამომძალველები და ფსიქოტროპული საშუალების რეალიზატორები.

ოჯახში ძალადობა დანაშაულია და სხვა დანაშაულების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია არა მის შედეგებზე აპელირება, არამედ ბრძოლა უპირველესად მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ, რაც საფუძველს გამოაცლის აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებას. ოჯახში ძალადობის შემთხვევები ნამდვილად საგანგაშოა, ამიტომაც საზოგადოება არ უნდა დარჩეს გულგრილი ასეთი სისასტიკის მიმართ. მართალია, ხშირ შემთხვევაში ოჯახში ძალადობას სოციალური ფონი განაპირობებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არასწორად გაგებული ოჯახში ძალადობა ქმნის მოცემული მოვლენის მიმართ მსხვერპლის არაადექვატურ დამოკიდებულებას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტურ ხასიათს იძენს და აღარავინ აღიქვამს როგორც დანაშაულს.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“- მა მოამზადა სიუჟეტი – „ძალადობის შემთხვევა მარნეულში“ – სადაც დეტალურად აღწერდა როგორ იძალადა დედამ არასრულწლოვან შვილზე, როცა გაიგო გოგონას „სასიყვარულო ამბები“. ნაჩვენები იყო სისხლიანი ოთახი, ჩაწერილი ჰყავდათ მამა, ბიძა და ბაბუა, ასევე მეზობლები, რომლებიც დანაშაულის შესახებ ვერ საუბრობდნენ, იმიტომ რომ არ იყვნენ უშუალო თვითმხილველები.

აღნიშნული რეპორტაჟი არ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ არცერთ რეგულაციას. დარღვეული იყო როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ასევე არასრულწლოვანთა დაცვის უფლება და მაყურებლის ზიანისგან დაცვის უფლებაც.

მაუწყებელეთა ქცევის კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტით- დაუშვებელია ძალადობის სენსაციად გადაქცევა. შესაძლებელია საჭირო იყოს შოკისმომგვრელი მასალის გამოყენება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ძალზე ფრთხილი ანალიზის შემდეგ უნდა იქნას მიღებული, გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამ შეიძლება აუდიტორიაზე ძალადობის ემოციური ხარისხი გაზარდოს. არადა, სიუჟეტში არც ანალიზი იყო გაკეთებული და არც გამომწვევი მიზეზები იყო გამოკვეთილი.

არ ახალია, რომ მკვლელობების საფუძვლებისა და მოტივაციისათვის გვერდის ავლა უარყოფით ზეგავლენას ახდენს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე. ასეთი კატეგორიის დანაშაულობების გაშუქების შემთხვევაში ჟურნალისტს კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შეფასება დაეხმარება დეტალურად შეისწავლოს მოხდარი დანაშაულის წინარე პირობები. საგულისხმოა, რომ სენსაციურობასა თუ შოკისმომგვრელობას გამოკიდებულნი „სიჩქარეში“ ვერ ახერხებენ ფაქტების სიღრმისეულ გაანალიზებას. არადა, სამართლებრივი საკითხების გაშუქებისას მედიასტანდარტის დაცვა აუცილებელია, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფცია დაკავებული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, ამიტომაც მის დაცვას მედიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ასევე მედიის მიერ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

ტელეკომპანია „იმედმა“ მოამზადა რეპორტაჟი, რომელშიც მართალია არ დაუსახელებია მსხვერპლისა და მოძალადის სახელი და გვარი, მაგრამ 1:26 წამი ფონად გასდევდა დანაშაულის ადგილის კადრები (სისხლის ლაქები, გარდაცვლილი გოგონას ცხედარი და ა.შ.) და

მეზობლების ინტერვიუები. აღნიშნული რეპორტაჟი ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს იმ ოჯახში მცხოვრებ დანარჩენ ბავშვებსაც და ზრდასრულ მაყურებელსაც, დაუშვებელია, როდესაც გადაცემა წყალგამყოფ ხაზს არღვევს. სწორედ ასეთ არარედაქტირებულ ფაქტებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა მომავალში არ მოხდეს მისი გამეორება.

განზრახ მკვლელობა – დანაშაულობის ყველაზე საშიში ნაირსახეობაა. მისი გამოკვლევის უგულებელყოფის გამო დაუდგენელი რჩება დანაშაულობის სტრუქტურის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე შემადგენელი ნაწილები. აქედან გამომდინარე, გაურკვეველი რჩება ქვეყნის დანაშაულობის საშიშროების დონე. უფრო მეტიც, დაუზუსტებელი რჩება კრიმინოგენური სიტუაციების მოდელები, კრიმინოტიპების კლასიფიკაცია და მკვლელობებთან ბრძოლის სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. მკვლელობების ანალიზის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ამიტომაც მედიის წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ ასეთი სახის დანაშაულზე აპელირებისას, რადგან გავრცელებული ინფორმაცია ხელს უშლის გამოძიებას, ხშირ შემთხვევაში კი იწვევს საზოგადოების დაძაბულობას. შვეიცარიაში ტელევიზიები არ აკეთებენ სიუჟეტებს ძალადობაზე, ადამიანის გატაცებაზე, მკვლელობებზე, და ამას იმით ხსნიან, რომ ასეთმა ინფორმაციამ შესაძლოა არაპოტენციურ დამნაშავეს დანაშაულისაკენ უბიძგოს.

საქართველოში, სამწუხაროდ, ტელე და ელექტრონული მედიის ხელმძღვანელების იდეოლოგია ნეგატიური ფაქტების უპირობო უპირატესობაა, რამაც ქართული ჟურნალისტიკა შესაძლებელია ჩიხში შეიყვანოს. ეს მახინჯი იდეოლოგიის ნაწილია. ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს მაყურებლის დაკვეთა არ არის, არავის მოსწონს ყოველ დილასაღამოს მძაფრი სიუჟეტებით დატვირთული გადაცემების ყურება მით უფრო, ზოგჯერ გადაუმოწმებელი ფაქტის გასაჯაროვებით ადამიანის უფლების უკონტროლო შელახვა.

მედიასტანდარტის დაცვა რეგულირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს კანონით „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის დადგენილებით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა“ და სხვადასხვა საერთაშორისო აქტით.

კრიმინალური საკითხების გაშუქების დროს ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის. ჟურნალისტმა მაუწყებელს არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას. ასეთი მასალის გაშუქებისას ჟურნალისტი ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების კანონიერი ინტერესების დაცვა.

ტელეკომპანია „რუსთავი -2“ -ის სიუჟეტში გადმოცემული იყო, რომ 25 ოქტომბერს გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცავებმა გარდაცვლილი იპოვეს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს. ჟურნალისტის მტკიცებით მკვლელობაში ბრალდებულმა ხელფეხშეკრული გოგონა მკვლელობის შემდეგ ხელის ურიკაზე მოათავსა, რათა ამ გზით შემთხვევის ადგილამდე გადაედგილებინა. ფაქტის სიმძაფრისათვის ნაჩვენები იყო შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ხელის ურიკაზე არსებული სისხლის კვალი იაგო ნებიერიძის ტანსაცმელზე, რითიც დადგინდა, რომ მას შემხებლობა ჰქონდა მოკლულ გოგონასთან.

სიუჟეტის დასასრულს ავტორი აპელირებდა, რომ ფაქტები სანდო წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა(?!), თუმცა, სამართალდამცავები მის არც ერთ შეკითხვას არ პასუხობდნენ, მოხმობილი „თვითმხილველები“ კი მხოლოდ გაგონილს იმეორებდნენ.

მკვლელობა როგორც მასობრივი მოვლენა გამოკვლეული უნდა იყოს კომპლექსურად, რადგან მის დეტერმინაციაში მრავალი სოციალური, სოციალურ – ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა სახის ფაქტორი მონაწილეობს. ამიტომ ამ საშიში მოვლენის გააზრება მეთოდოლოგიური პრინციპების სისტემას უნდა ემყარებოდეს. თანამედროვე კრიმინოლოგიური მეცნიერების მოთხოვნათა ჭრილში მკვლელობა განიხილება, როგორც რთული სოციალ-

ური მოვლენა. მკვლელობა როგორც ძალადობის ნაირსახეობა წარმოიშობა საზოგადოებაში არსებული პროცესების შედეგად.

მკვლელობის ჩამდენ პირთათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული დანაშაულებრივი მოქმედება. მისი კრიმინოლოგიურად მნიშვნელოვანი თვისებები ვლინდება გადაჭარბებულ თვითშეფასებაში, პრესტიჟულობის გრძნობაში, ძალადობისაკენ სწრაფვაში და სხვა ფსიქოლოგიურ პროცესებში. ეს პიროვნული თვისება, ასევე, განპირობებულია სოციალურად. კრიმინოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მკვლელებისათვის დამახასიათებელი თვითდამკვიდრებისა და თავდაცვისაკენ სწრაფვა განპირობებულია იმით, რომ ადამიანებს ბავშვობაში არასაკმარისი ემოციური მხარდაჭერა, არასტაბილური ცხოვრება ჰქონდათ. მათ უყალიბდებათ ჰიპერტროფირებული თვითშეფასება და სწრაფად სცნობენ გარემოს, რომელიც ხელსაყრელია ძალადობის გამოყენებისათვის. სხვა ადამიანებში მოძალადე ხედავს მხოლოდ სიმბოლოებსა და საშუალებებს საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის. მკვლელობების სოციალური არსის ცვალებადობა უშუალოდ ასახავს საზოგადოების გარკვეულ პერიოდს, რომლის თავისებურებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია მკვლელობის განხილვისას.

საზოგადოებაში არსებული ნეგატიური პროცესები (უმუშევრობა, დასაქმების ეპიზოდურობა, ეკონომიკური ზრდის შეჩერება, ფასების ზრდა და სხვ.) არსებით ზეგავლენას ახდენენ მკვლელობის მოტივაციაზე. ამ მიმართულებით უფრო ნათლად ჩანს ის ურთიერთობები, რომლებიც გარკვეულ ზეწოლას ახდენენ საზოგადოების ცალკეულ წევრებზე, უბიძგებენ მათ უფრო დაუმორჩილებლობისაკენ, ვიდრე ისეთი ქცევისაკენ, რომელიც საზოგადოებაში მიღებულ წესებს ექვემდებარება.

კრიმინოლოგიური კვლევის იდეოლოგიურ ასპექტს პირდაპირი კავშირი აქვს მედიამფლობელებთან (ჟურნალისტებთან), რათა მათ შექმნან საზოგადოებრივი აზრი როგორც მკვლელობებზე, ისე საერთოდ დანაშაულობის შესახებ. მეცნიერული ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ისეთი ფაქტების დაძლევა, როდესაც მორალური ნორმებისა და ჟურნალისტიკური ეთიკის დარღვევით მასობრივი ინფორმაციის წყაროების თანამშრომლები სცოდავენ მეტისმეტი ნატურალიზმით და მკვლელობების ფაქტებს ცალმხრივად აღწერენ, გმირებად წარმოსახავენ დამნაშავეებს და მათ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობას, უსაფუძვლოდ და არაკომპეტენტურად აკრიტიკებენ სამართალდამცავ ორგანოებს.

სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ობიექტურად მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. ამიტომაც კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში ნებისმიერი ასეთი სახის მასალის ზედაპირულად გადმოცემისაგან დაცვის საწინდარია.

## კრიმინოლოგიის მნიშვნელობა ქართულ მედიასივრცეში

**ნანი ლომაია**

ქართულ მედიასივრცეში ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების პრობლემების შესწავლისას ნათლად იკვეთება კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის სოციალურ-სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი მეცნიერების მნიშვნელობა. მედიასაშუალებების შესწავლამ გამოკვეთა, რომ მუდმივი ყურადღების ცენტრშია: ძირითადად, სახელისუფლო „ბრძოლები“, საარჩევნო კამპანიები ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით კრიმინალური ამბები, ხოლო ამ უკანასკნელის გამომწვევი კრიმინოგენული ანუ სოციალური ხასიათის პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოგენული საკითხების გაშუქება დაზღვეული უნდა იყოს პოლიტიზირებისა და პერსონიფიცირების ტენდენციისაგან. ამდენად, საჭიროდ მივიჩნიეთ, სიძულვილის ენით არ ვისაუბროთ ამ თემებზე, არამედ გამოვკვეთოთ მიზეზები, რათა ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციების განზოგადებით მივიღოთ დეტალური სურათი და სამართლებრივი მიუკერძოებლობით მივიდეთ დანაშაულობის ხელისშემწყობ რეალობამდე.

თანამედროვე სოციალური გარემო მოითხოვს მედიაკანონმდებლობასა და პრაქტიკაში

სათანადო ცვლილებების შეტანას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა საქმიანობის არსებული მოდელი, რომელიც რამდენიმე წლის წინ წარმატებულად ითვლებოდა, შეიძლება ითქვას, მოძველებული და არაეფექტურია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მედიისათვის სწორი, ადგილობრივ რეალობას მორგებული მოდელის შექმნა ისე, რომ არ დაირღვეს არც მედიამფლობელებისა და ჟურნალისტების, არც ზოგადად ადამიანის უფლებები და მოგვარდეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პრობლემები.

## The significance of criminology in the Georgian media

**Nani Lomaia**

The study of human rights and civil education problems in the Georgian media clearly highlights the significance of criminology as the science of sociolegal studies of crime as an antisocial phenomenon. The study of mass communication demonstrates that there is constant attention to: mainly government battles, election campaigns or sociopolitical life, and especially, crime news; And the criminal and social problems that make crime news remain without proper attention.

While covering crime the reporters are supposed to avoid politicization and personification of the events. Therefore, we considered it necessary not to talk about these issues using hate speech, but instead, to find out the real reasons in order to create a detailed picture through generalization of the current trends in the state and thus arrive at the crime facilitating environment through legal impartiality.

Modern social environment requires adequate amendments to the legislation and practice in the field of media. The current model of mass media, which deemed to be successful some years ago, can be considered as obsolete and ineffective nowadays.

We consider it appropriate to create a suitable model for media, which is tailored to local reality, does not violate the rights of the media owners, journalists, generally human rights and addresses the problems of civil society involvement.

*

## აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი

პროფესორი, დოქტორი **თემურ ფაჩულია,** *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Teimuraz Pachulia** (Georgia), *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

აქსიოლოგია წარმოადგენს ღირებულებათა თეორიას, რომელიც შეისწავლის ღირებულების რაობას, ფორმებს, განვითარების უზოგადეს კანონზომიერებებს. აქსიოლოგიის მთავარი კატეგორიაა ღირებულება, რომელსაც ახასიათებს სამი ძირითადი თავისებურება. პირველ რიგში იგი წარმოადგენს ჯერარსს, რომელსაც გააჩნია უნდაობის ხასიათი. ღირებულება არის ჯერარსი, რომელიც უნდა არსებობდეს. მეორე მხრივ ღირებულება ატარებს ან-ანის ხაიათს, რაც ნიშნავს, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს, ან შეიძლება არც განხორციელდეს. ღირებულება ატარებს Sollen-ის ანუ მიზნობრვი (ტელეოლოგიური) კაუზალობის ხასიათს რაც განსხვავდება ბუნებრივი აუცილებლობისგან Werden-ისგან. მესამე მხრივ ღირეულება არსებობს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე და მის გარეშე აზრი ეკარება.

აქსიოლოგიურ იერარქიაში განასხვავებენ მიზან ღირებულებებს და საშუალება ღირებულებებს, რომელთა შორის პირველები უფრო მაღლა დგანან. უმაღლესი ღირებულებაა ღმერთი, რომელიც მთელი აქსიოლოგიური სისტემის საფუძველია, რომლისგანაც გამომდინარეობენ დანარჩენი ღირებულებები. თავისუფლება, სიკეთე, სიყვარული, ბედნიერება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, ერთგულება და ა.შ. მიზან ღირებულებებს წარმოადგენენ და ფუნდამენტური ადგილი უჭირავთ ცნობიერების ამა თუ იმ ფორმაში. თავისუფლება, სიკეთე, სიყვარული, ბედნიერება, ერთგულება, სიმამაცე და ა.შ. ეთიკური ღირებულებები რომლებზედაც აგებულია ზნეობის სისტემა. სამართლიანობა, თანასწორობა, მოვალეობა, უფლება, პრინციპულობა, უანგარობა და ა.შ. იურიდიული ღირებულებებია, რომლებიც მსჭვალავენ სამართალმცოდნეობის მთელ სისტემას და მათ გარეშე წარმოუდგენელია იურიდიული ნორმების არსებობა. საშუალება ღირებულებაში იგულისხმება ის შუალედური რგოლი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მიზან ღირებულების რეალიზება.

აქსიოლოგია ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელსაც მიმართება აქვს ფილოსოფიის ისეთ დარგებთან როგორიცაა ეთიკა, კულტუროლოგია, ესთეტიკა, სოციოლოგია. ეთიკა წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას. ღირებულება სწორედ ამ ნორმათა საფუძველში იგულისხმება და მის გარეშე მათი არსებობა შეუძლებელია. ეთიკური ნორმა თავისუფლებაზე, სიკეთეზე სიყვარულზე და სხვა ეთიკურ ღირეულებებზეა დაფუძნებული და მათ რეალიზაციისა წარმოადგენს. მსგავსი მდგომარეობაა კულტუროლოგიაშიც, სადაც ღირებულება კულტურის ბირთვს, ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენს, რომლის კანონზომიერებათა საფუძველზე ხდება ადამიანური ყოფიერების მოწესრიგება. რაც შეეხება ესთეტიკას, იგი სხვა არაფერია თუ არა ღირებულების საგრძნობად ხელშესახები გამოხატულება, მისი მატერიალიზაცია. სოციოლოგია როგორც სოციალური ფილოსოფია სწავლობს საზოგადოებრივი ყოფიერების მოვლენებს, რომელთა რეგულაცია ღირებულებათა საფუძველზე ხორციელდება.

ყველაზე სპეციფიკური დამოკიდებულება აქსიოლოგიას პოლიტოლოგიასთან გააჩნია, რაშიც თავს იჩენს პრიმატობის პრობლემა. საქმე იმაშია, რომ ცნობიერების ფორმებიდან პირველობას იჩემებს პოლიტიკა, რომელიც ცდილობს სამართალზე, ეთიკაზე, რელიგიაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე მაღლა დგომას და მათთვის მიმართულებების მიცემას. აქსიოლოგიური ასპექტით პოლიტიკა ახდენს ძალდატანებას ღირებულებაზე, რითაც ამახინჯებს, დეგრადირებას უწევს მის ბუნებას. პოლიტიკა ღირებულებას აცლის ან-ანის ხასიათს, Sollen-დან იგი დაჰყავს Werden-ის საფეხურზე, რითაც უკარგავს ჯერარსულ ხასიათს და ბუნებრივ აუცილებლობასთან აიგივებს მას. მსგავს სიტუაციაში ღირებულებას გამოცლილი აქვს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რაც ფაქტიურად ღირებულების გაუქმებას ნიშნავს. იმით, რომ პოლიტიკა ცდილობს ღირებულების დაქვემდებარებას, მის პროექტირებას, ამით ახდენს მის დეგრადაციასა და გაუფასურებას. ისეთი პოლიტიკური ღირებულებები როგორი-

ცაა – თანასწორობა, არჩევითობა, ძალაუფლების როტაცია, ადამიანის უფლებები და ა.შ. დაფუძნებული არიან თავისუფლებაზე და მის გარეშე ყოველგვარ აზრს არიან მოკლებული.

აქსიოლოგიისა და სამართლის მიმართებისას პირველ რიგში თვალში საცემია მსგავსება, რომელიც მათ შორის არსებობს. როგორც აქსიოლოგია ასევე სამართალი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ ადამიანურ ყოფიერებას, სოციალურ სინამდვილეს, მაგრამ აქსიოლოგიურ ნორმებს სამართლებრივთან შედარებით ახასიათებთ მეტი ზოგადობა და გამოირჩევიან პრიმატობით. რაც შეეხება სხვაობა აქსიოლოგიასა და სამართალს შორის ,იგი დაიყვანება შემდეგ მომენტებზე; სამართლებრივი ნორმის საფუძველია სანქცია, იძულება, რაც შედეგად მოჰყვება მის დარღვევას, ხოლო აქსიოლოგიური ნორმის საფუძველს წარმოადგენს თვითშეგნება და მისი ამაღლება რაც არ უკავშირდება სანქციას. სამართლის რეგულაციას ახდენს სახელმწიფო, რომელიც გარეგანი ფაქტორია და ფხიზლად ადევნებს თვალს ნორმათა აღსრულებას, აქსიოლოგიის რეგულაციას კი ახორციელებს პერსონა, რომელიც შინაგანი ფაქტორების გამოყენებით აღწევს მიზანს. სამართლებრივი ნორმები რელატიური, დინამიური ბუნებისაა, მაშინ როდესაც აქსიოლოგიურ ნორმებს აბსოლუტურობა, სტატიკურობა ახაიათებთ. სამართლის ნორმები კოდიფიცირებულია და არსებობენ მყარი სისტემის სახით, რაც აქსიოლოგიური ნორმებისთვის არაა დამახასიათებელი. ეს ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთმიმართებას, რაზეც გარკვეულ კვალს ტოვებს ის გარემოებაც, რომ კრიმინოლოგია სამართლისა და სოციოლოგიის შემადგენელი ნაწილია და დანაშაულობის როგორც ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერებაა, რომელის მიზანს წარმოადგენს დანაშაულობისა და მისი ჩამდენი პირის, დანაშაულობის მსხვერპლის, დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა, დანაშაულობის პროგნოზირება და დაგეგმარება, მისი თავიდან აცილებისა და კონტროლის ღონისძიებების შემუშავება. აქედან გამომდინარე, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით აქსიოლოგიასთან, ეთიკასთან, პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან. აქსიოლოგია რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობს კრიმინოლოგიასთან. პირველი – აფუძნებს კრიმინოლოგიის ღირებულებით ბაზისს. მეორე – ეხმარება ინტერდისციპლინარულ ინტეგრაციაში. მესამე – ხელს უწყობს დევალვირებული ღირებულებების გადაფასებაში. მეოთხე – ეხმარება საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებაში. მეხუთე – ხელს უწყობს დანაშაულობის პრევენციაში.

დანაშაულობა წარმოადგენს ანტიეთიკურ საქციელს, რომელიც მიმართულია ზნეობრივი ნორმებისა და კატეგორიების წინააღმდეგ. იგი ასევე უპირისპირდება აქსიოლოგიას და წარმოგვიდგება როგორც ანტიღირებულებითი ქმედება, რომელიც ფეხქვეშ თელავს აქსიოლოგიურ კანონზომიერებებს. აქსიოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე დიდადაა დამოკიდებული საზოგადოებაში არსებული კრიმინოლოგიური ფონის გაჯანსაღება და გაუმჯობესება. აქსიოლოგია განაპირობებს არა მარტო კრიმინოლოგიური, არამედ მთელი სამართლერბივი სისტემის ჰარმონიზაციას, რომლის გამოცლა იწვევს ამ სივრცის დეჰუმანიზაციას, საიდანაც ერთი ნაბიჯია ტოტალიტარიზმამდე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ანტიჰუმანურ, რეპრესიულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევაზე, შიშველ ტერორზე. სააკაშვილის მიერ გაცხადებულმა ლოზუნგმა – „ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ“ უდანაშაულო პატიმრებით აავსო ქვეყნის ციხეები, რის გამოც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მოწინავე ადგილზე გავიდა ევროპაში. პოლიტიკური ოპონენტების ფიზიკური განადგურება, ადამიანთა უფლებების ტოტალური შელახვა, მოსახლეობის დაშინება გახდა სააკაშვილის რეჟიმის სავიზიტო ბარათი, რომლითაც იგი თითქმის ათწლეულის განმავლობაში ატერორებდა საკუთარ ხალხს. ეს ანომალია გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ განხორციელდა სამართლებრივი სივრცის დეჰუმანიზაცია, მისი დაცლა აქსიოლოგიური პარამეტრებისგან, რამაც შედეგად მოგვცა ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ანაქრონიზმად მოჩანდა XXI საუკუნის მსოფლიოში. ქართველმა ერმა არჩევნების მეშვეობით მშვიდობიანი გზით მოახერხა სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმის დემონტაჟი, მაგრამ წარსულის გამოცდილება უნდა იქცეს მკაცრ გაფრთხილებად, რომ მსგავსი რამ არასოდეს განმეორდეს საქართველოში. ამის პრევენ-

ციის საუკეთესო საშუალებაა სოციალური სინამდვილისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ეთიკიზაცია და მისი აღვსილობა აქსიოლოგიური პარამეტრებით.

## აქსიოლოგიისა და კრიმინოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები

**თეიმურაზ ფაჩულია**

აქსიოლოგია წარმოადგენს ღირებულებათა თეორიას, რომელიც შეისწავლის ღირებულების რაობას, ფორმებს, განვითარების კანონზომიერებებს. აქსიოლოგიის მთავარი კატეგორიაა ღირებულება, რომელსაც ახასიათებს სამი ძირითადი თავისებურება. პირველ რიგში იგი წარმოადგენს ჯერარსს (შოლლენ), რომელსაც გააჩნია უნდაობის ხასიათი, მეორე მხრივ ღირებულება ატარებს ან-ანის ხასიათს, რაც ნიშნავს, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს ან არ განხორციელდეს. მესამე მხრივ ღირებულება არსებობს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე და მის გარეშე აზრს ჰკარგავს. ღირებულებათა საფუძველზე მოწესრიგებულ ადამიანურ ყოფიერებას კულტურა ეწოდება, რომლის ბირთვს აქსიოლოგია წარმოადგენს.

აქსიოლოგიას მჭიდრო კავშირი აქვს კულტურის ნებისმიერ გამოვლინებასთან, მათ შორის, კრიმინოლოგიასთან, რომელიც კომპლექსური მეცნიერებაა და იკვლევს დანაშაულობის გამომწვევ სოციალურ, სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ, ეთიკურ და ა.შ. მიზეზებს. კრიმინოლოგიის მიზანია დანაშაულობის ხელშემწყობი პირობების გამოვლენა, პროგნოზირება, დაგეგმარება, პრევენცია.

აქსოლოგია რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობს კრიმინოლოგიასთან. პირველი – აფუძნებს მის ღირებულებით ბაზისს; მეორე – ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ ინტეგრაციაში; მესამე – ეხმარება დევალვირებული ღირებულებების გადაფასებაში; მეოთხე – ხელს უწყობს საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებაში; მეხუთე – ეხმარება დანაშაულობის პრევენციაში.

## The matters of interrelationship between the axiology and criminology

**Teimuraz Pachulia**

Axiology, which means „theory of values", is the philosophical study of the nature of value and valuation, its forms and regularity in the development. The value as a basic category of axiology, has three main distinctions: „what ought to be" (*sollen*), „what is" (*sein*), and „value-free" (*wertfrei*). In the first place, there is the value which is desired but it can be either reached or not. In the second place, there is the value which actually exists. And in the third place, there is the value based on a free choice which loses its meaning without such freedom. Culture is the social behavior based on values and found in human societies; axiology itself is the core of culture.

Axiology has a close connection to all cultural expressions (concepts of culture), including criminology, which is a complex system exploring the social, legal, psychological, ethical and other causes of crime. The goals of criminology are identification of crime facilitators, crime prediction, crime plan, and crime prevention.

There are five types of collaboration between axiology and criminology: firstly, axiology establishes the basis of its values; secondly, it promotes the interdisciplinary integration of criminology; thirdly, it helps criminology to revalue the devalued values; fourthly, axiology assists criminology in developing a social consciousness; fifthly, it helps criminology with the crime prevention.

*

# კრიმინოლოგიური აზროვნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში

პროფესორი, დოქტორი **პეტრე დაუთაშვილი**, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Petre Dautashvili** (Georgia), *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

„ნებისმიერ სახელმწიფოში ყოველგვარ ეჭვს გარეშე აუცილებელია დამსჯელი კანონები, იმდენად რამდენადაც დანაშაული პოლიტიკური სხეულის დარდიანი ავადმყოფობაა, რომელიც მეტისმეტად ხშირად, საჭიროებს სავალალო და დასანან წამლობას. მაგრამ, როგორც პოლიტიკაში და ფიზიკაშია, ათასჯერ დამაჯერებლად სწორი და საქველმოქმედოა ის ხელოვნება, რომელიც აფრთხილებს, თუ რით და როგორ განიკურნოს ეს ბოროტება.[1]"

ფრანგი მეცნიერი ლეპელეტიე

ფაქტობრივად, დავეთანხმებით რა მე-18 საუკუნის გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ლეპელეტიეს, რომელმაც დანაშაულის პრევენცია შეადარა ხელოვნებას და მართლაც, ნებისმიერი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკური ხელოვნების განსაკუთრებულ სახეს, რომელმაც ისე უნდა წარმართოს საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის ქცევა განსაზღვრულ კალაპოტში, რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულობათა ჩადენის დეტერმინანტების შემცირება-აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფუძნება დანაშაულებრივი ქმედებისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლას. ამიტომაც, ყოველთვის, როდესაც სახელმწიფო შეეცდება დამნაშავის დასჯას, იგი გამოდის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დიფერენცირებისა და ინდივიდუალიზაციის აუცილებლობიდან.

სახელმწიფოში მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცებისათვის არსებული კრიმინოგენული ფაქტორების, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებისა და სამართალწარმოების პრაქტიკის მდგომარეობა ყოველთვის ქმნიან სისხლის სამართლის პოლიტიკის კრიმინოლოგიური უზრუნველყოფის ფორმირების მოთხოვნილების აუცილებლობას. ამიტომაც აშკარაა, რომ საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებში პრობლემას წარმოადგენს მისი და სახელმწიფოს მიერ ობიექტურად თანამედროვე დანაშაულობის მიზეზების კრიმინოლოგიურად გააზრების იგნორირება და კრიმინოლოგიური მეცნიერების მეცნიერულად დამკვიდრებული შემოთავაზებული წინადადებების შეზღუდულად გამოყენება სამართალწარმოებასა და სამართალდამცავ პრაქტიკაში. სისხლის სამართლის პოლიტიკაში სადამსჯელო კანონებისა და ღონისძიებების შემუშავება–გამოყენებამდე, ყოველთვის წინმსწრებ პირობად უნდა იქცეს კრიმინოლოგიის მიმართულების როლისა და მნიშვნელობის გაზიარება–გათვალისწინება. სამწუხაროდ, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს სისხლის სამართლის პოლიტიკის ოპტიმალური მოდელი, ვინაიდან დღემდე მეცნიერ-იურისტთა შორის არ არსებობს[2] ერთიანი ხედვა ზოგადად დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სისხლისსამართლებრივი ამოცანებისა და პერსპექტივების შემუშავებაში. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის სისხლის სამართლის პოლიტიკა არ არის ერთიანი, დაქსაქსულია და მითუმეტეს, მისთვის კრიმინოლოგიური პოლიტიკა მეორე ხარისხოვანია. სწორედ, ასეთმა პირველ რიგში, ინტენსიურად შეუსწავლელმა და გაუაზრებელმა კრიმინალიზაცია–დეკრიმინალიზაციისა და პენალიზაცია–დეპენალიზაციის პოლიტიკის გატარებამ (განსაკუთრებულად 2012 წლამდე) ამნისტიებისა და შეწყალებების აქტებში, შედეგად მოგვცა მრავალი უარყოფითი სოციალური და სამართლებრივი შედეგები. 2012 წლიდან, ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, რადიკალურად და მკვეთრად შეიცვალა სისხლის სამართლის პოლიტიკა „ნულოვანი ტოლერანტობიდან" სამართლიანობის აღდგენამდე ასეთი თანაფარდობის პრინციპით: თუ „ვარ-

1 ისაევის მ.მ სტატიის „შესავალი სიტყვის ციტირება საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ირგვლივ", მოსკოვი., 1947, გვ.16

2 დაუთაშვილი პ. 2012-2015წ.წ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებების პრაქტიკის კომენტარები. დამხმარე სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „გეორგიკა" ,თბ., 2016.

დების რევოლუციის“ ხელისუფლების დროს, ხშირად, კანონის იგნორირებითა და დარღვევით ხდებოდა „ყველას ციხეში“ გაშვება, დღემდე ახალი ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკაში კი უმეტესწილად ადგილი დაიმკვიდრა ასეთმა ტენდენციამ: „ყველას ციხიდან გამოშვება“ კანონის მოქმედების ფარგლების იგნორირებით დროსა და სივრცეში. მაშასადამე, ხელისუფლებამ „გამოიჩინა“ მეტისმეტი ჰუმანურობა ათასობით დამნაშავისა თუ მსჯავრდებულის მიმართ, რითაც ერთი უკიდურესობიდან გადაერთო მეორე უკიდურესობაში წინამორბედი ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკაში დაშვებული „შეცდომების“ გამოსწორების მიზნით. ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში სამართლიანობის აღდგენაში ასეთმა მეთოდურმა მიდგომამ ლოგიკური განვრცობა ჰპოვა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაშიც. ამის დოკუმენტალური დადასტურებაა ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული 2012–2015 წლების უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკის კომენტარები, რომელშიც ხშირად აშკარაა ამა თუ იმ მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება რამდენადაა აცდენილი კანონის მოთხოვნებს. განსაკუთრებით კი იგი შეეხება 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონის „ამნისტიის შესახებ“ გამოყენება–შეფარდების ვადებს, რომელშიც განსაზღვრული იყო ასევე მისი განვრცობის ხანდაზმულობის საკითხიც. მაგალითისათვის მოვიყვანოთ 2013 წლის 9 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს (N 51–აპ–13) სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება[3]. ამ კანონის 23-ე მუხლის მე -4 პუნქტის თანახმად: „ამ კანონის პირველი 21-ე მუხლების (გარდა ამავე კანონის 11-ე მუხლისა) გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს ამავე კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში.“ მაშასადამე, მითითება მხოლოდ 2013 წლის 28 თებერვლამდე ჩადენილ 180-ე მუხლით გათვალიწინებულ დანაშაულზეა, ხოლო ყველა დანარჩენზე კი 2013 წლის 28 აპრილადე. მაშასადამე, ამნისტიის კანონის გამოყენება კანონის დარღვევითაა და საკასაციო საჩივარიც განხილულია 2013 წლის 9 ივლისს. თუ საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია 2013 წლის 28 აპრილამდე და მოგვიანებით მოხდა მისი განხილვა, მაშინ ამის შესახებ მას განაჩენში უნდა გაეკეთებინა სათანადო დასკვნა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სასამართლო პრაქტიკაში მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მიზნით, დამკვიდრდა ისეთი პრინციპის გამოყენება, როგორიცაა კანონის გამოყენების „რეტროაქტუალობის პრინციპი,“ რომელსაც არ იცნობს ქართული სისხლის სამართლის თეორია და კანონმდებლობა. იგი უხეშად არღვევს კანონის მოქმედების უკუძალის პრინციპს და სასამართლო მსჯავრდებულის მიმართ იყენებს უკვე წარსულში მოქმედ და ძალადაკარგულ კანონს. სხვა მხრივ კი მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მისი შემდგომი გამოყენების პრაქტიკა უფრო გააღრმავებს კონკრეტული პირის მიმართ (ნეპოტიზმის, ნაცნობ–მეგობრობისა და სხვა გარიგებების მოტივაციით) კანონის სელექციურად შერჩევის ალბათობას, რომელიც ხელყოფს სამართლიანობის პრინციპის დანერგვა–განვითარებას და ამასთანავე შესაძლებელია დასაბამი მისცეს კორუფციის აყვავებას სასამართლო სისტემაში.

სწორედ, კრიმინოლოგიური კვლევის არასათანადოდ ან არასიღრმისეულად შესწავლა–ანალიზი, სასამართლო ხელისუფლების მიერ ნებით თუ უნებლიედ დაშვებული „შეცდომა–გადაცდომები“, პირდაპირ პროპორციულია ხელისუფლების სისხლის სამართლის პოლიტიკაში კრიმინოლოგიური აზროვნების დეფიციტისა. აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, როგორც წინა, ასევე მოქმედი ხელისუფლების, მთავრობის, კანონმდებლისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ კრიმინოლოგიური ცოდნისა და უნარ–ჩვევების არასათანადო დონეზე გამოყენება, კრიმინოლოგებისა და სპეციალისტების ჩაურთველობა სისხლის სამართლის პოლიტიკის სტრატეგიული კურსის შემუშავებაში შედეგია იმისა, რომ სახეზეა მძიმე დანაშაულობათა სტატისტიკის აბსოლუტური მატება. დანაშაულის პრევენციის ძირითადი ტვირთი შინაგან საქმეთა სამინისტროზეა. ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდიდან დაწყებული დღემდე, ეს უწყება იქცა პრევენციული პოლიტიკის გატარების ფლაგმანად და თუ სახელმწიფოში ან მის ცალკეულ რეგიონში ადგილი ექნება დანაშაულობის აბსოლუტურ მატებას, იგი ბრალეულის როლში გვევლინება. დაუფარავად ვიტყვით, იმ შემთხვევაში,

3 დაუთაშვილი პ. სისხლის სამართლის კანონის რეტროაქტუალობის პრინციპი დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის შეფარდების საკითხებში. უნივერსიტეტი გეომედი ჟურნალი „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“. №3(11) .თბ., 2017.

როდესაც დანაშაულობათა ჩადენის სტატისტიკა მკვეთრად განსხვავდება წინა პერიოდების სტატისტიკისაგან, მაშინ ეს ერთის მხრივ მეტყველებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სანიმუშო და ფხიზელ საქმიანობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, კი ხელისუფლებისა და მთავრობის სისხლის სამართლისა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სისუსტეზე ან არაეფექტიანობაზე, ან კიდევ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაში არადროულად ჩარევაზე და ა.შ. მაშასადამე, თუნდაც ასეთი მიდგომა არასწორია, რამეთუ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ერთადერთ სუბიექტს. მასში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სხვა სამართალდამცავი ორგანოებიც, რომლებმაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა წარმართონ ასეთი საქმიანობაც, რის შემდეგადაც გამოტანილი დასკვნები წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით უნდა გადაეგზავნოს როგორც სათანადო უწყებებს არსებული სიტუაციის მყისიერად გამოსწორებისთვის, ასევე გადაეგზავნოს ხელისუფლებას და მთავრობას ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში სისხლის სამართლის პოლიტიკის კურსში სათანადო კორექტივების შეტანა–გათვალისწინების მიზნით. სწორედ, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანაშაულობათა სტატისტიკურ–დინამიკურ მაჩვენებელთა აბსოლუტური მატება თუ კლება, გვევლინება ინდიკატორის როლში, ანუ იგი წარმოადგენს გზავნილს ხელისუფლებისა და მთავრობის მისამართით, რათა ეკონომიკური, სოციალური თუ სამართლებრივი ბერკეტებით მოახდინოს არსებული სიტუაცია–მდგომარეობის გამოსწორება. მაშასადამე, ხელისუფლებამ და მთავრობამ პირველ რიგში კრიმინოლოგიური თვალთახედვით უნდა შეისწავლოს, გაანალიზოს მიწოდებული ინფორმაცია (რასაც წარმართავს ყოველდღიურად) და სათანადო სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშავოს სისხლის სამართლის პოლიტიკის სტრატეგიული კურსი.

სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია კრიმინოგენული სიტუაციის შესწავლის სოციოლოგიური ასპექტები, რომლებიც გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ სოციუმის ყველა სფეროში განვიხილოთ სახელმწიფოს თუ საზოგადოების ნეგატიური მხარეები სოციალური მოვლენების კვალდაკვალ და ისე წარმართვოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობათა შეუსაბამისობა მისი მოგვარების მიზნით. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა წინასწარი (პირველ რიგში ეკონომიკური, ხოლო შემდგომ კრიმინოლოგიური) კვლევების გარეშე და მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგების პროგნოზირების გარეშე შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით ერთ სიბრტყეზე განვიხილოთ ნიშანდობლივად ზოგიერთ სახელმწიფოში გატარებული მთავრობისა და ხელისუფლების ის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ღონისძიებები, რომელთა გატარებაც მოკლებული იყო ღრმა სოციოლოგიურ და მისგან გამომდინარე, სამართლებრივ კვლევასა და მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს. მიღებული ღონისძიებები მიმართული იყო:

1. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

2. მარიხუანის დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციისაკენ;

3. ე.წ.შავსიაოსნების მიერ ბანკებში აღებული კრედიტების დაბრუნების განულებისაკენ;

– სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. სახელმწიფო შეეცადა მეტ–ნაკლებად გაეთანაბრებინა და გაეუმჯობესებინა სოციალური რელიეფი. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული აუცილებლობიდან გამომდინარე, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა სოფლად. ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთის მხრივ, იგი ძალზედ წარმატებული აღმოჩნდა. მარტივად, დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდების საფუძველზე დავადგინდეთ არსებული მდგომარეობის მიზეზობრიობა როგორც სოციალური, ასევე სამართლებრივი კუთხითაც. იქ მცხოვრებ პენსიონერებს მოემატათ პენსია, რომ არაფერი არ ვთქვათ ჯანმრთელობის დაცვასა და უზრუნველყოფაზე, რომელიც მართლაც, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე წარმატებით აგრძელებს განხორციელებას. მაგრამ მეორეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და ცალკეულ პირებს მიენიჭათ დაუცველობის სტატუსი. მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, კანონით დადგენილ იქნა ქულათა მინიჭების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მისგან გამომდინარე,

შესაბამისი ყოველთვიური ფინანსური დახმარების ოდენობა. ასეთი ეკონომიკური ნაბიჯი დასაწყისშივე იყო განწირული. ბენეფიციართა დიდმა ნაწილმა შეგნებულად შეწყვიტა მიწაზე მუშაობა (ძირითადი მიზეზი მიწის დასამუშავებელი ტექნიკის უქონლობაა), გაყიდა ან მიატოვა (სამწუხაროდ მათი ე.წ. მიმდევრები ყოველწლიურად იზრდება) თავის საკუთრებაში არსებული სასოფლო–სამეურნეო მიწები და მცირე სარჩო–საბადებლად დაიტოვა საკარმიდამო ნაკვეთი. მრავალი მათგანისათვის საკმარისზე მეტი აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხა და მიჰყვა სიზარმაცეს, არ იქმნება სოფლის დოვლათი (ძირითადი მიზეზი მოყვანილი დოვლათის რეალიზაციის პრობლემაა, რომელსაც სისტემატურად ემატება თურქეთიდან იმპორტირებული უხარისხო და იაფი პროდუქციით კონკურენცია). უფრო მეტიც, მრავალმა ბენეფიციარმა მიჰყო ხელი შინაური ფრინველისა და ცხოველის მოცილებას (ძირითადი მიზეზი კი ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ მას დაემატა ისიც, რომ მათ შესანახად შეიქმნა საძოვრებისა და სათიბების დეფიციტის პრობლემა). სწორედ, აქედან გამომდინარე, სოფლად იმატა უმუშევრობამ და შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მაცხოვრებლისათვის უკვე სხვა ღირებულება აღარ არსებობს და იგი ცხოვრობს მხოლოდ არსებობისათვის და არა არსებობს ცხოვრებისათვის. აქედან გამომდინარე, ასეთი ყოფა-არსებობა გვევლინება მრავალი მოქალაქის ქვეყნიდან ემიგრირების წინაპირობად ცხოვრებისეული პირობების მეტ-ნაკლებად გაუმჯობესების მიზნით, რაც ქვეყნის ისედაც გაუარესებულ დემოგრაფიულ სიტუაციას უფრო მეტად ამძაფრებს და ა.შ. ამასთან ერთად, მათი ასეთი ყოველდღიური ყოფა ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი ხდება და მრავალი მათგანი ეძალება სპირტიან სასმელებს, ნარკოტიკებს და ასეთი მდგომარეობით სჩადიან არაერთ მძიმე დანაშაულს. სახელმწიფოს ამგვარი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა მიმართული კონკრეტულ გარემოსა თუ ინდივიდებზე, უნდა იყოს მიზნობრივი და სისტემატიურად უნდა იყოს კონტროლის ქვეშ, როგორც გატარებული თუ მიმდინარე ღონისძიებები, ასევე მისი მაკონტროლებელი საჯარო მოხელეების საქმიანობაც.

–მარიხუანის დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯი იმაზე უფრო სავალალო და წამგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე სოფლის მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები. ამ მეტად საჭირბოროტო საკითხის მეცნიერულად მოგვარებაში ხელისუფლებამ, მთავრობამ და საკონსტიტუციო სასამართლომ (კანონმდებელმა ნაკლებად), დიდი და უარყოფითი წვლილი შეიტანეს. ჩვენი აზრით, აშკარაა, რომ თითოეული სახელმწიფო ინსტიტუტის გადაწყვეტილება ძალზედ შორსაა კრიმინოლოგიური აზროვნებისაგან. განსაკუთრებით გამოვყოფდი საკონსტიტუციო სასამართლოს განწყობას და ძალზედ გასაკვირია, რომ მან გამოამჟღავნა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური პოზიცია. მიგვაჩნია, რომ ყოვლად გაუმართლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე „რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისაკენ, უმიზნო და, შესაბამისად გაუმართლებელია.“ აქედან გამომდინარე, როგორც სჩანს, საკონსტიტუციო სასამართლო სრულ იგნორირებას ახდენს ან „ავიწყდება“ ისეთი სიკეთის ხელყოფის მნიშვნელობა, როგორიცაა საზოგადოებრივი უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგი, რომ მარიხუანის მომხმარებელი იმყოფება რა თავისუფალ სივრცეში (და თანაც სხვა ალტერნატიული ინსტიტუტები თუ ღონისძიებები არ არსებობს ან ძალზედ სუსტად მუშაობენ), იგი კიდევ უფრო დიდ ზიანს მიაყენებს როგორც თავის თავს და მომავალი თაობის ჯანმრთელობას, ასევე ძალზედ დიდია ალბათობა მისი, როგორც „დაჯარიმებულის“ მხრიდან საზოგადოების დიდ ნაწილს „თავისკენ“ მოიზიდავს, რითაც უმოკლეს დროში შეიქმნება „დაჯარიმებულ მარიხუანისტთა“ დიდი არმია, რომელიც უკვე დიდი ალბათობით აღარ დაკმაყოფილდება მხოლოდ მარიხუანის მიღებით. სამწუხაროა, რომ მარიხუანის ლეგალიზაციამ პიროვნებაში უკვე აჩვენა თავისი უარყოფითი თვისებები, რომელიც გამოიხატა სუიციდში, სქესობრივი უნარის დისერექციაში, აგრესიულობაში, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში და ა.შ. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აუცილებლად უნდა მისცეს სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვის პროცესის დაწყებას იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც სასჯელის სახით შეფარდებულია თავისუფლების აღკვეთა სსკ-ს 273-ე,

390-ე და 390 მუხლებით. ე. ი. დისერტაციული ამნისტიის პრინციპით მასიურად მოხდება ან უნდა მოხდეს თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით, რაც სამართლებრივად მართებულია და არა სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით[4].

–ე.წ.შავსიაოსნების მიერ ბანკებში აღებული კრედიტების დაბრუნების განულებაც, ერთის მხრივ, ხელისუფლების ერთერთი ჰუმანური და მისასალმებელი ნაბიჯია, მაგრამ მეორეს მხრივ მას დასაწყისშივე ახლდა კრედიტორთა საზოგადოებაში უთანასწორობის განცდა. ამ საზოგადოების წევრებს შორის დისკრიმინაციის არსი გამოიხატა იმაში, რომ კეთილსინდისიერი კრედიტორი, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა (და ე.წ.პურის ფულიც კი არა რჩებოდა), რომ გადაეხადა კრედიტი იმ ცნობიერებითაც, რომ არ მომხდარიყო ბანკის შავ სიაში, რითაც მომავალში კრედიტს ველარ აიღებდა, დარჩა სახელმწიფოსაგან არამარტო უყურადღებოდ, არამედ ფინანსურადაც წაგებული. ამის საპირისპიროდ კი, სახელმწიფომ უფრო წაახალისა შავსიაოსანი კრედიტორი და დაუფარა გარკვეული რაოდენობის კრედიტი. აქედან გამომდინარე, უკვე მომავლისთვის, კეთილსინდისიერი და კანონმორჩილი მოქალაქე, როგორც განაწყენებული და დაზარალებული მოიქცევა ისე, როგორც მანამდე მოიქცა ურჩი გადამხდელი არა მარტო საბანკო სექტორში, არამედ ზოგადად სხვა ურთიერთობებშიც. უფრო მეტიც, მასში წყენით დაგროვებულმა აგრესიამ შეიძლება გამოიწვიოს ზიზღი არა მარტო სახელმწიფოსადმი, არამედ საზოგადოების მიმართაც,რომელიც გამოვლინდება დანაშაულის ჩადენაშიც კი. აქედან გამომდინარე, ასეთ ღონისძიებასაც ახლავს გვერდითი მოვლენები, რომლებიც სახელმწიფომ ვერ ან გაითვალისწინა ან შეგნებულად დაუშვა ამგვარი განწყობის შექმნის ალბათობა, რაც ყველა შემთხვევაში არამომგებიანია მისთვისაც. აქაც აშკარაა კრიმინოლოგიური აზროვნების დეფიციტი.

კრიმინოლოგიური აზროვნების შექმნა–ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ რიგში, იმას თუ როგორი მეცნიერებაა იგი და სად დავინახოთ მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ფართო საზოგადოებისათვის აღვნიშნოთ, რომ კრიმინოლოგია არის სოციოლოგიურ–სამართლებრივი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დამნაშავეობას, დამნაშავის პიროვნებას, დამნაშავეობის მიზეზებსა და პირობებს, მათი გაფრთხილების გზებსა და საშუალებებს ჩვენს საზოგადოებაში. იგი როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება, გამოიმუშავებს და თეორიულად ასისტემებს ობიექტურ ცოდნას სოციალური ცხოვრების სფეროში, აღწერს, ხსნის და ახდენს ამ მოვლენების და პროცესების პროგნოზირებას, მათი წარმოშობის კანონზომიერებებს, არსებობას და ცვლილებებს. იურისტისათვის (და არა მარტო მისთვის) კრიმინოლოგიური აზროვნების დეფიციტის აღმოფხვრა უნდა იწყებოდეს ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. განათლების სამინისტროს მიერ დიდი მეთოდური შეცდომა იქნა დაშვებული ამ ათწლეულების წინ, როდესაც მოხდა კრიმინოლოგიის და მასთან ერთად სისხლის სამართლის დარგების–კრიმინალისტიკისა და სასჯელაღსრულებითი სამართლის სავალდებულო სასწავლო დისციპლინიდან ფაკულტატურ საგნებში გადასროლა. იგი აუცილებელი და სავალდებულო სასწავლო დისციპლინა და სამართლის დარგი იყო და დღესაც განსაკუთრებით გახდა მოთხოვნადი, რომ ბაკალავრიატის, ხოლო შემდეგ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამაში შევიდეს, როგორც სავალდებულო საგანი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ იგი გამსჭვალულია სამართლით და წარმოადგენს იურიდიულ მეცნიერებას.[1]“კრიმინოლოგია წარმოადგენს სოციალური სინამდვილისა და შემეცნების ინსტრუმენტს და იმ ელემენტების შესწავლას, რომლებიც განაპირობებენ დანაშაულის ჩადენას. ამ დროს ძირითადი ყურადღება მახვილდება ისეთი სახის ცვლილებებზე, რომლებშიც იგულისხმება კრიმინოლოგიის კავშირი სისხლის სამართალთან და რომელიც, როგორც წესი დაკავშირებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებასთან[5]. „ამასთან ერთად, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მსგავსებისა და განსხვავების აღწერა გვიჩვენებს მათ კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას. კრიმინოლოგიის მოწყვეტა სისხლის სამართლისაგან ნიშნავს ორივე მეცნიერების გარდაქმნას განუსაზღვრელ დელიქტოლოგიაში, ხოლო სისხლის სამართლის მოწყვეტას კრიმინოლოგიისაგან მივყავართ სამართლის დოგმატიზაციისაკენ. ამის დაშვება არ შეიძლება და იგი მიგვიყვანს უარყოფით

4 დაუთაშვილი პ. ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოში მარიხუანის დეკრიმინალიზაციის, დეპენალიზაციისა და ლეგალიზების პრობლემების შესახებ. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1, თბ,.2018.

5 Злобин Г. А., Основания и принципы уголовно-правового запрета.-Советское государство и право. N1.1980.

სავალალო შედეგებამდე[6]".

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დავუმატებთ იმას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკიდან და განათლების სისტემიდან კრიმინოლოგიური აზროვნებისა და კრიმინოლოგიის მოწყვეტა, სახელმწიფოში წარმოშობს და წარმოშობილს კი გაუხანგრძლივებს დაქსაქსულობას, ხელისუფლებისა და კანონმდებლის მიმართ ზიზღსა და უნდობლობას, სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისაგან განსხვავების უუნარობას და სხვა მრავალ უარყოფით სოციალურ და სამართლებრივ შედეგებს. კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ლეპელეტიეს სიტყვებს, რომ კრიმინოლოგია ხელოვნებაა და მას მართლაც სჭირდება ისეთი ხელოვანები, რომლებიც დღენიადაგ გაატარებენ სახელმწიფოსათვის სასარგებლო სისხლის სამართლის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას, ამით ხელი შეეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ისაევის მ.მ სტატიის „შესავალი სიტყვის ციტირება საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ირგვლივ".მოსკოვი., 1947, გვ.16

2. *დაუთაშვილი პ.,* 2012-2015წ.წ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებების პრაქტიკის კომენტარები. დამხმარე სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული სახელმძღვანელო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა „გეორგიკა" თბ., 2016.

3. *დაუთაშვილი პ.,* სისხლის სამართლის კანონის რეტროაქტუალობის პრინციპი დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის შეფარდების საკითხებში. უნივერსიტეტი „გეომედი" ჟურნალი „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები". N3(11) თბ., 2017.

4. *დაუთაშვილი პ.,* ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოში მარიხუანის დეკრიმინალიზაციის, დეპენალიზაციისა და ლეგალიზების პრობლემების შესახებ. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი" N1, თბ.2018.

5.Злобин Г. А.Основания и принципы уголовно-правового запрета.-Советское государство и право. N1.1980.

6. Аванесов Г.А., Криминология. издание второе.академия мвд сccр. Москва., 1984.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი დანართი N2-ის ჰორიზონტალური გრაფა.

## კრიმინოლოგიური აზროვნება საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში

**პეტრე დაუთაშვილი**

წინამდებარე სტატიაში განხილული და გაანალიზებულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკის ჭრილში სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის სტრატეგიული კურსის შემუშავებაში რამდენად აუცილებელი და სავალდებულოა კრიმინოლოგიური აზროვნების უფრო მეტი გამოყენება, კრიმინოლოგების, სოციოლოგების და ექსპერტ–სპეციალისტების უფრო მეტად ჩართულობა, რამაც შექმნილი მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს, ან თავიდანვე განსაზღვროს რაიმე უარყოფითი შედეგის დადგომის ალბათობა.

სისხლის სამართლის პოლიტიკა შესაძლებელია განისაზღვროს როგორც სახელმწიფოს სამართლის პოლიტიკის ნაწილი, რომლის საქმიანობის მიმართულება გამოიხატება დამნაშავეობის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ზემოქმედებაში, სტრატეგიული იდეებისა და ტაქტიკური ამოცანების გამომუშავებაში, სოციალური აზროვნების განვითარებაში ნეგატიური ზემოქმედების განვითარების შემცირების მიზნით. ამასთან ერთად, ხელისუფლებამ და მთავრობამ, სამართლებრივი, თუ ეკონომიკური ბერკეტებით დღემდე ვერ დაარეგულირა ურთიერთობები სახელმწიფოსა და საბანკო სექტორს შორის, რის შედეგადაც ეს უკანასკნე-

6 Аванесов Г.А., Криминология. издание второе.академия мвд сccр. Москва 1984

ლი ჩამოყალიბდა როგორც საბანკო ხელისუფლება. სწორედ აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვერ ან არ აკონტროლებს მის საქმიანობას და, სამწუხაროდ, საბანკო სექტორი გახდა სუფლიორი ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური პროცესების მართვა-გამგეობისა და მათ შორის, სისხლის სამართლის პოლიტიკის სტრატეგიული კურსის განსაზღვრაში.

## Criminal thinking in the political facet of the Georgian authority

**Petre Dautashvili**

The article discusses and analyzes the importance and necessity of criminological thinking in developing a strategic course for criminal law policy according to criminal law policy, as well as a greater involvement of criminologists, sociologists, experts and specialists who are supposed to improve the current condition or determine the probability of any negative results from the start.

Criminal law policy can be defined as a part of state law policy, which is directed to the criminal influence against crime, the elaboration of tactic tasks, the development of social thinking, the reduction of developing a negative influence. At the same time, the state and the government have not achieved the regulation of relations between the state and the banking sector by means of the legal and economic leverage, resulting in the latter to become the banking authority. Therefore, the state either cannot or does not control its business and, unfortunately, the banking sector has become a prompter, which is in charge of the economical and social processes in the country, including definition of the course in criminal law policy.

*

# ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების კრიმინოლოგიური გზები

*პროფესორი, დოქტორი* **გელა ხუციშვილი**, *საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Gela Khutsishvili** (Georgia), *Georgian Academy of Criminology Sciences*

მესამე ათწლეულის დასაწყისისათვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ნაკლებად პროგნოზირებადი გახდა სახელმწიფოს უსაფთხოების სფეროში შესაძლო პრობლემათა სპექტრი, რომელთაც შეუძლიათ სერიოზული საფრთხე შეუქმნან თვით სახელმწიფოს არსებობას.

ყოველი სახელმწიფოს პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს: სუვერენიტეტის ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვეობის პრინციპების ურთიერთპატივისცემა. როგორც ცნობილია, სახელმწიფო სუვერენიტეტში მოიაზრება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობა, დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო ურთიერთობებში და სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა, რაც საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპია და ოფიციალურად დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით. არ არსებობს არცერთი სახელმწიფო, რომელიც არ აღიარებს სუვერენიტეტის ძირითად პრინციპებს. განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება მისსავე ტერიტორიებს.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში საგრძნობლად იმატა ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტის ხელყოფის საფრთხეებმა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ სივრცეში ახლადწარმოქმნილ ქვეყნებში. სახელწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე თავდასხმა ან მისი ხელყოფის მცხდელობა რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს.

ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფისა არის ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში ან მთლიანად სახელმწიფოში ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის პერმანენტული განხორციელება.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ინტერესების ფართო სპექტრი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად არ ემთხვეოდა მეზობელი, მათ შორის პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური ინტერესების მდგრადობა, ხოლო ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის ბრძოლა, როგორც წესი, ქვეყანაში წარმოშობს არასტაბილურობას.

ეროვნული ინტერესების პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი სწორი გადაბმა ქვეყნის პოტენციალზე იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს ერთადერთი და მართებული არჩევანი, რომლის რეალიზებაც საშუალებას მისცემს სახელწიფოს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკის სფეროში, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. თანამედროვე ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში რეალური ადგილის დამკვიდრება მხოლოდ იმ ქვეყნებს შეუძლიათ, რომლებსაც შესწევთ ძალა, უზრუნველყონ თავისი სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამასთან, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოების მცდელობანი აქტიური ქმედებებით გაზარდონ თავიანთი გავლენა გეოპოლიტიკურ სივრცეში.

წამყვანი სახელმწიფოების ხელისუფლებები და პოლიტიკური წრეები არც თუ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან მნიშვნელოვან საკვანძო გეოპოლიტიკურ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნას. ამ პროცესზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტია სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის ხელშეწყობით მისი ტერიტორიული დაშლა.

თითოეული დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ იგი დაინტერესებულია თავისი სუვერენიტეტით, მზად უნდა იყოს წინ აღუდგეს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე „ექსპანსიის“ ცნებას ორგვარი გაგება აქვს:

წამყვანი სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ორგანიზაციების გავლენის სფეროების გაფართოვება, ძალადობრივი ან იძულებითი ლობისტების მეშვეობით ან სხვა რაიმე ფორმით. პირველსაწყისი არეალის მიღმა ნებისმიერი ინტერესების გაფართოება, გავრცელება.

სწორედ ზემოთქმული ეკონომიკური ექსპანსიის ნიშნები ახასიათებს პოტსაბჭოურ სივრცეში ახალწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, რომელსაც განვითარებული სახელმწიფოები ახორციელებენ. ამგვარი პროცესების ლოგიკური შედეგი იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფაქტობრივი სუვერენიტეტის ლიკვიდაცია და მათი რეგიონებად დაყოფის დანაშაულებრივი პროცესი.

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ გარე ეკონომიკური ექსპანსია ჩვეულებრივად ფრიად მრავალფეროვანი ფორმითა და მეთოდებით მიმდინარეობს. იგი ფაქტიურად მოიცავს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ყველა სასიცოცხლო სფეროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოტსაბჭოურ სივრცეში წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური ექსპანსია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ კიდევ უფრო დამანგრეველია მისი შედეგები აქტიური დემოგრაფიული ექსპანსიის ფონზე. ამგვარი მრავალსახეობით ექსპანსიის საბოლოო შედეგი შეიძლება გახდეს ჯერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ხოლო შემდეგ ქვეყნის კონსტიტუციური წყაროს ხელყოფა, სუვერენიტეტის საბოლოო დაკარგვა და ქვეყნის დაშლა რამდენიმე სახელმწიფო წარმონაქმნად.

ეკონომიკური ექსპანსია პირველყოვლისა მიმართულია პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების დეზორიენტაციისაკენ როგორც სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე განსაკუთრებით მის განაპირა სასაზღვრო რეგიონებში. განსაკუთრებული ფარული ზეწოლის ქვეშ ექცევა ეკონომიკურ სფეროში პიროვნების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპები.

ამგვარი ზეწოლის მახასიათებლებია:

- მოქალაქეთა ქონებრივი უსაფრთხოების ხელყოფა;
  მაქსიმალური მოგების მიღება მოქალაქეთა ტოტალური ძარცვის ხარჯზე, მათთვის მინიმალური მატერიალური საშუალებების ჩამორთმევა;
- ეროვნული თანხმობის დარღვევა, მთლიანად სახელმწიფოში და განსაკუთრებით მის საზღვრისპირა რეგიონებში;
- ეკონომიკურ ურთიერთობებში კრიზისული პროცესების პროვოცირება;
- პერიფერიებში ეკონომიკური და სოცილაური დონის დაქვეითება;
- ქვეყნის ეკონომიკური და ტერიტორიული მთლიანობის თანდათანობით დაკარგვა;
- ეკონომიკური სფეროს სული პარალიზება მრეწველობის ძირითადი დარგების ფაქტიური ლიკვიდაციის გზით;
- მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიკური კავშირების მოშლის პროვოცირება, ახალი კავშირების შექმნის პროცესის დამუხრუჭება და უკვე არსებული გასაღების ბაზრის სრული დაკარგვა;
- ქვეყნის სტრატეგიული სასიცოცხლო ობიექტების პრივატიზაცია და ამ პროცესში კორუფციული დანაშაულების წახალისება;

ამგვარი ქმედებების საბოლოოს მიზანია სახელმწიფოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკის დამოუკიდებელი სუბიექტის ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებების განხორციელება ძირითადში სხვადასხვა წარმომადგენლობითი ინტერესების მქონე „მრჩევლების“ და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვათა მეშვეობით ხდება.

ხშირ შემთხვევაში პროცესების დაჩქარების მიზნით ეკონომიკური ექსპანსია გადახლართულია დემოგრაფიულ ექსპანსიასთან. ამგვარი ფაქტები ძირითადში საზღვრისპირა რაიონებში ხორციელდება. ამ მიზნით აქტიურად მოქმედებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთა ფინანსირება საზღვარგარეთ დაფუძნებულია „ფონდებისა“ და სპეცსამსახურეობის მიერ ხდება, მათი საქმიანობა მაპროვიცირებელ როლს თამაშობს. ქვეყნის განაპირა რაიონების ჩამოცილების და გეოპოლიტიკურად დომირებული სახელმწიფოს ნაწილებად დაყოფის საქმეში.

ინტენსიურად იზრდება არალეგალურ მიგრანტთა ნაკადი მეზობელი სახელმწიფოებიდან და მესამე ქვეყნებიდან ვითარდება არალეგალური ეკონომიკური საქმიანობა მიწის და ტყის

დიდი მასივები საკანონმდებლო ლაფსუსების გამო საეჭვო მოქალაქეობის მქონე პირების ხელში ხვდება. ამ ტერიტორიაზე იქმნება ახალი დასახლებები. გარკვეული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად აბორიგენი მოსახლეობა ტოვებს მამაპაპისეულ საცხოვრისს. ამგვარი ვითარების ფონზე სერიოზულად იძაბება ურთიერთობები ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის მძიმე შედეგების გასანეიტრალებლად საჭიროა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც უნდა იყოს არა მარტო კარგად გათვლილი, არამედ რეალიზებადიც.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ექსპანსიის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებები სასაზღვრო რაიონებში ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი გახდეს, იყოს დეტალურად დაგეგმილი, ორგანიზებულად ხარისხიანი, აქტიური და მუდმივმოქმედი.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია:

- მაღალეფექტური საკანონმდებლო ბაზა;
- აღმასრულებელი ხელისუფლების კონკრეტული მიზანმიმართული მოქმედება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთმოქმედება ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელ სტრუქტურებთან;
- მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან მჭიდრო სამართლებრივი და შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა;
- ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საწინააღმეგო მოქმედება ხელისუფლებისაგან მოითხოვს:
- არ დაუშვას ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვა;
- სრულიად გამორიცხოს ქვეყნის ტერიტორიული ცვლილებები და უზრუნველყოს სოციალურ-დემოგრაფიული სტაბილურობა.

ნებისმიერი სახელმწიფო იმისდამიუხედავად როგორი ურთიერთობა აქვს მეზობელ სახელმწიფოებთან ეკონომიკურ და დემოგრაფიულ საკითხებში პირველ ყოვლისა, საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესებით ხელმძღვანელობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური დამოკიდებულებებისა ეროვნული ინტერესების პრიმატი ყოველთვის უნდა დომინირებდეს.

ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიისაგან ქვეყნის და განსაკუთრებით მისი სასაზღვრო რაიონების დასაცავად გასატარებელია მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებები. მათგან უმნიშვნელოვანესია:

- ნორმატიულ საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუშლიან ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის გავრცელებას ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონებში;
- სასაზღვრო, საბაჟო, საემიგრაციო, ვეტერინალური და ფიტოსანიტარული კონტროლის ეფექტურობის ამაღლება;
- ეფექტურობის დეზინფორმაციის სრული აღმოფხვრა;
- ქვეყნიდან კაპიტალის, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსების და საქონლის გატანის აღკვეთა, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის აუცილებელი დაცვა ნებისმიერი ხელყოფისაგან;
- ქვეყნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, მის ტერიტორიულ და შიდა წყლებში სხვა სახელმწიფოთა მიერ ზღვის ბიოლოგიური რესურსების მტაცებლური მოპოვების აღკვეთა;
- ქვეყნის ეკონომიკაზე უცხო ქვეყნების კაპიტალის გადამწყვეტი გავლენის შეჩერება;
- საზღვარგარეთის ბაზრებზე ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციების აღდგენის ხელშეწყობა;
- უცხოელი პარტნიორების მიერ ფორსირებული ეკონომიკური კავშირების სისტემის განეიტრალება, როგორც საფრთხის, რომელიც თანდათან გადააქცევს ქვეყანას სხვა განვითარებული სახელმწიფოებისათვის ნედლეულის დანამატად, რათა არ მოხდეს ქვეყნის მთლიანი დამოკიდებულება ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ექსპორტზე;
- ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების საქმიანობის აღკვეთა;

- შიდა მიგრაციული ცენტრისკენული პროცესების შეჩერება.

დემოგრაფიული ექსპანსიის საწინააღმდეგო ზომების გამკაცრება და წარმოქმნილი მძიმე დემოგრაფიული ფონის დაუყოვნებლივ განეიტრალება. განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონებში. ემიგრანტულ ორგანიზაციებთან დიასპორებსა და წარმომადგენლებთან, სხვადასხვა ფონდებთან პრევენციული მუშაობის გატარება. მოსახლეობის მიგრაცია განსაკუთრებით განაპირა სასაზღვრო რაიონებიდან ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის ხელშეწყობისათვის.

ეს პროცესი გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკური მოღვაწეობის დაქვეითებისა და შემდგომ მთლიანად შეწყვეტაზე: მცირდება და შემდგომში მთლიანად წყვეტს თავის საქმიანობას სამრეწველო საწარმოები, სათბობენერგეტიკული კომპლექსები. სოციალური სფეროს საწარმოები, ამ ჯაჭვური რეაქციის შედეგად მთლიანად სუსტდება რეგიონის პოტენციალი.

იმავდროულად, მეზობელი სახელმწიფოს გამოთავისუფლებული მოსახლეობა პერმენანტურად იწყებს დაზუსტებული სასაზღვრო რეგიონის შევსებას, ფაქტიურად არალეგალური მიგრაციის გზით, არალეგალური მიგრანტები იწყებენ აქტიურ სამეურნეო საქმიანობას, ხოლო მოგვიანებით ავითარებენ საწარმოოს სფეროს.

საბოლოოდ, ამგვარ ქმედებას ეძლევა სეპარატისტული შინაარსი და შესაძლოა კონკრეტული რეგიონის ძირითადი სახელმწიფოდან მოწყვეტა გამოიწვიოს.

დიდი სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირება ხშირად ლოკალური ეთნოკონფლიქტების მაპროვოცირებულია, რომლებიც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის მიერ იმართება. უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვან სტრატეგიული ინტერესები იწვევს არა ფართო, არამედ მიკრორეგიონალურ შეჯახებებს იმ შემთხვევაში, თუ ინტერესების სფეროში მოქცეული რეგიონი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური მდგომარეობით მომზადებულია პროვოკაციისათვის.

ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკა და განვითარების სტრატეგია უნდა ბაზირებდეს ორ საფუძველზე: ჰუმანური მართვა და სამართლებრივი ხელისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ , თბ.,1993.
3. *მელიქიშვილი ლ.,* უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები ,თბ., 2002 .
4. *ანტონენკო ო.,* სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება „გაყინული გაურკვევლობა“, თბ.
5. 2006. გვ. 270
6. *ალექსიძე ლ.,* მოსახლეობა და საერთაშორისო სამართალი, თბ.,1998. გვ. 171


## ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების კრიმინოლოგიური გზები


**გელა ხუციშვილი**



ნაშრომში განხილულია ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზირების საკითხები და მისი თავიდან აცილების კრიმინოლოგიური გზები. ცალ-ცალკე დახასიათებულია ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსიის მახასიათებლები და მათი ურთიერთდამოკიდებულების ასპექტები, განსაკუთრებით- საზღვრისპირა რეგიონებში.

დასაბუთებულია ეკონომიური და დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხეების პროგნოზის მნიშვნელობა და საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით ქვეყნის მასშტაბით გასატარებელი კრიმინოლოგიური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის კომპლექსური რეკომენდაციები.

**Predicting the dangers of economic and demographic expansion of the country and the criminological ways of prevention**

**Gela Khutsishvili**

The author discusses the matters of predicting the dangers of economic and demographic expansion of the country and the criminological ways of its prevention. The designators of economic and demographic expansion of the country and their interrelation aspects are described independently, giving special attention to the border regions.

The work proves the importance of predicting the dangers of economic and demographic expansion and provides the criminological, legal and organizational complex recommendations for successful prevention of those dangers throughout the country.

*

## საქართველოში განხორციელებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის გავლენა გამოძიების ფორმებსა და მეთოდიკაზე

*პროფესორი, დოქტორი* **მიხეილ მამნიაშვილი,** *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*;

*პროფესორი, დოქტორი* **პოლიკარპე (თემურ) მონიავა,** *საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Mikheil Mamniashvili** (Georgia), *Georgian Technical University, Georgian Academy of Criminology Sciences*;

Professor, Dr **Polikarpe Moniava** (Georgia), *David Agmashenebeli University of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences*

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა პრინციპის დონეზე, მართალია, აღიარებს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას (სსსკ მე-9 მ), მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას,რომ გამოძიების სტადიაზე ბრალდების მხარის პროცესუალური მდგომარეობა და უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით აშკარაა და დავას არ უნდა იწვევდეს; მხარეთა თანასწორობა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარის პროცესუალური მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოების პროცესში თანაბარი იყოს და ისინი ერთ „წონით კატეგორიას“ უნდა განეკუთვნებოდნენ. ანუ, თითეულმა მხარემ, თანასწორ პირობებში უნდა შეძლოს მოიპოვოს მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები, ხოლო მხარეთა შორის წარმოებულ დავას, წყვეტს საქმის მსვლელობით დაინტერესებული, დამოუკიდებელი ორგანო – სასამართლო.

შეჯიბრებითობის პრინციპის ნიშნები ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია ანგლო-ამერიკული სამართალწარმოების პროცესში. ისტორიულად პროცესის ამ ფორმის განვითარება დაიწყო შუასაუკუნეების ინგლისში, შემდგომში ეს ფორმა დამკვიდრდა ინგლისის ყოფილ კოლონიებში. დღეისათვის შეჯიბრებითობის პროცესი გადაჭარბებული ფორმით შეინიშნება (ინგლისის გარდა) აშშ-ში[1] კანადასა[2] და ავსტრალიაში[3].

ანგლო-ამერიკული სამართალწარმოების პროცესისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბრალის აღიარებას სხვა სახის მტკიცებულებებთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. თუკი ბრალდებული ბრალს აღიარებს, სასამართლოს ისე გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომ საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს აღარ იკვლევენ, ხოლო პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა იწვევს საქმის შეწყვეტას, „არ არის დავა, არ არის პროცესი“, ეს წესი ანგლო-ამერიკული სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. [4]

ამასთანავე, აშშ-ში და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობაში დაცვის მხარის დამატებით გარანტიებს ითვალისწინებს, რომლის საშუალებითაც დაცვის მხარეს ეძლევა შესაძლებლობა დაუპირისპირდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს, შეძლოს მოიპოვოს მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები. ასე რომ, ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში ასეთი სახის სამართალწარმოება უკვე დიდი ხანია დანერგილია, აპრობირებულია და მისი არსებობა საუკუნეებს ითვლის; ანგლოამერიკული სამართლის სისტემის მიმართ შეჯიბრებითობის პრინციპი მეცნიერული გამოკვლევა კი არ არის, არამედ ის იძლევა ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას.[5]

ევროპულ სახელმწიფოებში (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.) დამკვიდრებულია ე.წ. შერეული სისხლის სამართლის პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელი ისაა, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მტკიცებულებათა შეკრება, საჯაროობის პრინციპი ნაკ-

1 W. Lafave, J. Israel, N. King. Criminal procedure (Edition 5, revised). nyblisher: west, 2009

2 R. Delisle, D. Stuart,Beamingcamadian criminal procedure (Edition 3), Publisher: carswil, 1994

3 The burden of proot in criminal procedings (standing commitee on constitutional and legal affairs, Australia parlament), nyblisher: Goverment Printer 1983

4 К.Ф. Гуценко. Л. В. Головко, Б. А. Филимонов, Уголовный процесс западных государств, издание второе дополненное, изд. «Зерцало», М. 2002.с. 260-261

5 К.Ф. Гуценко, Л. В. Головко, Б. А. Филимонов, Уголовный процесс западных государств,издание второе дополненное, изд. «Зерцало», М., 2002. с. 17-18.

ლებადაა დაცული, ხოლო საქმის არსებითი განხილვა სასამართლო გამოძიების პროცესში სავსებით შეესაბამება შეჯიბრებითობის პროცესს.

ამდენად, როგორც დავინახეთ, ამ ორ სამართლის სისტემის ქვეყნებში გამოძიების წარმოება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართალწარმოების "წმინდა შეჯიბრებითობის" პროცესის გაუმჯობესება და დახვეწა მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ის მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს. კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შედარებით სტაბილურია,[6] გამოძიებისა და მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებისას შეესაბამება თითოეული ქვეყნის ტრადიციასა და მენტალიტეტს.

დასავლეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი უარყოფითი დამახასიათებელი ნიშანი იყო და დღესაც რჩება მისი არასტაბილურობა, რომელიც უფრო ხელისუფლების ცვლასთან არის დაკავშირებული, რადგანაც საპროცესო კანონმდებლობას, ისევე როგორც ზოგადად კანონმდებლობას, ახასიათებს ქვეყანაში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი ცვლილებების მყისიერი ასახვის ტენდენცია და ახლად მოსული კანონმდებელი მის მიერ მიღებულ მიმდინარე ნორმატიულ აქტებს აქცევს იმ ჩარჩოებში და იმ მიმართულებით, რა სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასაც მმართველი ხელისუფლება ახორციელებს. სწორედ ამ მხრივ ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არა მარტო არსებითად სახის შეცვლა, არამედ "დამახინჯებაც" კი, რამაც ბუნებრივია, უარყოფითი როლი ითამაშა საპროცესო კოდექსის თანდათანობით, ევოლუციური დახვეწისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით (როგორც ეს დასავლეთის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში მიმდინარეობს), ფაქტობრივად, ახლად მოსულმა კანონმდებელმა წინა საპროცესო კოდექსის თითქმის ყველა ძირითადი დებულება სწრაფად და მყისიერად შეცვალა, რომლის მიზანი, როგორც აშკარად შეიმჩნეოდა, იყო ქვეყანაში მათთვის სასურველი სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრება.

ჩვენ მიერ მოყვანილ არგუმენტებში სრულად დავრწმუნდებით, თუ გადავშლით წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და გადავხედავთ მასში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს. სულ ადვილია იმის დანახვა, რომ 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ხელისუფლების ელიტისათვის ის არ აღმოჩნდა საკმარისი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების დასანერგად და განსამტკიცებლად,[7] იგრძნობოდა აშკარა ტენდენცია სისხლის სამართლის პოლიტიკის რადიკალური ცვლილების მიმართულებით, დაინერგა ე.წ. „ტელედაპატიმრებები", როდესაც ადამიანების დაკავების პროცესს ტელეეკრანებზე სიუჟეტების სახით აშუქებდნენ, 2004 წლის 13 თებერვლიდან შემოღებული იქნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ის მანკიერი პრაქტიკა, რაც ბრალდებულის მიერ ფულადი თანხის აუცილებელ გადახდასთან იყო დაკავშირებული. მკვეთრად იზრდებოდა პროკურორის ფუნქციები, მის პარალელურად კი მცირდებოდა გამომძიებლის სტატუსი. სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში კანონმდებლის მიერ იმდენი ახალი ინსტიტუტი თუ რეგულაციები იქნა შეტანილი (800-ზე მეტი), უმეტესწილად ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემიდან ნასესხები და მათეულად მოდიფიცირებული (მაგ. საპროცესო შეთანხმება, საგამოძიებო ვალები და ა.შ.), რომ როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. ბენიძე, სრული ტრანსფორმაცია განიცადა, ფაქტობრივად დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და პრაქტიკული საქმიანობისათვის სავსებით უვარგისი აღმოჩნდა,[8] ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნისას, საერთოდ გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შთანთქმის პრინციპი და დანაშაულის ერთობლიობის დროს სასამართლო ორგანოების მიერ მხოლოდ სასჯელის შეკრების წესები გამოიყენებოდა, რა დროსაც განსა-

6 К.Ф. Гуценко, Л. В. Головко, Б. А. Филимонов, Уголовный процесс западных государств, издание второе дополненное, изд. «Зерцало», М., 2002. с. 9-12

7 მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი საქართველოში, გერმანელი ექსპერტების, აქსელ ბიოტიხერისა და ბერნარას ბროკის მოხსენება, გვ. 5.

8 ბენიძე ვ., სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს, რ. შენგელიას 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია, გამომცემლობა „სამართალი", 2012, გვ. 531.

კუთრებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებზე სასჯელის ზომის გაუმართლებელ დამძიმებას იწვევდა. ასევე, გაუქმდა და არც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს გამომძიებლის ვალდებულებას, იმის შესახებ, რომ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესში, დადგენილიყო დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები, მათი აღმოფხვრის მიზნით კი წარმოება, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში შეტანილიყო წარდგინება, არადა წინა საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თუ გამომძიებელი ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა, მას არ ჰქონდა უფლება საქმე განსახილველად წარემართა სასამართლოში.

სისხლის სამართლის პოლიტიკა, ისევე როგორც ზოგადად პოლიტიკა, ცვალებადია და ქვეყანაში რეალურად არსებულ გამოწვევებს უნდა პასუხობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და პირველ რიგში, სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრებას უშლის ხელს, ასეთ შემთხვევაში სასამართლოსადმი ნდობა საზოგადოების მხრიდან ან უარყოფითია, ანდა მკვეთრად დაბალი. [9]

საქართველოში "ნულოვან ტოლერანტობას", რომელიც 2006 წლიდან დაიწყო, და ამავე პერიოდიდან განხორციელდა ზემოდ ხსენებული რადიკალური ცვლილებები სისხლის სამართალსა და საპროცესო კამონმდებლობებში, საფუძვლად დაედო ამერიკული (ნიუ-იორკის) მოდელი. „ჩატეხილი ფანჯრის" თეორია, რასაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნიუ-იორკის მერი ჯულიანო ახორციელებდა და მისი მოკლე ისტორია ასე გამოიყურება:

80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში ქალაქ ნიუ-იორკში დანაშაულის ახალი სარეკორდო მაჩვენებელი იქნა დაფიქსირებული.ამ პერიოდში ნიუ–იორკში გამოჩნდა იმ დროისთვის ახალი ნარკოტიკული საშუალება „კრეკი" რამაც „ჰეროინის" გამსაღებლების გაღიზიანება გამოიწვია, შესაბამისად, დაიწყო ბრძოლა ნარკოდილერებს შორის. 1990 წელს მკვლელობების და ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მაჩვენებელმა შეადგინა 31 პუნქტი ყოველ 100 000 მოქალაქეზე (გერმანიაში ეს მაჩვენებელი 3,8 უტოლდებოდა). კრიმინალი განსაკუთრებით ხშირი იყო ბრუკლინის ზანგურ დასახლებებში, სამხრეთ ბრონქსში და ჩრდილო მანჰეტენში. აღნიშნულ უბნებში შეინიშნებოდა სოციალური სტრუქტურის სრული მოშლა; ამ ყველაფერმა მოსახლეობაში იარაღის ეპიდემიურ გავრცელებამდე მიიყვანა ქალაქი.

სწორედ ამ დროს მოხდა ქალაქის პოლიციის რეფორმირება და შემუშავდა პოლიციისთვის ახალი სტრატეგია, ამ სტრატეგიისთვის დამახასიათებელი იყო გახშირებული კონტროლი მოსახლეობის განსაიარაღებლად, "ზერო ტოლერანცე" მართლწინააღმდეგობის ნებისმიერ გამოვლენაზე. მთავარი ამ სტრატეგიაში იყო შეხვედრები, რომელიც კვირაში 2-ჯერ ეწყობოდა და მისი დანიშნულება იყო: მიღებული ინფორმაციის დამუშავება, კომუნიკაცია და პოლიციის შიდა კონტროლი.

პოლიციის მიერ შემდეგი კრიმინოლოგიური ხასიათის ღონისძიებები იქნა გატარებული:

1. დაიწყო გაძლიერებული მუშაობა ქუჩის პროსტიტუციის აღსაკვეთად, აკრძალული იქნა განსაკუთრებით ხმაურიანი მოტოციკლებითა და ავტომობილებით მოძრაობა, საბავშვო სათამაშო მოედნები, პარკები და კალათბურთის მოედნები ღამით იკეტებოდა, ხოლო დღის განმავლობაში ხდებოდა მათი მუდმივი პატრულირება. განსაკუთრებით გააქტიურდა ბრძოლა ნარკოდილერებთან.

2. გაძლიერდა და გახშირდა პოლიციური რეიდები, მრავალი მოქმედება, რომელიც ადრე აკრძალული არ იყო, მაგრამ არ ითვლებოდა საზოგადოებისათვის მისაღებად, კანონის ძალით აიკრძალა. ნებისმიერ მართლწინააღმდეგობის გამოვლენაზე პოლიციას მიეცა უფლება დაედგინა ამ ქმედების ჩამდენი პირი და გადაემოწმებინა, ხომ არ იყო რაიმე დანაშაული მასზე რიცხული, ფაქტიურად შესაძლებელი გახდა ჩხრეკის ჩატარება არაოფიციალურადაც, პირისთვის იარაღის ან ნარკოტიკის აღმოჩენის შემთხვევაში დაკავებულები ექვედებარებოდნენ განსაკუთრებით ინტენსიურ და სრულ დაკითხვას, კონტაქტებზე, იარაღის მეპატრონეებზე და ა.შ. ამ მეთოდების გამოყენებით განსაკუთრებით შეივსო და გამდიდრდა პოლიციის საინფორმაციო ბაზა.

3. პოლიციის ყურადღების ქვეშ მოექცა ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი ქმედებები: სკოლის გამცდენ ბავშვებს აკავებდნენ ქუჩაში და მიჰყავდათ სკოლაში, აგრესიულ

9 მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., მელქაძე ზ., ლომიძე ნ., სისხლის სამართალწარმოების პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომიXI, 2013, გვ. 624-634.

მათხოვრებს მიეთითათ "ჩარჩოებზე", აიკრძალა ფეხით მოსიარულეთა ზონაში და ტროტუარებზე ველოსიპედით სიარული, გააქტიურდა იმ პირებზე მუშაობა, ვინც სიმპათიით უყურებდა კრიმინალურ კარიერას.

ამ ყველაფერმა რეალურად შეამცირა დანაშაული. [10]

კრიმინოლოგიური თეორია, რომელიც„ჩატეხილი ფანჯრის", სახელწოდებითაა ცნობილი და რომელსაც წინა ხელისუფლება კრიმინალთან ბრძოლაში იყენებდა, მართლაც გულისხმობს იმას, რომ მცირე უწესრიგობამ – უმნიშვნელო დანაშაულისადმი ტოლერანტობამ შეიძლება უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა გამოიწვიოს; თუმცა, აღნიშნული თეორიის ფუძემდებლები ამერიკელი კრიმინოლოგები პროფესორები კელინგი და უილსონი, მიუთითებენ, რომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე დაკავებულ პირებს, ყოველთვის არ უნდა შეეფარდოთ აღკვეთი ღონისძიება, – პატიმრობა და ამ მიმართულებით, ისინი პოლიციელთა დისკრეციაზე მიანიშნებენ. ამ თეორიის მიზანი წესრიგის შენარჩუნებაა, რამაც გრძელ ვადაში კრიმინალის კლება უნდა გამოიწვიოსო. როდესაც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის ადამიანი ისჯება მრავალწლიანი თავისუფლების აღკვეთით, ის მოკლებულია სისხლის სამართლის ფუნდამენტალურ პრინციპს, რეაბილიტაციას.

ახალგაზრდა, რომელიც ერთი მცირე დანაშაულისთვის მისი განვითარების კრიტიკულ ასაკს საპატიმროში ატარებს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, უფრო მეტად არის დანაშაულისადმი მიდრეკილი, რადგან ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელია . თავად რუდოლფ ჯულიანმაც დაადასტურა 2014 წელს ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემასთან ინტერვიუს დროს, რომ კრიმინოლოგების მიერ შემუშვებული „ჩატეხილი ფანჯრების" თეორია "ნულოვან ტოლერანტობასთან" ერთად არ უნდა ხორციელდებოდეს და კვლავ დისკრეციაზე ისაუბრა. [11]

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება და მიღება დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როდესაც ქვეყანაში „ნულოვანი ტოლერანტობა" სულ უფრო მეტად ვითარდებოდა და არასახარბიელო სახეს იღებდა, ამის მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ თუ კი 2005 წელს პენიტენციალურ სისტემაში სასჯელს იხდიდა 9,573 მსჯავრდებული, 2012 წელს 23 ათასს გადააჭარბა, კიდევ მეტი, თუ კი წინა საპროცესო კოდექსში განხორციელებული იყო იგივე ცვლილება, რაც შემდგომ ახალ საპროცესო კოდექსში მთლიანად იქნა ასახული, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ფაქტობრივად მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებისთანავე ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომ გაგრძელებას ემსახურებოდა.

ამავე დროს საოცარი რამ მოხდა, ერთის მხრივ, ევროპული პროცესი იქნა შემოტანილი სამოქალაქო სამართალში, ხოლო სისხლის სამართალში დაიწყეს სხვა, ამერიკული პროცესის შემოტანა, ზოგჯერ ერთსა და იმავე დარგში ნაწილი ევროპული იყო, ნაწილი კი ამერიკული,[12] საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ დღეისათვის სისხლის სამართლის კოდექსი კონტინენტური (ევროპული) სამართლის სისტემის მოდელის ტიპს წარმოადგენს, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის მოდელის ტიპის პრეტენზიას აცხადებს.

განვლილმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკამ, და შესაბამისად გატარებულმა კრიმინოლოგიურმა ღონისძიებებმა, რომელიც „ნულოვანი ტოლერანტობით" იყო ცნობილი, არასასურველი შედეგები გამოიღო და სრული ფიასკო განიცადა, რამაც თავისი უარყოფითი ასახვა ჰპოვა ქვეყნის კრიმინოგენურ სიტუაციაზე.

2012 წლის ოქტომბერში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რადიკალური ღონისძიებები განახორციელეს „ნულოვანი ტოლერანტობის" ალმოსაფხვრელად, როგორც ორგანიზაციული, ასევე საკანონმდებლო მიმართულებით. პარლამენტმა მიიღო „ამნისტიის" აქტი, რომლითაც სასჯელაღსრულებით დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 12 ათასამდე მსჯავრდებული, ასევე ძალზე ბევრი პრობაციონერი, 200-მდე მსჯავრდებული პოლიტპატიმრადაა აღიარებული.

უფრო ლიბერალური გახდა როგორც სისხლის, ასევე საპროცესო კანონმდებლობაც,

10 https://forum.ge/?showtopic=34253101&f=&st=15

11 http://www.postalioni.com/2015/06/%E1%83

12 უგრეხელიძე მ., შესავალი სიტყვა (ტრანსკრიპტი), საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო", სპეციალური გამოშვება, კონფერენციის შრომები, N2, 2015, გვ.10-11.

კერძოდ, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებებზე კვლავ შემოღებული იქნა სასჯელის დანიშვნის შთანთქმის პრინციპი, ამოქმედდა ალტერნატიული სასჯელები მედიაციისა და განრიდების სახით; პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და რაც მნიშვნელოვანია, უფრო ლიბერალური გახდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, შემუშავდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებათა სტანდარტი (სსსკ მე-3 მუხლის 111 ნაწილი), მას ჩამოსცილდა ბრალდებულისაგან ფულადი თანხების სავალდებულო გადახდის მანკიერი პრაქტიკა, დაზარალებულს მიეცა უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე პროკურორის დადგენილება გაასაჩივროს სასამართლოში და ა.შ.

მიუხედავად კანონმდებლობაში შესული მრავალი ცვლილებებისა, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, რაიმე სახის, თუნდაც მცირედი გაუმჯობესება მაინც გამოძიებასა და გამომძიებლის ინსტიტუტის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით საერთოდ არ მომხდარა და ფაქტობრივად, იგივე დონეზე დარჩა, რაც წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცვლილებების დროს იყო. არადა, სწორედ გამომძიებლის სტატუსის უგულვებელყოფამ, მისი უფლებამოსილების "ნულის ტოლამდე" დაყვანამ განაპირობა ჩვენს ქვეყანაში მართლმსაჯულების პროცესის უარყოფითი მოვლენები და მძიმე შედეგები, მხედველობაში გვაქვს „სამართლიანობის აღდგენა", რასაც, სამწუხაროდ, დღესაც ვიმკით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომელიც „სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას" შეეხება, საუბარია მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებაზე, ეს კი შეეხება არა მარტო სასამართლო ორგანოების საქმიანობას, არამედ უკავშირდება მთლიანად მართლმსაჯულებას. ეს კი ხდება როგორც სასამართლომდე, მაგალითად, გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოს შემდეგ – განაჩენის აღსრულების ეტაპზეც,[13] კიდევ მეტი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, კოდექსის მიზანს წარმოადგენს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა. მაშასადამე, საქმის სასამართლოში განხილვასთან ერთად, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალწარმოების ნაწილს განეკუთვნება, და ის მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლო ორგანოების საქმიანობასთან. ამასთანავე, თითოეული დანაშაულის ობიექტური, სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების მეშვეობით, ბუნებრივია, არსებობს იმის სრული გარანტია, რომ დადგინდეს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, ხოლო კრიმინოლოგიურ მეცნიერებას ეძლევა სრული შესაძლებლობები დაისახოს კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კი შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები.

ამდენად, გამოძიება მიჩნეულია არა მარტო მართლმსაჯულების პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად, არამედ ის, ასევე წარმოადგენს ცალკეულ დანაშაულობათა კრიმინოლოგიური ასპექტით შესწავლის საუკეთესო საშუალებას. აღნიშნულისა გამო გამომძიებლის უფლებამოსილების გაუმართლებელი შეზღუდვა, რაც წინა ხელისუფლების მიერ „ნულოვანი ტოლერანტობის", როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით განხორციელდა ისეთ დონემდე, რომ გამოძიების სტადიაზე ის გვევლინება მხოლოდ პროკურორის „ტექნიკურ დამხმარედ", რადგანაც საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საშუალებით ბრალდების მტკიცებულებათა შეკრების გარდა სხვა უფლებამოსილება არ გააჩნია, არც რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლებით არ სარგებლობს, შესაბამისად, არც რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოძიების პროცესში მას დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის ვალდებულებაც არ გააჩნია, რაც დანაშაულის კრიმინოლოგიური კვლევის ერთ – ერთ უმთავრეს სეგმენტს წარმოადგენს, სრულიად ზედმეტია ვიმსჯელოთ მისი მხრიდან საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით და სწორედ ამ მოტივით, გამოძიების სტადიაზე დაშვებული ნაკლოვანებები და შეცდომები, თუნდაც „ტენდენციური", უკიდურეს უარყოფით გავლენას ახდენს, არა მხოლოდ ზოგადად მართლმსაჯულების პროცესის წარმოებაზე, არ-

13 დაწვრილებით იხ. უგრეხელიძე,მ. შესავალი სიტყვა (ტრანსკრიპტი), საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო", სპეციალური გამოშვება, კონფერენციის შრომები, N2, 2015, გვ. 12

ამედ ასევე დანაშაულის, როგორც სოციალური მოვლენის კრიმინოლოგიურ შესწავლასა და მის თეორიულ კვლევაზე.

გამოძიების ორგანიზაციულად სწორად მოწყობასა და გამომძიებლის უფლებამოსილების გარკვეულ დონემდე გაზრდის გარეშე, უბრალოდ წარმოუდგენლად გვეჩვენება მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე საუბარიც კი, ხოლო მისი პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში ის შეიძლება იქცეს, არა მარტო გამოძიების სტადიაზე თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის გარანტი, არამედ ზოგადად სისხლის სამართალწარმოების პროცესში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ხარისხის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი შემადგენელი ნაწილი.

## საქართველოში განხორციელებული „ნულოვანი ტოლერანტობის“, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის, გავლენა გამოძიების ფორმებსა და მეთოდიკაზე

**მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა**

წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ, რომელიც „ნულოვანი ტოლერანტობით“ იყო ცნობილი, არსებითად შეცვალა სისხლის სამართლის და საპროცესო კანონმდებლობა, რაც უარყოფითად აისახა კანონმდებლობის ევოლუციურად შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიმართებით.

ნაშრომში ნაჩვენებია ის უარყოფითი მხარეები, რაც „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ გამოიწვია არა მარტო ადამიანისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა დაცვის მიმართულებით, არამედ რადიკალურად უარყოფითად შეცვალა როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ინსტიტუტები, ასევე საპროცესო საქმიანობის სუბიექტთა სტატუსი, განსაკუთრებით, გამომძიებლის უფლებამოსილება, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახა დანაშაულის კრიმნოლოგიური კვლევის მიმართულებითაც.

ნაშრომში დასმულია საკითხი გამომძიებლის სტატუსის შემდგომი სრულყოფის თაობაზე.

## Influence of „zero tolerance“ as the criminal law policy on the forms and methods of investigation

**Mikheil Mamniashvili, Polikarpe( Temur) Moniava**

The criminal law policy of the previous government, which was known as „zero tolerance”, substantially changed the criminal law and procedural law, which negatively impacted the evolution of the legislation and its further improvement.

The paper discusses how „zero tolerance” brought some major disadvantages in protecting human rights, guaranteed by the Constitution, and radically worsened [radically and negatively changed] both individual institutions of criminal procedure and status of subjects of procedure activities, especially, the investigator’s authority, which had a bad effect on criminological research of crimes.

The need of further improvement of the investigator’s status is mentioned in the research.

*

# დანაშაულის ფსიქოპოლიტიკური ანალიზი

პროფესორი, დოქტორი **მაია ნადარეიშვილი,** *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბრიტანეთისა და ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Maia Nadareishvili** (Georgia), *Director of the British and American Studies Institute at Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*

ორმაგი სტანდარტები მხოლოდ პოლიტიკის ნაკლი არაა. სანამ პრობლემა პირადად არ შეეხება, ადამიანს დამნაშავისთვის იოლად მიტევება სჩვევია. კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი მეცნიერების სახით განვითარება და რეალურ ცხოვრებაში კრიმინოლოგიური თეორიების გამოყენება შეწყვეტს დანაშაულისადმი ორმაგი სტანდარტის მავნე პრაქტიკას. კრიმინოლოგიის დანიშნულებაა დანაშაულისთვის წინასწარ ხელისშეშლა ან/და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა პრეცედენტისთანავე

კრიმინოლოგიის თეორიაში მმართველობის კონცეფცია „გამოიყენება დანაშაულის კონტროლის ცვლილებათა საჩვენებლად და კონტროლის ერთნაირი ობიექტების (მაგალითად, სიტყვიერი ან ფიზიკური ზიანის მიყენება, დაცულობა და უსაფრთხოება) აღიარებისათვის“.[1] ამერიკელი კრიმინოლოგი, როჯერ ჰოპკინს ბერკი მიიჩნევს, რომ მმართველობის კონცეფციის არსია „დაპირისპირება ტრადიციულ გაგებასთან, როცა პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოს ხელშია ცენტრალიზებული. ამ ახალი, ფუკოსეული კონცეპტუალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს მარტივად კი აღარ ეძლევა ძალაუფლება სამოქალაქო საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის, არამედ ძალაუფლება საჯარო თუ კერძო, ფორმალურ თუ არაფორმალურ აქტივისტთა კოალიციებს შორის ბრძოლების შედეგია“.[2] როგორც ჯერ კიდევ 1997 წელს განმარტავდა ბრიტანელი კრიმინოლოგი, ლიდსის უნივერსიტეტის პროფესორი ადამ კროუფორდი, ამ სიახლის კრიმინოლოგიური ნიმუშია „დანაშაულის კონტროლის მცდელობა სასტატუტო (საკანონმდებლო), კომერციული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების პარტნიორობით“.[3] რეალურ ცხოვრებაში მმართველობის კონცეფციის არგამოყენება ან მისი არასაკმარისად გააქტიურება ლეტალურ შედეგს განაპირობებს. ამას ადასტურებს 2019 წლის 15 მარტს ახალი ზელანდიის ქალაქ ბრედფორდში 28 წლის ბრენტონ ტარანტის მიერ მეჩეთში სალოცავად მისული 50 ადამიანის დახოცვა და სხვა მრავალის დაჭრა.

ტერორისტული აქტის შეფასებისას პრემიერ-მინისტრმა ჯასინდა არდერნმა განაცხადა, რომ იარაღზე კანონს დაუყოვნებლივ გაამკაცრებდა.[4] ქვეყნის პირველ პირს დანაშაულის პრევენციის სურვილი ახალი ზელანდიის ტრაგედიამდე რომ გასჩენოდა, საკმარისი იყო 2011 წელს ნორვეგიასა და 2017 წლის გაზაფხულზე (22 მარტს ვესტმინსტერში, 22 მაისს მანჩესტერში, 3 ივნისს ლონდონის ხიდზე, 19 ივნისს ფინსბერი-პარკში) ინგლისში განხორციელებული თავდასხმების ანალოგიური მსხვერპლის გლობალურ ტრაგედიად აღქმა. რაც, ფაქტია, არ მომხდარა. ასეთი უმოქმედობის მიზეზებს (დროის უქონლობა, მოუცლელობა, სხვა პრიორიტეტები და ა.შ.) წარმოაჩენს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური კარიერის ელვისებური სისწრაფით განვითარდა. დიდ პოლიტიკაში 2001 წლიდან აქტიურად ჩართულ ახდენს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა, რომ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაეწყო, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა, მთავრობის მეთაურ ქალს არასდროს უფიქრია იარაღის შეძენა-გამოყენების გამკაცრებაზე 2019 წლის 15 მარტამდე.

21-ე საუკუნეში სამყარო გლობალურად რთულ სიტუაციაშია. შესაბამისად, ქვეყნის მთავრობები უკვე შემდგარი პროფესიონალებით უნდა კომპლექტდებოდეს. როდესაც ერთ-ერთ ქვეყანაში საყოველთაო პრობლემა გამწვავდება, უკვე გამოცდილ-გამობრძმედილი პოლიტიკოსები პრევენციული ზომების მყისიერად განხორციელებას შეძლებენ საკუთარ სახელ-

1 An Introduction to Criminological Theory, Roger Hopkins Burke, New York, NY: Willan, 3rd Edition, 2009, p. 312.

2 იქვე.

3 An Introduction to Criminological Theory, Roger Hopkins Burke, New York, NY: Willan, 3rd Edition, 2009, p. 313.

4 Wondracz, Aidan, and Mark Brook, “Our gun laws WILL change”: New Zealand Prime Minister Jacinda Ardern vows tough action on weapons as she reveals gunman had five firearms legally and that none of those arrested were known to police, The Daily Mail Australia, 15th March 2019.

მწიფოებში. მაგალითად, 2016 წლის 14 ივლისს ნიცაში ინგლისურ ბულვარზე მომხდარი ტერორისტული აქტის[5] შემდეგ გაერთიანებული სამეფოსა და გერმანიის ხელისუფლებამ ხალხმრავალი ადგილების ყველა შესასვლელში დეკორატიულად გაფორმებული, ლითონის მასიური კონსტრუქციები დაამონტაჟა, რომ ფრანგული ტრაგედიის გამეორება არ დაეშვა. მსგავსი ბარიერები საქართველოშიც ეტაპობრივად მომრავლდა.

კრიმინოლოგია, თავისი ბუნებით რომ საერთაშორისო ინდერდისციპლინური მეცნიერებაა, ამის მტკიცებულებაა ტარანტის 74-გვერდიანი მანიფესტი,[6] რომელშიც ავტორი ანდრეს ბრეივიკსა და დარენ ოზბორნს ასახელებს თავისი ტერორისტული ქმედების შთაგონების წყაროდ.[7] მსოფლიოში არსებული 195 სახელმწიფოდან მხოლოდ რამდენიმე წამყვანმა ქვეყანამ გაითვალისწინა ნორვეგიის მწარე გამოცდილება საკუთარი საზოგადოების დასაცავად და პრევენციული ზომები დროულად გაატარა.

კრიმინოლოგიის არსებობის უმთავრესი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ თუ წინასწარ ვერ მოხერხდება დანაშაულისთვის ხელის შეშლა, პირველი პრეცედენტის შემდეგ მაინც დაიწყოს სამომავლოდ აღმკვეთი ზომების შემუშავება და დანერგვა. როგორც შედეგი ცხადყოფს, ნორვეგიული თუ ინგლისური ტრაგიკული გაკვეთილები აშკარად არ „ისწავლა“ თანამეგობრობის ერთ-ერთმა წამყვანმა ქვეყანამ, ახალმა ზელანდიამ. სახელისუფლებო უმოქმედობამ ასპარეზი გაუხსნა ტერორისტს, რომელიც ორი წელი გეგმავდა თავდასხმას.

2002 წელს კრიმინოლოგმა-მკვლევრებმა, კინვალმა და ჯონსონმა დაასკვნეს, რომ გლობალიზაციის კონცეფციის „ზუსტად განსაზღვრა ძალიან ძნელია, რადგან თანამედროვე მსოფლიოში პოპულარული ტერმინი მოიცავს უამრავ რამეს, ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხებიდან დაწყებული დასავლური კულტურის დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში გავრცელებით დამთავრებული“.[8] ისტორიული რაკურსით განხილვისას სრულიად იგნორირებული ერთი არსებითი მომენტი კრიმინოლოგიის გლობალურ პრობლემად ვლინდება ხოლმე. სამედიცინო გამოკვლევამ ვერანაირი ფსიქოლოგიური გადახრა ვერ აღმოუჩინა ანდერს ბრეივიკის. ჯანმრთელი ადამიანი იდეის გამო მასობრივ მკვლელობას როდესაც ჩაიდენს, სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანი უნდა გახდეს მისი დანაშაულის მოტივიცა და პრევენციული ზომების გაუტარებლობის მიზეზებიც.

კრიმინოლოგიური კვლევების სწორედ სამედიცინო ასპექტით განვითარებაზე არაერთი ამერიკელი თეორეტიკოსი ათწლეულებია მსჯელობს. დამნაშავეობის გლობალიზაციაზე გახშირებული საუბრების ფონზე ჯერ კიდევ სუსტად ისმის იმ კანტიკუნტი მკვლევარების ხმა, ვინც მსგავსი ტრაგედიის თავიდან აცილებისათვის უკვე მომხდარის შემსრულებელთა ფსიქოკრიმინოლოგიური კვლევის აუცილებლობაზე აპელირებს. ასე რომ მომხდარიყო 1999 წლის 20 აპრილს კოლუმბაინის სკოლაში განხორციელებული მასობრივი მკვლელობის (13 დაღუპული და 24 დაჭრილი) შემდეგ, იქნებ, აღარც ბრეივიკი და დანარჩენები დადგომოდნენ ტერორით საკუთარი იდეის გაჟღერების გზას. მეთორმეტეკლასელებმა ერიკ ჰარისმა და დილან კლიბოლდმა თვითმკვლელობით დაასრულეს. არავის მიეცა ამ ორის სამედიცინო-კრიმინოლოგიური კუთხით შესწავლის საშუალება. მათ მიერ ჩადენილმა სისხლის სამართლის დანაშაულმა, მოტივის განსაზღვრასა და პრევენციაზე მეტად, მიმბაძველები გაააქტიურა და „კოლუმბიანის“ სკოლაში სროლის მოწყობის სინონიმად გადაიქცა. დებატების თემა გახდა იარაღზე კონტროლის გამკაცრების კანონი, იარაღის კულტურა, სკოლებში არსებული დაჯგუფებები, ქვეკულტურები და ძალადობა (ე.წ. ბულინგი), მოზარდების მიერ ანტიდეპრესანტებისა და ინტერნეტის გამოყენება, ვიდეოთამაშები ძალადობაზე.[9] როგორც ხორავას ქუჩის ტრაგედიის შემდეგ არ გატარებულა არცერთი ქმედითი პრევენციული ზომა საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში, ისევე დარჩა კოლუმბაინი შესაბამისი რეაგირე-

5 Specia, Megan, and Yara Bishara, Truck Attack in Nice, France: What We Know, and What We Don’t, The New York Times, 15th July 2016.
6 “Manifesto” sent to New Zealand PM’s office minutes before Christchurch attack, ITV Report, 17 March 2019. Lockett, Jon, Final Warning. New Zealand shooter sent bizarre manifesto to Prime Minister ten minutes before Christchurch terror attack, The Sun, 16 March 2019.
7 Kindred, Alahna, Jenny Awford, and Feter Allen in Paris, Gun Nut. How Christchurch terrorist Brenton Tarrant went from smiling tot to white supremacist maniac who murdered 49 after trips to North Korea and Pakistan, The Sun, 15th March 2019.
8 An Introduction to Criminological Theory, Roger Hopkins Burke, New York, NY: Willan, 3rd Edition, 2009, p. 317.
9 Columbine: A True Crime Story, Jeff Kass, Ghost Road Press: 2009.

ბის გარეშე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სწორედ სახელისუფლებო უმოქმედობის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტია ამერიკელი რეჟისორისა და პოლიტიკური აქტივისტის, მაიკლ მორის დოკუმენტური ნამუშევარი „ბოულინგი კოლუმბაინისთვის“ (2002). ფილმმა მრავალი ჯილდო, მათ შორის, ოსკარი, სეზარი და კანის ფესტივალის სპეციალური პრიზი მიიღო. კინოდოკუმენტალისტი ცდილობს ტრაგედიის გამომწვევი ძირეული მიზეზების დადგენას, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, რატომ არის შეერთებულ შტატებში ცეცხლსასროლი იარაღით დაღუპულთა მაჩვენებელი საგანგაშოდ მაღალი, სხვა განვითარებული ქვეყნების მონაცემებთან შედარებით. დოკუმენტური ფილმის მიხედვით, შეიარაღებული ძალადობა გამოწვეულია ამერიკულ საზოგადოებაში მზარდი შიშის ფაქტორით, რომელსაც მოქალაქეების ყურადღება გადააქვს ნამდვილად დასაფიქრებელი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებიდან სხვა თემებზე და, ამავე დროს, ადამიანებს ერთმანეთისადმი უნდობლობასა და სიძულვილს უნერგავს.

თავის დროზე, რომელიმე კრიმინოლოგიურ ცენტრს რომ სათანადოდ შეესწავლა ჯონ ლენონის მკვლელის, მარკ დევიდ ჩეპმენის ფსიქოლოგიური მოტივაცია და რეალურ ცხოვრებაში დაენერგა მსგავსი დანაშაულის პრევენციული ზომები, ეს მნიშვნელოვნად შეუშლიდა ხელს 21-ე საუკუნეში კოლუმბაინებისა და ტერორისტული ტალღების გახშირებას. 2018 წლის აგვისტოში მარკ ჩეპმენს მეათედ ეთქვა უარი შეწყალებაზე „საზოგადოების უსაფრთხოების“ მოტივით:[10] ძნელი სათქმელია, დაიწყებს თუ არა 63 წლის კაცი ახალი მკვლელობის დაგეგმვას, მაგრამ ამჯერად, შესაძლოა, ჯონ ლენონის მკვლელის ლიკვიდაციით მოუნდეს ვინმეს მსოფლიოსთვის თავის გაცნობა ან რაღაცის დამტკიცება. ესეც ყოვლად დაუშვებელია.

ანდერს ბრეივიკის განაჩენით, 2003 წელს მას თავისუფლების დაბრუნების შანსი ეძლევა. მართალია, სასამართლო განმარტების თანახმად, ტერორისტს ვადას გაუგრძელებენ, თუ შეატყობენ, რომ მსგავსი საქციელის ჩადენას ისევ დააპირებს,[11] მაგრამ ეს მშრალი კანონია, რომელიც პრევენციას არ გულისხმობს. არც არსებობს რაიმე ტექნიკური საშუალება, რომელიც ზუსტად გაზომავს, თუ რამდენადაა რომელიმე ინდივიდი პოტენციური დამნაშავე. 77 ადამიანის ცივსისხლიანი, იდეაფიქსით მოტივირებული მკვლელი ჯანსაღი ფსიქიკით – ასეთი იქნება ის ბრეივიკი, რომელიც რესოციალიზაციის მიზნით შეძლებს საზოგადოებაში დაბრუნებას.

ტერორისტული აქტის შემთხვევაში, გაცილებით იოლი გამოსაკვეთია დანაშაულის მოტივი და დამნაშავის ფსიქოპოლიტიკური პორტრეტი. ასეთი ტრაგედიებისგან განსხვავებით, არსებობს, ერთი შეხედვით, არამოტივირებული ანდა ბოლომდე აუხსნელი სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა კრიმინოლოგიური შესწავლა არა მარტო მსგავსი მკვლელობების პრევენციას შეუწყობს ხელს, არამედ უშუალოდ პოტენციური კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლაში იქნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ასეთი დანაშაულის ნიმუშია ხორავას ქუჩაზე 2017 წლის 1 დეკემბერს მომხდარი 51-ე სკოლის ორი მოსწავლის მკვლელობა დღემდე პასუხგაუცემელი კითხვებით.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიგორინგის ცენტრის (EMC) მონაცემებით, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ 2018 წლის 19-26 ივნისს ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა, საქართველოს მოსახლეობის 96%-ს სმენია ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ. დავაფიქსიროთ, რომ 4%-მა როგორღაც მოახერხა ინფორმაციის სოლიდური ნაკადისგან თავის იმ დონეზე არიდება, რომ არც დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სახელები იცოდა, არც ზაზა სარალიძის მრავალჯერადი საპროტესტო აქციები თუ გამოსვლები მოხვედრია თვალში. ასეთი ინფორმაციული ვაკუუმის არსებობა ხორავას ქუჩის საქმესთან დაკავშირებით აუცილებლად საჭიროებს სათანადო თეორიულ კვლევას მრავალი მიზეზით.

მოზარდების მიერ თანატოლების ცივი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრის ფაქტები უცხო არაა დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისთვისაც. მსგავსი დანაშაული განსაკუთრებით გახშირდა ინგლისში უკანასკნელ პერიოდში.[12] 2019 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში 28

10 The Associated Press, John Lennon's killer, Mark David Chapman, denied parole for "safety of society", The USA Today, 24th August 2018.

11 Sinead O'Carroll, 21-year-sentence does not mean Breivik will walk free in 2033. Here's why, The Journal, 24th August 2012.

12 21 youngsters treated daily by A&E after violence, survey finds, Inside Croydon, 3rd April 2019.

მსხვერპლია დაფიქსირებული. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის საგანგაშოდ გაზრდილი მონაცემები ცხადყოფს, რომ კრიმინოლოგიური კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იუვენოლოგიურ ასპექტს. ერთი მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს წარმატებით განვახორციელოთ პრევენციული ზომები და არასრულწლოვანთა დამნაშავეობა შევამციროთ. მეორე მხრივ, კრიმინალური გამოცდილებისგან მცირეწლოვანთა დაცვა მომავალში დადებითად აისახება ზრდასრულთა შორის დამნაშავეობის მაჩვენებელზეც.

მოზარდებში დანაშაულის მოტივი ხშირად ტრივიალური ან აბსურდულია, უმეტეს წილად კი, საერთოდ ვერ ხერხდება მოტივის დადგენა. ნებისმიერ შემთხვევაში, შედეგი ფატალური თუ არა, ჯანმრთელობის სერიოზულად დამაზიანებელია ხოლმე.

24 მარტს ინგლისის ქალაქ ლუტონში 18 წლის აზან ქალიმი შეყვარებულის თვალწინ სასიკვდილოდ დაჭრა რამდენიმე მოზარდმა. ბიჭს 20-ჯერ დაარტყეს დანა მხოლოდ იმიტომ, რომ მან, ბრალდებულთა აზრით, უცნაურად შეხედა ერთ-ერთ მათგანს.[13]

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სოციალურ ქსელში გავრცელებული, კრიმინალური ასპექტის მქონე თამაში, რომელიც რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი: დაჯამების გამოწვევა, ქუჩის ქულები ანდა ქუჩის ზვიგენი. „მოთამაშეთა“ მიზანია სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ჭრილობის მიყენება შესაბამისი ქულების მოსაპოვებლად.[14]

1946 წლის შემდეგ პირველად მხოლოდ 21-ე საუკუნეში გაიზარდა ცივი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრის მონაცემები: 285 გარდაცვლილი ერთ წელიწადში (2018 წლის მარტის მაჩვენებლით). გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, საჯიდ ჯავიდმა 2019 წლის 31 მარტს განაცხადა, რომ პოლიციის ოფიცრებს ქუჩაში ნებისმიერის გაჩერებისა და იარაღის ქონაზე შემოწმების უფლება მალე გამარტივებული წესით მიეცემათ.[15]

კოლომბაინების გარდა, მოზარდის მიერ თანატოლის დაშავების ფაქტები გაუფრთხილებლობის მიზეზითაც ხდება ხოლმე შეერთებულ შტატებში. 2018 წლის აგვისტოში ქალაქ ვანკუვერში (ვაშინგტონის შტატი) ხიდის კიდესთან გაუბედავად მდგარ 16 წლის ჯორდან ჰოლგერსონს „საუკეთესო მეგობარმა“ ხელი ჰკრა და 18 მეტრის სიმაღლიდან წყალში „გადაახტუნა“. გოგონა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ჯანმრთელობა სამუდამოდ შეერყა.[16] ბრალდებულმა სასამართლოს განუცხადა, რომ მეგობრისთვის რაიმეს დაშავება აზრადაც არ ჰქონია.[17] საკითხავი ისაა, რამდენად გაიაზრა საკუთარი დანაშაული და არის თუ არა ტეილორ სმიტის სამეგობრო დაცული მსგავსი გაუფრთხილებლობის მსხვერპლად გახდომისგან მომავალში.[18]

ვფიქრობ, აღნიშნული კრიმინალური პრობლემა ბავშვის აღზრდისას დაშვებული შეცდომებიდან, მოზარდების დაუცველობის, უკონტროლობისა და თავის ნებაზე მიშვებიდან იწყება, რასაც ემატება მშობლების, სასწავლო დაწესებულებების პერსონალისა და სახელმწიფოს სრული უმოქმედობა, არაეფექტურობა ანდა სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა, განმუხტვის და დანაშაულის პრევენციის ნაცვლად. ასე თუ არაა, მაშინ სად იყო პასუხისმგებელი, ზრდასრული ადამიანი, როდესაც დასავლეთ იორკის ერთ-ერთ სკოლაში 15 წლის სირიელ ლტოლვილ ჯამალს თავს დაესხა 16 წლის ბრიტანელი თანაკლასელი? ვიდეოს გადაღების ნაცვლად, მათი გაშველება რატომ არავინ სცადა? ჯამალის თქმით, ბიჭებს შორის მეგობრული ურთიერთობა გაუგებრობის გამო დაიძაბა.[19] სკოლა არ უნდა იყოს უმეთვალყურო ზონა, სადაც ჯუნგლის კანონს მორგებული ბავშვები გადარჩებიან მხოლოდ. სკოლამ სრულიად დაკარგა მცირეწლოვანთა აღზრდის, დამეგობრებისა და დაცვის ფუნქციები. მოსწავ-

13 Pike, Molly Rose, Knife Frenzy: Girlfriend, 18, relives moment gang stabbed to death boyfriend in front of her “like pack of animals” in 22-second attack, The Sun, 24th March 2019.

14 Parker, Nick, Britain’s knife crime epidemic fuelled by sick point-scoring game followed by young gangs on social media, The Sun, 24th Marsh 2019.

15 Stop and search rules eased to combat knife crime crisis, ITV Report, 31st March 2019.

16 Akbar, Jay, and Emma Parry, “She doesn’t care”: Woman who pushed schoolgirl off 60ft bridge causing her to crack five ribs and punchture her lungs pictured partying at fair, The Sun, 13th August 2018.

17 Tahir, Tariq, “It hurts to breathe”: Girl, 16, pushed off bridge by pal breaks down in court as she tells her “you’ve changed my life for the worst”, The Sun, 29th March 2019.

18 Akbar, Jay, and Emma Parry, “She doesn’t care”: Woman who pushed schoolgirl off 60ft bridge causing her to crack five ribs and punchture her lungs pictured partying at fair, The Sun, 13th August 2018.

19 Cullen, Ellie, and Natalie Evans, “Bully” who attacked Syrian refugee tells Tommy Robinson he’s scared for his life, The Mirror, 6th December 2018.

ლეები ხშირად აღნიშნავენ, როგორ აიგნორებენ მათი მასწავლებლები ბულინგის ფაქტებს. არაერთხელ დაფიქსირებულა პედაგოგთა შიშიც, რომ კონფლიქტში ჩარევის შემთხვევაში, სამსახურს დაკარგავდნენ. სწორედ ამიტომ არიდებდნენ თვალს რეალობას.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდად კრიმინოლოგ რტივენ ტიბიტსს პოტენციურ დამნაშავეებად დაბადებულთა სწორედ ადრეულ ეტაპზე გამოვლენა მიაჩნია.[20] აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ამერიკელი მეცნიერი ეყრდნობა იტალიური კრიმინოლოგიის პოზიტივიზმის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ჩეზარე ლომბროზოს ანთროპოლოგიური კრიმინოლოგიის თეორიას.[21] „კრიმინალად დაბადებულის" იარლიყის მიკერება მემკვიდრეობითობისა თუ ფიზიკური ნაკლის გამო უმართებულოა. ამიტომაცაა თანამედროვე დასავლურ კრიმინოლოგიაში ლომბროზოს კონცეფცია ნაკლებად პოპულარული მე-19 საუკუნესთან შედარებით.

ლომბროზოს თეორიის სისუსტის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი მაგალითია ნაცისტური პარტიის კანცლერის, მარტინ ლუდვიგ ბორმანის უფროსი ვაჟისა და ადოლფ ჰიტლერის პირველი ნათლულის ცხოვრება.[22] მარტინ ადოლფ ბორმანმა ზრდასრულობაში ოფიციალურად ამოაგდო ნათლიის სახელი თავისი საბუთებიდან და მარტინ ბორმან-უმცროსი დაირქვა.[23] იგი სასულიერო პირი გახდა და მშობლის ცოდვების მონანიებაში უშვილძიროდ გალია თავისი ხანგრძლივი ცხოვრება. მარტინმა მთელი თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ გენეტიკურად არ გადაეცა მამის კრიმინალური მიდრეკილებები.

კრიმინოლოგიაში გენეტიკური ფაქტორის გამორიცხვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ დაკვირვებისა და გამოკვლევის გარეშე, უცილობელ მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. სხვა საკითხია, რომ დანაშაულისადმი მიდრეკილი პირების კონტროლზე აყვანა მათაც დაიცავს კანონის დარღვევისგან და პოტენციურ მსხვერპლსაც. თუმცა უმთავრესი არა ფიზიკური „კრიმინალური" მახასიათებელი, არამედ დანაშაულის ჩადენის სურვილის მქონე ინდივიდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ინტელექტის დონეა. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა ისეთი მკვლელების არქეტიპის შესწავლა, როგორიცაა არონ კემბელი – ბავშვური გამომეტყველებით სატანური აზრების რეალიზატორი. კრიმინალისტიკის ისტორიაში ნამდვილად არ წარმოადგენენ იშვიათობას ამ 16 წლის ბრიტანელის მსგავსი ცივსისხლიანი მკვლელები, ვისიც გარშემომყოფებს წინასწარ არ ეშინოდათ და მათ აშკარად ნორმიდან გადახრილ ქცევას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.[24]

კრიმინოლოგიის პროფესორ ელიზაბეთ იარდლის ღრმა რწმენით, „ბოროტების ჩადენის მსურველი" ინდივიდი მისი საქციელით უნდა ამოიცნონ, რადგან ასეთებს რამე კი არ გადააქცევთ მკვლელებად, არამედ ისინი თავად ეძებენ საკუთარი კრიმინალური მიდრეკილებების დასაკმაყოფილებელ გარემოს. ამ დონის მოძალადედ გადაქცევას „წლები სჭირდება".[25] გარეგნობით არონი საერთოდ არ ჯდება პათოლოგი მკვლელის სტერეოტიპში.[26]

როდესაც რამდენიმე ბეჭდურმა გამოცემამ ქრაისჩერჩის ტერორისტის ბავშვობისდროინდელი ფოტო გაავრცელა და აქტუალური კითხვა დასვა: მომღიმარი ყრმა როგორ ჩამოყალიბდა მანიაკადო,[27] მავანმა სათანადოდ ვერ გაიგო, თუ არ გაიგო ტკივილითა და თანადგომის განცდით ნათქვამი სიტყვები.[28] თანამედროვეობის საშინელი სინდრომია პასუხგასაცემი კითხვების დაიგნორება და პრობლემის გადაჭრის ნაცვლად, სამომავლო შედეგზე ორიენტირებული მცირერიცხოვანი ჯგუფის გაკიცხვა. მედიამ საკითხი მიუკერძოებლად გააშუქა. გა-

20 Criminological Theory: The Essentials, Stephen G. Tibbetts, Thousand Oaks, CA: SAGE Publications, Inc., 3rd Edition, 2018, pp. 69-88.

21 Criminal Man: According to the Classification of Cesare Lombroso, Gina Lombroso-Ferrero, New York: The Knickerbocker Press, 1911. The Project Gutenberg, eBook #29895, 3rd September 2009.

22 Martin Bormann, James McGovern, New York: William Morrow & Company, 1968, p. 189.

23 Finch, Simon, Sins of the father, The Spectator, 15th January 2000, p.18.

24 Mccahill, Elaine, Inside Aaron Campbell's mind: Psychologist reveals the truth behind Alesha Macphail's killer, The Mirror, 21st March 2019.

25 იქვე.

26 Wheatstone, Richard, "Vile Rat!": Alesha MacPhail's mum screams as Britain's sickest teen killer is caged for life for rape and murder of six-year-old, The Sun, 21st March 2019.

27 Kindred, Alahna, Jenny Awford, and Feter Allen in Paris, Gun Nut: How Christchurch terrorist Brenton Tarrant went from smiling tot to white supremacist maniac who murdered 49 after trips to North Korea and Pakistan, The Sun, 15th March 2019.

28 Western tabloids condemnded for "humanising" NZ mosque attacker, Al Jazeera News, AlJazeera, 17th March 2019.

მოსავლის მოძებნა და მომავალში ახალი ტრაგედიის პრევენცია ხელისუფლების დანარჩენი შტოების საერთო ვალდებულებაა.

დამნაშავეობასთან დაკავშირებული თანამედროვე რეალობის შესწავლა ცხადყოფს, რომ კრიმინოლოგია ჯერაც მომავლის მეცნიერებად რჩება. აუცილებელია ახალი კრიმინოლოგიური კონცეფციების შემუშავება კრიმინალური ფსიქოტიპის ქცევის ნორმებიდან გადახრის თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე. 21-ე საუკუნეში გაუმართლებელია ემპირიული მხარდაჭერა ლომბროზოს თეორიისა, რომელიც შექმნისთანავე მოიკოჭლებდა. ამის მეტყველი ნიმუში იმავე მე-19 საუკუნეშიც მოიძებნება: ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონის შედგენაში განსაკუთრებული წვლილის მქონე მკვლელისა და სამხედრო ქირურგის – უილიამ ჩესტერ მაინორის საქმე.[29] 1872 წლის 17 თებერვალს, სულიერი აშლილობის მომენტში, იელის სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულმა მაინორმა სასიკვდილოდ დაჭრა სამსახურში მიმავალი ვინმე ჯორჯ მერიტი, რომელიც მძარცველი ეგონა.[30] ექვსი შვილისა და ორსული ცოლის მარჩენალის დაღუპვისთვის გასამართლებული ამერიკელი უდანაშაულოდ ცნეს შეურაცხადობის საფუძველზე და ბროდმორის სისხლის სამართლის დამნაშავეთა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესეს 1910 წლამდე. მაინორი არც გარეგნობითა და არც ინტელექტით არ ჰგავდა „კრიმინალად დაბადებულს", თუმცა წლების განმავლობაში ავლენდა დევიანტურ საქციელს. ძალიან ბევრს უჭირდა მისი კრიმინალობის დაჯერება და სხვადასხვა გამამართლებელ მიზეზს უძებნიდა.

დანაშაულის თანამედროვე ნიმუშთა ფსიქოპოლიტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ეს გლობალური და მრავალწახნაგა პრობლემაა. გამოიკვეთა ორი უმთავრესი საკვლევი მიმართულება კრიმინოლოგიის კუთხით: დანაშაულის მოტივის დადგენა და პრევენცია გლობალური თეორიის შესაბამისად. სათანადო და დროულ ქმედებას შეუძლია სერიოზულად შეასუსტოს მსგავსი ტრაგედიების გამეორება და, სავარაუდოდ, ხშირ შემთხვევაში, ეფექტური შედეგებიც მოიტანოს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით გატარებული სამართლებრივი ზომების რეალურ ცხოვრებაში დანერგვით.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. *გაბუნია მ., გახოკიძე ც.*, „კრიმინოლოგია", (მეორე ნაწილი), თბილისი: გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბ., 2017.
2. *შალიკაშვილი მ.*, „კრიმინოლოგია", თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი", მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2017.
3. *წულაია ზ.*," კრიმინოლოგია", ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი", თბ., 2003.
4. „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში", მთავარი რედაქტორი: გიორგი ღლონტი, თიბათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2008.
5. მკვლელობა ხორავას ქუჩაზე: მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 17 ივლისი, 2018. https://emc.org.ge/ka/products/mkvleloba-khoravas-kuchaze-mosakhleobis-tsodna-da-damokidebuleba-sasamartlos-gadatsqvetilebis-mimart
6. 21 youngsters treated daily by A&E after violence, survey finds, Inside Croydon, 3rd April 2019. https://insidecroydon.com/2019/04/03/21-youngsters-treated-daily-by-ae-after-violence-survey-finds/amp/
7. Adams, Joel, *"I hope he suffers more than Alesha did": Heartbroken mother of murdered Alesha*


29 Cussow, Mel, The Strange Case of the Madman With a Quotation for Every Word, The New York Times, 7th September 1998.

30 Broadmoor Revealed: Some patient stories, William Chester Minor (1834-1920), Berkshire Record Office, Berkshire, UK: Record office, 2009.

*MacPhail says she looks forward to the day her six-year-old daughter's teenage killer is dead*, The Daily Mail, 22nd March 2019. https://www.dailymail.co.uk/news/article-6837995/Even-DEVIL-disgusted-Alesha-MacPhails-mother-speaks-out.html?ns_mchannel=rss&ns_campaign=1490&ito=1490
8. Agence France-Presse in Paris, *French Muslim group suing Facebook over Christchurch video*, 25th March 2019. https://www.theguardian.com/world/2019/mar/25/french-muslim-group-suing-facebook-youtube-christchurch-video
9. Akbar, Jay, and Emma Parry, *"She doesn't care": Woman who pushed schoolgirl off 60ft bridge causing her to crack five ribs and punchture her lungs pictured partying at fair*, The Sun, 13th August 2018. https://www.thesun.co.uk/news/6996234/first-picture-of-cruel-pal-19-who-caught-on-camera-shoving-16-year-old-friend-off-60ft-bridge-leaving-her-seriously-injured/
10. Anderson, Charles, *Censor bans "manifesto" of Christchurch mosque shooter*, The Guardian, 24th March 2019. https://www.theguardian.com/world/2019/mar/24/censor-bans-manifesto-of-christchurch-mosque-shooter
11. *An Introduction to Criminological Theory*, Roger Hopkins Burke, New York, NY: Willan, 3rd Edition, 2009. ISBN-10: 1843924072, ISBN-13: 978-1843924074
12. Apen-Sadler, Dianne, *Man in his 20s dies after being stabbed in the neck in "appalling" daylight attack on Liverpool street*, The Daily Mail, 28th March 2019. https://www.dailymail.co.uk/news/article-6861617/Liverpool-man-20s-dies-stabbed-neck.html?ns_mchannel=rss&ns_campaign=1490&ito=1490
13. Bickerton, James, *New Zealand LIVE updates: "Our gun laws WILL CHANGE" PM promises action after 49 killed*, The Express, 16th March 2019. https://www.express.co.uk/news/uk/1100399/new-Zealand-mosque-shooting-latest-update-live-christchurch-dead-injured-terror/amp
14. Boyd, Milo, *West Norwood murder: Terrified witnesses describe screams as man shot dead*, The Mirror, 28th March 2019. https://www.mirror.co.uk/news/uk-news/west-norwood-murder-terrified-witnesses-14199596.amp
15. *Broadmoor Revealed: Some patient stories*, *William Chester Minor (1834-1920),* Berkshire Record Office, Berkshire, UK: Record office, 2009. https://web.archive.org/web/20091128021718/http://www.berkshirerecordoffice.org.uk/documents/William_Chester_Minor.pdf
16. Christodoulou, Holly, *Clapham stabbing – Attackers "ran away laughing after driver stabbed to death through car window in ambush" outside Tube station*, The Sun, 30th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8745372/man-stabbed-clapham-common-tube-tottenham-knife-crime-london/amp/
17. *Columbine: A True Crime Story*, Jeff Kass, Ghost Road Press: 2009. ISBN 978-0981652566
18. *Crime Prevention and Community Safety: Politics, Policies and Practices* (Longman Criminology Series), Adam Crawford, Harlow, Essex: Pearson Education Ltd., Addison Wesley Longman Ltd., 1998. ISBN-10: 0-582-29457-6, ISBN-13: 978-0-582-29457-8
19. *Criminal Man: According to the Classification of Cesare Lombroso*, Gina Lombroso-Ferrero, New York: The Knickerbocker Press, 1911. The Project Gutenberg, eBook №29895, 3rd September 2009. ISO-8859-1 http://www.gutenberg.org/files/29895/29895-h/29895-h.htm
20. *Criminological Theory: The Essentials*, Stephen G. Tibbetts, Thousand Oaks, CA: SAGE

Publications, Inc., 3rd Edition, 2018. ISBN-10: 1506367895, ISBN-13: 978-1506367897

21. *Criminology: Theories, Patterns and Typologies*, Larry J. Siegel, Boston, MA: Cengage Learning, 13th Edition, 2018. ISBN-10: 1337091847, ISBN-13: 978-1337091848
22. Cullen, Ellie, and Natalie Evans, *"Bully" who attacked Syrian refugee tells Tommy Robinson he's scared for his life*, The Mirror, 6th December 2018. https://www.mirror.co.uk/news/uk-news/schoolboy-bully-syrian-refugee-scared-13694315.amp
23. Cussow, Mel, *The Strange Case of the Madman With a Quotation for Every Word*, The New York Times, 7th September 1998. https://www.nytimes.com/1998/09/07/books/the-strange-case-of-the-madman-with-a-quotation-for-every-word.html?pagewanted=all
24. Finch, Simon, *Sins of the father*, The Spectator, 15th January 2000. http://archive.spectator.co.uk/article/15th-january-2000/18/sins-of-the-fathers
25. Hammond, Clive, *New Zealand shooting: PewDiePie reacts after gunman named him before Christchurch attack*, The Express, 15th March 2019. https://www.express.co.uk/news/world/1100421/New-Zealand-shooting-PewDiePie-terror-attack-Christchurch-mosque-dead-injured
26. Howell, Dominic, Martha Buckley, Marysia Nowak and Ashley Gold, *France lorry attack: As it happened*, BBC Live Reporting, 14th July 2016. https://www.bbc.com/news/live/world-europe-36799172
27. Hunt, Elle, Kevin Rawlinson, and Calla Wahlquist, *"Darkest day": how the press reacted to the Christchurch shootings*, The Guardian, 16th March 2016. https://www.theguardian.com/world/2019/mar/16/darkest-day-how-the-press-reacted-to-the-christchurch-shootings
28. *Introduction to Criminology: A Text/Reader*, SAGE Text/Reader Series in Criminology and Criminal Justice, Anthony Walsh, Craig T. Hemmens, Thousand Oaks, CA: SAGE Publications, Inc., Fourth Edition, 2018. ISBN-10: 150639924X, ISBN-13: 978-1506399249
29. *Introduction to Criminology: Theories, Methods, and Criminal Behavior*, Frank E. Hagan, London, UK: SAGE Publications, Inc., Ninth Edition, 2016. ISBN-10: 9781483389172, ISBN-13: 978-1483389172
30. *Introduction to Criminology: Why Do They Do It?*, Pamela J. Schram, Stephen G. Tibbetts, London, UK: SAGE Publications, Inc., 2nd Edition, 2018. ISBN-10: 1506347568, ISBN-13: 978-1506347561
31. *"It was more than a war": Survivors recall New Zealand mosque shootings as authorities begin release of bodies*, ITV Report, 16th March 2019. https://www.itv.com/news/2019-03-16/foreigners-among-those-targeted-in-new-zealand-mosque-attack/
32. Kindred, Alahna, Jenny Awford, and Feter Allen in Paris, *Gun Nut: How Christchurch terrorist Brenton Tarrant went from smiling tot to white supremacist maniac who murdered 49 after trips to North Korea and Pakistan*, The Sun, 15th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8642007/new-zealand-mosque-shooting-manifesto-anders-breivik/
33. Lockett, Jon, *Final Warning: New Zealand shooter sent bizarre manifesto to Prime Minister ten minutes before Christchurch terror attack*, The Sun, 16th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8650988/new-zealand-warning-prime-minister-christchurch-terror-attack/amp
34. *"Manifesto" sent to New Zealand PM's office minutes before Christchurch attack*, The Herald Scotland Online, 17th March 2019. https://www.heraldscotland.com/news/17506955.manifesto-sent-to-new-zealand-pms-office-minutes-before-christchurch-attack/

35. *"Manifesto" sent to New Zealand PM's office minutes before Christchurch attack*, ITV Report, 17th March 2019. https://www.itv.com/news/2019-03-17/manifesto-sent-to-new-zealand-pms-office-minutes-before-christchurch-attack/
36. *Martin Bormann*, James McGovern, New York: William Morrow & Company, 1968.
37. Martinson, Jane, *Christchurch attacks: the media's rush to be first causes its own kind of harm*, The Guardian, 24th March 2019. https://www.theguardian.com/media/commentisfree/2019/mar/24/christchurch-attacks-the-medias-rush-to-be-first-causes-its-own-kind-of-harm
38. Mccahill, Elaine, *Inside Aaron Campbell's mind: Psychologist reveals the truth behind Alesha Macphail's killer*, The Mirror, 21st March 2019. https://www.mirror.co.uk/news/uk-news/inside-aaron-campbells-mind-psychologist-14158069.amp
39. Meikle, Blair, *Grim find: Body of schoolboy, 16, who vanished four months ago found in woodland as family tell of "heartbreak"*, The Sun, 25th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8718304/body-of-schoolboy-16-who-vanished-18-weeks-ago-found-in-woodland-as-family-tell-of-heartbreak/
40. Moore, Hannah, *"Panic everywhere": Bangladesh cricket team is forced to flee for their lives as gunman opens fire with a semi-automatic at a Christchurch mosque*, The Daily Mail Australia, 15th March 2019. https://www.dailymail.co.uk/news/article-6812045/Bangladesh-cricket-team-forced-flee-lives-gunman-opens-fire-Christchurch-mosque.html?ns_mchannel=rss&ns_campaign=1490&ito=1490
41. Naughton, John, *Chrristchurch shows how social media sites help spread the poison of far-right ideology*, The Guardian, 24th March 2019. https://www.theguardian.com/commentisfree/2019/mar/24/christchurch-shows-how-social-media-sites-help-spread-poison-far-right-ideology-youtube-facebook
42. O'Carroll, Sinead, *21-year-sentence does not mean Breivik will walk free in 2033. Here's why*, The Journal, 24th August 2012. https://www.thejournal.ie/21-years-breivik-trial-sentence-norway-570722-Aug2012/
43. *Oslo knife attack: Four injured at school in Norwegian capital*, The Daily Record, 19th March 2019. https://www.dailyrecord.co.uk/news/uk-world-news/knife-attacker-injures-four-staff-14156243.amp
44. Parker, Nick, *Britain's knife crime epidemic fuelled by sick point-scoring game followed by young gangs on social media*, The Sun, 24th Marsh 2019. https://www.thesun.co.uk/news/8710288/britain-knife-crime-gangs-point-scoring-game/
45. Pike, Molly Rose, *Knife Frenzy: Girlfriend, 18, relives moment gang stabbed to death boyfriend in front of her "like pack of animals" in 22-second attack*, The Sun, 24th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8710388/girlfriend-relives-moment-gang-stabbed-boyfriend-in-front-of-her/
46. Pollard, Chris, *Words of Hate: Crazed New Zealand mosque shooter Brenton Tarrant wrote names of modern terrorists and far-right slogans on his guns and ammunition*, The Sun, 15th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8649259/brenton-tarrant-new-zealand-shooting-killer/amp/
47. Robers, Joe, *Man in 40s stabbed to death "through car window in gang ambush"*, The Metro, 29th March 2019. https://metro.co.uk/2019/03/29/man-40s-stabbed-death-outside-station-south-london-9061221/amp/

48. Specia, Megan, and Yara Bishara, *Truck Attack in Nice, France: What We Know, and What We Don't*, The New York Times, 15th July 2016. https://web.archive.org/web/20160721105907/http://www.nytimes.com/2016/07/16/world/europe/nice-france-truck-attack-what-we-know.html?ref=liveblog
49. *Stop and search rules eased to combat knife crime crisis*, ITV Report, 31st March 2019. https://www.itv.com/news/2019-03-31/stop-and-search-rules-eased-to-combat-knife-crime/
50. Swaine, Jon, *New Zealand PM vows to toughen gun control laws after Christchurch attack*, The Guardian, 15th March 2019. https://amp.theguardian.com/world/2019/mar/15/new-zealand-prime-minister-gun-control-jacinda-ardern
51. Tahir, Tariq, *Beat the monster: Dad-to-be arrested for beating up "paedo" he claims he caught sexually abusing five-year-old boy*, The Sun, 25th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8711796/dad-arrested-beat-up-paedo-sexually-abusing-boy/
52. Tahir, Tariq, *"It hurts to breathe": Girl, 16, pushed off bridge by pal breaks down in court as she tells her "you've changed my life for the worst"*, The Sun, 29th March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8745260/girl-pushed-off-bridge-pal-breaks-down-court/
53. The Associated Press, *John Lennon's killer, Mark David Chapman, denied parole for "safety of society"*, The USA Today, 24th August 2018. https://www.usatoday.com/story/life/music/2018/08/24/john-lennon-killer-mark-david-chapman-denied-parole/1082478002/
54. *The Local Governance of Crime: Appeals to Community and Partnerships* (Clarendon Studies in Criminology), Adam Crawford, New York, NY: Oxford University Press Inc., 1999. ISBN-10: 0198298455, ISBN-13: 978-0198298458
55. Vonow, Brittany, and Abe Hawken, *Edmonton stabbings – Hunt for knifeman on the loose after four people are stabbed in the back in "random" attacks in 15-hour Lawless London rampage*, The Sun, 31st March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8747868/edmonton-stabbings-hunt-random-attacks-london/
56. Wahlquist, Calla, *An image of hope: how a Christchurch photographer captured the famous Ardern picture*, The Guardian, 25th March 2019. https://www.theguardian.com/world/2019/mar/25/an-image-of-hope-how-a-local-photographer-captured-the-famous-ardern-picture
57. *Western tabloids condemnded for "humanising" NZ mosque attacker*, Al Jazeera News, AlJazeera, 17th March 2019. https://www.aljazeera.com/news/2019/03/zealand-tabloids-condemned-humanising-mosque-attacker-190316081740694.html
58. Wheatstone, Richard, *"Vile Rat!": Alesha MacPhail's mum screams as Britain's sickest teen killer is caged for life for rape and murder of six-year-old*, The Sun, 21st March 2019. https://www.thesun.co.uk/news/8686545/aaron-campbell-alesha-macphail-murder-last-words/amp/
59. Wondracz, Aidan, and Mark Brook, *"Our gun laws WILL change": New Zealand Prime Minister Jacinda Ardern vows tough action on weapons as she reveals gunman had five firearms legally and that none of those arrested were known to police*, The Daily Mail Australia, 15th March 2019. https://www.dailymail.co.uk/news/article-6815123/Our-gun-laws-change-New-Zealand-Prime-Minister-Jacinda-Ardern-vows-tough-action-weapons.html?ns_mchannel=rss&ns_campaign=1490&ito=1490
60. *Youth Offending and Restorative Justice: Implementing reform in youth Justice*, Adam Crawford and Tim Newburn, Cullompton, Devon: Willan Publishing, 2011. ISBN-10: 1843920115,

ISBN-13: 978-1843920113
61. http://glossary.ru

## დანაშაულის ფსიქოპოლიტიკური ანალიზი

**მაია ნადარეიშვილი**

სანამ პრობლემა პირადად არ შეეხება, ადამიანს დამნაშავისთვის იოლად მიტევება სჩვევია. კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი მეცნიერების სახით განვითარება და რეალურ ცხოვრებაში კრიმინოლოგიური თეორიების გამოყენება შეწყვეტს დანაშაულისადმი ორმაგი სტანდარტის მავნე პრაქტიკას. კრიმინოლოგიის დანიშნულებაა დანაშაულისთვის წინასწარ ხელისშეშლა ან/და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა პრეცედენტისთანავე.

ავტორი განიხილავს ამერიკელ და ბრიტანელ კრიმინოლოგთა (როჯერ ჰოპკინს ბერკის, ლარი სიგელის, ენტონი უოლშის, კრეიგ ჰემენსის, პამელა შრემის, სტივენ ტიბიტსის, ფრენკ ჰაგენის, ადამ კროუფორდისა და ტიმ ნიუბერნის) თეორიებს და მათი კონცეფციების გათვალისწინებით აანალიზებს დანაშაულის პოლიტიკურ და დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ნაშრომში ხაზგასმულია იუვენოლოგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა კრიმინოლოგიაში. თანამედროვე მსოფლიოში განათლების სისტემამ დაკარგა მცირეწლოვანთა აღზრდისა და დაცვის ფუნქციები. შედეგად, ბავშვები ვერ გრძნობენ ერთმანეთის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გაფრთხილების ვალდებულებას. სიტუაციის საილუსტრაციოდ ავტორი განიხილავს ამერიკაში, ბრიტანეთში, საქართველოში, ნორვეგიასა და ახალ ზელანდიაში განსაკუთრებით რეზონანსულ დანაშაულებს. ნიმუშების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს საყოველთაო პრობლემაა. აუცილებელია ცალკეულ ქვეყანაში მომხდარი დანაშაულის მსხვერპლთა გლობალურ ტრაგედიად აღქმა და პრევენციული ზომების შეთანხმებულად გატარება.

## A psychological and political analysis of crime

**Maia Nadareishvili**

People tend to forgive easily for a crime until the problem directly involves them. The wrong practice of double standards towards the crime can be terminated with the further research of criminology as an independent science and introducing recent criminological theories into life. The main purposes of modern criminology are to tighten up control over criminality in individuals and prevent criminal offence.

The author analyzes psychological and political aspects of crime according to the criminological theories presented in the monographs by American and British criminologists such as Roger Hopkins Burke, Larry J. Siegel, Anthony Walsh, Craig T. Hemmens, Pamela J. Schram, Stephen G. Tibbetts, Frank E. Hagan, Adam Crawford, and Tim Newburn.

The author underlines importance of youth studies in criminology. The modern educational systems frequently fail to protect minors as well as help them become responsible citizens. As a result, the children have a poor understanding of responsible behavior and easily take risks that may affect the health and safety of others. The author discusses the most infamous crimes in recent history of the US, the UK, Georgia, Norway, and New Zealand in attempt to show the contemporary challenges facing criminology. The murder statistics proves it to be a widespread problem of the world society. Therefore, all homicides in any country must lead to the globalization of crime control and prevention.

*

## საგამოძიებო მოქმედებებში კრიმინოლოგიის მახასიათებლების ეფექტურად გამოყენების აქტუალური საკითხები

*პროფესორი, დოქტორი* **გიმზერ ალანია,** *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;*

*პროფესორი, დოქტორი* **ავთანდილ ხაზალია,** *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Gimzer Alania** (Georgia), *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*; Professor, Dr **Avtandil Khazalia** (Georgia), *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*

გამოძიება – სისხლის სამართლის პროცესის, პირველ, დამოუკიდებელ და უმნიშვნელოვანეს სტადიას წარმოადგენს, ამიტომაც გამოძიების დაწყებისთანავე გამომძიებელი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით ვალდებულია შეკრიბოს საქმისათვის საჭირო მტკიცებულებები იმ პირის მხილების მიზნით, ვინც ესა თუ ის ქმედება ჩაიდინა, ხოლო დანაშაულის ჩადენაში ბრალეული პირის დადგენის შემდეგ, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელებას, რა დროიდანაც დაცვის მხარესაც (ბრალდებული, ადვოკატი), შესაძლებლობა ეძლევათ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით შეკრიბონ მათთვის სასარგებლო მტკიცებულებები, ანუ დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე მხარეს, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რეალიზაცია უკეთდება შეჯიბრებითობის პროცესს, რაც ანგლოამერკული პროცესისათვისაა დამახასიათებელი. პრაქტიკაში მრავლად გვხდება შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის აუცილებელია კონკრეტული ტერიტორიის გაჩხრეკა, დათვალიერება, სატელეფონო საუბრების მოსმენა, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილების დაყადაღება და ა.შ. ანუ, საჭირო ხდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია საყოველთაოდ აღიარებული ისეთი ფასეულობების ხელყოფასთან როგორებიცაა: კერძო საკუთრება, მფლობელობა, ან/და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. შესაბამისად, გამოძიების პროცესში, ამ სახის საგამოძიებო მოქმედებათა შედეგად, მოპოვებული მტკიცებულებით, რომ არ მოხდეს კონკრეტული პირის მანიპულირება, კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ისინი ჩატარდეს სასამართლოს განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა ამგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დგება დღის წესრიგში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით განსაზღვრული რეგულაციებით, კერძოდ მხარე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად.

თავის მხრივ, მოსამართლე, შუამდგომლობის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, იხილავს შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას, რა დროსაც, საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია მიიწვიოს შუამდგომლობის ინიციატორი. შუამდგომლობის განხილვისას კი გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესი.

ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ კანონი თითქოს ყველა შემთხვევაში ითხოვდეს სასამართლოს განჩინების არსებობას, რადგან სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა და განჩინების არსებობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როცა პირი, რომლის პირადი უფლებებიც ილახება საგამოძიებო მოქმედებით, თანახმაა ამ მოქმედების ჩატარებაზე. ასე მაგალითად, თუ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში საჭიროა რაიმე ტერიტორიის გაჩხრეკა და ამ ფართის ერთ-ერთი თანამესაკუთრე ან თანამფლობელი თანახმაა, რომ ჩხრეკა ჩატარდეს, სასამართლოს განჩინება საჭირო აღარ არის. ანალოგიურად, თუ საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში აუცილებელია კონკრეტულ პირთა სატელეფონო საუბრების მოსმენა, სასამართლო განჩინება საჭირო არ არის, თუ ერთ-ერთი თანამოსაუბრე მაინც თანახმაა, რომ მოისმინონ მისი დიალოგი.

რაც შეეხება მოსამართლის განჩინებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსი განსაზღვრავს ამ აქტის რეკვიზიტებს, ამასთანავე აუცილებელია მიეთითოს ის უძრავ-მოძრავი ქონება (მისი სახე და ზუსტი მდებარეობა), სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ ასეთი ცნობილია), პირადი ჩხრეკის დროს კი გასაჩხრეკი ფიზიკური პირის ვინაობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი); ამოსაღები ან/და ამოსაღები საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი რომელთა გვარეობითი ნიშნები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიწერება განჩინებაში.

განჩინებაში გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს რისი გაკეთების უფლება აქვს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელს მისთვის წინააღმდეგობის გაწევისას, ანუ უნდა გაკეთდეს მითითება მასზედ, რომ ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს აქვს იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება და, რომ ჩხრეკა/ამოღების განჩინება ძალას კარგავს, თუ ეს მოქმედება არ დაწყებულა განჩინების გამოტანიდან 30 დღის ვადაში.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხდება. რის გამოც დროის ფაქტორს ცალკეულ მტკიცებულებათა აღმოჩენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება, ანუ ის, რომ გამოძიებას შეიძლება ყოველთვის არ ჰქონდეს იმის დრო, დაელოდოს თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებით და საპროცესო კოდექსმა დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112.5-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაუდებლად აუცილებელ შემთხვევებში, კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე. ხოლო ისეთ გადაუდებელ აუცილებლობებს როცა სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია სსსკ-ის 112-.1-ე მუხლით გათვალისწიბნებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112.1-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მოსამართლის განჩინების გარეშე. თუმცა, მათი ჩატარების კანონიერება სასამართლო კონტროლს მიღმა, რომ არ დარჩენილიყო, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112.5-ე მუხლმა დაავალდებულა პროკურორი, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, მაგრამ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში, აცნობოს იმ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც (ანდა გამოძიების ადგილის მიხევით) ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება და გადასცეს მას საქმის მასალები ან მათი ასლები, რომლითაც დასაბუთებული უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობა.

თავის მხრივ მოსამართლე, მასალების შესვლიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ კანონში მითითებული არ არის, ცნობა გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოცემული უნდა იყოს თვით პროკურორის შუამდგომლობაში.

შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე შეზღუდული არ არის, რომ მოიწვიოს მხარეები თუ სისხლისსამართლებრივი დევნა უკვე დაწყებულია, ასევე ის პირი, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება და მათი მონაწილეობით განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა. რა დროსაც იგი ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას, ანუ იმას თუ რამდენად გადაუდებელი იყო ამ მოქმედების ჩატარება. ამისათვის კი, თუ საჭიროდ ჩათვლის შეუძლია გამოიძახოს ასევე შუამდგომლობის ავტორი. თვით შუამდგომლობის განხილვის დროს კი გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის 206-ე მუხლით დადგენილი წესები.

სასამართლოს განჩინება საჩივრდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, კერძოდ საჩივარში უნდა აღინიშნოს რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა.

სასამართლოში საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში ეცნობება მხარეებს. საჩივარს კი განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად, მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 72 საათისა, მხარეთა მონაწილეობით. რა

დროსაც მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას, აცხადებს თუ რა სახის შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს არის თუ არა აცილებები. რის შემდეგაც უსმენს ჯერ შუამდგომლობის ავტორს, შემდეგ სიტყვას გადასცემს მეორე მხარეს. ამასთან, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები და მხოლოდ ამის შემდეგ საჩივრის დასაშვებობის თაობაზე გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, 48 საათიან ვადაში. რის შემდეგაც აცხადებს გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს გამოტანილი განჩინების საფუძვლებს.

საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. მისი ასლები კი გადაეცემა მხარეებს, ასევე ეგზავნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და განჩინების აღმასრულებელ ორგანოს.

ამომწურავად განვიხილეთ სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებათა რეგულაცია, უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ მათ, არამედ ყველა სხვა ნებისმიერი სახის საგამოძიებო მოქმედებების ობიექტურ და კანონშესაბამის ჩატარებას სხვა, არც თუ უმნიშვნელო დატვირთვაც გააჩნიათ, რადგანაც იმის გარდა, რომ ისინი ემსახურებიან დანაშაულის გახსნასა და დამნაშავე პირის მხილებას, თითეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებით „ფარდა ეხდება" ჩადენილ დანაშაულს, შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად იქნეს შესწავლილი თითეული გამოსაძიებელი დანაშაული, მისი ჩადენის არა მხოლოდ მექანიზმი, არამედ დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები, ანუ თითეული დანაშაული შესწავლილი იქნეს კრიმინოლოგიური ასპექტებითაც, რაც კრიმინოლოგიურ მეცნიერებას მისცემს მეტ ემპირიულ მასალას, ღრმა თეორიულ დონეზე იქნეს შესწავლილი ცალკეული სახის დანაშაულებები და დაისახოს პრევენციული სახის რეკომენდაციები მათი აღმოფხვრის თუ შემცირების მიმართულებით.

სამწუხაროდ, მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა უარი თქვა გამოძიების პროცესში, გამომძიებლის მიერ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენის ვალდებულებაზე, არადა მისი გათვალისწინება საპროცესო კანონმდებლობაში ეჭვგარეშეა კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს სისხლის სამართლის საქმის ობიექტურ შესწავლასა და შეფასებაზე, კრიმინოლოგიისათვის ემპირიული მასალების მოპოვებასა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური და ქმედითი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით.

## საგამოძიებო მოქმედებებში კრიმინოლოგიის მახასიათებლების ეფექტურად გამოყენების აქტუალური საკითხები

**გიმზერ ალანია, ავთანდილ ხაზალია**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ისეთი საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმდებების ჩასატარებლად, რომლითაც იზღუდება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, საქმის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია ნებართვის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

ამასთანავე, კანონმდებლობა გამომძიებელს უფლებას აძლევს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის განჩინების მიღების გარეშე ჩაატაროს ჩხრეკა, ამოღება და ყველა ის მოქმედებები, რომლებიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს; მაგრამ ასეთ დროს გამომძიებელი ვალდებულია ასეთი ჩატარებიდან 24 საათის გასვლამდე პროკურორის მეშვეობით შესაბამისი მასალები წარუდგინოს იმ რაიონის მაგისტრ მოსამართლეს, სადაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება.

როგორც საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლამ დაგვარწმუნა, არც თუ იშვიათად გამომძიებელთა მხრიდან გადაუდებელი აუცილებლობისას ჩხრეკის თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას ადგილი აქვს საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახება საქმის ობიექტურად გამოძიების თვალსაზრისით. ნაშ-

რომში დასმულია საკითხი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით შესწავლილი იქნეს არამხოლოდ დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, ბრალი და ა. შ., არამედ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები.

## Effectiveness of criminology in conducting the criminal investigation

**Gimzer Alania, Avtandil Khazalia**

According to the Criminal Procedure Code of Georgia, the case maker is obliged to apply for a permit to the court for conducting investigations or other procedural actions, which restrict the human rights recognized by the Constitution.

In case of urgent necessity, the legislation gives the investigator permission to conduct a search, removal and all the actions that limit the constitutional rights of people without a judge's decision. However, the investigator is obliged to give all relevant materials through the prosecutor to the judge of the district where the investigative action was conducted, within 24 hours after conducting such.

The study of investigative practice proves that investigators frequently violate procedural law while conducting the investigative actions, which leaves an extremely negative reflection on the case investigation. The research suggests to study the causes of crime and attendant circumstances along with the mechanism of committing a crime, legal fault, etc.

*

# კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, როგორც ნორმა-შემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი შეფასების საშუალება

*პროფესორი, დოქტორი* **მიხეილ ბაძაღუა,** *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

Professor, Dr **Mikheil Badzagua** (Georgia), *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*

კრიმინოლოგიაში დადგენილია, რომ დანაშაულობის ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი არასრულყოფილი კანონმდებლობაა, რომლის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია ნორმა-შემოქმედებით და სამართალგამოყენებითი საქმიანობაში სამართალმცოდნე მეცნიერების, განსაკუთრებით კრიმინოლოგების ჩართულობა, რადგან კრიმინოლოგიაში გამოყენებულ კვლევის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია სპეციალურად ჩატარებული კრიმინოლოგიური ექსპერტიზა.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინოლოგიის გამოკვლევის მეთოდიკა არის სისტემათა კონკრეტული წესები, მეთოდები, საშუალებები და ხერხები, რომლებიც მიმართულია ფართო გაგებით დანაშაულის კომპლექსურად შესასწავლად, ხოლო, კანონის/კანონპროექტის კრიმინოლოგიური ექსპერტიზის შემთხვევაში განსაკუთრებით შეისწავლება მისი გავლენა დანაშაულობის დეტერმინანტებზე და პრევენციული ეფექტი.

კრიმინოლოგიური ექსპერტიზა გამოიყენება:

პირველი – ნორმა-შემოქმედებით და სამართალგამოყენებითი საქმიანობისას მათი შედეგების ოპერატიული კრიმინოლოგიური ანალიზის განსახორციელებლად. კერძოდ, აუცილებელია კრიმინოლოგიური ექსპერტიზა გაიაროს კანონპროექტებმა და მოქმედმა საკანონმდებლო ნორმებმა მათი გამოყენების პრაქტიკამ.

მეორე – კრიმინოლოგიური თვალსაზრისით სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ -ეკონომიკური ორგანიზაციული-სამეურნეო და სხვა მიმართულებების სხვადასხვაგვარი პროექტებისა და პროგრამების წინასწარი შეფასება, რომელთა განახორციელებასაც შესაძლებელია მოჰყვეს ანტიკრიმინოგენური შედეგი.[1]

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხარისხი უმთავრესად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული პოლიტიკისა და სამართლის დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ამ პროცესში საზოგადოების ფართო ფენების ინტერესების გათვალისწინებაზე, კანონმდებლობის ჰუმანიზაციისა და პრევენციულ ხასიათზე, სამართალგამოყენების ოპტიმიზაციასა და შედეგიანობაზე.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოში ნორმა-შემოქმედებას, უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 25000 ამომრჩეველს. აღნიშნული სუბიექტების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები ძირითადად მოწოდებულია მოაწესრიგოს გარკვეული, ინიციატორისთვის საინტერესო სამართლებრივი საკითხები და არ არის გაანალიზებული იგი კომპლექსურად, თუ რა გავლენას იქონიებს სხვა ურთიერთობებზე. ხშირ შემთხვევაში კანონპროექტზე სავალდებულოდ თანდართულ განმარტებით ბარათის შესაბამის გრაფაში მოცემულია ძალიან ზედაპირული მსჯელობა კანონპროექტის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. ზემოხსენებული გამოწვეულია ინიციატორისთვის შესაბამისი ცოდნის არქონით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ინფორმაციის დაფარვის სურვილით, ლობირებით, რათა არ გამოიწვიოს დაბრკოლება კანონპროექტის მიღების მხრივ.

ინიცირებული კანონპროექტის მიზანშეწონილობის დასადგენად, პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის შესაბამისად, საკომიტეტო განხილვების დაწყებამდე, იგი გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას, პარლამენტის კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრებსა და პარლამენტის აპარატის

1 წულაია ზ. „კრიმინოლოგია"თბ.2003 გვ.33

იურიდიულ დეპარტამენტს, ასევე იტვირთება ვებგვერდზე, სადაც ნებისმიერ პირს შეუძლია აზრის საჯაროდ დაფიქსირება. თუ აღნიშნული სუბიექტები მითითებულ ვადაში არ წარმოადგენენ კანონპროექტის თაობაზე შენიშვნებს, კანონპროექტი მათ მიერ მოწონებულად ითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის დასკვნა არ წარმოადგენს რაიმე კომპლექსურ მსჯელობის შედეგად შედგენილ ერთიან დოკუმენტს, იგი შედგება ცალკეული სამინისტროების მიერ მომზადებული დასკვნებისგან, სადაც მათი კომპეტენციის ჭრილში განხილულია კანონპროექტი, ძირითადად კი, ისინი შემოიფარგლებიან მოქმედ კანონებთან შედარებითი ანალიზით.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა-შემოქმედებით პროცესში კრიმინოლოგიური ექსპერტიზის როლი იმდენად უგულებელყოფილია, რომ არ არსებობს კრიმინოლოგიური ანალიზის განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეული, შესაბამისად არ არის შესაძლებელი კონკრეტულ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩატარდეს სრულყოფილი კრიმინოლოგიური ექსპერტიზა.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს კანონპროექტებზე წარმოდგენილი დასკვნები მოკლებულია კრიმინოლოგიურ მსჯელობას, რომ არაფერი ვთქვათ საფუძვლიან კრიმინოლოგიურ ექსპერტიზაზე, რადგან ზემოხსენებული სუბიექტებიდან არცერთს არ გააჩნია კრიმინოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების კომპეტენცია.

რაც შეეხება საკომიტეტო მოსმენების ფარგლებში ჩატარებულ განხილვებს, აქაც შესაძლებელია იდენტური დასკვნის გამოტანა, კომიტეტის შემთხვევაში დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს კომიტეტის აპარატში კადრების სიმცირე, გარკვეულ – პრიორიტეტულ სფეროში მაღალი კომპეტენციის პროფესიონალების სიმწირე, განსახილველი კანონპროექტების მრავალფეროვნება და შემჭიდროებული ვადები არ იძლევა ყველა კანონპროექტის ყოველმხრივ საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ კომიტეტებთან ფუნქციონირებენ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლის წევრებიც სურვილის შემთხვევაში კანონპროექტებს უტარებენ შესაბამის ანალიზს. თუმცა არც ეს შესაძლებლობაა ეფექტიანი, ვინაიდან მათ მიერ გაწეული საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი, პარალელურად უწევთ სხვა საქმიანობის განხორციელება, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს მათ პროდუქტიულობაზე.

მნიშვნელოვანია კანონპროექტებისა და მოქმედი ნორმატიულ სამართლებრივი აქტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზა გახდეს დანაშაულობაზე სოციალ-სამართლებრივი კონტროლის მეცნიერული უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილი. მით უფრო, ამგვარი მიდგომა უცხო არ არის ქართული ნორმა-შემოქმედებით სისტემისთვის.

კრიმინოლოგიური ექსპერტის ფუნქციას წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის სისტემაში შემავალი თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, რომლის ბაზაზეც ხორციელდებოდა ფუნდამენტური კვლევები, განსაკუთრებით სისხლის სამართლის, საკონსტიტუციო და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. რის შედეგად შემუშავებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი და სხვა არაერთი ნორმატიული აქტი.

კრიმინოლოგიური ექსპერტის ინსტიტუტის ფორმირებისა და განვითარების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე რეგულაცია და შესაბამის სისტემის ჩამოყალიბება. რიგ ქვეყნებში კანონშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობის პროცესში კრიმინოლოგიური ექსპერტიზის გამოყენების საკითხები კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. მაგალითად: ბელორუსიის რესპუბლიკის კანონში „ნორმატიულ სამართლებრივი აქტების შესახებ“[2] გასათვალისწინებელია, რომ ნორმატიულ სამართლებრივი აქტების პროექტები ექვემდებარებიან კრიმინოლოგიურ ექსპერტიზას. ასევე ბელორუსიის პრეზიდენტის განკარგულებით[3] „კრიმინოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ დადგენილია კრიმინოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების დებულება. კრიმინოლოგიური ექსპერტიზა ტარდება სახელმწიფო დაწესებულებაში „კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“.

2 ბელორუსიის რესპუბლიკის კანონი ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესახებ“ 2018 , 17 ივნისი

3 ბელორუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტის N244 განკარგულება „კრიმინოლოგიური ექპერტიზის შესახებ“2007, 29 მაისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია საქართველოშიც არსებობდეს სპეციალური კანონმდებლობა „კრიმინოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ და მისი რეალიზაციის მიზნით შეიქმნას საქართველოს პარლამენტთან შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რაც უზრუნველყოფს ნორმა-შემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობის სრულყოფით დანაშაულობის თავიდან აცილებას.

## კრიმინოლოგიური ექსპერტიზა, როგორც ნორმა-შემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი შეფასების საშუალება

**მიხეილ ბაძაღუა**
ნაშრომში განხილულია კრიმინოლოგიის კვლევებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – კრიმინოლოგიური ექსპერტიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ნორმა-შემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი საქმიანობის, კონკრეტულად, სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, უზრუნველმყოფელი და სხვა საკანონმდებლო ნორმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის, აგრეთვე, მათი შედეგების კრიმინოლოგიური ანალიზი, ექსპერტიზა და წინასწარი შეფასება.
ნაშრომში დასაბუთებულია კრიმინოლოგიური კვლევების როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა საკანონმდებლო საქმიანობაში.

## Criminological expertise as a mean of norm-creative and law-using evaluation

**Mikheil Badzagua**
The academic work presents criminological expertise, one of the most important methods in criminology, which allows to evaluate the norm-creative and law-using activities, specifically, legal, social, political, economical, organizational, maintenance and other legislative norms, also, ways of their use and criminological analysis, expertise and pre-evaluation of their results.

*

# დაცვის სპეციალური სამსახური, როგორც ვიქტიმების შემცირების სახელმწიფო მექანიზმი

**ანზორ ჩუბინიძე,** *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
**Anzor Chubinidze** (Georgia), *Georgian Technical University*

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუქციები მჭიდროდაა დაკავშირებული კრიმინოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასთან – ვიქტიმოლოგიასთან. აღნიშნული სამსახურის უმთავრესი დანიშნულებაა პირთა გარკვეული წრის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება. ვიქტიმოლოგია კი, თავის მხრივ, სწავლობს დაზარალებულის პიროვნებას, დამნაშავის პიროვნებასა და მსხვერპლს შორის ურთიერთობებსა[1] და ვიქტიმურობის თავიდან აცილების პრობლემებს. ამდენად, სანამ უშუალოდ ამ კუთხით სამსახურის ამოცანების განხილვაზე გადავალთ, მიზანშეწონილია სამსახურის საქმიანობაში ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა გავაანალიზოთ.

საუკუნეების მანძილზე დანაშაულობის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა დამნაშავე, ხოლო დაზარალებულის პიროვნება, რომელსაც დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ფიზიკური, მორალური თუ მატერიალური ზიანი ადგებოდა, როგორც მართლმსაჯულების სისტემის, ისე საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა. თუმცა, კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან დაზარალებულის პიროვნებისადმი ინტერესი გაიზარდა, დაზარალებული და მისი დაცვის ინსტრუმენტები გახდა ერთ-ერთი საკვანძო საკითხი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აღნიშნულმა მიდგომამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კრიმინოლოგიის მეცნიერების ისეთი დარგის განვითარებას, როგორიცაა ვიქტიმოლოგიაა.[2]

ვიქტიმოლოგია, ფართო გაგებით, დანაშაულის მსხვერპლის შესახებ სწავლებაა, რომელიც, როგორც კრიმინოლოგიის მეცნიერების მიმართულება, სწავლობს გარემოებებს, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების მსხვერპლად ქცევის შესაძლებლობაზე და გვაწვდის აუცილებელ ცოდნას ვიქტიმურობის თავიდან ასაცილებლად. ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა არა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ იგი გვაწვდის დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, არამედ იგი იძლევა შესაძლებლობას აღნიშნული მასალის სწორი ანალიზის საფუძველზე გავამდიდროთ პრევენციული ზომების არსენალი, რაც პოტენციური დაზარალებულის დაცვის რესურსების შემქნასა და დახვეწაში გამოიხატება.[3]

ვიქტიმოლოგიის განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა ისეთი ტერმინი, როგორიც „ვიქტიმიზაციაა“, რომელიც, თავის მხრივ, პიროვნების ან პირთა გარკვეული წრის დანაშაულის მსხვერპლად გარდაქმნის პროცესს სწავლობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვიქტიმაზაციის შესწავლის საგანი, დანაშაულობისგან განსხვავებით, სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ადამიანთა მსხვერპლად ჩამოყალიბების პროცესთა ერთობლიობაა.[4]

ვიქტიმოლოგიამ როგორც კრიმინოლოგიის მეცნიერების დარგმა, განსაკუთრებული აქტუალურობა გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა. ამ პერიოდიდან დამნაშავისა და მისი მსხვერპლის ფენომენის შესწავლას არაერთი კვლევა მიეძღვნა, შეიქმნა არაერთი მეცნიერული ნაშრომი. შედეგად შესაძლებელი გახდა ვიქტიმოლოგიის ძირითადი იდეების ჩამოყალიბება. უფრო კონკრეტულად, თანამედროვე კრიმინოლოგების უმრავლესობა თანხმდება, რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლის ქცევა დამნაშავის მოტივაციის უმთავრეს საზომად გვევლინება, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს დამნაშავის ბრალეულობის როგორც შემსუბუქებაზე, ისე დამძიმებაზე. ამასთან, დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობა დამოკიდებულია არამხოლოდ ადამიანის ქცევაზე, არამედ მის სოციალურ-ეკონომიკურ მგო-

1 ბაძალუა მ.,“ კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტება“, თბ., 2016 .,გვ. 36
2 გახოკიძე ჯ., გაბუნია მ.,“ კრიმინოლოგია“ (პირველი ნაწილი), თბ., 2012 ., გვ. 86
3 აგანესოვი მ.ა., ერიაშვილი ნ.დ., „კრიმინოლოგია“ (მეოთხე გამოცემა), თბ., 2007., გვ. 437-438
4 წულაია ზ., „ვიქტიმოლოგია“ (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003 ., გვ. 123

მარეობაზე, განსაკუთრებით მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, სამართლებრივ სტატუსზე, მსხვერპლის მიერ შესასრულებელი სამსახურებრივი მოვალეობის სპეციფიკაზე და ა.შ.. რაც უფრო მაღალია ხელმძღვანელი თანამდებობის პირის სტატუსი, მით მეტია მისი ვიქტიმურობის ხარისხი.

ვიქტიმოლოგიური იდეების განვითარებამ ასწლეულების მანძილზე გრძელი გზა განვლო. დროთა განმავლობაში შეიცვალა მიდგომები და ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები. თუკი უწინ თავდაცვა დანაშაულობისგან დაცვის ძირითადი საშუალება იყო, დღესდღეობით პოტენციური მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები უარყოფს მსხვერპლის უფლებას თავდაცვაზე.[5]

ვიქტიმოლოგიის განვითარების კვალდაკვალ დღის წესრიგში დადგა რისკჯგუფებს მიკუთვნებულ პირთა დაცვისათვის შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობა. აღნიშნულში იგულისხმება ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა დაცვის დონის ამაღლება, ვინაიდან ხშირად თანამდებობრივი მდგომარეობა ვიქტიმურობის ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.[6] დღესდღეობით არსებობს თავდაცვითი ზომების ფართო სპექტრი, მათ შორის, სახელმწიფო და კერძო დაცვის სამსახურების მიერ პოტენციურ მსხვერპლთა დაცვის შესაძლებლობაც.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე 1994 წლის 23 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით[7] საქართველოს უშიშროების სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დაცვის სამსახური. 1994 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით ამავე სამსახურს გადაეცა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის ფუნქციაც. 1996 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ", რომლის საფუძველზეც სამთავრობო დაცვის სამსახური გარდაიქმნა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურად. კანონით განისაზღვრა სამსახურის სტრუქტურა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.[8]

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, სამსახური ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების შტოების, აგრეთვე მათი თანამდებობის პირთა ფიზიკურ დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ქვეყნის უსაფრთოების უზრუნველყოფის მიზნით.[9] ამავე კანონის მე-4 მუხლში გასაზღვრულია სამსახურის ამოცანები. კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირები, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობები და მათი მიმდებარე ტერიტორია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა მნიშვნელოვანი პირები, აგრეთვე, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს წესრიგი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და თანამდებობის პირთა სამუშაო, მუდმივ და დროებით ადგილსამყოფელ ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-5 მუხლში მოცემულია იმ თანამდებობის პირთა და სახელმწიფო მოხელეთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც სამსახურის დასაცავ პირთა წრეს ქმნიან.

2013 წლის 28 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილებით[10] დამტკიცებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსასახურის დებულების თანახმად, სამსახური უფლებამოსილია დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს დაცვითი, ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო და კანონმდებლობით დაშვებული სხვა სპეციალური ღონისძიებები.

5 აგანესოვი მ.ა., ერიაშვილი ნ.დ." კრიმინოლოგია" (მეოთხე გამოცემა), თბ., 2007., გვ. 438-439

6 წულაია ზ., „ვიქტიმოლოგია" (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003 ., გვ. 126

7 საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994,23 ივნისის N124 განკარგულება

8 http://ssps.gov.ge/geo/static/45

9 საქართველოს კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სასახურის შესახებ", 1996,20 თებერვალი

10 საქართველოს მთავრობის 2013 , 28 მარტის N71 დადგენილება

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაშიც ფუნქციონირებს მსგავსი დანიშნულების მქონე სამსახურები. 1992 წლის 15 იანვარს უკრაინაში შეიქმნა სახელმწიფო დაცვის სამსახური, რომლის ამოცანაა უკრაინის პრეზიდენტის, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი თანამდებობის პირების, უკრაინის რესპუბლიკაში ვიზიტით მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების, აგრეთვე, სახელმწიფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების უსაფრთხოების დაცვა. ამ ფუნქციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მსგავსად, უკრაინის სახელმწიფო დაცვის სამსახურს აქვს ოპერატიული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.[11]

1992 წლიდან რუმინეთში მოქმედებს უსაფრთოებისა და დაცვის სამსახური, რომლის ამოცანაა ქვეყანაში დროებითი ვიზიტით მყოფი დიპლომატიური წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.[12]

1992 წლის 27 იანვარს მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა პრეზიდენტის დაცვის სამსახური, რომელიც 1998 წლიდან გარდაიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურად. სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში შემავალი სახელმწიფო უწყებაა, რომლის ამოცანა მოლდოვის რესპუბლიკაში მყოფი ადგილობრივი და უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების ადმინისტრაციული შენობების დაცვაა.[13]

დიდ ბრიტანეთში მოქმედი სახელმწიფო დაცვის სამსახური თავის საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს, რაც დასაცავ პირთა წრის სამ სტრუქტურულ დანაყოფად დაყოფას გულისხმობს. კერძოდ, სამსახურის ფარგლებში მოქმედებს სამეფო ოჯახის წევრთა დაცვის სამსახური (SO14), რომელიც უზრუნველყოფს სამეფო ოჯახის წევრთა შეიარაღებულ დაცვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ოფიციალური ვიზიტების დროს. სამსახურის კომპეტენციას ასევე მიეკუთვნება დიდ ბრიტანეთში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნების სამეფო ოჯახების დაცვაც. დასაცავ პირთა წრეს მიეკუთვნებიან ასევე ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლები (SO6). დაცვის სამსახურის სისტემაში ფუნქციონირებს სპეციალური დაცვის პროგრამაც, რომლის ობიექტებსაც დიდი ბრიტანეთის მოქმედი და ყოფილი პრემიერები წარმოადგენენ (SO1).[14]

11 http://www.do.gov.ua/?q=en/page/pro-udo-ukrayini1

12 http://www.spp.ro/#/istoric

13 http://www.spps.md/en/background

14 http://www.eliteukforces.info/police/protection-command/

## დაცვის სპეციალური სამსახური როგორც ვიქტიმების შემცირების სახელმწიფო მექანიზმი

**ანზორ ჩუბინიძე**

ნაშრომში განხილულია ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ვიქტიმების შემცირებისა და დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით, კანონით გათვალისწინებული დაცვის სპეციალური სამსახურის ამოცანები: სახელმწიფო ხელისუფლების შტოების, უმაღლესი თანამდებობის პირთა, საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირთა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვან პირთა ფიზიკური, მუდმივი და დროებითი ადგილსამყოფელი ტერიტორიის დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ასევე მოცემულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბების ისტორია.

ნაშრომში გაანალიზებულია ვიქტიმოლოგიაში ამ მიმართულებით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

## Special Protection Service as a state mechanism of reducing number of victims

**Anzor Chubinidze**

The research discusses the legal requirements of the Special State Protection Service of Georgia for providing the state security of the country through reducing amount of victims and preventing the crime: physical and residential protection of executive, legislative and judicial government officials, high-ranking officials of other countries who are on an official visit in Georgia, representatives of international organizations and other VIPs.

*

## ტრანსნაციონალური დამნაშავეობის განვითარების ძირითადი კრიმინოლოგიური ტენდენციები

**ბადრი ნაჭყებია,** *ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის დირექტორი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*

**Badri Nachkebia** (Georgia), *Director of the Centre for Research of Terrorism and Political Violence, Georgian Academy of Criminology sciences*

მსხვილი დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა და მათი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვავლინოთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის დამახასიათებელი ნიშნები და ტენდენციები, რათა განვსაზღვროთ ამ ორგანიზაციების ის საკვანძო თავისებურებები, რომელთა დამსახურებითაც ისინი სამართალდამცავი ორგანოებისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები თავისი სტრუქტურის, ფორმისა და წევრების შემადგენლობის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, ყველა მათგანი საკმაოდ იოლად ახორციელებს თავის ოპერაციებს სახელმწიფო საზღვრების გავლით და დიდ სირთულეებს უქმნის სამართალმდაცავ ორგანოებს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული ორგანიზაციები უმთავრესად ეყრდნობიან არა მეტისმეტად ფორმალიზებულ და სტრუქტურირებულ იერარქიებს, არამედ შედარებით მოქნილ ქსელურ სტრუქტურებს. ამ მხრივ მათ უკან ჩამოიტოვეს ტრანსნაციონალური კორპორაციები: მათი საქმიანობის არაკანონიერმა ხასიათმა აიძულა ისინი ემოქმედათ ფარულად, „დინადი“ ქსელებისა და ფუნქციური თანამშრომლობის დახმარებით და არა ფიქსირებული სტრუქტურების მეშვეობით. ტრანსნაციონალურმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს რამდენიმე მექანიზმი, რომლებიც მათ სამართალდამცავი ზომებისგან დაცვაში ეხმარება.

პირველი და უმნიშვნელოვანესი თავისებურება – ეს არის ქსელში შემავალი ორგანიზაციების მოქნილობა. ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები მოძრავია და მათ არ აქვთ მკაცრი სტრუქტურა, ისინი სწრაფად რეაგირებენ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებულ ზომებზე. კიდევ ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა მათი პირამიდასებრი ორგანიზაციული სტრუქტურა. ასეთი სტრუქტურა აქვს ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციათა უმრავლესობას, რადგანაც ის ახდენს მეთაურების იზოლირებას, რომელთა კონკრეტულ დანაშაულთან კავშირი არცთუ იოლი დასადგენია, დანაშაულებრივ ქმედებებში მათი უშუალო მონაწილეობა კი ძნელად გამოსავლენია. გარდა ამისა, ეფექტიანი სტრუქტურის შესანარჩუნებლად მეტისმეტად მნიშვნელოვანია უმაღლესი ხელმძღვანელობის ცვლის და ორგანიზაციის ახალი წევრების მიღების მკაცრი წესების უზრუნველყოფა. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაადგილების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და სამართალდამცავი ორგანოები შედრებით მოისუსტებს.

სხვა მნიშვნელოვან მექანიზმებს წარმოადგენს ლეგალურ სამეწარმეო საქმიანობაში შეღწევა, რაც ხშირად დანაშაულებრივ ორგანიზაციებს რესპექტაბელურ იერს ანიჭებს, ასევე მფარველობის გამოყენება შესანიშნავი კონტრსადაზვერვო შესაძლებლობების შესაქმნელად, რაც ერთობ ართულებს მათ წინააღმდეგ მყისიერი ოპერაციების ჩატარებას. რიგით და არა მნიშვნელობით ბოლო ადგილზე მდგომი მექანიზმი, იმ საშიშროების გათვალისწინებით, რომელსაც ის წარმოადგენს საზოგადოებისთვის არის კორუფცია. ის ხელსაყრელ პირობებს ქმნის ასეთი დაჯგუფებების საქმიანობის განხორციელებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის დაბალი რისკით, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს აქვთ უნარი ისწავლონ საკუთარ გამოცდილებაზე და მოერგონ ახალ პირობებს. ზოგიერთ მათგანს აქვს სტრატეგიული ხედვა, ეზიარება ლეგალურ სამეწარმეო პრაქტიკას და ითვალისწინებს საქმიანობის დივერსიფიკაციისა და ახალი ბაზრების გამოყენების პრინციპებს. მათი საქმიანობა თანდათან სულ უფრო დახვეწილი და მოქნილი ხდება, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები სიცოცხლისუნარიანობისა და მიზანდასახულობის დემონსტრირებას ახდენენ მართვისას, იყენებენ ეფექტიან მეთოდებს, სარგებლობენ სპეციალისტების დახმარებით, ზოგიერთ

შემთხვევაში კი კვლევებისა და პროექტირების საკუთარ პროგრამებს ამოქმედებენ. ეს განსაკუთრებით ფულის გათეთრებისას და კონტრაბანდის კიდევ უფრო დახვეწილი მეთოდების დანერგვისას ხდება. ამ ორგანიზაციების მიერ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების, ინტენსიური კვლევებისა და პროექტირების პროგრამების გამოყენება დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი თავიანთ საქმეში ნოვატორული მიდგომების მომხრენი არიან. ისევე, როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებიც სულ უფრო ხშირად ერთიანდებიან სტრატეგიულ კავშირებში: ოპერაციამ „გრინ აის", რომელიც 1992 წელს სხვადასხვა ქვეყანაში დაახლოებით 200-მდე პირის დაპატიმრებით დასრულდა, კალის კარტელისა და სოციალურ მაფიას შორის კავშირი გამოავლინა[1]. მაფია კოლუმბიელებს ნიუ-ორკის ჰეროინის ბაზარზე შეღწევაში დაეხმარა, ევროპაში კოკაინის გაყიდვაზე უპირატეს უფლებაზე შეთანხმების სანაცვლოდ, როგორც ჩანს, ანალოგიური კავშირები იყო დამყარებული იტალიურ ჯგუფებსა და რამდენიმე დანაშაულებრივ ფორმირებას შორის რუსეთში, ასევე პაკისტანისა და შედარებით მცირე, ნარკოტიკებით მოვაჭრე დანიურ ორგანიზაციებს, ნიდერლანდებისა და თურქეთის ორგანიზაციებს შორის და იტალიურ და იაპონურ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორისაც კი. სტრატეგიული კავშირების რიცხვი, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება. ტრანსნაციონალური დამნაშავეობა თავისი ბუნებით მიდრეკილია ნაციონალური საზღვრების დარღვევისკენ. ცხადია, მაღალი ტექნოლოგიებისა და გლობალური სავაჭრო და ფინანსური სისტემების საუკუნეში ნაციონალური საზღვრები გაცილებით გამჭირვალე გახდა, ვიდრე ოდესმე, სახელმწიფოები უწინდებურად ცდილობენ მათ საზღვრებზე გამავალი ნაკადების რეგულირებას. ეს რეგულირება სუვერენიტეტის ფუძემდებლური ატრიბუტია, მაგრამ ის მიუღებელია ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის. ისინი პირდაპირ გამოწვევას უცხადებენ სახელწიფოებრივ სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. ამგვარი ორგანიზაციები ცდილობენ ნაციონალური საზღვრები სრულიად გამჭვირვალე გახადონ, რათა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე შეაღწიონ. სახელმწიფოები ფორმალურად ინარჩუნებენ სუვერენიტეტს, თუმცა, თუ ისინი ვერ აკონტროლებენ მთელ ტერიტორიაზე იარაღს, ხალხისა და ნარკოტიკების შესვლას, მაშინ სუვერენიტეტის რეალური მნიშვნელობა საკმაოდ კნინდება – სიმბოლური მნიშვნელობისგან განსხვავებით. სუვერენიტეტი ინარჩუნებს თავის ქმედითობას როგორც საერთაშორისო საზოგადოების ფუნქციონირების საფუძველი, თუმცა, ის უკვე აღარ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას სახელმწიფოს ტერიტორიული შევსების კონტროლის სფეროში. მართალია, ტრანსნაციონალური დამნაშავეობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, თუმცა, მისი გარდაუვალი გვერდითი პროდუქტია ფარული, ხანდახან კი აშკარა გამოწვევა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სუვერენიტეტისადმი. ეს არის საფრთხე არა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისთვის, არამედ მისი პრეროგატივებისთვის, რომლებიც სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მრავალი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობა, რომლებიც ასევე ტერორის სტრატეგიას იყენებენ, საფრთხეს უქმნის საზოგადოების საფუძვლებს, მაგალითად, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებით. მართალია, ამ მოვლენასთან ბრძოლა საჭიროა მოთხოვნისა და მიწოდების შემცირების გზით, შესაბამისი პროდუქტის არსებობა თავისთავად აჩენს დამოუკიდებელ მოთხოვნას, რაზეც მეტყველებს მწარმოებელ და ტრანზიტულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები, სადაც საკუთარი მომხმარებლების სერიოზული ჯგუფები გაჩნდა. ამას მივყავართ არა მხოლოდ შრომის ნაყოფიერების შემცირებისკენ, ეკონომიკისთვის აქედან გამომდინარე ყველა მნიშვნელოვანი შედეგითურთ, არამედ მას მოსდევს დანახარჯები ჯანდაცვისა და სამართალდამცავი საქმიანობის კუთხითაც. ორგანიზებულმა დამნაშავეობამ გასაღებისა და ახალი მომხმარებლების ჩათრევის დახვეწილი მეთოდები შეიმუშავა. თუმცა, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების სპეციალიზაციისგან დამოუკიდებლად, თავად მათი შექმნისა და მათი საქმიანობის გაფართოვების ფაქტი საზოგადოებას ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ორგანიზებული დამნაშავეობა ანადგურებს როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი და პოლიტიკური ხასიათის ფუძემდებლურ ფასეულობებს, რომლებიც საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. ორგანიზებული დამნაშავეობის იმიჯმა, თითქოს ის არის სამუშაო

1 Los Angelostimes september 29 1992

ადგილების უზრუნველმყოფი და ხალხისთვის კეთილდღეობის მომტანი ძალა, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციები მმართველობის, კანონმდებლობის და მართლწესრიგის შენაჩუნების კუთხით, შესაძლოა, დამღუპველი ზეგავლენა მოახდინოს ნებისმიერ საზოგადოებაზე, მისი განვითარებისა და კულტურის ხარისხის მიუხედავად. კრიმინალური ტერორიზმის, კორუფციის ან ხელისუფლების წარმომადგენელთა დაშინების გზით, ორგანიზებული დამნაშავეობა ანგრევს ფუძემდებლურ ინსტიტუტებს, ასუსტებს მათ ქმედითობას, რითაც აკარგვინებს არა მხოლოდ ეფექტიანობას, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში დისკრედიტაციას უწევს იმ ფასეულობებს, რომლებზეც დაფუძნებულია მათი მოღვაწეობა. ორგანიზებული დამნაშავეობა წარმოშობს ორი სახის ძალადობას: ტერორისტულ ძალადობას, რომელსაც იგი საკუთარი ტერიტორიისა და შემოსავლების დასაცავად მიმართავს და ტერორისტული ძალადობა მოსახლეობისა და ქონების წინააღმდეგ, რომელსაც ცალკეული პირები მიმართავენ უკანონო საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდისთვის საჭირო სახსრების მიღების მიზნით. აქვე, ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევის კონტექსტში აღვნიშნავთ იმ ცალკეული პირების მიერ ჩადენილ ძალადობას, რომლებიც ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

გამოთვლილია, რომ რუსეთში საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი წელიწადში 1 მილიარდ დანაშაულს სჩადის თავისი მავნე ჩვევის დასაკმაყოფილებლად სახსრების მოპოვების მიზნით.[2] ამგვარად, ტრანსნაციონალური დამნაშავეობა ძალადობრივი დანაშაულის გლობალურ-ლოკალური სიმბიოზის წყარო ხდება. ისევე, როგორც ნარკოტიკების მიმოქცევით განპირობებული ძალადობის შემთხვევაში, ცალკეული მოქალაქეები ხშირად ხდებიან ტერორისტული ძალადობის მსხვერპლნი დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრიდან. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ადამიანებით, განსაკუთრებით კი – ქალებითა და ბავშვებით მოვაჭრენი, ადამიანებს განიხილავენ როგორც ცოცხალ საქონელს და არსებითად მათ არანაირ უფლებებს არ აღიარებენ. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა აისახება არა მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე, სადაც ის ხორციელდება, არამედ იმ სახელმწიფოზეც, სადაც ის წარმოიქმნა. მთელ რიგ შემთხვევებში, ასეთი ორგანიზაციები ქმნიან კონკურენტულ, ძალაუფლების მქონე სტრუქტურებს („სახელმწიფო სახელმწიფოში“), რომლებიც ეფუძნება პარალელურ ეკონომიკას და „შავი ბაზრის“ ეკონომიკას, რომლის მასშტაბებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მათი მზაობა, გამოიყენონ ძალა სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, ნიშნავს სახელმწიფოებრივი მონოპოლიის გამოწვევას კანონით გათვალისწინებული ძალადობის გამოყენებაზე და დაკავშირებულია ისეთი მასშტაბის ზიანთან, რომელიც, სავარაუდოდ, ტერორისტული ჯგუფების უმრავლესობის მიერ გამოწვეულ ზარალს აღემატება. კოლუმბიასა და იტალიაში, უდავოდ, მსგავსი სიტუაციაა. იქ ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები წინააღმდეგობას უწევენ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის დამყარების მცდელობას, არცთუ იშვიათად მიმართავენ ძალადობასა და ტერორს. კოლუმბიაში მედელინის კარტელი კოლუმბიის სახელმწიფოსთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ესკობარის დაღუპვის შემდეგ აშკარა გახდა, რომ კოლუმბიის სახელმწიფომ ქვეყანაში თავისი კონტროლი შეინარჩუნა, მან ამას დიდი მსხვერპლის შედეგად მიაღწია: განადგურდა კოლუმბიის მართლმსაჯულების სისტემა, ტერორიზმის მასშტაბები ზოგჯერ სამოქალაქო ომსაც კი მოგაგონებდათ, ხოლო კოლუმბიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ნარკობარონებზე. კარტელები საფრთხეს უქმნიან დემოკრატიულ ფასეულობებს: ისინი მიმართავენ მათი საქმიანობის მამხილებელი ჟურნალისტების მკვლელობას, სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვას. თითქმის იგივე ხდება იტალიაშიც: მაფია არათუ მხოლოდ ეწინააღმდეგება კონტროლის დამყარებას, რის გამოც თავდასხმებს აწყობს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებზე – ის ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებზე უფრო სერიოზული მტერი აღმოჩნდა, ვიდრე, მაგალითად, „წითელი ბრიგადები“. შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მაფიამ შექმნა უკანონო, მაგრამ ეფექტიანი სტრუქტურები, რომლებიც ახორციელებენ ხელისუფლებას მის ტერიტორიაზე და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაზე კონტროლს. კერძოდ, სიცილიური მაფია, რომელმაც ხელთ იგდო უზარმაზარი გავლენა და

2 InnterFax.ru/RUSSIA/373524

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – ჰეროინით, ლათინურ ამერიკაში კი – კოკაინით ვაჭრობით მიღებული შემოსავალი, მიმართავს როგორც კორუფციას, ისე ტერორისტულ ძალადობას. მას მჭიდრო კავშირი აქვს მმართველ პოლიტიკურ პარტიებთან, შეაღწია სახელმწიფო მართვის ორგანოებში არა მხოლოდ ადგილობრივ და რეგიონულ, არამედ ნაციონალურ დონეზე.

გარდა ამისა, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოსახდენად 80-იანი წლების განმავლობაში რეგულარულად ახორციელებდა სასამართლო მოხელეების, პოლიციელების, პოლიტიკური მოღვაწეების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და პროფკავშირელების ტერორისტულ მკვლელობებს. პაოლო ბორსელინოსა და ჯოვანი ფალკონეს მკვლელობები არანაკლები გამოწვევაა იტალიის სასამართლო სისტემისთვის, ვიდრე მედელინის კარტელის გამოწვევა – კოლუმბიის მართლმსაჯულებისთვის. მართალია, ამ გამოწვევამ ღირსეული პასუხი მიიღო, თუმცა, იტალიაში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოაჩინა საკმაოდ მოწინავე, განვითარებული მრეწველობის მქონე სახელმწიფოების მოწყვლადობა მძლავრი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საფრთხის წინაშე.[3]

დანაშაულებრივი ორგანიზაციები ყოველთვის როდი შედიან სახელმწიფოსთან ღია კონფრონტაციაში. ალტერნატიული გზა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში შეღწევა და მათი კორუფციაა სამართალდამცავი ზომების ნეიტრალიზაციის მიზნით. საერთო მიზანია, მთავრობამ დაიკავოს ლიბერალური პოზიციები და არ მიიღოს სერიოზული ზომები ამ ორგანიზაციის მიმართ მისი საქმიანობის აღსაკვეთად. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზაა ძალადობის შეზღუდვის შესახებ უსიტყვო შეთანხმების დადება, სანამ მთავრობა არ ჩაერევა აღნიშნული დაჯგუფების ეკონომიკურ საქმეებში. მეორე გზაა იმ პირთა მოსყიდვა, რომლებსაც აქვთ დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმართ ზომების გატარების უფლებამოსილება ან ძალაუფლება, რათა მათ არაფერი მოიმოქმედონ, სანაცვლოდ კი გასამრჯელო მიიღონ. ყველაზე უარესად მიიჩნევა მდგომარეობა, როცა მთავრობის მოხელეები და დანაშაულებრივი ორგანიზაცია პირს შეკრავენ. მთავრობის როლი ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად, დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის ხელის დაფარებით შემოიფარგლება. ეს უკიდურესი ვარიანტია, თუმცა, გარკვეულ პირობებში მსგავსი მდგომარეობა შეიძლება წარმოიქმნას და ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. პოლიტიკური მიმართულების ტერორისტული ჯგუფებისგან განსხვავებით, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები, უპირველესად, ეკონომიკური და არა პოლიტიკური მიზნებისკენ მიისწრაფვიან. კრიმინალური ტერორიზმი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ხასიათის დასახული ამოცანების განხორციელების საშუალებაა. მავანნი იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ უკანონო საწარმოები ხელს უწყობენ ეროვნულ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ამაღლებენ დასაქმების დონეს და უზრუნველყოფენ გარანტიებს ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში. ამ თვალსაზრისის თანახმად, თითქოს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები ქმნიან იმ სამეწარმეო და მმართველობის კადრების გამოყენების საშუალებას, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოუყენებელი დარჩებოდა. ამგვარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები უზარმაზარია, სულ მცირე, მისი ნაწილი მაინც ისევ ადგილობრივ ან ეროვნულ ეკონომიკას შეემატება, თანაც, ჩვეულებრივ, მულტიპლიკატორის ეფექტით. თუმცა, ასეთი დადებითი შედეგები საერთო სურათის მხოლოდ ნაწილია. ტრანსნაციონალური დამნაშავეობისგან მიღებულმა შემოსავალმა შეიძლება გაართულოს ეკონომიკის მართვა, ვინაიდან ხელს შეუწყობს ინფლაციური ზეგავლენის გამწვავებას, შექმნის დისბალანსს ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში და გაზრდის ვიწრო წრეში შემავალ პირთა შემოსავალს ფუფუნების საგნების შესაძენად, და ეს იმ პირობებში, როცა არსებობს რესურსების უფრო ფართო გადანაწილების მწვავე აუცილებლობა. იმ სახით, როგორითაც „შავი“ ბაზრის ეკონომიკა განაპირობებს საგადასახადო ბაზის შემცირებას, იგი დამღუპველ ზეგავლენას ახდენს ლეგალურ ეკონომიკაზე და შეუძლია ხელი შეუშალოს ეკონომიკისა და სოციალური მხარდაჭერის დაბალანსების მცდელობას. ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ფინანსური და კომერციული დაწესებულებების არსებობას ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. კანონიერი საქმიანობით დაკავებულ დაწესებულებებში შეღწევამ, მფლობელების ტერორით დაშინებამ, მათი ფუნქციონირების მიზნების იმგვარად დამახინჯე-

3 WWW.web archive.org/2006/1126213146/

ბამ, როცა მათ უკვე აღარც საზოგადოების ინტერესების მსახურება შეუძლიათ, აღარც აქციონერების ინტერესებისა, ამგვარი დაწესებულებების მართვის შესუსტებამ, შესაძლოა, საზოგადოებრივი სახსრების ბოროტად გამოყენება გამოიწვიოს. კანონიერ დაწესებულებებში შეღწევის პროცესი ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებისთვის როგორც ლეგალური ბიზნესის საქმიან წრეებთან, ისე პოლიტიკის სათავეში მყოფ პირებთან კავშირის დამყარების საკვანძო მცდელობაა. თუ ამგვარი პროცესი წარმატებით ხორციელდება, მაშინ მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან აღნიშნული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვნად რთულდება. აქ უპრიანი იქნებოდა ანალოგიის მოყვანა ვირუსთან, რომელიც ორგანიზმის იმუნურ სისტემას ანგრევს. ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ გუშინდელ ტოტალიტარულ ქვეყნებში საზოგადოების კონტროლისკენ მიმართული ზომების გატარების სურვილის არქონა შეინიშნება. უფრო მეტიც, მეგობარი მთავრობების მხრიდან სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერების მცდელობა შეიძლება განიხილოს, როგორც არასასურველი ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში, მისი სუვერენიტეტის დარღვევა. მსგავსმა ტენდენციებმა, შესაძლოა, ხელი შეუშალოს საერთაშორისო თანამშრომლობის ძალისხმევას. მეორე მხრივ, არსებობს საშიშროება იმისა, რომ გაიზრდება დემოკრატიზაციის პროცესში დანაშაულისა და კორუფციის პარპაშით უკმაყოფილების დონე და მოსახლეობა უპირატესობას მიანიჭებს მკაცრი ხელის მქონე მთავრობას, რომელიც წესრიგის აღდგენის პირობას დადებს. ასეთ სიტუაციაში მოსალოდნელია დემოკრატიზაციისგან უკან დახევა. ამგვარად, იგნორირებას ვერ გავუწევთ ტრანსნაციონალური დამნაშავეობის უკუზეგავლენას, რადგან ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ ზოგიერთმა მთავრობამ, შესაძლოა, გამოიყენოს კიდეც ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრიდან წამოსული მუქარა პირადი თავისუფლებისა და დემოკრატიის სხვა ფუძემდებლური პრინციპების შესაზღუდად. განვითარებდი ქვეყნებისთვის ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრიდან წამოსულ საფრთხეს აქვს როგორც სისტემური, ისე ინდივიდუალური ასპექტები. სისტემურ დონეზე ორგანიზებული დამნაშავეობა ანადგურებს ძალისხმევას განვითარების სფეროში, რადგანაც მწირი რესურსების სხვა პროექტებიდან მოხსნას და დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ მათ მიმართვას აიძულებს. ტრანსნაციონალური დამნაშავეობის თანმდევი კორუფცია აქვეითებს განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებულ მსხვერპლზე მოსახლეობის წასვლის მზაობას და აფერხებს სახელმწიფო ორგანოების მიერ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას. კორუფცია შეიძლება არსებობდეს რამდენიმე დონეზე – საპატრულო პოლიციის თანამშრომლიდან დაწყებული და უმაღლესი ხელმძღვანელით დამთავრებული. თუმცა, კორუფციის გარდაუვალი შედეგი არის ის, რომ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი სარგებელს იღებს სხვა მრავალი დანარჩენის ხარჯზე. რაც შეეხება ინდივიდუალურ დონეს, დანაშაულებრივი ორგანიზაციის მსხვერპლად გახდომის საფრთხე ყველაზე ხშირად სუსტებსა და ღარიბებს ემუქრება. ასე რომ, ტრანსნაციონალურმა დამნაშავეობამ, შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოუტანოს ადამიანებს, რომლებიც ვაი-ვაგლახით ახერხებენ არსებობას. მაგალითად, აფრიკაში საქონლის მოპარვა და მისი საზღვრის გარეთ გატაცება, შესაძლოა, ტრაგედიად იქცეს ადამიანებისათვის, რომელთა არსებობაც მეცხოველეობაზეა დამოკიდებული. ტრანსნაციონალური დანაშაული და მასში მონაწილე დანაშაულებრივი ორგანიზაციები სულ უფრო სერიოზულ ბრძოლას უცხადებენ გლობალური პოლიტიკური სისტემის რეგულირების უზრუნველყოფის, კოდექსებისა და ქცევის ნორმების, თავშეკავებულობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დამყარების მცდელობებს. რეჟიმები, რომლებიც დამყარდა, რათა წინ აღუდგნენ ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელებას, ასევე ბალისტიკური იარაღის დამზადებისას გამოყენებულ ტექნოლოგიებს, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული არიან მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობაზე და იმ ცალკეული სახელმწიფოების იზოლირების უნარზე, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ასეთი პოტენციალის ხელში ჩაგდებას, სახელმწიფოებრივი ტერორიზმის პოლიტიკის განხორციელების გზით. ანგარებიან კავშირებს, განსაკუთრებით კი, ერთი მხრივ, განდგომილ სახელმწიფოს, მეორე მხრივ კი – ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს შო-

რის, შესწევთ ძალა, მნიშვნელოვნად დააზიანონ კონტროლის რეჟიმი.[4] ნარკოტიკების ბრუნვის ქსელის შექმნის მომენტიდან და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების დასაწყისიდან მოყოლებული, „პროდუქტის" დივერსიფიკაცია სირთულეს არ წარმოადგენს. ნარკოტიკების ბრუნვაში მონაწილე ორგანიზაციებს ასევე იოლად შეუძლიათ მიჰყონ ხელი მასობრივი განადგურების იარაღისთვის საჭირო ტექნოლოგიებითა და კომპონენტებით ვაჭრობას. იმ შემთხვევებში, როცა მყიდველის როლში ტერორისტული ორგანიზაცია ან პარია სახელმწიფო გვევლინება, საფრთხე ეჭვგარეშეა. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაუვრცელებლობის რეჟიმი ან სხვა წესები ეფექტიანად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია აილაგმოს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა. ზემოთ აღნიშნულის შეჯამებისას აღვნიშნავთ, რომ ტრანსნაციონალური დამნაშავეობა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები უქმნიან სერიოზულ და ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელ საფრთხეს ცალკეული პირების ღირსებასა და უსაფრთხოებას; სახელმწიფოების სუვერენიტეტს, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას; ფინანსური და კომერციული დაწესებულებების სათანადო ფუნქციონირებას ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე, ასევე საერთაშორისო სისტემის წესრიგსა და სტაბილურობას. ვინაიდან ეს საშიშროება რეალურად ემუქრება როგორც იმ ქვეყნებს, რომლებშიც დაფუძნდა ეს ორგანიზაციები, ასევე ქვეყნებს, სადაც ისინი ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ დონეზე აყვანის უუნარობა ამ ორგანიზაციების ზრდისა და განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ჯგუფებმა უკვე დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

როგორც უკვე ხაზგასმით აღინიშნა, „ორგანიზებული დამნაშავეობის განკარგულებაში მყოფი რესურსები, უზარმაზარი ეკონომიკური სიმდიდრისა და გავლენის ფლობა და მისი განკარგვა, სტრუქტურებისა და ოპერაციების მემკვიდრეობითობა და სიცოცხლისუნარიანობა, მუდმივად ახალი ადამიანების ჩათრევა დანაშაულებრივ საქმიანობაში და დანაშაულებრივი ორგანიზაციების რიგების შევსება, ასევე „საქმეების" წარმოების ურცხვი მეთოდები ორგანიზებულ დამნაშავეობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას აძლევს"[5].ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა კიდევ უფრო მკაცრი ზომები გაატარონ ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ და გაცილებით ყოვლისმომცველი და ეფექტიანი თანამშრომლობა დაამყარონ. კერძოდ, რეკომენდაციის სახით წარმოგიდგენთ ტრანსნაციონალური დანაშაულების თავიდან აცილების მექანიზმს: ა) გლობალური შეფასების მეშვეობით იმ სხვადასხვაგვარი, მუდმივად ცვალებადი პრობლემების გამოვლენა და რეგულარული მონიტორინგი, რომლებსაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობა აჩენს; ბ) უმთავრესი ყურადღების დათმობა დამნაშავეობის იმ კონკრეტული სახეობებისთვის, რომლებიც ტერორის ტაქტიკას იყენებენ; გ) იმ პრობლემების გაცილებით უფრო მკაფიო გააზრება, რომლებიც გამომდინარეობს ცალკეულ ქვეყნებს შორის უკვე არსებული ან შემდგომში გამოკვეთილი განსხვავებიდან, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის მათებურ შეფასებას ეხება; დ) შესწავლა პრობლემებისა, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო და ნორმატიული საფუძვლების შემუშავების სხვადასხვა ხარისხს ცალკეულ ქვეყნებში; ე) იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც გამომდინარეობს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებიდან ან გადაადგილებიდან სუსტი დამცავი მექანიზმების მქონე ქვეყნებში; ვ) იმ პირობების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების გაფართოებასა და ზრდას, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების, ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურული მახასიათებლების ჩათვლით; ზ) ამ მოვლენის საერთო კონცეფციის ეტაპობრივი შემუშავება; თ) გლობალური სტრატეგია შედარებით ეფექტიანი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისათვის.

4 WWW.EVRAZIA.org/ARTICLE/211/

5 იქვე

## ტრანსნაციონალური დანაშაულებების განვითარების ძირითადი ტენდენციები

**ბადრი ნაჭყებია**

ნაშრომში ნაჩვენებია მექანიზმები, რომელიც ეხმარება ტრანსნაციონალურ დანაშაულობას სამართალდამცავ სტრუქტურებთან პრობლემების თავიდან არიდებაში. ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია ტრანსნაციონალური დანაშაულობის ჩართვა ლეგალურ სამეწარმეო საქმიანობაში. მაღალი ორგანიზებულობა და შესაძლებლობა შეუერთდეს ახალ რეალობებს, წარმოადგენს ტრანსნაციონალური დანაშაულობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს. ასევე, ბუნებრივი რეალობაა მისი სურვილი არსებული საზღვრების დარღვევაში, რადგან თავისი ძალაუფლების გავრცელება უფრო დიდ ტერიტორიებზე მის ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ტრანსნაციონალური დანაშაულობა ანადგურებს სახელმწიფო საფუძვლებს და ხელს უწყობს საზოგადოების კრიმინილაზიციას. მის იდეოლოგიაში ადამიანის უფლებებს ერთ-ერთი დაბალი ადგილი უკავია ან მთლიანად იგნორირებულია. ტრანსნაციონალური დანაშაულობა წარმოადგენს კრიმინალური და ტერორისტული დანაშაულებების სიმბიოზს: მაგ. სიცილიური მაფია, იგი ხელს უწყობს სახელმწიფოში ეკონომიკური ბაზის განადგურებას და ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობას და განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის განვითარებულ ქვეყნებს, რასაც აქვს როგორც სისტემური, ისე ინდივიდუალური ხასიათი. ტრანსნაციონალური დანაშაულებებისთვის ე.წ „განდეგილი სახელმწიფოები“ წარმოადგენენ ხელსაყრელ ნიადაგს. მათთან საბრძოლველად საჭიროა მსოფლიო საზოგადოების შეთანხმებული ქმედებები, რაც პირველ რიგში ნიშნავს წარმოქმნილი პრობლემების გამომჟღავნებასა და მათ რეგულარულ მონიტორინგს.

## The major trends in development of transnational offenses

**Badri Nachkebia**

The work presents mechanisms encouraging the development of transnational offenses (TD) with an intention to avoid legal problems, e.g. including transnational offenses in legal production. The main features of transnational offenses are high level of organization and ability to embrace new realities. TD’s desire to cross the line is fueled by its main purpose of spreading its power over larger areas.

Transnational offenses destroy the state formation and promote the criminalization of society. The human rights are either the least important, or completely ignored aspects in the ideology of TD. Transnational offenses are the unity of criminal and terrorist offences, e.g. Is a symbol of criminal and terrorist crimes, e.g. the Sicilian Mafia. TD plays the crucial part in destroying the economy of country, and opposes any kind of international cooperation and development. TD is especially dangerous for developed countries, attacking them individually and collectively. So-called „estranged countries” become easy targets for TD. Transnational offenses can be fought only with a coordinate and joint effort of the world society. For a start, the problems should be disclosed and permanently monitored.

*

# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებულობა, როგორც სამართლიანი უთანასწორობა

**ილია რუსია,** *გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია*
**Ilia Rusia** (Georgia), *Grigol Robaqidze University, Georgian Academy of Criminology sciences*

როდესაც არასრულწლოვნებს შეხება აქვთ მართლმსაჯულების სისტემასთან, ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებამ და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესთან კავშირში მყოფმა ნებისმიერმა ორგანომ უნდა გააცნობიერონ, რომ არასრულწლოვნები განსხვავდებიან სრულწლოვნებისგან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით, საგანმანათლებლო და სხვა განსაკუთრებული საჭიროებებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავებულ, ფაქიზ და მათი კეთილდღეობის ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას საჭიროებენ.[1]

სისხლის სამართლის პოლიტიკაში არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებში ვლინდება. ყველა განვითარებული ქვეყნის სისხლის სამართლის მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობა არასრულწლოვნებს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად აცხადებს და მათ მიმართ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების განსხვავებულ წესებს განსაზღვრავს. ცივილიზებულმა სამყარომ დიდი ხანია აღიარა დასჯაზე დაფუძნებული ტრადიციული მიდგომის მარცხი. თანამედროვე მსოფლიოს არჩევანი არასრულწლოვანთა აღზრდა-განათლება, მათი რეაბილიტაციაა და არა – დასჯა.

არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებული, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე ორიენტირებული მიდგომა საერთაშორისო კონსესუსის საგანია. არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მიმართულებას იძლევა, თუ როგორი უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს იგი. ასეთ დოკუმენტებს, უწინარესად, მიეკუთვნება გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („პეკინის წესები"); გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად („ჰავანის წესები"); გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ („რიადის პრინციპები") და სხვ.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. „საუკეთესო ინტერესები" შეფასებითი ცნებაა და მასში უამრავი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი შეიძლება მოვიაზროთ. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით „მაგალითისათვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად."[2]

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის იდეას ეხმიანება გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ე.წ „პეკინის წესებიც". კერძოდ, მე-17 წესის თანახმად, არასრულწლოვ-

1 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ.
2 ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 34.

ნის საქმის განხილვისას საკითხი მისი კეთილდღეობის შესახებ მიჩნეულ უნდა იქნას გადამწყვეტ ფაქტორად.

ამდენად, არაერთმა განვითარებულმა სახელმწიფომ თავისი იუვენალური იუსტიციის სისტემის ორიენტირად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება აილო, მაგალითად:

გერმანიაში ჯერ კიდევ 1922 წელს მიიღეს ახალგაზრდობის კეთილდღეობის აქტი, რომლითაც აქცენტი არასრულწლოვნის დაცვასა და განათლებაზე კეთდებოდა და ასეთი მიდგომა დღესაც მოქმედია. არასრულწლოვანთა საქმეებს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი არასრულწლოვანთა სასამართლო იხილავს და არც ერთ შემთხვევაში არასრულწლოვნის საქმე სრულწლოვანთა სასამართლოს არ გადაეცემა. უფრო მეტიც, 18-20 წლის მოზარდებიც კი ნაცვლად იმისა, რომ მათი საქმე საერთო წესით იქნას განხილული, რიგ შემთხვევებში შესაძლებელია არასრულწლოვანთა სასამართლოს განსჯადობას დაექვემდებარონ.[3]

შოტლანდიაში არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესი არაფორმალური ხასიათისაა. კერძოდ, არაპროფესიონალი მუშაკებისგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი არასრულწლოვნის, მისი მშობლების, მასწავლებლების და სოციალური მუშაკების მონაწილეობით და ჩართულობით განიხილავს არასრულწლოვნის საქმეს და იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არასრულწლოვნის კეთილდღეობის ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება.[4]

საფრანგეთში არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმეს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო, ან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო. ტრადიციულ სასჯელებთან მიმართებით უპირატესობა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს ენიჭება და არასრულწლოვნის დაპატიმრება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში დაიშვება.[5]

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს ქართული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობაც ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, 2016 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული განსაკუთრებული მოვლენაა ქართული სამართლებრივი სისტემის ისტორიაში, ვინაიდან აქამდე არ არსებობდა ისეთი უნიფიცირებული სამართლებრივი აქტი, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებდა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და თავისი არსით მოემსახურებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინოვაციური კოდექსი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს უპირატესი გათვალისწინების საგნად აცხადებს და ამ თვალსაზრისით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განხორციელების ახლებურ და, რაც მთავარია, სრულწლოვანთა პროცესისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს, რაც, ერთი შეხედვით, შესაძლოა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევადაც მოგვეჩვენოს, თუმცა ამ შემთხვევაში მსგავსი უთანასწორობა გამართლებულია. ამდენად, მას პირობითად, შესაძლებელია „სამართლიანი უთანასწორობა" ვუწოდოთ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. თუმცა, იგი ვერ რეალიზდება სხვა ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებთან თანხვედრის გარეშე როგორიცაა, მაგალითად, სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და სამართლიანობის პრინციპები. დემოკრატიული წესწყობილება მხოლოდ მაშინაა მყარი, როცა ყველა აღნიშნული პრინციპი ერთმანეთთან შესაბამისობაშია. კონსტიტუციით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის განუხრელად დაცვა მაშინ, როდესაც საზოგადოების განსაზღვრული ნაწილი თავისი საჭიროებებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე გან-

3 Heinrich B., Kherkheulidze I., Perfection of the Trends in Juvenule Justice Systems on the basis of comparison of German, Georgian and the U.S. juvenile law, 2014, გვ. 612.

4 ფაფიაშვილი ლ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „საერთაშორისო სამართალი", №1, 2008, გვ. 155.

5 კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია,ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №3(38), 2013, გვ. 150.

საკუთრებულ დამოკიდებულებას საჭიროებს, ამავდროულად დიდ უსამართლობად შეიძლება მოგვევლინოს.[6]

„კანონის წინაშე თანასწორობა არათუ გამორიცხავს ადამიანთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, არამედ, შესატყვის შემთხვევებში, მოითხოვს კიდეც ამას. ამგვარად, თანასწორობის პრინციპის განხორციელება დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას მოითხოვს, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლიანობის მიღწევა. ამიტომ არის მიჩნეული, რომ თანასწორობა სამართლიანობის გარეშე თავის შინაარსსა და დანიშნულებას კარგავს, ისევე როგორც, სამართლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაც სწორედ თანასწორობაა. ამგვარად, სამართალში, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების გარეშე შეუძლებელია თანასწორობის პრინციპის დაცვა."[7]

საზოგადოების სწორედაც რომ ასეთ ნაწილს არასრულწლოვნები წარმოადგენენ. მათზე თავიანთი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების დონისა და განსაკუთრებით ფაქიზი ბუნების გათვალისწინებით, პრევენციული ღონისძიებები ყველაზე ეფექტურ შედეგს იძლევა. ამდენად, არასრულწლოვნები განსხვავებულ დამოკიდებულებას, მათი საჭიროებების გათვალისწინებაზე ორიენტირებულ მიდგომას და ამ მხრივ გარკვეულწილად „უთანასწორო" დამოკიდებულებას საჭიროებენ, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება თანასწორობის პრინციპის დარღვევად.

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებულობა, როგორც სამართლიანი უთანასწორობა

**ილია რუსია**

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და მათში ასახულ დებულებებს, რომლებიც იძლევიან სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.

ნაშრომში გაანალიზებულია ახლო წარსულში და ამჟამად მოქმედი ქართული იუვენალური იუსტიციის სისტემის თავისებურებანი და შესაბამისობა საერთაშორისო პრაქტიკასთან. ასევე გაანალიზებულია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მიდგომები.

## The difference of juvenile justice as fair inequality

**Ilia Rusia**

The research discusses specific of juvenile justice and internationally recognized principles. Important attention is paid to the international legal acts and the provisions outlined in them, which provide guidelines in the field of juvenile justice.

The study analyzes the peculiarities of old and active Georgian juvenile justice system and its compliance with international practice. The approach to juvenile justice system in different European countries is also analyzed.

*

6 დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბ., 2013, გვ. 209.

7 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 60.